

გაია ლომია

პიკოტიკსის საკითხები  
ენგრეზე



გამომცემლობა „ჯივერსაფი“  
თბილისი 2005

უაკ (UDC) 809.463.1

ლ 81

ნაშრომი ეძღვნება უმწერლობო მეცნიერების პიპოტაქსის საკითხებს. პარალელური მოხმობილია სხვა ქართველური ენებიდან. მიღებული დასკვნები საყურადღებო და საინტერესოა როგორც საერთოქართველური პროცესების წარმოსაჩენად, ისე ზოგადერთ-მეცნიერული თვალსაზრისითაც.

წიგნი გამოადგებათ ენათმეცნიერებს, სპეციალური ფაკულტეტის სტუდენტებს, ქართველურ ენათა სტრუქტურით დაინტერესებულ მკალევარებს.

რედაქტორი: პროფესორი ელენე ბაბუნაშვილი

რეცენზენტები: პროფესორი იზაბელა ქობალავა

პროფესორი გურამ კარტოზია

© მ. ლომია, 2005

გამომცემლობა „ჯილდოსალი“, 2005

თბილისი, 0128, მ. ვაჟაპესავახ გამზ. 1, თე: 29 09 60, 8(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge

ISBN 99940-51-01-6

## შირვათება

ნაშრომი შესრულდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აზალი ქართული ენის კათედრაზე. მუშაობა დასრულდა 1998 წელს. მაღლობას ვუხდით პროფესორ ელენე ბაბუნაშვილს ხელმძღვანელობისა და რედაქტორობისათვის.

დიდი მაღლობა დოცენტებს: მ. კობალაძეს, მ. მარგველაშვილს, რ. შეროზიას, პროფესორებს: იზ. ჭაბალავას, გ. კარტოზიას, მ. ჯიქიას, ალ. ღლონტს (+) საყურადღებო შენიშვნებისათვის.

ასევე მაღლიერებით გვინდა გავიჩსენოთ აწ განსვენებული პროფესორი კორნელი დანელია, რომელმაც სტუდენტობიდანვე მიგვაქცევინა ყურადღება მეგრული პიპოტაქსის პრობლემატურ საკითხებზე, რითაც ფაქტობრივად განსაზღვრა ჩვენი მომავალი საკვალიფიკაციო თემა.

ავტორი დიდი მაღლიერებით მიიღებს ყველა საქმიან შენიშვნასა და წინადადებას.

მარა ლომია

## ტინასიტყვარება

ცნობილია, რომ პოპოტაქესი (ქვეწყობა), კავშირებისა და საკავშირებელი სიტყვების რთული სახეობებით, მხოლოდ სამწერლობო ენის კუთვნილებად და ხალხურ მეტყველებაში აქვთ გავრცელებულად მიაჩნდათ. როგორც ამ მიმართულებით ჩატარებულმა კელევა-ძიებამ ცხადყო, „ქართული ხალხური მეტყველების უძველესი ნიმუშები, რომლებიც ჩვენამდისაა მოღწეული (ზღაპრები, ანდაზები, ლექსები) ეჭვმიუტანელს ხდის, რომ რთული სინტაქსური კონსტრუქციების პირველი უშუალო წყარო სწორედ ხალხური მეტყველებაა და არა მწიგნობრული ენა“ (ალ. ღლონწი, 1975).

მეთოლოლოგიურად გამართლებულად მიიჩნევა, რომ ქართულ ცოცხალ მეტყველებაში დადასტურებული ქვეწყობა, კავშირების დიფერენცირებული სისტემით, დიალექტთა შინაგანი განვითარების კანონზომიერებითაც აიხსნას და არა მხოლოდ სალიტერატურო ენის ზემოქმედებით (შ. ძიძიგური, 1973), რადგან, როგორც გაირკვა, ზეპირი მეტყველება სალიტერატურო ენის ფუნქციური სტილი კი არ არის, არამედ ცალკე სისტემა (რუსული სასაუბრო მეტყველება, 1973; ო. ა. ლაპტევა, 1976); ამის დასტურად ქართული ხალხური სიტყვიერების (მეგრული ტექსტები) II ტომის შესავალ ნაწილში ნათევამი ფრაზაც გამოდგება: მეგრულიდან ქართულად „თარგმნისას ყველაზე ძნელად „მოსახელთებელი“ აღმოჩნდა მეგრული სინტაქსური კონსტრუქციები“ (გვ. 8), თუმცა ეს ორი წყარო (ზეპირი და წერითი მეტყველება) კი არ გამორიცხავს ერთმანეთს, არამედ ავსებს (ა. გვოზლევი, 6. შეედოვა და სხვა). ამასთან დაკავშირებით კ. ღლონდუა აღნიშნავდა: „ჩვენ არავითარი საბუთი გვაქვს ვიჟიქროთ, რომ პიპოტაქსური წინადადების სათავე მწერლობა იყოს, სამაგიეროდ, ჩვენ სრული უფლება გვაქვს ვივარაუდოთ, რომ პიპო-

ტაქსის სამუდამოდ განმტკიცებასა და პარატაქსისაგან მკვეთრად გამოყოფას სწორედ მწერლობაში შეუწყო ზელი” (კ. დონდუა, 1967).

ზეპირსიტყვიერების ნიმუშები თაობიდან თაობას ზეპირი გზით გადაეცემოდა. ზღაპრების, ლეგენდების, თქმულებების თხრობის სტილი ისეთი უნდა ყოფილიყო, რომ დამახსოვრება არ გასჭირვებოდათ ავტორ-მთქმელებს. სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ მარტივ წინადადებათა შემცველი თხრობა უფრო ეკონომიურია, ცოცხალი და საკითხავად სახალისო, სამაგიროდ, დასამახსოვრებლად უფრო ძნელია. ასეთი თხრობის სტილი თავისებურია, განსხვავებული ცოცხალი სალაპარაკო ენისგან (ვ. თოფურია 1960:25).<sup>1</sup>

ზღაპარი ხალხური პროზის წამყვანი ჟანრია და მისი ტრადიცია ათეულობით საუკუნეს ითვლის. ზღაპარში მუდამ წინა პლანზეა წამოწეული განსაცდელი, გმირის თავგადასავალი. დაბრკოლებათა დაძლევა, საოცარი ფათერაკების გადალახვა და ა. შ. ამას, ყველაფერს, მთქმელი ჰყვება ისე, რომ გააცხოველოს ინტერესი, მძაფრი სიტუაციების ეფექტი აგრძნობინოს მსმენელს. ამიტომაც „აქ (ზღაპარში) გაბატონებულ ადგილს (9 6%) იჭერს რთული კონსტრუქციები“ (ალ. ღლონტი 1991:3).<sup>2</sup>

ექსპერიმენტით დადასტურებულია, რომ წინასწარი მომზადების გარეშე გადმოცემულ ტექსტებს ზედმეტსიტყვიანობა ახასიათებთ (ნ. კიზირია 1987:73). ამგვარ ტექსტებში მოცემული ჰიპოტაქსური კონსტრუქცია ასევე შეიცავს ზედმეტსიტყვებს და ეს არის, ძირითადად, მისამართი სიტყვა, კორე-

1-2 საინტერესოა ფსიქოლოგიური ფაქტორიც. როგორც აღმოჩნდა, მსმენელი განსხვავებულად რეაგირებს მოსაუბრის მოკლე და გრძელ წინადადებებზე. პირველ შემთხვევაში გაუცნობირებლად უნდობლობით იმსჭვალება, ხოლო მეორე შემთხვევაში კნდობა, უსმენს და მის მიმართ კეთილგანწყობილია. დაწვრ. ამ საკითხზე იხ. რუსუდან შშეიღობამე, 1990.

ლატი ან ორივე ერთად (იხ. ამის შესახებ: ქართული ხალ-ზური სიტყვიერება, ტ. II, 1991:10).

ამრიგად, ზემოთქმული გახაზავს უმწერლობო ენის ჰიპო-ტაქსის შესწავლის ინტერესსა და აუცილებლობას სამწერ-ლობო ენის მონაცემებთან შედარებით.

ცნობილია, რომ ქართველურ ენათაგან სამწერლობო მხოლოდ ქართულია, ხოლო სხვა ქართველური ენები „ფუნ-ქციონალურად (საზოგადოებრივი ფუნქციის მიხედვით) ქარ-თული ენის დიალექტებს უტოლდებიან“ (აღ. ონიანი 1997:86). ამრიგად, უმწერლობო ენები ლინგვისტური თვალ-საზრისით ცალკე სისტემას წარმოადგენენ, მაგრამ, ამავე დროს, „ხალხური მეტყველების ქარგაზე არიან აგებული (ბ. ჯორბენაძე 1995:12).

ჩვენი კვლევის ობიექტია მეგრული. ვიყენებთ და ნაშრომ-ში საჭიროებისამებრ ვიმოწმებთ ქართულის, სვანურისა და ჭარურის (ლაზურის)<sup>3</sup> ჰიპოტაქსზე არსებულ სამეცნიერო ლიტერატურას.

ჰიპოტაქსი საკითხთა ფართო წრეს აერთიანებს; ჩვენს ნაშრომში შევეხებით ზოგიერთ მათგანს.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია, მეგრულის ჰიპოტაქსის გამოწვლილებით შესწავლის საფუძველზე დაადგინოს:

1. რა აქვს საერთო მეგრულის ჰიპოტაქსის ქართულის, სვანურისა და ლაზურის ჰიპოტაქსთან;
2. იმ თავისებურებათა წარმოჩენა და აღნუსხვა, რომელიც დამახა-სიათებელია მეგრულის ჰიპოტაქსისათვის, იმავე ქართველური ენების ჰიპოტაქსისგან განსხვავებით. სახელდობრ, გარკვევა იმი-სა,
- a) რა საკაშირებელ საშუალებებსა და კორელატებს იყენებს მეგ-რულის ჰიპოტაქსური კონსტრუქცია; მათი აგებულება-გენეზი-სისა და ფუნქციის დადგენა;

<sup>3</sup> ლაზური მოექცა თურქული ენობრივი სამყაროს გარემოცვაში, რის გამოც მასში დასტურდება თურქული კალქები, მათ შორის სინტაქსურიც (იხ. ამის შესახებ 6. მარის, ი. ყიუშიძის, არნ. ჩიქობავას, ს. ჯიქიას და სხვათა შრომები). კალქებს ჩვენს ნაშრომში არ განვიხილავთ.

- ბ) დამოკიდებულ წინადაღებაში ბრუნებადი საკავშირებელი სიტყვის ბრუნებისა და მისამართ სიტყვასთან რიცხვის მიხედვით მისი ურთიერთობის განსაზღვრა;
- გ) თეთი ქვეწყობილ წინადაღებაში საკავშირებელი სიტყვის თუ კორელაცის ადგილის გარევება;
- დ) ტრადიციული კლასიფიკაციის მიხედვით გამოყოფილ დამოკიდებულ წინადაღებათა ტიპებისა და თავისებურ ჰიპოტეზებურ კონსტრუქციათა გამოვლენა მეგრულში. იქ ფიქსირებული კავშირის ფუნქციის განსაზღვრა, თავისებურებათა გამომწვევი მიზეზების ძიება.

ზოგიერთ ზემოჩამოთვლილ საკითხზე უკვე იყო მსჯელობა სამეცნიერო ლიტერატურაში, მაგრამ ეს არ გამორიცხავს ამ საკითხების საგანგებოდ შესწავლის აუცილებლობას. გარდა ამისა, დღევანდელი გადასახელიდან ზოგიერთ მოვლენას შეიძლება სხვაგვარი, ადრინდელისაგან განსხვავებული, ახსნაც მიეცეს.

ცნობილია, რომ მონათესავე ენათა შედარება ისტორიულ-შედარებითი კვლევის აუცილებელი ელემენტია. მიუხედავად ამისა, ერთი შეხედვით, თითქოს უხერხულია სალიტერატურო ქართულთან არასამწერლობო მეგრულის შედარება, რადგან „უძველესი პერიოდის სალიტერატურო ქართულშივე ჰიპოტეზი სინტაქსური ნორმა“ (შ. ძიძიგური), მაგრამ ისიც ფაქტია, რომ უძველეს სალიტერატურო ქართულში არსებული ჰიპოტეზის შემდგომი განვითარება და სრულყოფა მოხდა თანდათანობით, სალიტერატურო ენის განვითარების შესაბამისად – მოყოლებული ძველი ქართულიდან დღემდე მეგრულისა და ქართული სალიტერატურო ენის მონაცემების შედარება ცხადყოფს:

- ა) მეგრულში არსებული ეითარება ქართული სალიტერატურო ენის განვითარების რომელ საფეხურს შეესაბამება.
- ბ) სალიტერატურო ნორმებისგან თავისუფალ მეგრულში თუ არსებობს რაიმე ქანონზომიერება სალიტერატურო ნორმებით შემოსაზღვრული ქართულისაგან განსხვავებით.

წერილობითი ძეგლების – ქართული მხატვრული ნაწარმოებების ენაზე დაკვირვება და მეგრულთან შედარება მიზნად ისახავს, გაირკვეს, რამდენად უჭერს მეგრული მხარს სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას, მხატვრულ ტექსტებში ამა თუ იმ თავისებური ჰიპოტეზური კონსტრუქციის ცოცხალი მეტყველების გზით დამკვიდრების შესახებ.

როგორც ცნობილია, გამოცემული მეგრული ტექსტების ძირითადი ნაწილი ჯადოსნური ზღაპრებია, ამიტომაც საჭიროდ ვკანით პარალელების მოხმობა XIX საუკუნეში თელო რაზიკაშვილის მიერ ჩაწერილი ქართული ჯადოსნური ზღაპრებიდანაც.<sup>1</sup>

მხედველობაშია მისაღები ქართული ენის დიალექტების, ქართული ზეპირშეტყველების, სვანურისა და ლაზურის მონაცემებიც.

ჰიპოტეზის განვითარებასა და ზეპირი მეტყველებისთვის დამახასიათებელ ცალკეულ ჰიპოტეზურ კონსტრუქციებს არამონათესავე ენაშიც გავადევნეთ თვალყური, სპეციალური ლიტერატურის საშუალებით.

მეგრული მასალა ნაშრომში ჟანრული მრავალფეროვნებითაა წარმოდგენილი (ჯადოსნური ზღაპარი, ლექსი, ანდაზა, თქმულება). საილუსტრაციო მასალად გამოყენებულია ი. ყიფშიძისა და მ. ხუბუას მეგრული ტექსტები, ქართული ხალხური სიტყვიერების (მეგრული ტექსტები) I და II ტომები, შ. ბერიძის და კ. სამუშავის მეგრული პოეზიის ნიმუშები, რ. შეროზიასა და ო. მემიშიშის მიერ გამოცემული

<sup>1</sup> პატრი ბერნარდო ნეაპოლელის (XVII ს.) კოლექციაში დაცულ ქართულ ზღაპრებს არ ვიმოწმებთ სპეციალურ ლიტერატურაში მათს რაობაზე გამოთქმული მოსაზრების გამო. მხედველობაში გვაქვს ლიაკოტაშვილის ჰუბლიკაციები, რომლის თანახმად, ზოგიერთი ზღაპარი ამ კოლექციიდან უნდა წარმოადგენდეს „სეილანიანისა“ და „ვარშავიანის“ ტიტის უცნობი აღმოსავლური კრებულის თარგმანს. ავტორი საგანგეოდ მიუთითებს ამ ზღაპრების ენისათვის დამახასიათებელ ფრაზეოლოგიურ სარისიზმებზე, კალკებზე.

სალხურის სიბრძნის I ტომი (მეგრულ-ლაზური ანდაზები), რიგ შემთხვევაში მაგალითებს ვიმოწმებთ ჩვენ მიერ ჩაწერილი ტექსტებიდან, მთქმელის გვარის ფრჩხილებში მითითებით. დაუმოწმებელი მაგალითები ყველგან ჩვენ მიერ არის აღებული ცოცხალი მეტყველებიდან. ძველი ქართულის, სვანურის, ლაზურის და ა. შ. მაგალითებს ძირითადად არსებული სამეცნიერო შრომების მიხედვით ვიმოწმებთ. დასკვნების გამოტანისას გათვალისწინებულია უანრობრივი თავისებურება.

ქართული თარგმანი ახლავს ყველა ზემოდასახელებულ წყაროს, გარდა ი. ყიფშიძისა და მ. ხუბუას მიერ გამოცემული ტექსტებისა. ამ ტექსტებიდან მოხმობილი მაგალითები ჩვენ მიერაა ქართულად გამართული. საილუსტრაციო მასალის დამოწმებისას დაცულია შემდეგი პრინციპი: თუ მეგრული ტექსტის თარგმანი გამომცემლებს ეკუთვნით, მაშინ წყაროს დასახელება მოცემულია თარგმანის შემდეგ, სხვა შემთხვევაში — თარგმანამდე.

აღნიშნული პრინციპის გამოყენება შესაძლებელია ტექსტის თანმხლები თარგმანის შეცვლის შემთხვევაშიც.

# შესავალი

## გ 1. საკითხის შესწავლის ისტორია

საკითხის შესწავლის ისტორიას ორი ასპექტით წარმოვაჩინოთ. მიმოვინალავთ საეციალურ სამეცნიერო ლიტერატურას: ა) ზეპირი და წერითი მეტყველების ურთიერთმიმართებისა და ბ) საკუთრივ მეგრული კავშირებისა და ზოგიერთი თავისებური ჰიპოტაქსური კონსტრუქციის შესახებ.

ზეპირი მეტყველების<sup>1</sup> კვლევა წერით მეტყველებასთან შედარება-შეპირისპირებით სათავეს იღებს უცხოელი ლინგვისტების შრომებში. მათ ბევრი თავისებურება გამოავლინეს კონკრეტულ ენათა მაგალითზე, რაც განაზოგადეს თავიანთ მონოგრაფიებში (ამ საკითხთან დაკავშირებით უ. ვანდრიესის, შ. ბალის, ფ. მარტინეს, ჰ. ფრეის, ი. პოფმანისა და სხვა ავტორთა შრომების ბიბლიოგრაფია და მიმოხილვა მოცემულია შვედოვას წიგნში – 6. შვედოვა 1960: 5-26).

რესი ენათმეცნიერებიც ჩვენი საუკუნის 50-60-იან წლებში და უფრო ადრეც ზეპირი მეტყველების პრობლემებზე მუშაობისას შესაპირისპირებლად საჭირო მასალას წერი-

<sup>1</sup> მეტყველების ზეპირი ფორმა გულისხმობს როგორც სასაუბრო მეტყველებას, ასევე ლექცია-მოხსენებას. ეს უკანასკნელი, შესაძლოა, წინასწარ იყოს მომზადებული წერილობით ან გონიერად ითქვას. გაითვალისწინა რა ამ ორი უანრის (სასაუბრო და სალექციო ზეპირი მეტყველება) სხვადასხვაობა, დოლინნობა ინიტულის თავიდან ასაცილებლად შემოიღო ცნებები: სპონტანური მეტყველება – არასპონტანური მეტყველება. ამათგან პირველი წინასწარ არ არის მომზადებული, მეორე წინასწარ მომზადებულია (დოლინნის შეხედულებას მეტყველების ზეპირი უორმების განსხვავების შესახებ ვიმოწმებთ 6. კიზირიას ნაშრომის მიხედვით – 6. კიზირია 1987:64). ჩვენ მიერ ნახსენებ „ზეპირ მეტყველებაში“ ყველგან იგულისხმება დოლინნისეული სპონტანური მეტყველება; ამიტომაც ჩვენს ნაშრომში ზეპირი, ცოცხალი და ხალხური მეტყველება ერთმანეთის ტოლფასად მიიჩნევა.

ლობითი ძეგლებიდანაც იღებდნენ (თუმცა ბოლო ხანებში მათ შეცვალეს ამგვარ საკითხთა კვლევის პრინციპი იმ მო-საზრებით, რომ ზეპირი მეტყველება ცალკე სისტემაა).

ამ ორი წყაროს შედარება-შეპირისპირების პრინციპზეა აგებული ლეილა კვანტალიანის მონოგრაფია „ქართული ზე-პირი მეტყველების სინტაქსის საკითხები“, თბ., 1990. იხ. აგრეთვე მისი საღოქტორო დისერტაცია — „პიპოტაქსი სასა-უბრო ქართულში“ (მანქანაზე გადაბეჭდილი), თბ., 1997. ხსენებული ნაშრომების შესავალ ნაწილში ავტორი აღნიშ-ნავს, რომ „ფრანცისკო-მარია მაჯოს“ ქართული ანუ იბერიუ-ლი ენის გრამატიკის“ (XVII ს.) ერთ-ერთი წყარო ზეპირი მეტყველება იყო. თუით ანტონ ბაგრატიონიც კი, რომელმაც სალიტერატურო ქართულის გრამატიკა შექმნა (XVIII ს.), გვერდს ვერ უვლიდა ზეპირი მეტყველების თავისებურებებს და შიგადაშიგ განიხილავდა „მდაბიური ენისთვის“ დამახასია-თებელ მოვლენებს. მის ხაზს აგრძელებდნენ შემდეგი საუკუ-ნეების გრამატიკოსებიც, რომელნიც მეტ-ნაკლებად განიხი-ლავდნენ ქართულ სასაუბრო მეტყველებას (ლ. კვანტალიანი 1990:3).

ქართული სალიტერატურო ენა თავისი ისტორიის მან-ძილზე თითქმის არასოდეს მოსწყვეტია ცოცხალ მეტყველე-ბას, რაც მისი სიცოცხლისუნარიანობის გადამწყვეტი ფაქტო-რია (ზ. სარჯველაძე 1984:21). ცოცხალი მეტყველებისა და ქართული სალიტერატურო ენის მჭიდრო ურთიერთობის მაჩ-ვენებელია ის, რომ „დღევანდელ ქართველს კარგად ესმის V საუკუნის ქართულიც, ფრანგი და გერმანელი კი მეთოთხმე-ტე საუკუნის თავიანთ მწერლობას უცხო ენებსავით სწავ-ლობენ. საბედნიეროდ, ნამდვილი ქართული ლიტერატურა და ხალხური სალაპარაკო ენა ღვიძლი ძმები არიან“ (მ. ჯავა-ხიშვილი 1964:201).

სალიტერატურო ენისა და ცოცხალი მეტყველების ურთიერთმიმართების საკითხი წინა პლანზე წამოსწია თ.

გამყრელიძემ თავის ბოლოდროინდელ მონოგრაფიაში „წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა“ (თ. გამყრელიძე 1989:198-201). კერძოდ, ავტორი წერს: „გასათვალისწინებელია აგრეთვე შესაძლებლობა ქრისტიანობამდელ ქართულ სამყაროში „ლიტერატურული“ ტრადიციების არსებობისა ზეპირსიტყვიერების სახით. ცნობილია, რომ ლიტერატურული ენის ჩამოყალიბება ამა თუ იმ კულტურაში არ იწყება აუცილებლად ენის წერილობით ფიქსაციასთან ერთად, ამ ენაზე დამწერლობის გაჩენასთან ერთად. „ლიტერატურული“ ტრადიციები და „ლიტერატურული“ ენა შესაძლებელია არსებობდეს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ზეპირ-სიტყვიერების (словестности) სახით, ამ ენაზე სპეციალური დამწერლობას არსებობის გარეშეც<sup>1</sup> (თ. გამყრელიძე 1989:202-201). ამასთან დაკავშირებით მკვლევარი იხსენებს ველურ ჰიმნებსა და ჰომეროსის პოემებს, რომლებიც დიდი ზნის განმავლობაში ზეპირი გზით ვრცელდებოდა, ხოლო მათი ჩაწერა გვიან, დამწერლობის შემოღების შემდეგ განხორციელდა. „წერის შემოღება მხოლოდ გრაფიკულ ფიქსაციას ახდენს ამგვარი ტრადიციებისა და ხელს უწყობს ლიტერატურული ენის შემდგომ განმტკიცებასა და განვითარებას“ (თ. გამყრელიძე 1989:201).

ცნობილია, რომ კავშირი (ფართო გაგებით) და კორელატი რთული ქვეწყობილი წინადადების უმთავრესი გრამატიკული მახასიათებლებია. ამიტომაც მეგრულის შესახებ არსებულ ცალკეულ მონოგრაფიებში ჰიპოტაქსზე მსჯელობა სა-

<sup>1</sup> ამ კუთხით სვანური განხილული აქვს ნ. მარს: „სუფევს სვანური „სალიტერატურო“ ენა სვანური ზეპირი ლიტერატურის წყალობით (ნ. მარი, 1977). ნ. მარის კონცეფციის ძირითადი კრიტერიუმების ანალიზი და ამ საკითხზე თ. გამყრელიძის ზემოხსენებული თვალსაზრისის მიმოხილვა მოცემულია აღ. ღლონტის საგაზეთო წერილებში (აღ. ღლონტი 1991:3).

კავშირებელ საშუალებათა ანალიზით შემოიფარგლება უმეტე-  
სად.

აღ. ცაგარელის მიერ 1880 წელს პეტერბურგში გამოცე-  
მულ „მეგრულ ეტიუდებში“ ჩამოთვლილია მეგრულის მაქ-  
ვემდებარებელი კავშირები. 6. მარიც თავის ლაზურის გრამა-  
ტიკაში, რომელიც 1910 წელს გამოიცა პეტერბურგში (H.  
Mapp, Грамматика чанского (лазского) языка, СПб, 1910),  
მეგრულ-ჭანურისთვის საერთო მხოლოდ რამდენიმე კავშირს  
ეხება (დო, თი, ნა); ამ გრამატიკის ზოგიერთი პარაგრაფი  
დააზუსტა ყიფშიძემ 1911 წელს პეტერბურგში გამოცემულ  
ნაშრომში – Дополнительные сведения о чанском языке,  
თუმცა ამ კავშირების შესახებ ახალი არაფერი უთქვამს. იმა-  
ვე ავტორის მიერ 1914 წელს ასევე პეტერბურგში გამოცე-  
მულ მეგრულის გრამატიკაში (Грамматика мингрельского  
(иверского) языка, СПб, 1914) გაანალიზებულია მაქვემდება-  
რებელი კავშირები (-ნი, ნამუდა, ჯა), საკავშირებელი სიტ-  
ყვები და ზოგიერთი, მეგრულისთვის დამახასიათებელი, სინ-  
ტაქსური კონსტრუქცია (მუს რე, ორთუქი?=რას არის, აკე-  
თებ?). ზოგი საკავშირებელი სიტყვის ანალიზი მოცემული  
აქვს არნ. ჩიქობავას თავის შრომებში: ჭანურის გრამატიკუ-  
ლი ანალიზი (თბ., 1936) და მეგრულ-ჭანურ-ჭართული შე-  
დარებითი ლექსიკონი (თბ., 1938).

უხვად არის მასალა მოხმობილი მეგრულიდან ნ. აბესა-  
ძის საღისეურტაციო ნაშრომში – „პიპოტაქსის წევრ-კავშირე-  
ბი და კავშირები სვანურში, თბ., 1962. ამავე ავტორმა ცალ-  
კეული სტატიები მიუძღვნა პიპოტაქსის საკავშირებელ საშუ-  
ალებებს მეგრულში („რომ“ კავშირი ქართველურ ენებში,  
თსუ შრ., ტ. 96, თბ., 1963; პიპოტაქსის წევრ-კავშირები  
და კავშირები მეგრულში, თსუ შრ., ტ. 114, თბ., 1965 და  
გრძნობისა და თქმა-ბრძანების გამომხატველ ზმნათა შემცვე-  
ლი ქვეწყობილი წინადადებები სვანურში, თსუ შრომები,  
ენათმეცნიერება, ტ. 200, თბ., 1978).

გიორგი როგავას სტატიებში – „არქაული ტიპის ჰიპოტაქსის გაღმონაშობი ქართველურ ენებში“ (იქე, ტ. XXVI, თბ., 1987), „ზანური-ნი კავშირ-ნაწილაკის კვალი ჭანურ დიალექტში (იქე, ტ. XXVII, თბ., 1988) გაანალიზებულია ზანური სისტემის ჰიპოტაქსური კონსტრუქცია. ლ. ქვანტალიანი თავის „ქართული ზეპირი მეტყველების სინტაქსის საკითხებში“ (თბ., 1990) იხილავს ქართული ზეპირი მეტყველებისათვის დამახასიათებელ ზოგიერთ თავისებურ ჰიპოტაქსურ კონსტრუქციას და პარალელები მოხმობილი აქვს მეგრულ-ჭანურიდან და სვანურიდან. ქართული ხალხური სიტყვიერების II ტომის (თბ., 1991) შესავალ ნაწილში, რამდენადაც შესაძლებელი იყო, ყურადღება გამახვილებულია მეგრული ჰიპოტაქსის ზოგიერთ სპეციფიკურ მხარეზე.

საფურადღებო სტატიები აქვთ გამოკვეყნებული ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე ვ. თოფურიას, ზ. სარჯველაძეს, გ. კარტოზიას, ალისა კ. ჰარისის. ზანურში დაბასტურებულ საკავშირებელ საშუალებათა ანალიზს ეძღვნება ლ. ფაჩულიას საკანდიდატო (1997 წ.) და ვ. ახალაიას საღოქტორო (1999 წ.) დისერტაციები, რომელთაგან პირველი უსწრებს, ხოლო მეორე მოსდევს ჩვენი ნაშრომის დასრულების (1998 წ.) თარიღს.

ზემოთ დასახელებულ ნაშრომებში გამოთქმული მოსაზრებები გათვალისწინებული გვაქს დისერტაციაში, ვიმოწმებთ გზადაგზა. ასევე ვიყენებთ, სათანადო დამოწმებით, ჰ. ფენრიხისა და ზ. სარჯველაძის მონოგრაფიას „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი“ (თბ., 1990).

## § 2. რთული ქვეწყობილი წინადადების სტრუქტურულ-სემანტიკური თავისებურებების

ამა თუ იმ ენაში რთული ქვეწყობილი წინადადების სტრუქტურულ-სემანტიკური თავისებურებების გარკვევას უკავშირდება რამდენიმე ზოგადი საკითხი, რომელთა გარშემო

უამრავი თვალსაზრისი არსებობს. მრავალთაგან ერთ-ერთი — საყრდენი თვალსაზრისის შერჩევის გარეშე შეუძლებელია კონკრეტული ენის (სამწერლობო იქნება თუ უმწერლობო) პიპოტაქსური კონსტრუქციის შესწავლა მეცნიერულ დონეზე იღვეს.

პირველ რიგში გასარკვევია, განეკუთვნება თუ არა სინტაქსის შესწავლის სფეროს რთული ქვეწყობილი წინადადება. წინადადება რომ სინტაქსის შესწავლის ობიექტია, ცნობილი ფაქტია, მაგრამ რა არის სინტაქსური ბუნებისა წინადადებაში — ეს საკითხი აზრთა სხვადასხვაობას იწვევს; ერთი ამტკიცებენ, რომ სინტაქსის საგანი მხოლოდ სიტყვათა შეკავშირების წესებია, მეორენი აღნიშნავენ, რომ ამასთან ერთად სინტაქსი წინადადებათა ურთიერთობასაც სწავლობს.

ამ საკითხს სპეციალურად შეეხო ფარნაოზ ერთელიშვილი და აღნიშნა: „წინადადებათა ქვეწყობის ფარგლებში სინტაქსური შეიძლება იყოს მხოლოდ სიტყვათა შეკავშირების წესები“ და არ შეიძლება „წინადადებად სიტყვათა შეკავშირების პრინციპი. წინადადებათა შეკავშირების პრინციპზე დავიყვანოთ“ (ფ. ერთელიშვილი 1962:216).

6. აბესაძემ თავისი დისერტაციის შესავალ ნაწილში დასვა აღნიშნული საკითხი (6. აბესაძე 1962:7-9). მისი აზრით, ფ. ერთელიშვილის შეხედულების გაზიარება რთულ თანწყობილ წინადადებას მთლიანად სინტაქსის ფარგლებს გარეთ დატოვებს, ვინაიდან იქ არ დასტურდება სინტაქსურად გამოხატული ურთიერთობა ორი წინადადების შემაკავშირებელ სიტყვათა შორის. გარდა ამისა, რთულ ქვეწყობილ წინადადებაშიც შეუძლებელი გაზდება დამოკიდებულ წინადადებათა კლასიფიკაცია. შესაძლოა, გრამატიკას არ აინტერესებდეს, კონკრეტულად რა შინაარსის მქონე მთავარ წინადადებას საზღვრავს კონკრეტულად რა შინაარსის მქონე დამოკიდებული წინადადება, მაგრამ დამოკიდებული წინადადების მთელი შინაარსი რომ საზღვრავს მთავარ წინადადებას ან მის რომე-

ლიმე წევრს, ეს ფაქტი არ შეიძლება გრამატიკას არ აინტერესებდეს.

ნ. აბესაძე არ უარყოფს, რომ სინტაქსის მნიშვნელოვანი პრობლემაა სიტყვათა შეკავშირების წესების შესწავლა, მაგრამ რთულ წინადადებაში სიტყვათა ურთიერთობის შესწავლასაც არ ექნება სრული სახე წინადადებათა ურთიერთობის შესწავლის გარეშე.

ამრიგად, სინტაქსმა უნდა შეისწავლოს მთავარი და დამოკიდებული წინადადებების ურთიერთობაც და არა მხოლოდ სიტყვათა შეკავშირების წესები. ასეთი თვალსაზრისი უფრო აღრე რუსული ენის გრამატიკის აკადემიურ გამოცემაშიც გამოითქვა (რუსული ენის გრამატიკა, II, 1954:6).

მეორე საკითხი, რომელიც ჰიპოტაქსის შესწავლასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული, დამოკიდებულ წინადადებათა ტიპების გამოყოფისა და საკავშირებელ საშუალებათა კლასიფიკაციის საკითხია.

დამოკიდებულ წინადადებათა ტიპების გამოყოფის ტრადიცია ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში XIX საუკუნის 80-იან წლებში დამკვიდრდა. დამოკიდებული წინადადების სახეები ჩამოთვლილია ჯერ კიდევ 1887 წელს ქუთაისში გამოცემულ „ქართული გრამატიკის ტერმინოლოგიაში“<sup>1</sup>. რაც შეეხება ქართული ენის გრამატიკის სახელმძღვანელოებს, დამოკიდებული წინადადებები ჩვენს სინამდვილეში ჰირველად არ. ქუთათელაძის გრამატიკაშია (1888 წ.) წარმოადგენილი (ლ. კვაჭაძე 1966:350), მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ დამოკიდებულ წინადადებათა კლასიფიკაციის პრინციპი ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში ერთნაირი არ იყო.

სხვადასხვა დროს ამ საკითხს შეეხნენ თ. უორდანია (თ. უორდანია 1889:35-39), ა. ბენაშვილი (ა. ბენაშვილი 1894:30-35), მ. ჯანაშვილი (მ. ჯანაშვილი 1906:143-150),

<sup>1</sup> ამ ცნობას ვიმოწმებთ ლ. აბზიანიძის მონოგრაფის მიზედვით (ლ. აპზიანიძე 1977:4).

ს. ხუნდაძე (ს. ხუნდაძე 1917:122-123), ი. ნიკოლაიშვილი (ი. ნიკოლაიშვილი 1929:125).

1939 წელს გამოქვეყნდა აკ. შანიძის „ქართული ენის გრამატიკა“, რომელშიც ერთმანეთისაგან გამიჯნული იყო რთული წინადაღების სახეები: თანწყობილი და ქვეწყობილი. ტერმინები – „თანწყობილი“ და „ქვეწყობილი“ აკ. შანიძის დამკვიდრებულია ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში. ავტორი მეცნიერულად აანალიზებს დამოკიდებულ წინადაღებათა სახეებს; ესენია: ქვემდებარული, დამატებითი, განსაზღვრებითი, გარემოებითი (ადგილის, დროის, ვითარების, მიზეზის, მიზნის), შედეგობითი, პირობითი და დათმობითი (აკ. შანიძე, 1939).

აკ. შანიძის სახელმძღვანელო IV გამოცემისას (1948 წ.) ორად გაიყო და დღემდე გამოყენებულია, როგორც საშუალო სკოლის ქართული ენის სახელმძღვანელო.

დამოკიდებულ წინადაღებათა სახეების ვრცელი მეცნიერული განხილვა მოცემულია აგრეთვე ლ. კვაჭაძის „თანამედროვე ქართული ენის სინტაქსში“ (ლ. კვაჭაძე, 1988). ეს საკითხები უფრო ადრე აქვს განხილული ლ. კვაჭაძეს „რთული წინადაღების სწავლების მეთოდიკაში“ (ლ. კვაჭაძე 1950:55-69) ავტორისთვის ამოსავალი აკ. შანიძის კლასიფიკაციაა, ოღონდ, მისგან განსხვავებით, დამატებით გამოყოფს შედეგობით და მთავრის მიმართ დამოკიდებულ წინადაღებებს (ლ. კვაჭაძე 1966:401-402).

შემასმენლური დამოკიდებული წინადაღება ბოლო დრომდე ყურადღების მიღმა რჩებოდა. პირველად გამოყო აკ. შანიძემ, შემდეგ – ლ. კვაჭაძემ, ხოლო ნ. ბასილაიამ სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა შემასმენლურ დამოკიდებულ წინადაღებას (ნ. ბასილაია, 1974).

ამრიგად, დამოკიდებული წინადაღების ტრადიციული კლასიფიკაცია ემყარება იმას, მთავარი წინადაღების რომელ

წევრს ან რა შინაარსის მთავარ წინადადებას ხსნის დამოკიდებული.

რთული წინადადების ისტორიის საკითხებს შეეხო ფ. ერთელიშვილიც, რომელმაც ერთ ჯგუფში გააერთიანა მიმართებითი ნაცვალსახელების, ხოლო მეორე ჯგუფში — მაქევმდებარებელი კავშირებისა და მიმართებითი ზმნიზედების შემცველი წინადადებები (ფ. ერთელიშვილი, 1962).

დამოკიდებულ წინადადებათა ტრადიციული ტიპების მიხედვით საკავშირებელი საშუალებების კლასიფიკაციის ცდაშ. ძიძიგურს ეკუთვნის (შ. ძიძიგური, 1969, 1973).

ნ. აბესაძის საღისერტაციო ნაშრომში (ნ. აბესაძე, 1962) დამოკიდებულ წინადადებათა კლასიფიკაცია მოცემულია მისამართი სიტყვის მიხედვით; კერძოდ, ანგარიში ეწევა იმას, დამოკიდებული წინადადება სახელით გამოხატული რომელიმე წევრის ამზსნელია თუ ზმნით გამოხატული შემასმენლისა. ეს ორი ჯგუფი ერთმანეთისაგან საკავშირებელი საშუალებებითაც განსხვავდება.

მეგრულში ჰიპოტაქსური კონსტრუქციის აგებაში მონაწილეობენ კორელატები, მიმართებითი ნაცვალსახელები, მიმართებითი ზმნიზედები და მაქევმდებარებელი კავშირები.

ჩვენს ხელთ არსებული მასალის კლასიფიკირების ვიყენებთ ნ. აბესაძის შემუშავებულ პრინციპს, რომელიც ვერ არის ნაკლისაგან თავისუფალი (იხ. ნ. აბესაძე 1962:25), მაგრამ, სხვა პრინციპებისაგან განსხვავდით, ჩვენთვის შეღარებით უკეთ გამოსადეგია. საკავშირებელ საშუალებათა სისტაქსური ფუნქციების დადგენისას მხედველობაში ვიღებთ დამოკიდებულ წინადადებათა ტრადიციულ კლასიფიკაციას; ხოლო ამის შემდეგ უფრო თვალსაჩინოა ის თავისებურებანი, რასაც თავისებურ ჰიპოტაქსურ კონსტრუქციათა განხილვისას ვჟღდებით.

მიმართებითი ნაცვალსახელი ხსნის მთავარში სახელით გამოხატულ რომელიმე წევრს. აღნიშნული წევრ-კავშირი

ფორმაცვალებადი სიტყვაა, ამიტომაც მისი მონაწილეობით  
აგებულ პიპოტაქესურ კონსტრუქციაში უამრავი საკითხი  
იყრის თავს: წევრ-კავშირის ბრუნება, მისამართი სიტყვისა  
და მიმართებითი ნაცვალსახელის რიცხვში შეთანხმება და  
სხვა. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ნაშრომს მიმართე-  
ბითნაცვალსახელიანი დამოკიდებული წინადაღების განხილ-  
ვით ვიწყებთ.

# თავი I

## მიმართებითნაცვალსახე ელიანი ქვეზყობილი წინადაღება

### გ 1. მიმართებითი ნაცვალსახელების ავებულება და გენუ ზისტ

მეგრულ ჰიპოტექსურ კონსტრუქციაში გამოყენებულია შემდეგი მიმართებითი ნაცვალსახელები: ნამუთ (=რომელიც), მით (=ვინც), მუთ (=რაც), მუზმო/მუს ხი(თ)/მუდა(თ) (=რამ-დენც), მუნერი(თ) (=რანაირი(ც)/როგორი(ც)), მუფერი(თ) (=რაუერი(ც)/რანაირი(ც)/როგორი(ც)), მუჭომი(თ) (=როგორი(ც)). სიხშირით ჰირველი სამი სჭარბობს დანარჩენს.

როგორც ჩანს, მიმართებითი ნაცვალსახელებისთვის საყ-რდენი ფუძეებია მი-ნ (=ვინ) და მუ (=რა) კითხვითი ნაც-ვალსახელები. უმთავრესია მუ, რომელსაც ერთ შემთხვევაში -თ(ი) ნაწილაკი ემატება მიმართებითობის საწარმოებლად, სხვა შემთხვევაში – დამოუკიდებელი მნიშვნელობის სიტყვა (ფერ, ნერ და ა. შ.) და -თი ნაწილაკი. „მუ“ ნამუს (=რომე-ლი) შემადგენლობაშიც შედის.

მუ (=რა) კითხვითი ნაცვალსახელის შედარება სხვა ქართველურ ენებთან იძლევა ასეთ სურათს:

\*გა-

მეგრ. მუ-„რა“, ნა-მუ „რომელი“

ლაზ. მუ- „რა“, ნა-მუ „რომელი“

<sup>1</sup> ამ პარაგრაფში მიმართებით ნაცვალსახელებთან ერთად ზოგიერთი რთული შედეგნილობის კორელატის მორულოვიური აგებულებაც არის განსილეული. კერძოდ, შევჩერდით იმ კორელატებზე, რომელთა შემადგენ-ლობაზე განსხვავებული თვალსაზრისის არსებობს სამეცნიერო ლიტერა-ტურაში. მიმართებითი ზმინზედების მორულოვიური ანალიზისასც განსახილველ კორელატებს ამ პრინციპით შევარჩევთ.

სვ. მა-მბ-ო// მა-ო „რა“, მბ-ო-ს „რას“

ქართულში შესატყვისი ძირი არ ჩანს (შედ. ლექსიკონი<sup>1</sup>, გვ. 226) (პ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე 1990:206).

მეგრულში მუ(=რა) კითხვით ნაცვალსახელს ახალი შინაარსის კითხვითი ნაცვალსახელების საწარმოებლად ემატება:

1. ოდენობის აღმნიშვნელი: ა) ზომ-/ზგ მ-/ზიმ;

ბ) სხეი>სხიი>სხი

2. მსგავსების აღმნიშვნელი: ა) ფერ, ბ) ნერ.

ზომ- ფუძე საერთოა ქართულთან:

\*ზომ

ქართ. ზომ-, ზომი, სა-ზომ-ელ-ი

მეგრ. ზომ//ზგ მ//ზიმ-ზომ-უ-ა//ზიმ-აფ-ა „ზომვა“; ო-ზგ-ჭალ-ი „ზომა“, ვ-ზიმ-უნ-ქ „ვზომავ“

ლაშ. ზუმ//ზიმ-<ზომ

სვ. ზუმ მეგრულიდან ჩანს ნასესხები – K. Schmidt, 1962, გვ. 11) (პ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე 1990:135).

ზომ-უ-ა გვაძლევს ზუმ-უ-ას (ო>უ მ-ს გავლენით) და „მუ“ ნაცვალსახელთან შერწყმით მიიღება მუზუმა ფორმა, რომელიც შეკუმშვის შედეგად იქცევა მუზმა-დ. ზომ- ფუძის ფონეტიკური ვარიანტებია: ზგ მ//ზიმ-: მუზგმა. ზიმ- ფუძის-გან ნაწარმოები მიმღება (ო-ზიმ-ალ-ი) „მუ“ ნაცვალსახელ-თან ქმნის საკავშირებელ სიტყვას მუ ო-ზიმ-ალ-ი-თ (=რა საზომითაც). ზიმ- ფუძიან მიმღებას შეიძლება ჩაენაცვლოს ზომ- ფუძის -ბ თანდებულდართული მიმართულებითი ბრუნვის ფორმაც: მუ ზომაშა(ხ)(=რა ზომამდის).

მეგრული მუზუმა ფორმის ფონეტიკურ-მორფოლოგიური შესატყვისია ქართულში რა-ზომ, სვანურში – მბ-ზუმ-ვაშ. რა+ზომ საშუალ ქართულში ზმნიზედაა. აქედან მიღებულია შეფარდებითი კავშირი რაზომ, რომელსაც დროთა ვითარება-

<sup>1</sup> იგულისხმება არნ. ჩიქობავას ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938.

ში -ცა ნაწილაკიც ემატება: რაზომცა (შ. ძიძიგური 1959:284).

ოდენობის გამომხატველი სხეო-ფუძე მეგრულში რეგრე-სული ასიმილაციით იძლევა სხის, ხოლო ბოლოკიდური ი-ს მოკვეცით ვღებულობთ სხის. საკავშირებელ საშუალებად გამოიყენება როგორც მუსხეი, ასევე მუსხი ფორმები. 6. აბე-საძის აზრით, მუსხი, შესაძლოა, „მუ“ ნაცვალსახელის მიცე-მითი ბრუნვის ფორმასა და -ხი სუფიქსს აერთიანებდეს. ეს უკანასკნელი კი, მისი აზრით, ქართული ხელ//ხელა ელემენ-ტის შესატყვისი უნდა იყოს (6. აბესაძე 1965:239). იგივე ავტორი სხვაგვარ ვარაუდსაც გამოთქვამს: მუ+სხიში -სხი ელემენტი ქართულ რი-ცხვ სიტყვაში შემავალი -ცხვ ელე-მენტის ფონეტიკურ-სემანტიკური შესატყვისი შეიძლება იყოს: მუსხი=რა რიცხვი<sup>1</sup> (resp. რამდენი) (იქვე:239). აღნიშ-ნული კაცშირის სემანტიკა ორივენაირ თვალსაზრისს გუობს.

მუ-ფერში შემავალი მსგავსების აღმნიშვნელი „ფერ“ ნა-სესხებია ქართულიდან, შდრ.: რა-ფერ, რომელიც დაირთავს -ც(ა) ნაწილაკს და რა-ფერ-ა-ც//რა-ფერ-ც ფორმები დასავ-ლურ დიალექტთა (გურული, იმერული) კუთვნილებაა (შ. ძი-ძიგური 1959:284; ბ. ჯორბენაძე 1989:489,537). აღნიშნული წევრ-კაცშირი დადასტურებულია „ქართული სამართლის ძეგ-ლების“ ენაშიც, როგორც ზეპირი მეტყველების ფორმათა გა-მოყენების ფაქტი (ლ. გეგუჩაძე, ელ. კოშორიძე 1996:66). „ფერ“ მეგრულში ზოგჯერ რთულდება ე-პრეფიქსით: ე-ფერ და კითხვით ნაცვალსახელთან ერთად ვღებულობთ: მუ ეფერ. ე-პრეფიქსი თე „ეს“ ჩვენებითი ნაცვალსახელის ნაშთია: მუ თეფერ>მუ ეფერ (შდრ.: ქართული რა იმფერი).

<sup>1</sup> შდრ.: მუსხეი რე (=რა ბევრია. ურიცხვია).

ასევე ქართულიდან ნასესხებია მეგრულში მსგავსების აღმნიშვნელი ნაირ: \*მუნაირი>მუნერი>მუნერი<sup>1</sup> (ი. ყიფშიძე 1914:08), შდრ.: ქართული რა-ნაირი. -ნაირ არა მარტო „მუ“ ნაცვალსახელთან, არამედ მუდა/სთანაც ქმნის საკავშირებელ საშუალებას: მუდა ნერი (=რამდენნაირი).

მუდა/ს მნიშვნელობით ქართულში გვაქვს „რამდენი“, ზოლო სვანურში – ვოშვად(=რამდენიც). ქართული რამდენი/სთვის ამოსავალია რა-ოდენ. ცალკე აღებული ოდენ ნაწილაკი შეზღუდვის მნიშვნელობის გამომხატველია (=მხოლოდ, მარტო) (ამ შეზღუდვაში რაოდენობის კლება ჩანს) და სრულ ფონეტიკურ და სემანტიკურ შესატყვისობას ავლენს სხვა ქართველური ენების მონაცემებთან (ქართ. ოდ-: მეგრ. ოდ- და სვანური უოდ. (პ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე 1990:244).

ქართული რა-ოდ-ენის მსგავსად, შესაძლოა, მუდა/სთვის ამოსავალი იყოს მუ-ოდ>მუდ>-მუდ-ა.

მუჭომი (=როგორი) ნაცვალსახელი ი. ყიფშიძეს მუ (=რა) ნაცვალსახელის მიმართულებითი ბრუნვის ფორმისაგან მიღებულად მიაჩნია, შ-ს ჭ-ში გადასვლის გზით: მუშო>მუჭო (ი. ყიფშიძე 1914:047). ვ. თოფურიას აზრით, ეს -ჭომი შეიძლება უკავშირდებოდეს ქართულ „წამს“; 6. აბესაძე არ ეთანხმება ამგვარ ახსნას, რადგან მუჭომი (=როგორი) დროის გაგებას არ შეიცავს, ხოლო მუჭოთ, რომელიც მუჭომი/სგან მომდინარეობს, თავდაპირველი მნიშვნელობით დროის აღმნიშვნელი არ იყო (ნ. აბესაძე 1965:245).

მი-თ (=ვინ-ც) ეყრდნობა მი- კითხვითი ნაცვალსახელის ფუძეს, რომელიც ქართული ვი-სა და ლაზური მი-ს ფონეტიკურ (ც-ს მ-ში გადასვლით – ფ. ბოპი, 1846, გვ. 286) –

<sup>1</sup> აი>ეე>ე პროცესი ჩვეულებრივია ქართულიდან მეგრულში შესული სიტყვებისათვის, მაგ., მაისი>\*მეესი>მესი (ი. ყიფშიძე 1914:08).

მორფოლოგიური შესატყვისია (პ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე 1990:125).

მეგრულში კითხვითი ნაცვალსახელები (მი(ნ)=ვინ, მუ=რა, ნამუ=რომელი) ხშირად გამოიყენება მიმართებით ნაცვალსახელთა ფუნქციით, მსგავსად ძველი ქართულისა (ძველი ქართულის ვითარების მიმოხილვა ამ მხრივ იხ. კ. დონდეული 1949:202; ს. ყაუხჩიშვილი 1947:426) და ლაზურისა, სადაც მუ=რაც (ლ. ფაჩულია 1997:74). მათგან განსხვავდება სვანური, რაღვან მიმართებითი ნაცვალსახელი ყოველთვის კითხვით ნაცვალსახელზე შესაბამისი ნაწილაკის დართვითაა წარმოდგენილი.

მეგრულში მიმართებითობას აწარმოებს -თ(ი) ნაწილაკი, რომელიც წარმოშობით ჩვენებითია<sup>1</sup> და ქართული -ც(ა) ნაწილაკის მორფოლოგიური შესატყვისია (ზ. სარჯველაძე 1970:252). ამრიგად, მეგრულში გავრცელებულია მიმართებითი ნაცვალსახელების როგორც უნაწილაკო, ისე ნაწილაკ-დართული ფორმები: ნამუ – ნამუ-თ(ი), მი(ნ) – მი-თ(ი), მუ – მუ-თ(ი) და ა. შ.

მეგრულში იშვიათად გამოყენებული მიმართებითი ნაცვალსახელები – მუჭომი „როგორი“, მუფერი „რაფერი“/„რანაირი“, მუნერი „რანაირი“, მუსხი/მუდა „რამდენი“ გამოცემულ ტექსტებში მხოლოდ -თი ნაწილაკის გარეშე გვხვდება. საფუიქრებელია, რომ აღნიშნულ მიმართებით ნაცვალსახელებთან იკარგება -თ(ი) ნაწილაკი, რაღვან ეს საკავშირებელი სიტყვები დამკიდებულ წინადადებაში ძირითადად არსებითი სახელის მსაზღვრელებად გვევლინებიან: მუჭომი კოჩი... „როგორი(ც) კაცი“ და ა. შ. ძირითადი მიმართებითი ნაცვალსახელებიც (ნამუ, მუ), მსაზღვრელად გამოყენებულნი, ასევე არ დაირთავენ -თ(ი) ნაწილაკს.

<sup>1</sup> „თი“ ნაწილაკის თი-ნა ჩვენებით ნაცვალსახელთან დაკავშირება შესაძლებლად მარჩიათ გ. როგავას (1948:377), ელ. ბაბუნაშვილს (1967:226), არ. მარტინოსოვს (1864:226), კ. ლომთათიძეს (1963:78).

უნდა აღინიშნოს, რომ კითხვით ნაცვალსახელს მხოლოდ ქართველურ ენებში არ ეკისრება მიმართებითი ნაცვალსახელის ფუნქცია. ამ მხრივ გასათვალისწინებელია ზოგიერთი ინდოევროპული ენის ისტორიული (იხ. დაწვრ. ან. მეევ 1914:335) და თანამედროვე (იხ. ვ. ნ. იარცევა, 1940) მონაცემები. ასევე, თანამედროვე რუსულიც იძლევა ტიპოლოგიური მსგავსების საშუალებას (იხ. ა. შახმატოვი 1941:498; ა. პეშკოვსკი 1938:165), რის საფუძველზეც გამოთქმულია მოსაზრება, რომ დამოკიდებული წინადადება მიღებულია კითხვითი წინადადებისაგან (დაწვრ. იხ. ვ. ნ. იარცევა 1961:270-276).

გ. როგოვას აზრით, ქართულშიც ყოველი სახის დამოკიდებული წინადადება წარმოაშობით წარმოადგენს კითხვითი წინადადებას და ამიტომ შემაერთებელ საშუალებად კითხვითი ნაცვალსახელები და კითხვითი ზმნისართებია გამოყენებული, რომელთაც შემდგომში დართვიათ სათანადო ნაწილაკები: - ესე, -ეგე, -იგი, -ცა (გ. როგოვა 1948:336). სხვა თვალსაზრისის თანახმად, ე. წ. კითხვით სიტყვებს, კითხვითობის პარალელურად, პოზიტიური გაებაც აქვთ – როგორც განუსაზღვრელობითი, ისე განსაზღვრებითი. განსაზღვრებითი შინაარსი კარგად ჩანს, როდესაც ისინი მიმართებითი ნაცვალსახელის ფუნქციას ასრულებენ (ფ. ერთეულიშვილი 1951:12).

კითხვით და მიმართებით ნაცვალსახელთა ფორმალური დამთხვევა, როგორც აღნიშნეთ, ქართულ სამწერლობო ენას განვითარების ადრეულ საფეხურზე ახასიათებდა, ხოლო შემდეგ „ქართული ჰიპოტაქსის კავშირთა თავისებურებაა მათი ნაწილაკდართული სახეობა – რომელი – იგი, რომელი-ცა და სხვა (გ. როგოვა 1948:378). ამათგან ჩვენებითი -ესე, -ეგე, -იგი ნაწილაკების დართვა უფრო ადრინდელია, ვიდრე -ცა ნაწილაკისა (მზ. შანიძე 1948:90). გარდამავალი პერიოდისათვის დამახასიათებელი იყო -ცა ნაწილაკიან სიტყვაზე -იგი ნაწილაკის დართვა (იქვე; 90), რომელიც, ქ. დონდუას

ტერმინით, კომპრომისულ ფორმებს წარმოშობდა: რომელმან-ცა-იგი, რომელშიც -იგი კონკრეტულობის გამოსახატავადა, უნდა ყოფილიყო შემორჩენილი, -ცა მხოლოდ მიმართ აღნიშნავდა (კ. დონდუა 1949:206). სვანურში სწორედ ამ-გვარი ფორმებია ყველაზე მეტად გავრცელებული: ცეს-ვა-მ (ნ. აბესაძე 1962:76).

მიმართებითი ნაცვალსახელის ფუნქციით მეგრულში არა მარტო კითხვითი, არამედ განუსაზღვრელობითი ნაცვალსახე-ლებიც გამოიყენება: მიგიდა (=ვიღაც), მუგიდა (=რაღაც), ნა-მუგიდა (=რომელიღაც); თითოეული მათგანი შეიცავს იმავე კითხვითი სიტყვის ფუძეს, რასაც მიმართებითი ნაცვალსახე-ლები (მი-ვი-და „ვი-ღა-ცა“/მი-ღე-გა/მიღგა „ვი-ცა-ღა“, მუ-გი-და „რა-ღა-ცა“/მუ-ღი-გა/მუ-ღე-გა/მუღგა „რა-ცა-ღა“<sup>1</sup>; ნა-მუ-გი-და „რომელი-ღა-ცა“/ნამუ-ღი-გა//ნამღგა „რომელი-ცა-ღა“) (ი. ყიფშიძე 1914:049).

განუსაზღვრელი ნაცვალსახელები მიმართებით ნაცვალსა-ხელთა ფუნქციით დადასტურებულია ლაზურშიც (მითხა-ნი=ვინც, მუთხანი=რაც, ნამუთხანი=რომელიც). ლაზურში გა-ნუსაზღვრელ ნაცვალსახელთა შედგენილობის შესახებ (იხ. გ. როგავა 1988:225), ხოლო დამოკიდებულ წინადაღებაში მათი ფუნქციის შესახებ (იხ. ან. კიზირია 1968:192, ლ. ფა-ჩულია 1997:74-76)<sup>2</sup>.

მეგრულ ჰიპოტექსურ კონსტრუქციაში კორელატად დას-ტურდება თეჯგურა/თიჯგურა (=ამგვარი/იმგვარი) ჩვენებითი ნაცვალსახელები.

ი. ყიფშიძე აღნიშნავს, რომ თე-ჯგურა ჩვენებით ნაცვალ-სახელში -ჯგურა თანდებული ერთვის თეს გაუფორმებელ ნათესაობითს (ი. ყიფშიძე 1914:0122). გასაზიარებელი ჩანს

<sup>1</sup> შდრ.: იმერული რაცხა (<რა-ცა-ღა>).

<sup>2</sup> ლაზურის მაგალითები იხ. ან. კიზირიასა და ლ. ფაჩულიას დასახე-ლებულ ნაშრომებში.

გ. კარტოზიას ახსნა, რომლის თანახმად, მეგრულის -ჯგურა შეიცავს გურ- ფუძეს, ხოლო თავკიდურა „ჯ“ სახეცვლილი -შ ნათესაობითი ბრუნვის ნიშანია: შგ კომპლექსს, რომელიც მეგრულისთვის უცხოა, უნდა მოეცა ბუნებრივი ჯგ კომპლექსი (გ. კარტოზია 1961:251). ამ მოსაზრების მიხედვით, თეჯ-გურას ამოსავალი ფორმა შემდეგ სახეს მიიღებს: თე-შ-გურა (=ამ-ის-გვარი) > თეჯგურა (=ამგვარი). თეჯგურა შეიძლება გამარტივდეს კიდეც, რომლის შედეგად მიიღება შემდეგი ფორმები: თეჯგუა//ეჯგურა//ეჯგუა (=ამგვარი).

თიჯგურასაც თეჯგურას გზა უნდა ჰქონდეს გავლილი. კერძოდ, თი-შ-გურა (-იმ-ის-გვარი) > თიჯგურა (=იმგვარი). ეს უკანასკნელიც შეიძლება გამარტივდეს: თიჯგურა > თიჯ-გუა//იჯგუა (=იმგვარი).

რაც შეეხება თეგვარი/თიგვარი ფორმებს, გ. კარტოზია აღნიშნავს: „მეგრულში გვხვდება -გვარ თანდებულიც: თე-გვარი (=ამ-გვარი), თი-გვარი (=იმ-გვარი). იგი, რასაკვირველია, ქართულია და, ალბათ, მას შემდეგ შევიდა მეგრულში, რაც გურას წინ „შ“ იქცა ჯ-დ, თანდებულად -ჯგურა იქნა გააზრებული და მისი კავშირი „გურ“ (ქართ. გვარ) ფუძეს-თან მიიჩქმალა (გ. კარტოზია 1961:251).

## გ 2. მიმართებითი ნაცვალსახელის ბრუნვები

ცნობილია, რომ პიპოტაქსურ კონსტრუქციაში საკავშირებელ საშუალებად გამოყენებული მიმართებითი ნაცვალსახელი ამავე დროს მთავარი წინადაღების ერთ-ერთი წევრის მაგივრობას ეწევა დამოკიდებულ წინადაღებაში და იგი და-მოკიდებული წინადაღების შემასმენლისგან არის მართული

ბრუნვაში, ხოლო მისამართი სიტყვის ბრუნვას განსაზღვრავს მთავარი წინადადების ზმნა-შემასმენელი.

სამეცნიერო ლიტერატურაში განხილულია ამ წესების დარღვევის შემთხვევაც (ე. წ. „სინტაქსური ასიმილაციის“ დროს), მაგრამ ამაზე ცოტა ქვემოთ გვექნება საუბარი; ამჯერად განვიხილავთ ისეთ შემთხვევებს, როცა წევრ-კავშირი დამოკიდებული წინადადების ზმნისგანაა მართული, მისამართი სიტყვა კი — მთავარი წინადადების შემასმენლისაგან.

მეგრულის პიპოტაქსურ კონსტრუქციაში მიმართებითი ნაცვალსახელები სხვადასხვა ბრუნვის ფორმით გვხვდება. ძირითადად დგას სახელობითში, მოთხრობითში, მიცემითსა და ნათესაობითში, იშვიათად — მოქმედებითში, მიმართულებითში, დაშორებითსა და დანიშნულებითში.

### სახელობითი ბრუნვა

მი გოჯინე გეჩას, ღორონთი თის მეჩანს (=ვინც დაჩე-დავს ვარცლს, ღმერთი იმას მისცემსო) (ტ. II, 435, №318).

მითი მეურცუნდ, ჯიმუშიერც უძახე ახალი დგნაბადი ჩქეჩქს (=ვინც მიდის, „ჯიმუშერს“ ეძახის ახალდაბადებულ ჩვილს) (ტ. II, 50, 5-6).

მოღვა ორჯგინანს, თინა იცი მართალი (ხ. 90,14) (=ვინც აჯობებს, ის იქნება მართალი);

სი, სქუა, მუ გოკონი, თინა ქიმინი... (=შენ, შვილო, რაც გინდა, ის ქენი) (ტ.II,38,26).

ვიშო მუთ ვემერცუნდუნ, აშონას არძ ნაშიბი ენია (ხ. 224, 10) (=იქით(ობისას) რაც არ მიგყვებოდა, აქეთობისას ყველა ნაპოვნიაო/,ნაშოვნიაო“);

წანამოწანას ძუღვა ოკონ, ირუელი უღუ თაქ (ხ., 105, 30-31) (=ერთი წლის განმავლობაში რაც სჭირდება, ყველა-ზერ აქვს აქ);

მექვათეს ათე თოკი, ნამუ გიძლუს მუსქუდუნ... (=მოაჭრეს ეს თოკი, რომელიც კალათს ება...) (ტ. II, 210, 18-19);

...ათე დო ათე ქიანას ორენია ართი მაბირე ჯა, ნამუთ  
ირნერ ნინაშა იბირსია (=ამა და ამ ქვეყანაში არისო ერთი  
ძომლერადი ზე, ოომელიც ყველანაირ ენაზე მღერისო)  
(ტ. II, 270, 28);

ნამუდიგა გისხუნუნ, თინა გადშეგორია (=რომელიც გირ-  
ჩევნია, ის ამოირჩიეო) (ტ. II, 186, 5).

მოთხრობითი ბრუნვა

მეგრულში მით „ვინც“ ნაცვალსახელს სახელობითი და  
მოთხრობითი ბრუნვის ფორმები განსხვავებული აქვს: მი-  
თ/მი-ქ-ი-თ. ასეა სვანურშიც: მერ-ვაშ (სახ. ბრ.) – ერ-ვაშ-დ  
(მოთხ. ბრ.). ხოლო ქართულში „ვინც“ ნაცვალსახელს სახე-  
ლობითსა და მოთხრობითში ერთი საზიარო ფორმა აქვს:  
ვინ-ც.

მეგრულში, ქართულისგან განსხვავებით, II სერიაში  
მდგარი ზმნა-შემასმენელი, მიუხედავად იმისა, გარდამავალია  
თუ გარდაუვალი, სუბიექტს მოთხრობით ბრუნვაში მოით-  
ხოვს.

მიქთო იხონუა, თიქ დიხორუა (=ვინც იმარხულაო, ის  
დასახლდაო) (ტ. II, 436, 10);

თინა ღორონთქე ღოჭყუას, მიღვაქ თენა მიძრახასეგ  
(ხ., 331, 6) (=ის ღმერთმა დასწყევლოს, ვინც ეს დამიძრა-  
ხოს!);

თასუას მუქუთ ირაგადუ, მოწიას თიქ იცუა (=რაც თეს-  
ვის დროს ითქვა, (ჭირნახულის) მოწევისას ის იქნაო) (ტ.  
II, 428, 1);

იღუუ დიარსქე, ნამუქე გეეთუუ ართი მარაში უკული  
(=შეიქნა ლხინი, რომელიც „რომელმაც“ გათავდა ერთი კვი-  
რის შემდეგ) (ტ. II, 30, 10);

ათაში აღოლე ეთი ბედიკირილი ბოშისე, ნამუქეთი ჭკუ-  
ერი კოჩიში ნაზოკულას გინაჩილითუუნი (=ასე დაემართა იმ

ბედკრულ ბიჭს, რომელმაც ჭკვიანი კაცის დარიგება დაივიწყა) (ტ. II, 228, 26);

ნამდგაյ მორთას, თინა გიმიცონიე (ხ., 121, 32) (=რომელიც „რომელმაც“ მოვიდეს, ის გამოიყვანეო).

მიცემითი ბრუნვა

მისით ნინა უღუნია, რინათ თის უღუნია (=ვისაც (გრძელი, ლაქალაქა) ენა აქვს, ყოფნაც (ცხოვრებაც) იმას აქვსო) (ტ. II, 435, №327);

...მისეთი ეიანწყენდ, თისგ მიღვაცუნუქუ ჩილოვა (=ვისაც შეეძლება ამოხსნა, იმას წავყვები ცოლადო) (ტ. II, 52, 27);

მა მუსი ქოვრაგადანქინი — | მე რასაც ვლაპარაკობ —  
არკან ვახოლუ მართალი. | ერთიც არ ურევია  
მართალი.

(ტ. I, 246,7).

მუსუთო ქაარწყექიე, ...არძო უქვი დღაში ნაკეთებუ რენია... (=რასაც ხედავო, ...ყველა უქმე დღეს არისო გაქეთებული) (ტ. II, 306, 4);

ათე ცირა მუდგას თქეანსენ, ირზელი იუი... (ხ. 105, 30) (=ეს გოგო რასაც იტყვის, ყველაფერი იქნება...);

ქოძირგ ართი ოსური, ნამუსუთი კოკა, წყარიშ ეფშა, ხუს ქელადგენი (=ნახა ერთი ქალი, რომელსაც კოკა, წყლით სავსე, მხარზე ედგა) (ტ. II, 162, 19);

რდგ ართი სამეფოს ძალიერი ნდიი, ნამუსუთი ჯოხოდუ ხეჩო (=იყო ერთ სამეფოში ძლიერი დევი, რომელმაც ერქვა „ხეჩო“) (ტ. II, 276, 23).

ნათესაობითი ბრუნვა

ნათესაობით ბრუნვაში მდგარი მიმართებითი ნაცვალსახელი დამოკიდებულ წინადაღებაში არსებითი სახელის მსაზღვრელია. ზოგჯერ მიმართებითი ნაცვალსახელი დაირთავს - თი (ი) ნაწილაკს, ზოგჯერ — საზღვრული წევრი, უმეტესად კი ორივე უნაწილაკოდ გვხვდება.

მიშით სქუა რენი, ...თის ჭმეჩანცია [ღვინს] (=გისიც  
შეიღო, ...იმას მისცემსი [ღვინოს]) (ტ. II, 310, 13);

...ექ უწუუ ბენწიფეში სახელი, ნამუ ბენწიფეში სქუათი  
რდგნი (=ამან უთხრა ხელმწიფის სახელი, რომელი ხელმწი-  
ფის შვილიც იყო) (ტ. II, 220, 7).

ჯოლორი მიში გვაძც მეჯანუნი, თიშო ლალუნცია  
(ტ.II,462,3) (=ძალი კის ნებვნ(აც) უწევს (გვერდით), მის-  
თვისვე ყეფსო).

ნამუშ ღრისი ვარექინი, ხეს ნუ უპოტინუა (ზ. 327,5)  
(=რომლის ღირსი არა ხარ, ხელს ნუ უპოტინებო);

ოჭუმარეს ძჯგაშ კამაქ წიკვილქ იცუასიე, ეთის მეპკვა-  
თათ დუდია (ზ. 266, 20) (=დილით ვისი კამ(ც) დასვრილი  
იქნება, იმას წავაცალოთ თავიო).

საშუალი ქართულის მონაცემებითაც ამგვარ კონსტრუქ-  
ციაში ნაწილაკი დაურთვის წევრ-კავშირს, თუმცა იმავე სა-  
შუალ ქართულში უნაწილაკო ფორმებიც გვხვდება. ხოლო  
თანამედროვე ქართული ენის ნორმების მიხედვით ნაწილაკ-  
დაურთველი ფორმებიც ისევე ჩვეულებრივია, როგორც ნაწი-  
ლაკიანი (შ. ძიძიგური 1973:215, 236).

სვანურში ოდენ კითხვითი ნაცვალსახელი მიმართებითის  
ფუნქციით არ გვხვდება და მსაზღვრელად გამოყენებულ მი-  
მართებით ნაცვასლახელს ყოველთვის ახლავს მიმართებითო-  
ბის გამომხატველი ნაწილაკი (ნ. აბესაძე 1962:54)<sup>1</sup>.

ქნარ მეშვემ ქორისვა არდას, ეჯა ლუმჩრ დინა მუ  
(ბ/ზ., ც. ჩართოლანი) (=გის სახლშიც „ვისიც სახლში“ იყ-  
ვნენ, ის ყოფილა გოგოს მამა თურმე).

ნათესაობით ბრუნვაში მდგარი მიმართებითი ნაცვალსახე-  
ლი ზოგჯერ მოცემულია თანდებულთან ერთად: ნამუწკმა  
(=რომელთან(აც)), რომელიც ამოსავალი ფორმის გათვალის-

<sup>1</sup> სვანურის მაგალითი დამოწმებულია ნ. აბესაძის ამავე შრომის მიხედვით.

წინებით შემდეგნარიად იშლება: ნამუ-შ-კუმა>ნამუწკუმა<sup>1</sup>. ნა-  
მუწკუმა მხოლოდ -თ(ი) ნაწილაკის გარეშე გვხვდება, გამო-  
ზატავს ლოკალობას. მაგ.,

ბოშიქ. ვაქიჩინუო ძღაბი, ნამუწკუმა სუმ დღა დო სუმ  
სერს ჯანუდუნ (ხ., 134, 24-25) (=ბიჭმა... „ქე“ არ იცნო  
გოგო, რომელთან(აც) სამ დღე-ღამეს იწვა).

მიმართებითი ნაცვალსახელის ნათესაობითი ბრუნვის  
ფორმაზე თანდებულის დართვა სვანურსაც ახასიათებს:  
მეშვამცაბან (=ვისთანაც) (ნ. აბესაძე 1962:54). ქართულში  
-თანა „რომელ“ ნაცვალსახელს ნათ. ბრ.-ში მართავს და და-  
ირთავს -ც ნაწილაკსაც. გამოზატავს ლოკალობას (შ. ძიძი-  
გური 1973:252).

მეგრულში ნათესაობითი ბრუნვის ფორმას შეიძლება და-  
ერთოს თანდებულად გამოყენებული ადგილის ზმნიზელა  
წოხოლე „წინ“.

[ჯიმაქ] ქოძირუ ართი კარი, ნამუში წოხოლე ართი დი-  
დი გირა ოში ფუთიანი ქიგებუ (ხ., 9, 10) (=ძმამ] დაინახა  
ერთი კარი, რომლის წინ ერთი დიდი გირა, ასფუთიანი,  
დევს).

### მოქმედებითი ბრუნვა

მეგრულში კითხვითი ნაცვალსახელების მოქმედებითი  
ბრუნვის ფორმა და -თ(ი) ნაწილაკდართული მიმართებითი  
ნაცვალსახელის სახელობითი ფორმობრივად ერთმანეთს ემ-  
თხვევა. შდრ:

მუ-თი/მუ-თ „რაც“ – მუ-თი/მუთ „რით(ი)/რით“; ნამუ-  
თი/ნამუ-თ „რომელიც“ – ნამუ-თი/ნამუ-თ „რომლ-ით-  
ა/რომლ-ით“.

წინადადებაში მათი გარჩევა ზღება კონტექსტის საშუა-  
ლებით.

<sup>1</sup> „კუმა“ თანდებულზე მსჯელობა იხ. ნაშრომის II ო.-ში, §1.

რაც შეეხება „ვინ“ ნაცვალსახელის მოქმედებითი ბრუნვის ფორმას მეგრულში, მოცემულია ორმაგი ბრუნვის ფორმით, ისევე, როგორც ქართულში;

შდრ.: მი-შ-ით = ვი-ს-ით.

ჩვენ მიერ გაანალიზებულ მასალაში „ვინ“ ნაცვალსახელი მოქმედებითი ბრუნვის ფორმით პიპოტაქსურ კონსტრუქციაში არ გვხვდება, ხოლო სხვა მიმართებითი ნაცვალსახელები (მუთ „რაც“, ნამუთ „რომელიც“ და ა. შ.) საჭიროლის<sup>1</sup> უბრალო დამატებას გამოხატავენ დამოკიდებულ წინადაღებაში. მოქმედების იარაღის ან საშუალების გამომხატველი პირმიუმართავი დამატება ინსტრუმენტალისის სახელითაცაა ცნობილი. ასეთი დამატება უთანდებულო მოქმედებითით გადმოიცემა ქართველურ ქნებში (ან. კიზირია 1982:176).

ბოშიქ ქოძირგ გვძლებია, ნამუთგ აშო გიმართუნი (=ბიჭმა ნახა კალათი, რომლით(აც) აქეთ ჩამოვიდა) (ტ.II, 34, 10).

მავა მუთ გეხით სია, თინა სტოლს გილაძუნია (ხ., 273, 31) (=მე რით(აც) შეგეხეთ თქეენ//შენ“, ის მაგიდაზე დევსო).

მუ ოზიძალით ზიმუნქინ, თთ მეგიზიმანა (=რა საზომით(აც) არწყავ, იმით(ვე) მოგიზომავენ (აგირწყავენ) (ტ.II, 438, 1).

ფორმათა ზემოხსენებული დამთხვევის გამო ზოგჯერ ორაზროვნება იქმნება.

სქანი პატიმიცემა, სქანი შრომა, მუთ<sup>2</sup> მა მასახელი ქიანასინ დო თან სიმდიდრეთ მუმანიჭინდ, ენა ართი საქმე რდე

<sup>1</sup> ტერმინის სახელდება ეკუთვნის ა. შანიძეს (იხ. ა. ა. შანიძე 1948:41).

<sup>2</sup> ჩვენი ვარაუდით, მოცემულ მაგალითში მუთ შეესაბამება ქართულ „რით“ ფორმას. ამის მიხედვით, აღნიშნულ წინადაღებაში ჩვენთვის საინტერესო წევრ-კავშირი შემდეგი სახით იქნება წარმოდგენილი: შენი პატივისცემა, შენი შრომა, რით(აც) მე მასახელე ქვეყანაზე და თან სიმდიდრე რომ მარგუნე, ეს ერთი [დიდი] საქმე იყო.

(=შენი პატივისცემა, შენი შრომა, რაც მე მასაზელე ქვეყანაზე და თან სიმღიღრე რომ მარგუნე, ეს ერთი [დიდი] საქმე იყო) (ტ. II, 120, 5-6).

მიმართულებითი, დაშორებითი და დანიშნულებითი სპეციულიკური მეორეული ბრუნვებია მეგრულში. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ისინი რთული შედგენილობისაა და მომდინარეობენ ნათესაობითისაგან (არნ. ჩიქობავა 1936:51-54, კ. თოფურია 1937:180). ამათგან მიმართულებითი და დანიშნულებითი ძველი ქართულის ნანათესაობითარი ვითარებითის ფარდია შედგენილობისა და ფუნქციის მიხედვით:

კოჩ-იშ-ა-ქოჩ-იშ-და (მიმართ. ბრ.), შდრ.: კაც-ის-ა (<კაც-ის-და), კოჩ-იშ-ო-ქოჩ-იშ-ოთ (დანიშნ. ბრ.), შდრ.: კაც-ის-ად (კ. ლონდუა 1967:51); ბ. გიგინეიშვილი, ზ. სარჯველაძე 1978:128-131), დაშორებითი ბრუნვა: კოჩ-იშ-ე/დი-და-შ-ე. თანამედროვე ქართული მათ ნაცელად თანდებულიან ბრუნვას იყენებს (არნ. ჩიქობავა 1936:51).

ანალოგიური წარმოება დასტურდება ზოგიერთ ქართულ დიალექტსა (ფშაური, ხევსურული, გურული) (შ. ძიძიგური 1954:149, 192) და სვანურში. ძველ ქართულში პირმიუმართავი დამატების ამგვარი ფორმა ჩვეულებრივი იყო, ახალ ქართულში „ასეთი ფორმები გვხვდება ვაჟა-ფშაველასა და ზოგიერთი სხვა მწერლის ნაწერებში, რაც, აღბათ, მათი შემოქმედების ცოცხალ მეტყველებასთან სიახლოვის შედეგი“ (ლ. კვაჭაძე 1966:121).

მეგრულ-ჭანური მიმართულებითი ბრუნვით ჩვეულებრივია ახალი ქართულის -თან, -ზე, -ში, -თვის თანდებულიანი პირმიუმართავი დამატების გაღმოცემა (ან. კიზირია 1982:154, 158).

ცირასე ცუნცია დიდა, ნამუშა ვითოჟირი ვერსიში უხოლაშისე მითინი ვემიოთინანცია (კ., 63, 31) (=იმ გოგოს პყავსო დედა, რომელთან(აც) თორმეტ კილომეტრზე უფრო ახლოს ვერავინ მივალ).

მიშათ პატი გეგიმუნა, ვისჩე(და)ც პატივი გაქვთ  
დაღებული,

ინეფ ტყასი იტყობუნა. ისინი ტყეში იმალებიან.  
(ჭ. I, 116,30).

წიწილას მუთუნ ვემიარკათ, მუშათ გურქი აცუას (=წი-  
წილას არაფერი (ისეთი) არ მიაკლოთ, რაზეც გული მიუვა)  
(ჭ. I, 224, 29);

მუშათ შხვაქე მორთუნი, მათი თიშა მობრთია (=რისთვი-  
საც სხვა მოვიდა, მეც მისთვის მოვედილ) (ჭ. II, 232, 34).

-ხ თანდებულიანი მიმართულებითით გადმოიცემა ზომა-  
ოდენბის გარემოება და ქართულ -ძე თანდებულიან სა-  
ხელს შეეფარდება. -ხ თანდებული ქართული -ძეეს მორფო-  
ლოგიური ფარდია (ჭ. გუდავა 1947:188-189), იგი ზშირად  
იკარგება სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში (ან. კიზირია  
1982:290).

მუდაშა თქუანქ სი, თის იჭარუნან დო თისწი ოდიარეს  
მომიღანა მავა... (ხ. 123, 19-20) (=რამდენჯერ იტყვი შენ,  
იმას იწერენ და იძღვნ ბალახს მომიტანენ მეო).

მუ ზომაშა(ხ) მიცორქნი, რა ზომამდე მიყვარხარ.

სი ქოგიჩქ, მა მუ ფოქუა? შენ იცი, მე რა ვთქვა?

(კ. ს., 28,2)

დაშორებითი ბრუნვის ერთ-ერთი ფუნქციაა პირმიუმართა-  
ვი დამატების გამოხატვა (ა. ლომთაძე 1973:120). ამ ბრუნ-  
ვის ფორმით გადმოცემული პირმიუმართავი დამატება ეფარ-  
დება ქართულის -გან თანდებულიან პირმიუმართავ დამატებას  
(ან. კიზირია 1982:165).

მორჩილება უჯგუნია

მორჩილება სჯობიაო,

მიშეთ გამიგონებუნი,

ვისგანაც გამიგია,

შხვასე მუსუ ვონდურუქე,

სხვას რას ვემდური,

დუდი დამიღორებუნი.

თავი მომიტყუებია.

(ყ., 153, 20)

დაშორებითი ბრუნვით გადმოიცემა აგრეთვე ისეთი პირ-მიუმართავი დამატება, რომელიც დანიშნულებით აღილის გარემოებას უახლოვდება (ა. ლომთაძე 1973:122, ან. კიზირია 1982:180). იგი ქართულში -გან თანდებულიანი მოქმედები-თით გადმოდის;

ქიმიოდირთეს ართი დიდი თის, ნამუშეთი სინათლე იძი-რედუნი (ჩ., 17,20) (=მიაღვნენ ერთ დიდ სახლს, რომლიდა-ნაც//საიდანც სინათლე გამოდიოდა);

მაფა მუზარბიის გინოდგე დიდი ცორში, ნამუშე ირი ონ-ჯუს ოკო გინაკიუინგკო (ყ., 55, 10) (=მეფე მუზარბიის ჰქონია დიდი კოშკი, რომლიდან(აც)//საიდან(აც) ყოველ სა-დამოს უნდა ეყვირა).

დანიშნულებითი ბრუნვით გადმოიცემა ისეთი -თვის თან-დებულიანი დამატება, რომელიც ფუნქციით დანიშნულებას გამოხატავს (ან. კიზირია 1982:168).

ბოლოს მიშოთ შირცხვინინდ, ბოლოს ვისთვისაც

შეირცხვინე [თავი],

თით სქანი ძვირსუ ქოთქუანს! ისიც შენს საყვედურს

იტყვის.

(ჩ. 322,33)..

პიპოტაქსურ კონსტრუქციაში მიმართებით ნაცვალსახელ-თა ბრუნებაზე მსჯელობისას გვერდს ვერ ავუვლით ე. წ. „სინტაქსური ასიმილაციის“, ანუ ატრაქციის სახელით ცნო-ბილ მოვლენას, რაც მისამართი სიტყვისა და მიმართებითი ნაცვალსახელის ერთსა და იმავე ბრუნვაში დასმას ვარაუ-დობს (კ. დონდუა 1940:331-333). ამგვარ დამსგავსებას უპი-რატესად მაშინ ვხვდებით, როცა დამოკიდებული წინადადება მთავარშია მოთავსებული, თუმცა არ არის გამორიცხული მა-შინაც, როცა დამოკიდებული მოსდევს მთავარს.

მისამართი სიტყვისა და მიმართებითი ნაცვალსახელის ფორმობრივი დამსგავსება დადასტურებულია როგორც ძველ (აკ. შანიძე 1950:315-316), ფ. ერთეულიშვილი 1963:17-19, ან.

კიზირია 1969:70-75. ეს მოვლენა ძველ ქართულში შეუნიშნავს პ. შუხარდტსაც – პ. შუხარდტი 1950:62), ასევე საშუალსა (ან. კიზირია 1969:77) და ახალ ქართულში, განსაკუთრებით, ზეპირ მეტყველებაში (ვ. თოვეურია 1988:97-98).

ტერმინი „სინტაქსური ასიმილაცია“ ბრუგმანს ეკუთვნის და ფონეტიკური ასიმილაციის ანალოგითაა შექმნილი. ფსიქოლოგისტების აზრით, მისამართი სიტყვისა და მიმართებითი ნაცვალსახელის ბრუნვაში დამსგავსებას ფსიქოლოგიური საფუძველი აქვს, რის შედეგადაც გვაქვს პროგრესული და რეგრესული ასიმილაცია<sup>1</sup>. ამ მოვლენის კ. დონდუასეული შეფასება ასეთია: „ჩვენ წინაშე არის ერთგვარი გარდამავალი საფეხური რთულ შეკავშირებულსა და რთულ დამოკიდებულ წინადაღებას შორის“ (კ. დონდუა 1940:335-336, 1949:198-199). კ. დონდუა იზიარებდა რა პოტებნიას აზრს ამ საკითხზე, აღნიშნავდა, რომ რთული ქვეწყვბილი წინადაღების საბოლოოდ ჩამოყალიბებას წინ უსწრებდა ის პერიოდი, როცა „მიმართებითი ნაცვალსახელი წარმოადგენდა მისამართი სიტყვის ატრიბუტს (კ. დონდუა 1940:335). ან. კიზირიას აზრით, მიმართებითი ნაცვალსახელისა და მისამართი სიტყვის დასმა ერთსა და იმავე ბრუნვაში შეთანხმებით კი არ არის გამოწვეული, არამედ მომდევნო შემასმენელთან საურთიერთოდ იმავე წესის გამოყენებით, როგორიც არსებობს ერთგვარშემასმენლებიან შერწყმულ წინადაღებაში (ან. კიზირია 1969:74).

„სინტაქსური ასიმილაციის“ დროს, როცა მისამართი სიტყვა კავშირს წყვეტს თავის შემასმენელთან და დამოკიდებული წინადაღების შემასმენელს უწევს ანგარიშს, მთავარ წინადაღებაში მისამართი სიტყვის მონაცემები ჩნდება ნაცვალსახელი, რომელიც ბრუნვაში მთავარი წინადაღების შემასმენლის მიერ არის მართული. ჰიპოტაქსურ კონსტრუქცია-

<sup>1</sup> „სინტაქსური ასიმილაციის“ ეს სახები ძველი ბერძნულის მაგალითზე მიმოხილული აქვს კ. დონდუას (იხ. კ. დონდუა 1940:330-333)

ში ჩევნებითი ნაცვალსახელის პლეონასტური გავრცობა, კ. დონდუას ტერმინით, არის „კომპრომისული ფორმების“ გაჩენა (კ. დონდუა 1940:12). უნდა აღინიშნოს, რომ მეგრულში „სინტაქსური ასიმილაციის“ დროს ყოველთვის ხდება ე.წ. „კომპრომისული ფორმების გაჩენა; ასევე სვანურშიც (ნ. აბე-საძე 1962:59-60). ასეთი კონსტრუქციები დადასტურებულია ევროპულ ენებშიც (ვ. ნ. იარცევა 1961:246).

### მეგრულის ნიმუშები:

დათაში მოცვენჯი, ნამუთი დიხასე ხონგნდგ ვითოჟირი უღუ კამეჩეფითგ დო ნახონა დიხასე ყინტგნდგნი, თიქე არ-წორო ხორცი გეცინტგ (ყ., 17,13) (=დათას მოძყოლი, რომელიც მიწას ხნავდა თორმეტი უღელი კამეჩით და მონახნავ მიწას ყლაპავდა, იმან ერთიანად გადაყლაპა ხორცი).

ოსური, ნამუთი მითინს ვემეჩანდუ ართი კაპეიკისი, თიქ დაჩხირი ქათუურზუ ქომონს ფარაშ გასხისხებაშენი (გრ. სხულუხია) (=ქალი, რომელიც არავის მისცემდა ერთ კაპიკს, იმან ცეცხლი შეუნთო (=შავი დღე აყარა) ქმარს ფულის გასესხების გამო).

### სვანურის მაგალითი:<sup>1</sup>

ეჯ მარე, მერვამ ცხეკუთ'ჩჩბდ, ეჯას ქაჯ სგა ლახხვიდა (ბზ., ნ. ჩართოლანი) (=ის კაცი, რომელიც ტყეში წავიდა, იმას ქაჯი შეხვდა).

ნაცვალსახელის პლეონასტური გავრცობა მაშინაც ხდება, როცა მისამართი სიტყვა მთავარი წინადადების შემასმენლის მიერ არის ბრუნვაში მართული:

ხვილირ კოჩიქ დინახალენქ, ნამუთ დიხას ჭკუმუდგნ, ათექ ნაჭკუმა დიხა დაარღუ (ხ. 271,18) (=შიგნით გამომწყვდეულმა კაცმა, რომელიც მიწას ჭამდა, ამან ნაჭამი მიწა დაყარა).

<sup>1</sup> სვანური მაგალითი დამოწმებულია ნ. აბესაძის ნაშრომის მიხედვით (ნ. აბე-საძე 1962:60).

თე დროს თი მაცალუქ, ნამუთ ქაშქილც ოცოთანდგნ, ეთიქ ქაცოთგ ქაშქილი დო მახვამილუუ წყარშა გოტებულს... (ჩ.272,17-18)(=ამ დროს იმ (ახალ)მოსულმა, რომელიც მშვილდს ისროდა, იმან ესროდა მშვილდი და მოახველრა წყალზე გაშვებულს).

კოჩქ, ნამუთი წყარცე ოსქრუანდგ, თიქ უწუუ (ყ.,15,14)(=კაცმა, რომელიც წყალს აშრობდა, იმან უთხრა).

ოსურქ, ნამუთი ღვარანდუ, თიქ ხოლო ძიცა ქიდიჭყუ (=ქალმა, რომელიც ყვიროდა, იმანაც სიცილი დაიწყო).

ზედმეტად გაჩენილი კორელატი შეიძლება მოცემული იყოს დამოკიდებული წინადაღების ბოლოში ან ჩაერთოს და-მოკიდებულ წინადაღებაში, როცა ეს უკანასკნელი მოსდევს მთავარს;

დათაში განიშე გვშელგ თი კოჩქ, ნამუსუთი ცა, დიხა, ქუა დო ჯა მეუღუდუნი, თიქ (=დათას მხრიდან გამოვიდა ის კაცი/„იმ კაცმა“, რომელსაც ცა, დედამიწა, ქვა და ხე რომ მიჰკონდა, იმან) (ტ. II,270.18-19).

რაგადუუ მაჟირა მულირი კოჩქ, ნამუთი დუდენდუნი, თექ (ჩ. 16,2-3) (=თქვა მეორედ მოსულმა კაცმა, რომელიც მეთაურობდა, ამან).

რდუ ჯვეში დროს ართი კოჩი, დიდი სახელუანი კოჩანა-შე, სახელი ჯოხოდგ მუჭმბრი, ნამუთ ათენა რდუ დიდი ცქვაფილი, დიდი ომიში გამოსადექი (=იყო მველ დროს ერთი კაცი, დიდი სახელოვანი კაცობით, სახელი ერქვა მუხამ-ბარი, რომელიც (+ეს) იყო დიდად ქებული, ომში დიდად გა-მოსადეგი) (ტ. II, 106, 5).

მეგრულისთვის უცხო არ არის ზმნი ზედური კო-რელატი ს პლეონაზმიც:

ქედაასხაპუ თი გვალასე, სოდე ირემი ხედგნი, თექ (=დახტა იმ მთაზე, სადაც ირემი ცხოვრობდა, (+იქ) (ტ. II, 80,5-6)).

ქიმერთეს, სუმ შარა იკართუნ ფერ დიხაშა, სოდეთ თაქ ხოლოს კოჩი ვაწორანს ცნი (მივიღენ, სამი გზა რომ თავს იყრის ისეთ ადგილას, სადაც (+აქ) ახლოს კაცი არ სახლობს) (ტ. II, 202,21-22).

მეგრულში „კომპრომისული ფორმების“ გვერდით ისეთი ჰიპტაქტური კონსტრუქციაც დასტურდება, სადაც უცვლელად ხდება თვით მისამართი სიტყვის გამეორება დამოკიდებულ წინადაღებაში. ამგვარი მოვლენა ჩვეულებრივია სვანურში და ქართული ენის დიალექტებშიც.

მეგრულის ნიმუშები:

ექ უწუუ ხენწიუეში სახელი, ნამუ ხენწიუეში სქუათი რდენი (=ამან უთხრა ხელმწიფის სახელი, რომელი ხელმწიფის შეილიც იყო) (ტ.II, 220,7).

შქასერი ბორჯის ქიმუჯღონგ აჯიაქ თი ახალგაზრდას, ნამუ ახალგაზრდას იჩინენდგ წოხოლენდ დო ორდგ მუში ქომონჯინ (ხ. 220, 3-4) (=შუალაშეს მიუგზავნა აჯიამ იმ ახალგაზრდას, რომელ ახალგაზრდას(აც) იცნობდა ადრე და იყო მისი ქმარი).

მიდართე მინისტერქ თი ქალაქიშა, ნამ ქალაქის ეკატერინე ცხოვრენდგნდ (ხ. 291, 37-38) (=წავიდა მინისტრი იმ ქალაქში, რომელ ქალაქში(ც) ეკატერინე ცხოვრობდა).

ამგვარ კონსტრუქციებში პლეონასტურად გავრცობილი კორელატიც გვხვდება:

ათე შარა, ნამ შარას გიორგი გეჭუნდუნი, ათენა ხოლო მეურს ვიშო... (=ეს ვზა, რომელ ვზას(აც) გიორგი ადგა, (+ეს კიდევ) მიდის იქით) (ტ.II, 204,20-21).

მისამართი წევრის გამეორება ნათელს ხდის და მეტ ემოციურ დატვირთვას ანიჭებს წინადაღებით გადმოცემულ აზრს (ივ. ქავთარაძე 1954:19), მაგრამ, ამასთან ერთად, სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ჰიპოტაქტური სტრუქტურის განვითარებამ ქართულში სამი საფეხური გაია-

რა. აქედან, გარდამავალ საფეხურზე მიმართებით ნაცვალსახელთან მოცემული ნომინალური ელემენტი შეიძლება გაუჩინარდეს, ენკლიტიკური ნაწილაკი გადაინაცვლებს კითხვით ნაცვალსახელთან. ამ ეტაპზე კორელატი კრავს წინადაღებას, ხელს უწყობს ქვეწყობის კონსტრუქციის გაფორმებას (შ. ძიგური 1959:365,369,373). ამ დროსაა მოსალოდნელი სწორედ კომპრომისული ფორმები (ნ. აბესაძე 1962:59).

„უდავოა, თანწყობიდან ქვეწყობაზე გადასცლისას გარდამავალი საფეხური არსებობდა“, მაგრამ „ძველ ქართულშიც კი „უასიმილაციო“ კონსტრუქციები ბევრად სჭარბობს „ასიმილირებულთ“. ასე რომ, მისამართი სიტყვისა და მიმართებითი ნაცვალსახელის ფორმობრივი დამსგავსება ძველი ქართულისთვისაც კი არ არის ნიშანდობლივი (ფ. ერთეულიშვილი 1957:233-234, 1962:22; ან. კიზირია 1969:77).

„სინტაქსური ასიმილაცია“ და ნაცვალსახელის პლეონასტური გავრცობა ქვეწყობილ წინადაღებაში ძირითადად პოზიციით, კერძოდ, ინტერპოზიციით არის განპირობებული (ლ. კვანტალიანი 1983:13). „ასეთ შემთხვევაში მთავარი წინადაღების მისათითებელი სიტყვა ძალიან შორდება შემასმენელს და ეს უკანასკნელი კვლავ იჩენს ახლოს ნაცვალსახელურ ან ზმინზედურ კორელატს“ (ქართული ხალხური სიტყვიერება 1991:9). ამავე დროს, ზეპირი მეტყველებისთვის ნიშანდობლივია წინადაღებისეული აზრის კონკრეტიზაცია-დეტალიზაცია. ამ მიზნით კი ნებისმიერი წევრი შეიძლება განმეორდეს და არა მხოლოდ ინტერპოზიციის დროს! ამიტომაც საბას ენაში დაღასტურებული ამგვარი კონსტრუქციების წარმოქმნის ერთ-ერთ გზად ზეპირმეტყველება არის მიჩნეული (შ. კობალაძე 1971:239).

<sup>1</sup> ზეპირი მეტყველების დროს „გაბმულ ტექსტში გარკვეული დროის შემდეგ ხდება მოცემულის გამორჩება, რადგან მეტყველი უიქრობს, რომ მსმენელმა უკვე დაივიწყა ადრე ნათქვამი და ცდილობს აღადგინოს იგი მსმენელის მესამერებაში“ (ლ. ენუქიძე 1987:121).

### გ 3. მიმართებითი ნაცვალსახელის რიცხვი<sup>1</sup>

ჰიპოტექსური კონსტრუქციის საკავშირებელ საშუალება-თავან (მიმართებითი ნაცვალსახელები, მიმართებითი ზმნიზე-დები, მაქევემდებარებელი კავშირები) ფორმაცვალებადი მიმარ-თებითი ნაცვალსახელებია. მიმართებითნაცვალსახელიანი და-მოკიდებული წინადაღება მთავარ წინადაღებაში სახელით გა-მოხატულ წევრს მიემართება და ხსნის მას. მთავარ წინადა-ღებაში მოცემულ ამგვარ სახელს, ვარლამ თოფურიას ტერ-მინით, ასახსნელი წევრი ჰქვია (ვ. თოფურია 1988:9.5-9.8), ხოლო კ. დონდუა მისამართ სიტყვას უწოდებს (კ. დონდუა 1940:329-336).

ცნობილია, რომ მიმართებით ნაცვალსახელსა და მისა-მართ სიტყვას შორის სინტაქსური კავშირი მხოლოდ რიც-ხვის მიხედვით მყარდება: მათანხმებელი მისამართი სიტყვაა, ხოლო შეთანხმებული – მიმართებითი ნაცვალსახელი. მათ შორის შეთანხმება შეიძლება მოხდეს როგორც მხოლობით, ასევე მრავლობით რიცხვში (ფ. ერთელიშვილი 1957:238). ჩვენ გვაინტერესებს მეგრულში ამ ორი წევრის მრავლობით რიცხვში შეთანხმების საკითხი, რადგან თავისებურებები აქ იყრის თავს.

მისამართ სიტყვასა და მიმართებით ნაცვალსახელს შო-რის შეთანხმება შეიძლება მოხდეს ფორმის მიხედვით (გრა-მატიკულად), ან აზრობრივად. ფორმის მიხედვით შეთანხმე-ბის დროს მიმართებითი ნაცვალსახელი იღებს იმ რიცხვის ფორმას, რაც მისამართ სიტყვას აქვს (არნ. ჩიქობავა 1952:283, 1968:115). აზრობრივი შეთანხმებისას გადამწყვე-ტია მისამართი სიტყვის სემანტიკური მხარე, რადგან ამ შემ-თხვევაში მიმართებითი ნაცვალსახელი მისამართი სიტყვის

<sup>1</sup> წაკითხულია მოხსენებად ბ. ჯორბენაძის „საზოგადოების „საენათმეცნიე-რო საუბრების“ სხდომაზე. დაბჭედილია კრებულში „საენათმეცნიერო ძეგლანი“, IV, თბ., 1995, გვ. 87-96).

შინაარსს უწევს ანგარიშს. ასეთ დროს მისამართ სიტყვალჩვეულებრივ კრებითი სახელია გამოყენებული.

მეგრულში სახელთა მრავალობითს აწარმოებს -ეფ სუფიქსი, რომელიც ქართული -ებ-ის შესატყვევისია და მომდინარეობს -ა\*ბ-ისაგან უმღლაუტისა და ბ-ს დაყრუების გზით (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი 1965:161; პ. ფერიშვილი, ზ. სარჯველაძე 1990:112) -ეფ სუფიქსს აქვს პარალელური ფორმები -ენ, -ემ სუფიქსების სახით მოთხრობითსა და მიცემითში. -ეფ-ის პოზიციური ცვლა ენ/ემ-ად -ე და -ს ბრუნვის ნიშნების წინ ხდება: ფქ, ფს არაკანონიკური მიმდევრობა ოცვლება კანონიკურით. მიუხედავად იმისა, რომ -ენ ფორმანტის უპირატესობა თვალსაჩინოა (-ემ იშვიათად ენაცვლება), -ეფ მორფება ზოგჯერ მაინც იჩენს თავს მოთხრობითსა და მიცემითში.

მისამართ სიტყვასა და მიმართებით ნაცვალსახელს შორის რიცხვში შეთანხმება ფორმის მიხედვით რომ მოხდეს, ორივე სახელს უნდა შეეძლოს მრავლობითის მორფოლოგიურად გამოხატვა. მეგრულში მისამართი სიტყვის ფუნქციით გვხედება არსებითი სახელი და ნაცვალსახელი.

მიმართებით ნაცვალსახელთა რიცხვის მიხედვით ფორმაცვალებაზე საუბრისას საჭიროა ქართულისა და სვანურის მონაცემების გათვალისწინება, რადგან „სალიტერატურო ქართულში მრავალი საუკუნის მანძილზე მიმართებითმა ნაცვალსახელებმა შეიცვალეს არა მარტო ბერითი სახე, არამედ რამდენადმე მორფოლოგიური მხარეც“ ზოგიერთმა დაკარგა მრავლობითი რიცხვის წარმოების უნარი და ურიცხვო სახელებს მიეკედლა“ (ლ. კვანტალიანი 1983:18). ძველ ქართულში მიმართებით ნაცვალსახელთა ფორმაცვალებადობა რიცხვის მიხედვით ჩვეულებრივი მოვლენა იყო: რაც-რანი, ვინვიეთნი, რაოდენი-რაოდენი, რომელი-რომელი და სხვა. ახალ ქართულში შეიმჩნევა ტენდენცია ფორმაუცვლელობისაკენ. „რაც“ მიმართებით ნაცვალსახელს მხოლოდ ძველი

მრავლობითის ფორმა აქვს, ისიც იშვიათად. ორივე რიცხვის ფორმა შერჩა მხოლოდ ძირითად მიმართებით ნაცვალსახელს – რომელიც. ხელოვნურია ვინ-ებ-ი ფორმაც, რომელიც ზოგ-ჯერ დიალექტებში იჩინს თავს (აკ. შანიძე 1955:85, 1973:103). ძველ ქართულშივე იშვიათია ვიეთნი და ვიეთთა ფორმები, რომლებიც საშუალსა და ახალ ქართულში საერთოდ ქრება. მრავლობითობის აღმნიშვნელი ნ'ს დართვა კრებითობის -ეთ სუფიქსზე (ვი-ეთ-ნ-), ამ სუფიქსის ფუნქციის დაჩრდილვის მაჩვენებელია. ამასთან, ვიეთნი ხშირად ძველ ქართულში განუსაზღვრელობის ფუნქციითაა გამოყენებული (ნ. მარი 1925:102, შ. ძიძიგური 1969:259, ფ. ერთელიშვილი 1962:69).

ამრიგად, რიცხვში ფორმაცვალება უფრო ძველია, ვიდრე ფორმაუცელელობა. ქართულთან მიმართებით სვანურის მონაცემები ნეოლიგიზმია, რადგანაც მიმართებითი ნაცვალსახელები სვანურში მრავლობით რიცხვს უწერ აწარმოებენ (ნ. აბესაძე 1960:116). მეგრული ამ მხრივ ქართულს მიჰყვება.

მეგრულში, რთულ ქვეწყობილ წინადაღებაში, მრავლობითი რიცხვის ფორმით გვხვდება ნამუთ (=რომელიც) მიმართებითი ნაცვალსახელი, რომლის მრავლობითი რიცხვის ფორმაა ნამუნეფით (=რომლებიც). რაც შეეხება დანარჩენებს, პირობითად შეიძლება ორი ჯგუფი გამოვყოთ: ერთ ჯგუფში გაერთიანდებიან ის ნაცვალსახელები, რომლებიც საერთოდ არ იცვლიან რიცხვის მიხედვით ფორმას; ასეთებია: მუთ „რაც“, მუზმათ//მუს ბი(თ)//მუდა(თ) „რამდენიც“, მუჭომი(თ) „როგორი“, მუფერი(თ) „რაფერიც“. მეორე ჯგუფში კი ის ნაცვალსახელები გაერთიანდებიან, რომელთა ფორმაცვალება რიცხვის მიხედვით შეუძლებელი არ არის, მაგალითად, მით-მინეფით „ვინებიც“, მუნერი(თ) – მუნერეფი(თ) „რანაირებიც“, მუდანერი(თ)//მუზმანერი(თ) – მუდანერეფი(თ) //მუზმანერეფი(თ) „რამდენნაირებიც“, მაგრამ მათი მრავლობითი რიცხვის ფორმა სასაუბრო მეტყველებაში აქტიურად არ გამოიყე-

ნება (თვით მარტივ წინადაღებაშიც იშვიათია), და, აქედან გამომდინარე, ეს წევრ-კავშირები როგორ ქვეყნობილ წინადაღებაში მრავლობითი რიცხვის ფორმით არ დასტურდებიან.

ი. ყიფშიძის მიერ გამოცემულ მეგრულ ტექსტებში (თან ერთვის მეგრულის გრამატიკას) ერთი ასეთი კონსტრუქცია დასტურდება:

ენა სი ვარი, მინუუქ შიიტყუნი, თინემს ვეშეუტყყებუდუკო ნეტევა (ყ. 75, 1) (=ეს შენ კი არა, ვინუქმა(ც) შეიტყო, იმათ არ შეეტყო ნეტავო).

ნ. აბესაძე ამგვარ შემთხვევას გამონაკლისად მიიჩნევს და აღნიშნავს: „მრავლობითი რიცხვის ფორმას ეს ნაცვალსახელი ჩევეულებრივ არ აწარმოებს“ (ნ. აბესაძე 1965:236). ამას თავისი მიზეზი აქვს. როგორც აღვნიშნეთ, „ვინ“ ნაცვალსახელს თავად ძველ ქართულშიც უჭირს მრავლობითი რიცხვის ფორმათა წარმოება, ხოლო ახალ ქართულში ურიცხვო სახელებს განეკუთვნება.

მეგრული მინ(=ვინ?) ნაცვალსახელი მრავლობითობას მარტივ წინადაღებაში აღწერითად გადმოსცემს, ან – მხოლობითის ფორმათა გაორკეცებით. მარტივი წინადაღების ზმნა-შემასმენელი ხან მხოლობითში დგას, ხან – მრავლობითში, იმის მიხედვით, მთქმელი ფორმას უწევს ანგარიშს თუ შინაარსს.

### ა) აღწერითი გზა

მინ რე თე ქათა? (=ვინ არის ეს ხალხი?) მინ რენა(ნ) თენეფი? (=ვინ არიან ესენი?)

ერთ შემთხვევაში კრებითი სახელი (კათა „ხალხი“), ხოლო მეორეგან მრავლობითი რიცხვის ფორმით მოცემული ზმნა (რენა(ნ) „არიან“) და პირის ნაცვალსახელი (თენეფი „ესენი“) გამოხატავენ შინაარსობრივად მინ „ვინ“ კითხვითი ნაცვალსახელის მრავლობითობას.

ბ) მხოლობითის ფორმათა გაორკეცება<sup>1</sup>  
მი(ნ) დო მი(ნ) რე? (=ვინ და ვინ არის?), მი(ნ) დო  
მი(ნ) რენა(ნ) მულირი? (=ვინ და ვინ არიან მოსული?),  
მი(ჯ) დო მიქ მორთუ წამალიშა? (=ვინ და ვინ მოვიდა წამ-  
ლისთვის?).

ამგვარი შემთხვევები – მარტივ წინადადებაში „ვინ“ ნაც-  
ვალსახელის მრავლობითობის გაღმოცემა აღწერითად და  
მხოლობითის ფორმათა გაორკეცებით ქართულშიც დასტურ-  
დება (ა.კ. შანიძე 1973:103), მაგალითად<sup>2</sup>,

ვინ არიან შეკუთომალნი? (კიმ.II,47,8)

იქით ვინ და ვინ ოდგნენო? (გორგიჯ.,55,9-10)

ძველსა და ახალ ქართულში, მნიშვნელობათა სიახლოვის  
გამო, ვინ და რომელ ნაცვალსახელთა მონაცელება ხშირად  
ხდება. იგი (მნიშვნელობა „ვინც“) შეთავსებულია ძირითად  
მნიშვნელობასთან („რომელიც“) და ამათი გათიშვა ხშირად  
არც ხერხდება. როდესაც მისამართი სიტყვა მრავლობითშია,  
ვინ-ს რომელი ენაცვლება (ფ. ერთელიშვილი 1962:34,68;  
არ. მარტიროსოვი 1964:189).

ქართულში დადასტურებულ ამგვარი შენაცვლების ზერხს  
მეგრულიც იყენებს. მაგ.,

დათაწყალა ორდესუ თი კათა, ნამუნეფეჭთი შარასუ აუხ-  
ვადესენი (=დათასთან იყენებ ის ხალხი, რომლებიც („ვინ-ებ-  
იც“) გზაზე შემოხვდათ) (ტ. II,268,36-37).

მეგრულის პიპოტაქსურ კონსტრუქციაში მრავლობითი  
რიცხვის ფორმით მხოლოდ ნამუთ (=რომელიც) მიმართები-  
თი ნაცვალსახელი დასტურდება, ამიტომაც მისამართი სიტ-  
ყისა და მიმართებითი ნაცვალსახელის რიცხვში შეთანხმე-

<sup>1</sup> მეგრულში ფორმის გაორკეცებით მუ(=რა) ნაცვალსახელის  
მრავლობითობაც შეიძლება გადმოიცეს. მაგ., მუ დო მუ გოკ(ნ)  
ოციდეთ? (=რა და რა გინდა საყიდლად?).

<sup>2</sup> ქართულის მაგალითები დამოწმებულია ფ. ერთელიშვილისა (1962:68)  
და ლ. კეანტალიანის (1985:50) მოწოდრაფიერის მიხედვით.

ბას ამ წევრკავშირიანი ქეეწყობილი წინადაღების მაგალითზე განვიხილავთ.

მისამართი სიტყვისა და მიმართებითი ნაცვალსახელის ურთიერთობა რიცხვის მიხედვით განსაკუთრებით თვალსაჩინოა მაშინ, როცა მისამართი სიტყვა არსებითი სახელია. ამიტომაც, მათ შორის შეთანხმების საკითხს ნაშეთ (=რომელიც) წევრ-კავშირიანი განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადაღების ანალიზის საფუძველზე ვარკვევთ.

ასახსნელი სიტყვის აღგილი დამოკიდებული წინადაღების მიმართ ორგვარად შეიძლება დაფიქსირდეს:

1. მისამართი სიტყვა მთავარი წინადაღების ბოლოს დგას და უშეალოდ ემზობლება მიმართებით ნაცვალსახელს; მაგ., ფერი ბორჯისუ ქოძირესუ ბირგულიში მაგინბა კოჩი, ნამუთი ცურდგელეუცე ჭყიშვნდგ (=ამ დროს დაინახეს მუხლის სიგრძის კაცი, რომელიც კურდღლებს მწყემსავდა) (ტ.II,268,9-10).

2. მისამართი სიტყვა მთავარი წინადაღების თავში დგას, ზოგჯერ — შუაშიც და ასახსნელი სიტყვა წევრ-კავშირს ერთი ან რამდენიმე სიტყვით შორდება. შესაძლოა, მათ შორის მთელი წინადაღებაც იყოს მოთავსებული. მაგ.,

ე უნჩაში უკახალე ეკოცუნს, ნაშექ საქმე გუმუნწყუ ოხვალონ (ხ.202,5-6) (=ეს უფროსი უკან მიჰყება, რომელ-მაც) დასახვრეტი საქმე გაუმზადა/, „გამოუწყო“).

ხენწუფეს დიარს უღუნია ძალამი, ნაშექ ოკო ვეგეთუასიე ართი წანასე (=ხელმწიფეს ლხინი აქვსო დიდი, რომელიც ერთ წელიწადს არ უნდა გათავდესო) (ტ.II,30,35-36).

სუმი ჭირხინს გაათენს დო ქიგეგონენს უჩა ნდი უჩა ზღვაში, ქიგედოზუღუ უჩა რაშის დო მოლურს მოჩხუპურო, ნაშესეთ თოვი გინაბუ ბუკიშ მაშხვა (=სამ ჭირხინს გაათავებს და გაიგონებს შავი დევი შავი ზღვისა, მოაკდება შავ

რაშს და წამოვა საჩხებრად, რომელსაც თოფი აქვს გადაკი-  
დებული ბუკის სიმსხო) (ტ. II, 112, 25-27).

მისამართი სიტყვის რამდენადმე თავისუფალი ადგილი  
წევრ-კავშირის მიმართ, რაც ძველი და ნაწილობრივ საშუა-  
ლი ქართულისათვისაც იყო ნიშანდობლივი (ან. კიზირია  
1969:82; შ. ძიძიგური 1973:243), მყარი პოზიციით შეიცვა-  
ლა. მისამართი სიტყვის დასმა მიმართებითი ნაცვალსახელის  
წინ ახალი სალიტერატურო ენის ნორმად იქცა (ლ. კვანტა-  
ლიანი 1983:97).

მეგრულში მისამართი სიტყვის ადგილი პიპოტაქესურ  
კონსტრუქციაში მყაცრად განსაზღვრული არ არის. ეს ბუ-  
ნებრივიცაა, რადგან მეგრული ზეპირმეტყველებას ემყარება,  
მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ აქაც მისამართი სიტყვა მიის-  
წრაფვის საკავშირებელი სიტყვის წინ მოექცეს, რაც სალი-  
ტერატურო ენის გავლენას უნდა მიეწეროს.

მისამართ სიტყვასა და მიმართებით ნაცვალსახელს შო-  
რის რიცხვში შეთანხმებისთვის მნიშვნელობა აქვს მისამართი  
სიტყვის ფორმას; კერძოდ,

- ა) მხოლობითი რიცხვის ფორმითაა თუ მრავლობითისა;
- ბ) ცალობითია თუ კრებითი;
- გ) ახლავს თუ არა მსაზღვრელად რაოდენობის აღმნიშ-  
ვნელი სიტყვა;

დ) ერთია თუ რამდენიმე (როცა რამდენიმეა, თითოეული  
რომელ რიცხვში დგას).

I. მისამართი სიტყვა მრავლობითში დგას, მიმართებითი ნაცვალ სახელი

ა) მრავლობითშია:

გაკოშაყარუუ ნდემეფი, ნამუნეფითი თექ් ოხორანდესენი  
(=შეკრიბა დევები, რომელიც იქ ესახლნენ) (ტ. II, 30, 27).

ქაჩინებაფუუ მუში მულა უინ დემეუცე, ნამუნეფი ვაგა-  
ბედედეს თოკიში დუდიშწეკმაიანი ჩარცხასე (=აცნობა თა-

ვისი მოსკლა ზევითა დეკებს, რომლებიც ვერ გაბედავდნენ  
თოკის თავთან მოშორებას) (ტ.II,34,11).

ბ) მხოლობით შია:

[მუზარბიიქ] ოკო დააშქურინუეკო ნდემეფი, ნამუთი გი-  
ანთბუდესგ კაოასგ თე ხენწუეში ღუმალაშისგ დო სოფუნ-  
დესგ (= [მუზარბიის] უნდა შეეშინებინა დეკები, რომელიც  
დაცემოდნენ ხოლმე ხალხს, ამ ხელმწიფის სამფლობელო-  
სას და გლუჯდნენ) (ტ.II,38,1);

თე კოჩქ ქოთხუ აბრაგენს, დააშქურინუეკო მაღანეფი,  
ნამუთი ცურძენს იხირდეს (ე. შენგელია) (=ამ კაცმა სოხოვა  
ყაჩალებს, შეეშინებინა ბაჟშები, რომელიც ყურძენს ისავ-  
დნენ).

საინტერესო და საგულისხმოა, რომ დამოკიდებული წი-  
ნადადების ზმნა-შემასმენელი ანგარიშს უწევს მისამართი  
სიტყვის ფორმასასა და შინაარსს და მრავლობით რიცხვში  
დგას, მაშინ როცა წევრ-კავშირი მხოლობით რიცხვშია.  
მსგავსი მაგალითები სვანურშიც დასტურდება (ნ. აბესაძე  
1960:116), შლრ.:

ათხე ანკადხ. ეჯაბარ, აერვაშ რაჭეს მურმედახ (ჩ. ჯაფა-  
რიძე) (=ახლა მოვიდნენ ისინი, ვინც კურდღელს იჭერდნენ)<sup>1</sup>.

ამგვარი მოვლენა დამახასიათებელია ქართული ენის დია-  
ლექტებისთვისაც (ლ. ქვანტალიანი 1983:64).

II. კრებითი სახელი მისამართ სიტყვად

მეგრულის პიპოტაქსურ კონსტრუქციაში მისამართ სიტ-  
ყვად გვევდება შემდეგი კრებითი სახელები: კათა (ხალ-  
ხი/, „გროვა“, შლრ.: კათანს „აგროვებს“, კათუა „შეგროვე-  
ბა“/, „თავმოყრა“), ბოში კათა (=ახალგაზრდობა/ყმაწვილკაცო-  
ბა) და ქართულიდან შემოსული „ჯარი“. მიმართებითი ნაც-  
ვალსახელი ხან მხოლობითში დგას, ხან — მრავლობითში.

<sup>1</sup> სვანურის მაგალითი დამოწმებულია ნ. აბესაძის სტატიის მიხედვით (1960:116).

ბოში კათაქ, ნამუნეფითი თი ცირაში ოთხურმა მეურციე, ოქო გეწწყასიე, ცირა მუსუთი უწოდენციე, თინა (=ახალ-გაზრდობამ, რომელიც იმ ქალიშვილის სათხოვნელად მიღის, უნდა ახსნას, რასაც ქალიშვილი ეტყვის, ის) (ტ.II,52,3-4).

მუნეფიში ოსურეფი ქიმიცონანი თი კათაქ, ნამუსგ თ ათე-ნერი პატიოსანი ჩილი ცუნსენ (ხ.16,35-36) (=თავიანთი ცო-ლები მოიყვანონ იმ ხალხმა, რომელსც ამნაირი პატიოსანი ცოლი ჰყავს).

შორიშე ვეებირებედუ ჯარი, ნამუთ იყმოქოსუნდუ ქიც(ანას (ნ. სხულუხია) (=შორიდან არ ჩანდა ჯარი, რომე-ლიც აცამტვერებდა ქვეყანას).

III. მისამართ სიტყვას მსაზღვრელად ახლავს რაოდენობის აღმნიშვნელი სახელი.

ამგვარ მსაზღვრელებად ჩვენ მიერ გაანალიზებულ მასა-ლაში გამოყენებულია რაოდენობითი რიცხვითი სახელი (ჟი-რი „ორი“, ხუთი „ხუთი“, ამშვი „ექვსი“ და ა. შ.) და გან-საზღვრებითი ნაცვალსახელი – არძა „ყველა“, რომელსაც მრავლობითი რიცხვის ფორმა არ მოეპოვება მეგრულში (ი. ყიფშიძე 1914:049).

ასახსნელი სიტყვის როლში გვევლინება შემდეგი წყვი-ლები: ამშვი კოჩქ („ექვსი კაცმა“), სუმი ძღაბეფი („სამი გოგოები“), სავანეფი... ოთხი, ხუთი („ისრები... ოთხი, ხუ-თი“), ჟირი ბოშენქ („ორი ბიჭებმა“), ოში კოჩენქ („ასი კა-ცებმა“) არძ დიდებულეფი („ყველა დიდებულები“) და სხვ. როგორც ვზედავთ, მსაზღვრელ-საზღვრულს შორის, იშვიათი გამონაკლისის გარდა, აზრობრივი შეთანხმებაა. ამ მხრივ უგამონაკლისოა ქართული „ყველას“ ფარდი მეგრული „არ-ძა“, რომელთანაც საზღვრული ყოველთვის მრავლობითში დგას. ამგვარ მისამართ წყვილებთან მიმართებითი ნაცვალსა-ხელი მხოლოდ მხოლობითი რიცხვის ფორმით გვხვდება, და-

მოკიდებული წინადაღების ზმა-შემასმენელი კი უმეტესად მრავლობითში დგას. მაგ.,

ქეშეხვადუ მუჰამბის ამშეი კოჩქ, ნამუთი მიღმაღალარი დო გვმარჩუალი რდესენი (=შეხვდა მუჰამბის ექვნი კაცი, რომელიც წამგლეჯი და მძარცველი იყენებ) (ტ.II,108,17-18);

თეურე ქამააღი(რ)თუ უირ ბოშენქ, ნამუთ თე წყარიშ გი-ნოჩურუას აპირენდეს (გრ. Σευλλούθια) (=იქიდან მოადგა ორი ბიჭები, რომელიც ამ წყლის გაღაცურეას აპირებდნენ).

...ათე ოსურსქუალეფი ცოფენა თი სუმი ძღაბეფი, ნამუთი თი უირ ჯიმალენქ იყონესინი (ზ.,6,1-2) (=ეს ქალიშვილები ყოფილან ის სამი გოგონები, რომელიც იმ ორმა ძმებმა წა-იყვანეს)<sup>1</sup>.

თაქი რდე არძა დიდებულეფი, ნამუთი დიარაშა მიიშეს (ე. სხულუხია) (=აქ იყო ყველა დიდებულები, რომელიც ქორწილში მიღიოდნენ).

ახიოლ ხანს დო ქიოჭანუ არძა დიდებულეფი, მუში სა-ხანოს ნამუთ ქორდგნ (=გაუხარდა ხანს და დაიბარა ყველა დიდებულები, თავის სახანოში რომელიც იყო) (ტ.II,95,23).

IV. მიმართებითი ნაცვალ სახელი რამდენიმე მი-სამართ სიტყვას მიემართება.

ასეთ დროს მთავარი წინადაღება, ჩვეულებრივ, შერწყმუ-ლია. ორი მისამართი სიტყვიდან ერთი მხოლობითშია, მეორე – მრავლობითში. მაგ.,

ქუციის დინახალე აბანაში მინჯევ დო მუში ბოშენქ, ნამუთ თეში მოთოცუჯე რდესენი (=შემოცვივდნენ შიგნით აბანოს ჟატრონი და მისი ბიჭები, რომელიც ამის მოთვალყუ-რე იყენებ) (ტ.II,75,25).

<sup>1</sup> ამ მაგალითში დამოკიდებული წინადაღების ზმა-შემასმენლის მრავლო-ბითი რიცხვის ფორმას თავად ამ წინადაღების ქვემდებარე (უირ ჯი-მალენქ „ორ(მა) ძმებმა“) განაპირობებს.

ერთგვარწევრთაგან ერთ-ერთს, რომელიც უშეუალოდ უსწრებს მიმართებით ნაცვალსახელს, ახლავს რაოდენობითი რიცხვითი სახელი მსაზღვრელად. მაგ.,

თექ ცხოვრენსია კაუან-ჯემი დო ეჩდობუთი მუში სქუა, ნამუთ ეჩდობუთი სართულიან ცუდეს რენან (=იქ ცხოვრობს კაუან-ჯევი და ოცდაბუთი მისი შეიღი, რომელიც ოცდაბუთ-სართულიან სახლში არიან) (ტ.II,206,12-15).

ამრიგად, ნამუთ (=რომელიც) მიმართებითი ნაცვალსახელი მისამართ სიტყვას უთანხმდება როგორც ფორმობივად, ასევე აზრობრივად. აზრობრივი შეთანხმება სჭარბობს ფორმობივს, ხოლო შეთანხმებათა დარღვევა გაცილებით მეტია. მავრამ შეთანხმებათა დარღვევისას იკვეთება ტენდენცია, რომელიც დამახასიათებელია ხალხური მეტყველებისთვის. მეგრულში, ისევე, როგორც სვანურსა და ქართული ენის დიალექტებში, ძალზე ბუნებრივია შეუთანხმებლობის ისეთი შემთხვევა, როცა მრავლობითში დასმული მისამართი წევრი, თუ დამოკიდებულს ქეემდებარედ შეეფერება, მრავლობითშივე ითანხმებს დაქვემდებარებული წინადადების შემასმენელს. მსგავსი მოვლენა ქართულ სალიტერატურო ენაშიც შეინიშნება, მაგრამ „მხოლოდ გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს“ (ფ. ერთეულიშვილი 1957:242). საყურადღებოა, რომ მეგრულში ამგვარი შემთხვევის დროს დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენლები ძირითადად ერთპირიანი ზმნებია, რომლებიც, ჩვეულებრივ, მარტივ წინადადებაში ქვემდებარესთან შეუთანხმებლობით გამოირჩევიან (ო. ურიდია 1960:176-177).

უმწერლობო მეგრული მისამართი სიტყვისა და მიმართებითი ნაცვალსახელის რიცხვში „შეთანხმების“ თავისებურ მოდელს ქმნის, სალიტერატუროსაგან განსხვავებულს და ენის სავალდებულო ნორმებისგან თავისუფალს.

#### გ 4. ქუნიკომილი წინადადების შემაღებულ კომპონენტთა განლაგება

ჰიპოტეზურ კონსტრუქციაში მთავარ და დამოკიდებულ წინადადებათა განლაგების სამ სახეს გამოყოფენ: ერთი, როცა მთავარი უსწრებს დამოკიდებულს, მეორე, პირიქით, დამოკიდებული უსწრებს მთავარს და მესამე, ორ ნაწილად გაყოფილ მთავარში დამოკიდებული შეუაშია მოქცეული. როცა ქვეწყობილი წინადადების ნაწილებისთვის სამივე სახის განლაგება ბუნებრივია, მაშინ ჩვეულებრივ აღნიშნავენ, რომ დამოკიდებული წინადადების ადგილი მთავრის მიმართ თავისუფალია.

მეგრულში რთული ქვეწყობილი წინადადების შემაღენელ კომპონენტთა ზემოხსენებული განლაგების გვერდით თავისებური განლაგებაც უიქსირდება მიმართებითნაცვალსახელიან ქვეწყობილ წინადადებაში. კერძოდ, კორელატის დასმა ქვეწყობილი წინადადების ბოლოს შემდეგი სახის თანმიმდევრობას იძლევა: მთავარი+დამოკიდებული+კორელატი.

იმ გაგებით, რომ კორელატი მთავარი წინადადების შემაღენელი ნაწილია, მთ.+დამოკ.+კორ. თანმიმდევრობაც ჩვეულებრივ ინტერპოზიციად შეიძლება ჩაითვალოს, მაგრამ კორელატის ბოლოში დასმით „მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებებს შორის მიჯნა ერთვარად იშლება და რთული წინადადების ორივე კომპონენტი ერთ მთლიან ინტონაციურ-არტიკულაციურ მონაკვეთად იქცევა“ (ქართული ხალხური სიტყვიერება 1991:9); ამიტომ ამ სახის თანმიმდევრობას ცალკე გამოვყოფთ.

**მთავარი+დამოკიდებული**

ბოშიქ უჯინგ ბრელი ხანს დო ზე ქემოკიდე ათე ძღაბის, ნამუთ კუჩინის უქაცუანდუნ (=ბიჭმა უყურა დიდხანს და ზელი მოკიდა ამ გოგოს, რომელიც უეხს ატოეჯბდა) (ტ. II, 186, 13-14).

ათენა თისე ქიმეჩი, მითე სი საქომონჯოთ გეხერხასენი (=ეს იმას მიეცი, ვინც შენ საქმროდ გინდოდეს/, „გეხერხებოდეს“) (ტ.II,74,24-25).

პრავეზია ორიუელი დონწყილი რე, მუთ საჭირო აფუ კამანია-დიარასენი (ხ.132,13-14) (=პურ-მარილი კველაფერი დაწყობილია, რაც სჭირდება („საჭირო აქეს“) ქორწილს).

შეი, მუზმა გოკონი! (=სუი, რამდენიც გინდა) (ტ.II,278,4).

თისხი გიძიცინუდას, (=იმდენი გეცინოს,

მა სი მუსხი მონგარე. რამდენიც მე შენ მატირე);  
(ტ.II,114,22-23)

დასაქაცეს ვემერჩანს, (=გასაქანს არ მოგცემს,

მუფერ ორდე მარგებელი რანაირი („რაუერი“) ვაჟკაციც  
(არ) უნდა იყო);

(ტ.I,301,14)

ჩქიმი დუდი ვა გაშიი, (=ჩქიმი თავი არ შეგიძლია იშოვო,  
მუ ეფერი გიცორდე. როვორადაც (უნდა) გიყვარდე).

(ტ.I,127,28)

დამოკიდებული+მთავარი

ნამუთი საორინჯო რაში თაქი რცუნსენ, თის ოქო ქიგე-  
დოხოდე (=რომელი სანაშენო („საღვამური“) რაში აქ გყავს,  
იმას უნდა დააჯდე) (ტ.II,116,13-14).

მით თე შარაშა მიდართასია, [თიქ] ცოცხალი ვედირთა-  
სია (=ვინც ამ გზაზე წავიდესო, [ის] ცოცხალი არ დაბრუნ-  
დესო) (ტ.II,270,34).

მუთ გიღუდას, თის მიაბალია (=რაც გაქვს („გქონდეს“),  
იმას დასჯერდიო) (ტ.II,437,20);

მუზგმათი შეულებულენი, თიზგმა ქიგიაშქუ (=რამდენიც  
შეეძლო, იმდენი (იმდენჯერ) დაარტყა) (ტ.II,220,32);

მუდა ფოხალი წყარს მიბლანთიე, იღა კოჩიშ შერი ოქო  
მეფჩათიე (=რამდენ კოქა წყალს მოვიტანო, იმდენი სული  
კაცი („კაცი სული“) უნდა მივსცეთო) (ტ.II,212,4);

მუფერ კოჩი ორდასინი,

(=რანაირი („რაფერი“)

კაციც არ იყოს,

ქობალ ქუსხუნ ირო ჭეეშა

პური ყოველთვის  
ურჩევნია ჭვავს)

(ტ.I,117,34).

ქართულში მიმართებითნაცვალსახელიან რთულ ქვეწყობილ წინადაღებაში მთავარი და დამოკიდებული კომპონენტების განლაგებასთან დაკავშირებით ფ. ერთეულიშვილს დადგენილი აქვს ამგვარი კანონზომიერება: როდესაც მთავარ წინადაღებაში მისამართ სიტყვებად სრულმნიშვნელოვანი ლექსიკური ერთეულებია (არსებითი სახელი, საწყისი) მოცემული, დამოკიდებული წინადაღება მთავარი წინადაღების მომდევნოდ ექცევა, ხოლო, როდესაც მისამართ სიტყვებად სრულმნიშვნელოვანი ლექსიკური ერთეულები არა გვაქვს, დამოკიდებული წინადაღება მთავარი წინადაღების წინ არის გაღმონაცვლებული (ფ. ერთეულიშვილი 1962:31).

როგორც დამოწმებული მაგალითებიდან ჩანს, ეს კანონზომიერება მეგრულზეც კრცელდება, რის გამოც ყოველთვის არ ხერხდება „რომელიც“ კავშირიანი დამოკიდებულის გადასმა მთავრის წინ<sup>1</sup>:

ქოძირეს ბირგულიში მაგნა კოჩი, ნამუთი ცურდგელეუც ჭყიშენდგ (ყ.,16,9) (=ნახეს მუხლის სიგრძის კაცი, რომელიც კურდღლებს მწყემსავდა).

მთავარი+დამოკიდებული+მთავარი

კოჩი, ნამუთი ნდემცე მუნალაცაფუდუნი, ოჭოფესგ ბრელი ცალაში თუდო... (=კაცი, რომელიც დევს ზემოდან [აჯდადა] ეთამაშებოდა, დაიჭირეს ბევრი ცდის შემდეგ („ქეშ“)...)

(ტ.II,26,33);

<sup>1</sup> ეს მოვლენა მეგრულში შენიშნული აქვს ლ. ფაჩულიასაც (იხ. ლ. ფაჩულია 1997:85).

ასე, თე ცირაშ საქომონჯო მთ რენ, თიქ ოქო ინორთას (ხ.,126,36) (=აპლა, იმ გოგოს საქმრო კინც არის, ის უნდა ჩავიდეს);

მოძინა ქომუჩეს ზოლო, მუთ მიღუდუნ, თიშ ეშე ბრელით (ხ.,42,17) (=მომიმატეს ანაზღაურება („მომატება მომცეს“) კიდევ, რაც მქონდა, ბევრად იმაზე ზევით);

გეეჭოფუ შევილი დო, მუზმათი რდგნი, თითო ოში ფუ-თიანი საგანეფი (=აიღო მშვილდი და, რამდენიც [კი] იყო, თითო ასფუთიანი ისრები) (ტ.II,278,14);

ჩქი მერჩანთია, მუსხი რდგნი, ფარასია (ხ.,118,11) (=ჩვენ მოგცემთო, რამდენიც იყო, ფულსო).

მთავარი+დამოკიდებული+კორელატი

ეთექ დონთხორია, სუმ დღას მუთ განთხორენ, თინავა<sup>1</sup> (ხ.,229,16) (=იქ გათხარეო, სამ დღეში რასაც გათხრი („რაც გაგეთხრება“), ისო).

თენა ოქო მეუღას, მით ოგურუანს, თის (ხ.,263,5-6) (=ეს უნდა მიუტანოს, კინც ასწავლის, იმას).

რაგალუუ მაჟირა მულირი კოჩქ, ნამუთი დუდენდუნი, თიქ (ხ.,16,2-3) (=თქვა მეორედ მოსულმა კაცმა, რომელიც მეთაურობდა (პირველობდა), იმან).

კორელატის დასმა ჰიპოტაქსური კონსტრუქციის ბოლოს დამახასიათებელია დიალექტებისათვისაც. მაგ.,

[კოტოტიანს]... დავასახურავეფთ, რაცხა სუფთა იქნება, იმით (ქართ. დიალექტ., ლეჩ., 495,28);

შენ შვილო,... გათხუეფ, მე რაცხათ ვიყავი, იმას... (ქართ. დიალექტ., ქაგურული, 422,35-36).

საკუთრივ მიმართებითი ნაცვალსახელის ადგილი დამოკიდებულ წინადადებაში მკაცრად განსაზღვრული არ არის, მაგრამ მირითადად დამოკიდებული წინადადების თავშია,

<sup>1</sup> თვალსაჩინოებისთვის კორელატი მძიმით გამოვყავით, გამოცემულ ტექსტები ჩშირად არც გამოყოფენ.

თუმცა შეუძლებელი არ არის შუაში მოქცევაც<sup>1</sup>. თუ მიმართებითი ნაცვალსახელი არსებითი სახელის მსაზღვრელიცაა, მაშინ მისი ადგილი ყოველთვის დამოკიდებული წინადაღების თავშია.

მიმართებითი ნაცვალსახელი დამოკიდებული წინადაღების თავში დგას თუ შუაშია მოქცეული, ამავე წინადაღების შემასმენელს ყოველთვის უსწრებს. ასეთივე ვითარებაა ამ მხრივ სხვა ქართველურ ენებშიც (ნ. აბესაძე 1962:30-38; უ. ერთეულიშვილი 1962:38; შ. ძიძიგური 1973:85).

### გ 5. დამოკიდებულ წინადაღებათა ტიპები

მიმართებითი ნაცვალსახელები სახელით გამოხატული წევრის ამხსნელ ყველა სახის დამოკიდებულ წინადაღებაში გამოიყენება, მაგრამ ესა თუ ის მიმართებითი ნაცვალსახელი სხვადასხვა სიხშირით გვხვდება. დამოკიდებული წინადაღების ტიპზე მითითებას იძლევა კორელატი ანუ მისათითებელი სიტყვა, რომელიც მოცემულია მთავარ წინადაღებაში. „კორელაციის სისტემა მტკიცედ ჩამოყალიბებულია ქართულ სალიტერატურო ენაში – მოყოლებული ძველი პერიოდიდან დღევანდლამდის“ (შ. ძიძიგური 1973:323). კორელაციის სისტემა მოეპოვება სვანურსა და მეგრულსაც.

<sup>1</sup> საკაუშირებელი სიტყვა დამოკიდებული წინადაღების ბოლოშიც შეიძლება მოექცეს, მაგრამ მხოლოდ ლექსში, ამ უკანასკნელის სპეციფიკიდან გამომდინარე; მაგ.,

უოსურე კოჩი უჯგუ უცოლო კაცი სჯობია  
ოსურამც მუზმოვნი, ცოლიანს რაჭენაზუ,  
მა სო მაანგარიშებე... მე სად შემთხვევა ვიანგარიშო (განვსაზღვრო),...  
(კ.ს., 108, 24)

ამგვარი შემთხვევები ჩვეულებრივია ქართული და სვანური პოეზის ნიმუშებშიც.

მიმართებითნაცვალსახელიან დამოკიდებულ წინადადებაში კანკრეტული წევრ-კავშირის მნიშვნელობას აძლიერებს -ნი კავშირი, რომელიც დამოკიდებული წინადადების ბოლო წევრს ერთვის.

ნამუთ (=რომელიც) და მისი ფონეტიკური ვარიანტები ძირითადად განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებაში დასტურდება, ქვემდებარულსა და დამატებით დამოკიდებულ წინადადებებში შედარებით იშვიათადაა წარმოდგენილი. მით (=ვინც) და მუთ (=რაც) მიმართებითი ნაცვალსახელები კი პირიქით, განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების შემცველ ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში იშვიათად გამოიყენება, უფრო ხშირად ქვემდებარულ და დამატებით დამოკიდებულ წინადადებებში გვხვდება.

ნამუთ, მით და მუთ წევრ-კავშირიან განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებას მთავარში კორელატად შეეფარდება ათენუ/თენა/ენა/ე „ეს“, ეთინა/თინა/ინა/ი „ის“, თეთერი/ეუერი „ასეთი“, თითერი/უერი „ისეთი“, თი რიგი „ისეთი“, თიჯგურა/იჯგურა „იმგვარი“, თეჯგურა/ეჯგურა „ამგვარი“, თიგვარი/თეგვარი „იმგვარი“/„ამგვარი“ ჩვენებითი ნაცვალსახელები.

განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების მისამართი სიტყვა სახელით გამოხატული წევრია. კორელატი ფაქტიურად მსაზღვრელია მისამართი სიტყვისა.

მითი კლასის შევიდი რენი, (=ვინც კლასში შევიდია, ეთი ბოში ორე ჭკვერი. ის ბიჭი არის ჭკვიანი);  
(ყ.,117,7-8)

ომიში დროს მისეთ შემწეობას მეჩანდგნ, უთუოთ გომორძგვილი რდგ. თი ხენწიფე (=ომის დროს ვისაც შემწეობას მისცემდა, უთუოდ გამარჯვებული იყო ის ხელმწიფე) (ჭ.II,106,7-8).

თი ამბე ქომიწიი, მუთ დომიფულუ ჩქიმი სქუაქინ (=ის ამბავი მითხარი, რაც დამიმალა ჩემმა შვილმა);

ათაში აღოლებ ეთი ბედიკირილი ბოშისე, ნამუქეთი ჰქეუ-  
ერი კოჩიში ნაზოკულას გინაჩილითუუნდ (=ასე დაემართა იმ  
ბედერულ ბიჭს, რომელმაც ჭკვიანი კაცის დარიგება დაივიწ-  
ყა) (ტ. II, 228, 26);

ბოშიქ... ხე ქემოქიდგ ათე ძღაბის, ნამუთ კუჩხის უქაცუ-  
ანდუნ... (ბიჭმა ხელი მოჰკიდა ამ გოგოს, რომელიც ფეხს  
ატოკებდა) (ტ. II, 186, 13-14);

პაპაქ გოლახუ თე ბაღანა, ნამუთი წირუა დროს ოზვა-  
რუდუნდ (=მღვდელმა სცემა ეს ბავშვი, რომელიც წირვის  
დროს ეხმრებოდა);

ე უჩხაში უკახალე ეკოლუნს, ნამუქ საქმე გუმუნწყუ ოხ-  
ვალონ (ხ., 202, 5-6) (=ეს უფროსი უკან მიჰყევება, რომელმაც  
დასახვრეტი საქმე გამოუწყო);

გამკიტოუ ხეალე აკა თი ვეზგრი, ნამუქეთი მეეხვარუნი...  
(=დატოვა მარტო ის ვეზირი, რომელიც „რომელმაც“ მოეხ-  
მარა...) (ტ. II, 262, 30);

სი რექს ი მუშარბიიში სქეაგა, ნამუში ქაშქეილი დო სა-  
განით ოზღოდეე ნდემეფიე (=შენ ხარ იმ მუშარბიის შვილით,  
რომლის მშვილდისრით ამოხოცე დევებიო) (ტ. II, 44, 30-31);

მიიგორუ ხრისტაგანქ მუში რაშტ, ნამუთ გინახუნა ვარე  
შურო დაბადებაშენი, ეფერი (=მოიძია ხრისტაგანმა თავისი  
რაშტ, რომელიც სრულიად კაცის ნაჯდომი არ არის დაბა-  
დებიდანვე, ისეთი) (ტ. II, 62, 20-21);

გუუკეთუ თი რიგი საგანი, ნამუთი ორდგ წონათ ეჩიდო-  
ხუთი ფუთინდ (=გაუკეთა [მჭედელმა] ისეთი „იმ რიგის“ ისა-  
რი, რომელიც იყო წონით ოცდახუთი ფუთი) (ტ. II, 166, 22);

გილართუ ე ხენწიფექ, მარა სოთინი ვააშუ იჯგურს მარ-  
კინექ, ნამუთი თის გურზუდუნდ (ხ., 1, 17-18) (=იარა ამ ხელ-

<sup>1</sup> როცა მისამართ სიტყვას სხვა ატრიბუტული შსაზღვრულიც ახლავს,  
მაშინ კორელატი კონსტრუქციის ბოლოს დგას.

მწიფებ, მაგრამ ვერსად ვერ იშოვა ისეთი „იმგვარი“ მოჭიდავი, რომელიც იმას გაუძლებდა);

ქიმიკონუ თიგვარი რაში, ნამუთი მარულაშ დროს არძას გიმე ქიდაარჩანდუნ (=მოიყვანა იმგვარი რაში, რომელიც მარულას დროს ყველას აჯობებდა,,ძირს დასცემდა“).

ზოგჯერ მთავარ წინადაღებაში ოდენ მისამართი სიტყვაა მოცემული, კორელატი გამოტოვებულია, მაგ.,

ნდიქ ქიმერთვ მახაჩქალიშა დო მოთხუუ კოჩი, ნამუქთ თინა გაკურცხინუუნი (=დევი მივიდა გლეხთან და მოსთხოვა [ის] კაცი, რომელმც ის გააღვიძა) (ტ. II, 278, 27-28);

კოჩი, ნამუთი ნდემცე მუნალაბაფუდუნი, ოჭოვესე ბრელი ცადაში თუდო... (= [ის] კაცი, რომელიც დევს ზემოდან [აჯდა და] ეთამაშებოდა, დაიჭირეს ბევრი ცდის შემდეგ/„ქვეშ“) (ტ. II, 26, 33);

ნამუთ, მით და მუთ წევრ-კავშირიან ქვემღებარულ და დამტებით დამოკიდებულ წინადაღებებს მთავარში კორელატად მოეპოვებათ პირისა – თინა/ინა „ის“, თენა „ეს“ და განსაზღვრებითი – არძო/არძო „ყველა“, არძო ართო „ყველა ერთად“, თინა არძო („ის ყველა“, შდრ.: სვანურში ამავე ფუნქციით გამოყენებული ეჯა მაგ „ის ყველა“), ირკოჩი (=ყველა „ყველა კაცი“), ირფელა/ირფელი ართო (ყველა-ფერი/ყველაფერი ერთად) ნაცვალსახელები. მაგ.,

ქვემდებარული

სქანი სქუა თინა იცი, ნამუთი სქანი ცუდეშა მინულას ხვალე ეკისვენუაფუ ართი განიშე ყებურსიე (=შენი შვილი ის იქნება, რომელიც სახლში შესვლისას მარტო იჯდება ერთ მხარეს კერიასთან) (ტ. II, 282, 1);

ასე თე ცირაშ საქომონჯო მით რენ, თიქ ოკო ინორთას (ხ. 126, 36) (=ახლა იმ გოგოს საქმრო ვინც არის, ის („იმან“) უნდა ჩავიდეს);

თინა არძო მოჯვირე მაფუ, ის ყველა (ჩემი) მოკეთეა,

სი მიქათი დოგოცქენი.

ვინაც შენ გაქო.

(ტ.I,50,32)

ვიშო მუთ ვემერცუნდუნ, აშონანს არძ ნაშიბი ენია  
(ხ.,224,10) (=იქეთ რაც არ მიგყვებოდა, აქეთობისას კულა  
ნაშოვნიაო);

მუთ გემიხარჯებგ სქანდან, მედინაფე ირუელია...  
(ხ.,196,37) (=რაც დამიხარჯავს შენთვის, კულაფერი და-  
კარგულაო);

თასუას მუქუთ ირაგადუ, მოწიას თიქ იყუა (=რაც თეს-  
ვის დროს ითქვა, (ჭირნაზულის) მოწევისას ის იქნაო) (ტ.II,428,1);

ქვემდებარული დამოკიდებული წინადადება ზოგჯერ უპო-  
რელატოდაა წარმოლგენილი. მაგ.,

მით მიკურს[გ]ნი<sup>1</sup>, იშ ცულეს ირო კამპანია აჩქენუუ  
(=ვინც გამოიკვლის, მის სახლში სულ ლხინი ეგონება  
[იმას]) (ტ.II,334,13);

მით თე შარაშა მიღართასია, ცოცხალი ვედირთასია  
(=ვინც ამ გზაზე წავიდესო, [ის] ცოცხალი ვერ დაბრუნდე-  
სო) (ტ.II,270,34);

მით დიშქას კვათუნსენი, უდაჩჩირეთ ვადოსქედგ (=ვინც  
შეშას ჭრის, [ის] უცეცხლოდ არ დარჩება) (ტ.II,435,36).

დამატებითი

ნამუ დიხა ითოქოცენცენი, არძოსე სი ყინტუნქ... (=რაც  
(„რომელი“) მიწა იყრება [ხვნისას], კულას შენ ყლაპავ...) (ტ.II,266,29);

ხალხიქ მით ოგვანუუნი, ბოლოს არძ ონგარუუ (=ხალ-  
ხმა ვინც გაასუქა, ბოლოს კულა აატირა) (ტ.II,459,10);

<sup>1</sup> მიკურსნი და ამგვარ ფორმებში -ნი/ნ-ს წინ ნეიტრალური გ ხმოვნის  
აღდგენის შესახებ იხ. გ. კარტოზია, მეგრულის ნი(<\*ინი) „რომ“  
კავშირის გენეზისისათვის, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები,  
ტ.VI,თბ., 1996, გვ. 79.

კვეშ დო ახალი მუთ ქორენი, ძველი და ახალი რაც კი  
იყო,

არა გეშარაგადეს...

გველა(უერი) იამბეს...  
(კ.ს., 95,39)

მუთ (=რაც) წევრ-კავშირი ზოგჯერ დროის გარემობით  
დამოკიდებულ წინადაღებაშიც გვხვდება. ამ დროს მთავარში  
კორელატად მოცემულია დროის ზმნისართი უკული//უკუ  
„შემდეგ“/, „მერმე“. მაგ.,

მუთ თე ქონება გეწოილინ, უკუ მოსვანჯა დო მურქ მე-  
მიღინუა (=რაც ეს ქონება გამოგართვი, მერქ (მას შემდგვ) მოსვენება და ძილი დამეკარგაო) (ჭ.II,334,27);

იშვიათად გამოყენებული მიმართებითი ნაცვალსახელები  
– მუზმა/მუდა/მუს ხი (=რამდენიც) განსაზღვრებით დამოკი-  
დებულ წინადაღებაში გვხვდება წევრ-კავშირებად. თითოეულ  
მათგანს მთავარ წინადაღებაში თავისივე ფუძის კორელატი  
მოეპოვება. კერძოდ,

მუზმა (=რამდენიც) – თიზმა, მაჟია თიზმა (=იმდენი,  
მეორე იმდენი); მაგ.,

თიზმა გიძიცინუდას, – იმდენი გეცინოს, –

მა სი მუზმა მონგარე რამდენიც მე შენ მატირე.  
(ჭ.I,50,15-16)

...მუზმა თეშ მუმას ეიოჭოუაფუ ქიცანან, მაჟია თიზმა  
ოკო გეიოჭოუაფუას თე ბოშის (ჩ.123,25-26). (=რამდე-  
ნიც) ამის მამას ააღებინა ქვეყანა, მეორე იმდენი უნდა აა-  
ღებინოს ამ ბიჭს);

მუს ხი – თის ხი (=იმდენი)

თის ხი გიძიცინუდას, იმდენი გეცინოს,

მა სი მუს ხი მონგარე რამდენიც მე შენ მატირე.  
(ჭ.I,114,22-23)

მუდა – თიღა/იღა (=იმდენი), მუდაშა (=რამდენჯერ(აც))

– თიღაშა (=იმდენჯერ(აც));

მუდა კოჩი აუგ დაპეჯებულინ, იდა სქამი დგუ (ხ.,282,8-9) (=რამდენი კაცი(ც) ჰყავს მოწვეული, იმდენი სქამი დგას);

მუდაშა მიოგანსინ, თიღაშა ახალ-ახალ დუდი იშმუურსი (=რამდენჯერ(აც) დაარტყამს, იმდენჯერ ახალ-ახალი თავი ამოსდის);

მუდას ასევე შეიძლება შეეხამოს თიზმა/იზმა კორელატი, ხოლო მუდაშის – თისზი (=იმდენი(ვე)); მაგ.,

პირველ თხოვნა თენა რე: მუდა კოჩი რდგნი, იზმა კოჩი სალდათი ყარული ქიგეურინესკონი (ხ.,282,27-28) (=პირველი თხოვნა ესაა: რამდენი კაცი(ც) იყო, იმდენი კაცი ჯარისკაცი დარავდად დაეყენებინათ).

მუდაშა თქუანქ სი, თის იჭარუნა დო თისზი ოდიარეს მომიღანა მავა... (ხ.,123,19-20) (=რამდენჯერაც იტყვი შენ, იმას იწერენ და იმდენი(ვე) ბალახს მომიტანენ მეო...).

ზემოხსენებულ იშვიათად გამოყენებულ წევრ-კავშირებთან გამოტოვებული კორელატების აღდგენა აღვილად ხერხდება.

## თავი II

# მიმართებითი ზმნიშედების აგებულება ეპეზურგილი წინაღალება

### § 1. მიმართებითი ზმნიშედების აგებულება და გენეზისი

პიპოტაქსურ კონსტრუქციაში წევრ-კავშირად მიმართებითი ნაცვალსახელის გარდა მიმართებითი ზმნიშედაც გამოიყენება.

მიმართებითი ზმნიშედის შემცველი დამოკიდებული წინაღადება ძირითადად ხსნის მთავარი წინაღადების ზმნა-შემასმენლით გადმოცემული მოქმედების ადგილს, დროს, ვითარებას, მიზეზს, მიზანს. ამის მიხედვით გამოიყოფა ადგილის, დროის, ვითარების, მიზეზის, მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინაღადებები. მიმართებითი ზმნიშედა წევრ-კავშირად გამოიყენება აგრეთვე განსაზღვრებითი დამოკიდებული წინაღადების შემცველ ქერწყობილ წინაღადებაშიც, რომელშიც მისამართი სიტყვა არსებითი სახელია.

შეგრულის პიპოტაქსურ კონსტრუქციაში გვხვდება შემდეგი მიმართებითი ზმნიშედები: სოთი (=საღაც), სოდეთ (=საღაც), სოლე (=საით/საითკენაც/საიდანაც), სოცურეშე//სოურე//სოერე (=საითკენაც, საიდანაც), სოიშანთ//სოიშაბ//სოქაშ(ხ) //სოიშა (=სანამდე, სანამ), სონდარო//ონდარო//ოდო (=სანამ), მუ დროს/მუდოს (=რა დროს, როდესაც), მუ-უნსეგთ//მუუმსეგთ (=როდესაც/როცა), მუშ მამლას (=რამდენ ზანშიც,,რის მასწრაფად“), ნამუ შეანს (=რომელ/რა დროს(აც)), ნამუგანიშე (=რომელი მხრიდან(აც)).

მიმართებითი ზმნიშედების ერთი ჯგუფისთვის ამოსავალია კითხვითი ზმნიშედა სო (=საღ). ქართული სა- და ლა-

ზური სო- ძირებთან შესატყვისობისათვის იხ. პ. ფენრიხი, ზ. სარჯველამე 1990:265.

სოთი//სოთგ მიმართებითი ზმნიზედა იშვიათად გამოიყენება პიპოტაქსურ კონსტრუქციაში.

მეგრულში მიმართებითი ზმნიზედა, მიმართებითი ნაცვალ-სახელის მსგავსად, კითხვით ზმნიზედაზე -თ(ი) ნაწილაკის დართვით მიიღება:

სო-თი (=სა-ცა)<sup>1</sup>. ფ. ერთეულიშვილის აზრით, ქართული „საცა“ „სადაცა“ ზმნიზედის ფონეტიკურად გამარტივებული სახეა: სადაცა>სადაც>საცა, სა- თავისთავად არის აღვიღის აღმნიშვნელი ზმნიზედა (ფუძე), შდრ.: სათ, სით (ფ. ერთეულიშვილი 1963:147).

მეგრულ პიპოტაქსურ კონსტრუქციაში შედარებით ხშირად გამოიყენება სოდეთ (=სადაც) მიმართებითი ზმნიზედა, რომელსაც „კითხვით ნაწილში დეტერმინანტი სუფიქსი აქვს შემორჩენილი: სო-დე (ნ. აბესაძე 1965:241-242). სოდეთ(ი) (=სადაც) მიმართებითი ზმნიზედა ფორმათა ფონეტიკური ნაირგვარობით გამოირჩევა: სიდეთი//სიდეთ//სიდეთ//სიდეთი//სოდეთგ.

ქართული სადა კაეშირი შ. ძიძიგურსაც ასევე სა- ფუძე-ზე აგებულად მიაჩინა, ხოლო მომდევნო -და დაიშლება ვითარებითი ბრუნვის ნიშნად (-დ) და -ა მავრცობად (შ. ძიძიგური 1959:297); ძველსა და საშუალ ქართულში სადა გვხვდება უნაწილაკოდაც და -ც(ა) ნაწილაკდართულიც (ფ. ერთეულიშვილი 1963:142-146). თანამედროვე ქართულში გავრცელებულია ნაწილაკდართული ფორმა (იქვე:147).

კითხვითი ზმნიზედები (სო, სოდე =სად?) მიმართებითობის ფუნქციით მეგრულშიც გამოიყენება.

<sup>1</sup> მეგრული -თ(ი) და ქართული -ც(ა) ნაწილაკების მიმართებაზე უკვე გვქონდა საუბარი.

მეგრული სოთი/სოდეთ და ქართული სადაც მიმართებითი ზმნიზედების ფარდი სვანური ფორმა ქართულ-მეგრულ ფორმებთან ფონეტიკურ შესატყვეისობას ვერ ავლენს, მაგრამ აღნიშნული მიმართებითი ზმნიზედის მორფოლოგიური აგებულების მოდელი სამივე ქართველურ ენაში ერთნაირია: კითხვითი ზმნიზედა+ნაწილაკი: სა-და-ც – სო-თი//სო-დე/თ – იმ/ვამ.

სოლე (=საითკენაც/საითაც/საიდანაც) მიმართებით ზმნიზედაში -ლე იგივე ელემენტი უნდა იყოს, რაც გა-ლე, მე-ლე, მო-ლე, დინაზა-ლე, თუდო-ლე, წოზო-ლე, უკაზა-ლე ზმნისართებში გვაქვს, შედრ.: ქართული -რე: გა-რე, ქვემო-რე (ნ. აძესაძე 1965:242, ან. კიზირია 1982:235).

სოლეშე (=საითკენაც, საიდანაც) ზმნისართში გაქვავებულია დაშორებითი ბრუნვის ნიშანი -შე, შედრ.: გალე-შე, უკაზალე-შე ზმნისართები, რომლებშიც ასევე გამოიყოფა -შე ელემენტი (დაშორებითი ბრუნვის ნიშანი) (ან. კიზირია 1982:235).

დაშორებითი ბრუნვის ნიშნის ქვალი სოცურეშე (=საიდანაც, საითკენაც) ზმნიზედაშიც ჩანს, ოღონდ აქ ის თანდებულიან ფორმას ერთვის. სოცურეშე გამარტივებული ფორმაა სოჭურეშე (=საიდანაც) ზმნიზედისა, ხოლო თავად სოცურეშე გამარტივების შედეგად იძლევა სოცურე//სოვრე (=საიდანაც/საითკენაც) ფორმას (შედრ.: თაქილურე>თაურე, თექილურე>თეურე (ან. კიზირია 1982:233)).

სოქაშ (=სანამდე) ზმნისართიც რთულია: სო-ქი-შა. დართული და შეხორცებული აქვს მიმართულებითი ბრუნვის ნიშანი -შა.

სოქაშ'ს გამარტივებული სახეა სოიშ (=სანამდე). „ქართულის -მდე თანდებულიანი დროის გარემოების ფარდად მეგრულში „ხ“ თანდებულიანი მიმართულებითი გვაქვს, მაგ-

რამ „ხ“ ხშირად იკარგება (ან. კიზირია 1982:265), ამიტომ  
სოქიშახ>სოქიშა, სოიშახ>სოიშა;

სოიშა ზმნისართი შეიძლება კიდევ მეტად გამარტივდეს:

სოშა (=სანამდე), რომელსაც -ხ (=მდე) თანდებულიანი  
პარალელური ფორმა მოეპოვება: სოშახ.

სოიშაბ ზმნისართი ზოგჯერ -თ(ი) ნაწილაკს დაირთავს:  
სოიშაბი//სოიშახთ. „ხ“ თანდებული არა მარტო დროის,  
არამედ ადგილის აღმნიშვნელ ზმნისართებთანაც იხმარება,  
შდრ.: ეკოხ//ეკოხო, დიკონ//დიკონი, დინონ//დინონი (ან. კი-  
ზირია 1982:265).

სონდარო//ონდარო//ოდო მიმართებითი ზმნიზედის შესატ-  
ყვისია ქართული ვიღრე და სვანური – ვოდდო//ოდდო. სვა-  
ნურ ფორმაში „ვ“ განვითარებულია, გამოიყოფა აგრეთვე  
უარყოფითი ნაწილაკი -დო (ნ. აბესაძე 1962:130). 6. აბესა-  
ძეს შესაძლებლად მიაჩნია ქართული ოდეს, სვანურ ოდ და  
მეგრული ოდო//ონდო („ნ“ განვითარდებოდა დ-ს წინ) ფუძე-  
ების დაკავშირება (იხ. 6. აბესაძე 1962:130),

აღნიშნული მიმართებითი ზმნიზედა მეგრულში იშვიათად  
გამოიყენება, -თ(ი) ნაწილაკს არ დაირთავს.

მუ დროს (=როდესაც//რა დროს(აც))“ იშვიათად  
გვხვდება, გამარტივებით იძლევა მულოს ფორმას (ი. ყიფშიძე  
1914:228). შედგება მუ=რა? კითხვითი ნაცვალსახელისა და  
ქართულიდან ნასესხები დროის აღმნიშვნელი ლექსიკური  
ერთეულის მიცემითი ბრუნვის ფორმისაგან – „დროს“. „დროს“ შეიძლება ჩაენაცვლოს „დროის“ აღმნიშვნელი სიტ-  
ყვა „ბორჯი“<sup>1</sup> იმავე მიცემითი ბრუნვის ფორმით: ბორჯი-ს;  
საკავშირებელი სიტყვა იქნება შემდეგი სახის: მუ ბორჯის  
(=რა დროს(აც)). მუ დროს და მუ ბორჯის მიმართებითი  
ზმნიზედები -თ(ი) ნაწილაკს არ დაირთავენ.

<sup>1</sup> იხ. ი. ყიფშიძე 1914:207,300.

მუჟამსით (=როდესაც „რა უაშსაც“) აგებულებით პგავს მუ დროს/მუ ბორჯის მიმართებით ზმნიზედებს, რადგან მუ (=რა) ასევე დროის აღმნიშვნელ სიტყვას (უამი)<sup>1</sup> დაირთავს, ოღონდ, მათგან განსხვავებით, გამოყენების სიხშირითა და ფორმათა ნაირგვარობით გამოირჩევა. აღნიშნული წევრ-კავშირის შემადგენლობაში „უამი“ ხან ფუძის სახითაა მოცემული, ხანაც სახელობითის, მიცემითის ან მიმართულებითის ნიშნებს დაირთავს. ამ უკანასკნელს შედარებით იშვიათად; აღნიშნული მიმართებითი ზმნიზედა შემდეგი სახით გვხვდება: მუჟამ//მუჟამ//მუ უამი//მუჟამში(ხ). როგორც მოსალოდენლი იყო, -ს თანდებული მიმართულებითი ბრუნვის ფორმასთან იკარგება.

ცნობილია, რომ მს ბგერათკომპლექსი ზუგდიდურ კილოკავში მც'ში გადადის (ს. ყლენტი 1953:156). ამ ფონეტიკური წესის შედეგად არსებობს პარალელური ფორმები: მუ-უამს//მუჟამც//მუჟამც<sup>2</sup>.

-თ(ი) ნაწილაკი დაერთვის მიცემითი ბრუნვის ფორმას და მიმართებითი ზმნიზედა შემდეგ სახეს იღებს: მუ-უამსგთ(ი)//მუჟამცგთ(ი).

მუშ მამლას (=როგორ ჩქარა//რის მასწრაფად“) ტიპის მიმართებითი ზმნიზედა სხვა ქართველურ ენებში არ მოიპოვება. ამ ზმნიზედის პირველი შემადგენელი ნაწილი კითხვითი ნაცვალსახელია, რომელიც ნათესაობითი ბრუნვის ფორმითაა მოცემული (მუ-შ „რის“), მამლას – თანაბრობითი ხარისხის ფორმაა მალი (=სწრაფი) ზედსართავი სახელისა, მა-ა კონფიქსით ნაწარმოები, რომელსაც ემატება მიცემითი ბრუნვის ნიშანი (მ-მალ-ა-ს). ზედსართავის თანაბრობითი ხარისხის ორგანული წარმოება მხოლოდ მეგრულს ახასიათებს (ი. ყიფშიძე 1914:034; გ. როგავა 1958:99-105).

<sup>1</sup> იხ. ი. ყიფშიძე 1914:207,300.

<sup>2</sup> გ განვითარებულია (იხ. ამის შესახებ მ. ციკოლია 1954:327).

„მამალას“ შეიძლება შეიცვალოს სხვა ზედსართავის თანაბრობითი ხარისხის ფორმით: მა-ჩქარ-ა-ს, მა-(ნ)-წარ-ა-ს და ა. შ.; თანაბრობითი ხარისხის ფორმა შესაძლოა ფუძევა-ორკეპებულად იყოს წარმოდგენილი: მუშ მამალა-მამალას.

ნამუ შვანს (=რომელ//რა დროს) რთული აგებულებისაა. შედგება ნამუ (=რომელი) კითხვითი ნაცვალსახელისა და შვან<sup>1</sup> დროის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულისაგან. ნ. აბესაძეს შესაძლებლად მიაჩნია მეგრული „შვან“ ფუძის სემანტიკური ერთეულის დაკავშირება სვანურ „შომ“ ფუძესთან, რომელიც ასევე დროის გაგებას შეიცავს (ნ. აბესაძე 1962:128). ნამუ შვანს არ დაირთავს -თ(ი) ნაწილაკს<sup>2</sup>; იშვიათად გამოიყენება.

ნამუ განიშე (*=საიდანაც/რომელი მხრიდანაც*) ასევე კითხვითი ნაცვალსახელისა და დამოუკიდებელი მნიშვნელობის გან- სიტყვისგან შედგება, რომელსაც შეხორცებული აქვს დაშორებითი ბრუნვის ნიშანი (-იშე): განიშ=მხრიდან (იხ. იყიუშიძე 1914:213), ამიტომ ეს მიმართებითი ზმნიზედა გამოსვლითობას გამოხატავს.

მეგრულში სოდეთ (*=სადაც*) წევრ-კავშირის მნიშვნელობით გამოიყენება სოდგა//სოდგა//სოგიდა //სოლუვიდა (*=სადლაც*) განუსაზღვრელობითი ზმნისართი, რომლიც ასევე სოუძის შემცველია.

მიღმაცუნი, სოდგა მა იბდეე (ყ. 48,29) (*=წამომყევი, სადც მე წავალ*).

ამავე ფუნქციითაა გამოყენებული სოთხანი//სოთხანითი ლაზურშიც (ლ. ფაჩულია 1997:92) (მაგალითი იხ. იქვე).

<sup>1</sup> „შვან“ ფუძე მეგრულში, გარდა ნამუ (=რომელი) კითხვითი ნაცვალ-სახელისა, შეიძლება მოცემული იყოს ჩვენებით ნაცვალსახელთანაც: ათე შვანს (=ამ დროს) (ტ. II, 98, 15-16).

<sup>2</sup> მეგრულისაგან განსხვავებით, სვანურში მომ- ფუძე დაირთავს მიმართებითობის მაწარმოებელ ნაწილაკს: შომ-უმ (ნ. აბესაძე 1962:128).

მეგრულში მთავარ წინადადებაში კორელატებად მოცემულია თიწეუშ და თიწეულა დროის ზმნიზედები. ი. ყიფშიძის მიხედვით, ამ ფორმებში გამოიყოფა წკალა//წკელა, წკუმა//წკემა თანდებულები, ქართული თან’ის ფარდი, რომლებიც გაუფორმებელი ნათესაობითის ფორმას დაერთვიან: თი-წკემა (ი. ყიფშიძე 1914:121).

როგორც ვ. თოფურიამ გაარკვია, პირვანდელი სახე ამ თანდებულებისა არის კალა//კელა//კუმა, რომლებიც დაერთვიან არა გაუფორმებელ, არამედ გაფორმებულ ნათესაობითს და ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის -შ ელემენტისა და თანდებულის თავეკიდური კ’ს შერწყმის შედეგად, ბუნებრივი ბგერათომპლექსების მიღების მიზნით, შკ იქცა წქ’დ (ვ. თოფურია 1937:119-121).

## გ 2. ქეწყობილი წინადადებას შემაღენჯლ კომპონენტთა განლაგება

მეგრულში რთული ქვეწყობილი წინადადების შემაღენელ კომპონენტთა განლაგების ოთხ შესაძლო შემთხვევაზე (მთ.+დამოკ., დამოკ.+მთ., მთ.+დამოკ.+მთ., მთ.+დამოკ.+კორ.) უკვე გვქონდა საუბარი, როცა განვიხილეთ მთავარ და დამოკიდებულ წინადადებათა განლაგების საკითხი მიმართებითნაცვალსახელიან ქვეწყობილ წინადადებაში. მიმართებითზმნიზედიან პიპოტაქსურ კონსტრუქციაშიც იგივე ვითარებაა, ოღონდ ცალკეული მიმართებითი ზმნიზედის შემცველი დამოკიდებული წინადადების პოზიცია მთავრის მიმართ შეზღუდულია; ასევე განსაზღვრულია თავად მიმართებითი ზმნიზედის ადგილი დამოკიდებულ წინადადებაში, ხოლო კორელატისა — მთავარში.

მეგრულში მიმართებითზმნიზედიან რთულ ქვეწყობილ წინადაღებაში მთავარ და დამოკიდებულ წინადაღებათა განლაგების ზემოხსენებული ოთხი შესაძლო შემთხვევა დასტურდება მაშინ, როცა დამოკიდებულ წინადაღებაში მოცემულია შემდეგი მიმართებითი ზმნიზედები: სოდეთ (=სადაც), მუჭანსით (=როდესაც//როცა//,,რა უამსაც“), მუჭოთ (=1. როგორც, 2. როგორც ეი).

ნამუ შვანს (=რომელი//რა დროსაც), მუ დროს/მუ პორჯის (=რა დროსაც), ნამუ განიშე (=რომელი მხრიდანაც) წევრ-კავშირიანი დამოკიდებული ყოველთვის პირველ აღგილზე დგას. ასევე, ძირითადად უსწრებს მთავარის მუშ მამდლას (//მაჩქარას//მანწარას... (=,,რის მასწრაფად“/რა სიმწარითაც...) და სონდარო//ონდარო//ოდო (=სანამ, სანამდე) მიმართებითზმნიზედებიანი დამოკიდებულიც; იშვიათად სონდარო//ონდარო//ოდო წევრ-კავშირიანი დამოკიდებული ინტერპოზიციაში, ხოლო მუშ მამდლას მიმართებითზმნიზედიანი დამოკიდებული მთავრის მომდევნოდ დასტურდება. წევრ-კავშირები: ნამუ შვანს, მუ დროს/მუ პორჯის გამოცემულ ტექსტებში უკორელატოდაა წარმოდგენილი, ხოლო ნამუ განიშე, მუშ მამდლას საკავშირებელ სიტყვებს სპეციფიკური კორელატები (ირ დიბაშე, თიშ მამდლას) მოეპოვებათ და კონსტრუქციის ბოლოს არასოდეს არ იკავებენ აღგილს.

### მთავარი+დამოკიდებული

იდუ, იდუ დო თი სახენწიფოში ქიმერთუ, სოდეთი ხენწიფეში ცირასქუა ღურუდუ (=იარა, იარა და იმ სახელმწიფოში მივიდა, სადაც ხელმწიფის ქალიშვილი კვდებოდა) (ტ.II,326,1-2).

თექ ქიგიასერგ, სოდეთ თე ბოში ჯანგდგნ (=იქ შემოაღმდა, სადაც ეს ბიჭი იწვა) (ტ.II,106,8).

ოსურქ კითხე, მუჟანსგთ კოჩქ გაათუ რაგადინი... (ხ.,17,11) (=ქალმა პეითხა [ამბავი], როცა კაცმა გაათავა ლაპარაკი);

ოჭუმარეს თეში ქიიცუ ირფელქ, მუჭოთ ცირაქ უწუნდ  
(=დილას ისე მოხდა ყველაფერი, როგორც ქალიშეილმა უთ-  
ზრა) (ტ.II,184,37);

ცხადიცალო თოლს აწმორე, ცხადოთ თვალწინ მიღვას,  
მუჭო ქეშმაყვინთუნი. როგორც კი ჩამეთვლიმება.  
(ტ.I,70,32).

თიშ მანწარას ქაჩუ ბაღანას, მუშ მანწარას ვეგმიმეტენ-  
დუ ბენდეა ჯოღორინ (=ისე მწარედ/, „იმის სიმწარით“ უკბინა  
ბავშვს, როგორ მწარედ(აც) არ გაიმეტებდა ცოფიანი ძალ-  
ლი);

დამო კიდებული + მთავარი

სოდეთ უთითუ ხოჭოქენი, თაქ ქენორე ცხენი (=სადაც მი-  
უთითა ხოჭომ, იქ/, აქ“ არის ჩამდგარი ცხენი) (ტ.II,326,23);

სოდეთ მიოწურესგნი, თი არდვილს იოჩირთუ (=სადაც  
მიასწავლეს, იმ ადვილს ვერ მიაგნო,,აცდა“) (ტ.II,85,30);

მუჭანსეთი ირი კოც რხინი უღუდენი, ხენწიფექ ზოჯე  
(=როცა ყველას („ყველა კაცს“) მხიარულება („ლხენა“)  
ჰქონდა, ხელმწიფებ ბრძანა) (ტ.II,308,31-32).

მუჭოთ პირველი ძღაბიწკალა ლეკური აშედე შქასგნ,  
თეშ ქაშედე ლეკური თაქ ხოლო... (ტ.II,206,4-6) (=რო-  
გორც პირველ გოგოსთან ჩაიდო შუაში ხმალი, ისე ჩაიდო  
ხმალი აქაც).

ნამე შვანს გვერშაპი დოცვილესგნი, ე ძღაბიქ გეხარუ..  
(=როცა,,რომელ დროსაც“ გველეშაპი მოკლეს, ამ გოგომ  
გაიხარა...) (ტ.II,102,33-34);

მუ დროს სი ვა გორწყექინი, როდესაც ც, რა დროსაც“)  
შენ ვერ გხედავ,

მისხუნ რინაშა დინაფა. ყოფნას მოჩჩენდა დაკრეცვა.  
(ხ., 319,10)

მუ ძორჯის ქმნემოსხაპანქიე, ეფერი-ეფერი მართახი  
ქიგგმაშქვია, ნამდა ართი შორტი ტყები ართი ცურე გემონ-

წევია.. (ტ. II,54,23) (=როცა „რა დროს“ შემომახტებიო, მათ-რახი ისე/, ისეთ-ისეთი“ დამარტყო, რომ ერთი შოლტი ტყა-ვი ერთ მხარეზე ამაძვრეო);

სონდარო თენენს უირხოლოს ვაბძირუნქენი, სი შური გადგენუნია დო მა მითინც ოსურო ვავაცუნუქია (= სანამ ამათ ორივეს [ერთად] არ ვნახავ, შენ ცოცხალი იქნები („სული გედგმება“) და მე არავის ცოლად არ გავუვებიო) (ტ. II,174,15);

მუშ მამალა-მამალას თქუანქიე, თიშ მამალას ოკო ფჩა-ნიე ოდიარე (ზ. 123,21-22) (=როგორ სწრაფუ-სწრაფუად/, რის მასწრაფა-მასწრაფად“ იტყვიო, ისე სწრაფად/, იმის მასწრა-ფად“ უნდა მაჭამონო ბალაზი);

ნამუ განიშე მიეუულუ, ირ დინხშე კილერი (რ)დუ კარი (=რომელი მხრიდან(აც) მოუარა, ყველა მხრიდან დაკეტილი იყო კარი).

მთავარი + დამო კიდებული + მთავარი

...მაჟია ჭირხინიში დოჭყაფაშა, სოდე თი რაში ჯანუდგნ, თექ ქოდოლგ (=მეორე ჭირხვინის დაწყებამდე, საღაც ის რა-ში იწვა, იქ გაჩნდა/ „დავარდა“) (ტ. II, 114, 11-12);

თი სახენწევოს, სოდე თე კოჩიშ სქუა დგ ხენწიუენი, შექირენა ოზღოდგანდგ კათას (=იმ სახელმწიფოში, საღაც ამ კაცის შვილი იყო ხელმწიფე, შიმშილი მუსრს ავლებდა ხალხს) (ტ. II, 100, 25);

...დედუბიქ... ელუნწყუუ ნაცა-ტუტას დო, მუჭამც თი ბო-შიქ დუდევი გეგნოჭკურუნი, უი ქიგნაარღგ ნდემც (ტ. II, 44, 15-16) (=დედაბერმა ნაცარ-ტუტაში ჩაუშვა (ჩაყო) [კეცი] და, როცა მიჭმა [დევის] თავები გადაჭრა, ზედ მოაყა-რა დევს);

თი მეღვევექ, მუჭოთი სანარტიაქ დუუჩინგნი, თეში ქოქი-  
მინგ... (=იმ მეღორებმ, როგორც „სანარტიაშ“ დაუბარა, ისე  
გააკეთა „ქნა“) (ტ.Π,222,27);

სანარტიაქ, მუჭოთი ქემორთუნი, კითხე მუში მაცალეს  
დო ძიძეს (=სანარტიამ, როგორც კი მოვიდა, ჰკითხა თავის  
ამზანაგს და ძიძას) (ტ.Π,222,29);

მავა, სონდარო ქომიღუნიე ჩქიმი შქეილი დო საგანიე, ის  
დოფუთხილანქია (=მეო, სანამ მაქვს ჩქიმი მშვილდი და ისა-  
რიო, მას მოვმწყემსავო) (ტ.Π,166,8).

მთავარი+დამოკიდებული+კორელატი

იღვ ქოჩორაქ დო ქიმერთუ, სოდეთ რაში გოუტუუნი,  
თექს (=იარა ქოჩორამ და მივიდა, საღაც რაში გაუშვა, იქ) (ტ.Π,76,31);

იღვ მაფაში სქუაქ დო ქიმერთუ, სოდეთ რაში გოუტუუ-  
ნი, თი არდვილიშა (=იარა მეფის შვილმა და მივიდა, საღაც  
რაში გაუშვა, იმ ადგილთან) (ტ.Π,78,20);

ტყაშკოჩქ გინილგ დო მოლართუ, მუჟანსით თე ამბე გვ-  
ეგვ, თიძე უანს (=ტყის კაცი „გადმოვიდა და“ წამოვიდა,  
როცა ეს ამბავი გაიგო, მაშინვე „იმ დროს/უამს“).

...დასურო ქემოგგ დუდეფი, მუჭო თე ძლაბიქ უწუუნ,  
თეშ (=მართლაც [მესრებზე] წამოგებულია თავები, როგორც  
ამ გოგომ უთხრა, ისე) (ტ.Π,204,34-35);

დასურო ქიმიოგეს ოსხაპური, მუჭო ჭკომუა გაათუესინი,  
ხათე (=მართლაც, დაუკრეს საცეკვაო, როგორც კი ჭამა და-  
ამთავრეს, მაშინვე).

კორელატის დასმა ქვეწყობილი წინადადების ბოლოს და-  
დასტურებულია ქართული ენის დიალექტებშიც. მაგ.,

ასწავლა, რაგარც უთხრა, ისე (ქართ., დიალექტ., ზ/გუ-  
რული, 435,8);

...იუქე, რავარც ჩვენ უქმოფთ, ისთვით (იქვე, ქვეგურული, 428,32);

მიმართებითზმნიზედიანი ქვეწყობილი წინადაღება ერთი თავისებურებით ხასიათდება ქართველურ ენებში. კერძოდ, დამოკიდებული წინადაღება შეიძლება უპრედიკატო იყოს. მთავარი წინადაღების შემასმენელი გაიაზრება დამოკიდებულის პრედიკატად და ერთნაირი შემასმენლების განმეორების თავიდან აცილების მიზნით ხდება დამოკიდებულში პრედიკატის გამოტოვება. ასეთი მოვლენა დადასტურებულია ძველ ქართულში (ან. კიზირია 1969:139), აგრეთვე საერო ლიტერატურის ადრინდელ ძეგლებსა (ლ. აბზიანიძე 1977:119) და თანამედროვე ქართულშიც (ლ. კვაჭაძე 1966:397, აკ. შანიძე, ლ. კვაჭაძე 1974:103).

ამგვარი წინადაღება იძლეოდა საბაბს, რომ გაგებული ყოფილიყო შერწყმულ წინადაღებად (აკ. შანიძე 1973:133). მიუხედავად იმისა, რომ იგი შერწყმული წინადაღების ტოლფარდი ჩანს, კონსტრუქციით ქვეწყობილის შეკვეცილი სახეობაა (გ. როგავა 1948:370).

მეგრულშიც ამ ტიპის წინადაღებები ქართულისებურად აღიქმება;

უშემასმენლო დამოკიდებულის ადგილი, მისი წარმოქმნის მიზეზიდან გამომდინარე, მხოლოდ მთ.+დამოკ. თანმიმდევრობით უნდა ყოფილიყო შემოფარგლული, მაგრამ მთავარ და დამოკიდებულ კომპონენტთა განლაგების სამივენაირ რიგს თანაბრად ავლენს. მაგ.,

მთ.+დამოკ.

ჩონგურეფი ბრელი სორგუ,

ძუჭოთ ჯვეში ბარაბანი.

ჩონგურები ბევრი ყრია,

როგორც ძველი ბარაბანი.  
(ჭ.I,339,33).

დამოკ.+მთ.

მუჭოთ მანი, ბრელი შხვეფი ჩილამურით გილენგარა (=როგორც მე, ბევრი სხვებიც (დადიან და) ცრემლებით ტი-რიან) (ტ.I,298,1);

მთ.+დამოკ.+მთ.

ასე სი, მუჭოთ პაპანი, შიაგონი... (=აზლა შენ, როგორც მღვდელი, შეაგონე) (ტ.II,314,18).

ამრიგად, თანმიმდევრობა დამოკ.+მთავარი ყველა მიმარ-თებითი ზმნიზელის შემცველი ქვეწყვილი წინადადებისთვი-საა დამახასიათებელი. საკუთრივ მიმართებითი ზმნიზედა ჩეე-ულებრივ დამოკიდებული წინადადების თავში დგას, მაგრამ შეუძლებელი არ არის შეუში მოქცევაც, თუმცა ეს ყველა ზმნიზედაზე არ ვრცელდება.

### გ 3. დამოკიდებულ წინადადებით ტიპები

მეგრულში დასტურდება სხვადასხვა სახის მიმართებით-ზმნიზედიანი დამოკიდებული წინადადება. სიხშირითა და სა-კავშირებელ საშუალებათა სიუხვით გამოირჩევიან ადგილის, დროისა და ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადა-დები. ადგილისა და დროის გარემოებით დამოკიდებულ წი-ნადადებებს ზოგჯერ საზიარო წევრ-კავშირიც მოეპოვებათ. მიმართებითი ზმნიზედები განსაზღვრებით დამოკიდებულ წი-ნადადებასაც აერთებენ მთავართან.

მიმართებითზმნიზედიან დამოკიდებულ წინადადებაშიც კონკრეტულ წევრ-კავშირთან ერთად გამოიყენება -ნი (=რომ) კავშირი, რომელიც დამოკიდებული წინადადების ბოლო წევრს დაერთვის და წევრ-კავშირის მნიშვნელობას აძლიე-რებს. მაგ., სოდეთ.. ნი (=სადაც... რომ), მუჭოთ... ნი (=რო-გორც... რომ) და ა. შ. ამგვარი გაორმაგებული კავშირები - სადაც რომ, როგორც რომ... ჩვეულებრივია დიალექტებში.

ადგილის გარემოებითი დამოკიდებული წინადაღების წევრ-კავშირებია: სო//სოთი//სოთვ (=სადაც), სოდე//სი-დე//სედე//სოდეთ(ი)//სიდეთ(ი) (=სადაც), სოლე//სოლეშე//სოლურეშე//სოლურე//სოლურე//სოვრე (=საითქენაც, საიდანაც), სოიშხვთი//სოქმა//სოიშა (=სანამდე), ნამე განიშე (=რომე-ლი მხრიდან(აც), საიდანაც) მიმართებითი ზმნიზედები.

სო//სოთი//სოთვ (=სადაც) მიმართებით ზმნიზედას მთა-ვარში კორელატად შეეფარდება ადგილის ზმნიზედები: აქ//თაქ//თაქინე//ათაქ//ათაქინე<sup>1</sup> (=აქ) – შედარებით იშვიათად, ექ//თექ//თექინე//ეთექ//ეთექინე//ეთექინეშე<sup>2</sup> (=იქ) – უფრო ხშირად. ცალკეულ მაგალითებში დასტურდება: აშო (=აქეთ), თიშა(ხ) (=იქამდე), თექ ოლე (=იქ//იქავე). მაგ.,

სი სო დინგქნი, თექს ბდინგქს მათია (ყ.63,16) (=შენ სადაც დაიკარგები, იქ დავიკარგები მეცო);

სოთვ აწოხვადგნანო, სადაც შეხვდებიან,

თექს რჩუნა ყახახისე. იქ ძარცვავენ გლეხს.

(ტ.I,229,29).

სოდე დუდი ინტირენტ, უქ ტანი ხოლო გითინტირე (=სა-დაც თავი დაეტევა, იქ ტანიც გაეტევა(ო) (ტ.II,443,11).

ჩჩვერიში კაქალიაშ მაშხვა სინათლე სოდეთ იცუაფუნ, თექ იპიქია მავა... (ხ.,50,30-31) (=ღომის მარცვლის ოდენა სინათლე სადაც იქნება, იქ ვიქნებიო მეო).

სოდეთ უთითუ ხოჭოქუნო, თაქ ქენორე ცხენი (=სადაც მიუთითა ხოჭომ; აქ არის ჩამდგარი ცხენი) (ტ.II,326,32);

<sup>1</sup> მოცემულ ფორმებში გამოიყოფა ა- პრეფიქსი, რომელიც I პირთან საგნის სიახლოების გამომხატველია (ც. თოვეურია 1941:194).

<sup>2</sup> ანალოგიური წარმოებისაა „თექ“ და მისი ფონეტიკური ვარიანტები, ე-პრეფიქსი III პირთან სიახლოების გამოხატვას. ძირეული ქს შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში საგანგებოდა აღნიშნული. ამ საკითხზე სპეციალური ლიტერატურის სია იხ. ან. კიშირია 1982:233)

სოდეთ დიშაძუ დიდი ქუა..., საღაც დევს (შუაში) დიდი ქუა...,  
თაქ ეთმურსი წყითე წყარი აქ ამოდის მლაშე წყალი.  
(ტ.I,327,7).

ქმორთეს, სოდე თე ოსურეფი დიიტუ გიორგიქენ, თი-  
შა[ხ] (=მოვიდნენ, საღაც ეს ქალები დატოვა გიორგიმ, იქამ-  
დე) (ტ.II,208,42).

ზოგჯერ მთავარ წინადაღებაში კორელატი მოცემული არ  
არის, მაგრამ დამოკიდებული წინადაღების ტიპი მაინც გარ-  
ეცელია, რადგან თავად მიმართებითი ზმნიზედის სო- ფუძე  
აღნიშნავს აღგილს, შედრ.: ქართული სა-და, რომელიც „თა-  
ვისთავად აღგილის ზმნიზედაა და მხოლოდ აღგილის საზე-  
ლების ნაცვლობას ეწევა“ (ფ. ერთელიშვილი 1963:114);  
მაგ.,

მა, სიღე გაჩემებელი იცინ, [თექ] ჩქიმით გაფრჩენდუქია  
(ხ.123,17) (=მე, საღაც გასაჩერებელი იქნება, [იქ] ჩემით  
გავჩერებიო);

მე უერი ჯადო მიღუნია, სოდეთ მეუროვნ, [თექ] ირფე-  
ლი ქმაშინანია (=მე ისეთი ჯადო მაქვსო, საღაც მივაღო,  
[იქ] ყველაფერს ვიშოვნითო).

სოლე, სოლეშე, სოლურეშე (და სხვა მისგან მომდინარე)  
ზმნისართები გამოხატავენ როგორც მიმართულებას, ასევე  
გამოსვლითობას<sup>1</sup>.

ა) გამოხატავენ მიმართულებას:

სოლე (=საითაც, საითექნაც) – თეურე (=იქითკენ), ეთე-  
ურენ მხარეშე (=იქითა მხრისკენ) მაგ.,

სოლე გისხუნუნ, თეურე მეუა (ხ.94,32) (=საითაც გირ-  
ჩევნია, იქითკენ წადიო).

<sup>1</sup> დაშორებითი ბრუნვის ფორმები (სოლე-შე, სოლურე-შე) მეგრულში  
გამოიყენება მიმართულებითი ბრუნვის ფუნქციითაც. დაწვრ. იხ. არნ.  
ჩიქობავა 1936:6; ა. ლომთაძე, 1973:121, 1987:91.

სოლე დაჩხირი გურჩქინდენ, ეთუერუნ მხარეშე ართო ულისქი ენოსორგუნია ორქო დო ვარჩხილი (ჩ.,289,6) (=საითაც ცეცხლი (გა)უჩნდება, იქათა მხარეს,,მხრის,კენ“ დახვა-ვებულია ოქრო და ვერცხლი);

სოლე წევრ-კავშირიანი ქვეწყობილი წინადაღება შეიძლე-ბა უპორელატოდაც იყოს წარმოდგენილი:

...სოლე თეს იუუნანქენ, ირი ცხოველი თე ჯოგეფიში, ირფელი ართო თეს ეკოცუნს (=საითაც ამას წაიყვან, ყველა ცხოველი ამ ჯოგისა, ყველაფერი ერთად ამას მიჰყვება [იქთკენ] (ტ.,II,112,5-7).

### სოვრე-თვერე

სოვრე მიკივრთი, თვერე იკივრთი (=საითაც გავიქეცი, იქთ წავიქეცი) (ტ.,II,443,17);

ბ) გამოხატავენ გამოსვლითობას:

თავისუფალიე ხალხი, წყარი სოლე ოქოდეს, თეურე გი-ლედესკონ (=თავისუფალია ხალხი, რომ წყალი, საიდანც უნდოდათ, იქიდან შეეძლოთ წაელოთ).

სოლეშე მორთუ, თეურე მიდართასია (=საიდანც მოვიდა, იქთკენ წავიდესო).

### სოცურეშე – თეურეშე

სოცურეშე თურქი მიიშენი, თეურეშე ურულულანი, აშო ქაწონვალამუნა შხვა კათა მარტინჯეფი... (ტ.,II,26,19) (=საიდანაც თურქი მოდიოდა, იქთკენ რომ გაქცეულან, აქით შე-მოხვდომიათ სხვა ხალხი – ლტოლვილები...).

### სოურე – თეურე

თე სოურე გართინალიდენი, თეურე თე უირ ჯიმაქ მი-დართეს... (ჩ.,232,19-20) (=+ამ) საიდანც დაბრუნება შეიძ-ლებოდა, იქთკენ ეს ორი ძმა წავიდა);

სოიშახთი//სოქიშა//სოიშა (=სანამდე) გამოხატავს მი-წევნითობას. კორელატები: თეიშახე//თექიშა//თეიშა (=იქამ-დე); მაგ.,

ართი დიდი ლოდი ტყვიას ქაცოთანსე ათე მაფაში ოსუ-  
რისქეა თეიშახე, სოიშახთო თოფიში ტყვიას მიართენი  
(ყ.48,23) (=ერთი დიდ ლოდივით ტყვიას ისვრის ეს მეუის  
ქალიშვილი იქმდის, სანამდე თოფის ტყვიას მიესვლება).

კორელატი ზოგჯერ გამოტოვებულია:

სერით მუზარბით მუში ზანთით თხილანდე, სოქიშა იში  
ხუმა ქიმიანჭულუნი, მუში ღუმალას (=ღამით მუზარბით თა-  
ვისი ყვირილით იცავდა, სანამდე მისი ხმა მისწვდებოდა,  
[იქამდე] თავის სამფლობელოს) (ტ. II,38,5);

ნამუგანიშე (=რომელი მხრიდანაც, საიდანაც) გამოხა-  
ტავს გამოსვლითობას.

...ნამუგანიშე აუ სხაპილქენ, ირო თეშინეშე მოხვად მი-  
ნულაქ უკული ხოლო (ხ.,26,13) (=რომელი მხრიდანაც/საი-  
დანაც მოუხდა ჩახტომა, ყოველთვის იმ მხრიდან უხდებოდა  
შესვლა მერეც).

სოიშახთო//სოქიშა//სოიშა (=სანამდე) ზმნისართი, გარდა  
ადგილისა, დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადაღების  
წევრ-კავშირიც არის. დროსა და ადგილს გამოხატავს აგ-  
რეთვე აღნიშნული წევრ-კავშირის ქართული ფარდი „სანამ-  
დე“.

მომინჭით თი კეტეფი, სოიშა კოჩი ვეკვოცოთე, თექშა-  
ხია (=მირტყით ის კეტები, სანამ კაცი არ ამოვაგდო, მანამ-  
დის) (ტ.II,178,23).

ერთი და იმავე საკავშირებელი საშუალებით ორი სხვა-  
დასხვა ტიპის – ადგილისა და დროის გარემოებითი დამოკი-  
დებული წინადაღების დაკავშირება მთავართან არ იქნება  
მოულოდნელი, თუ გავითვალისწინებთ, რომ ისტორიულად  
სივრცისა და დროის აღნიშვნა ერთმანეთთან კავშირში  
იყო. კერძოდ, სივრცის აღნიშვნა პირველადია, დროისა – მე-  
ორეული: „სივრცეში კორელაცია წინ უსწრებდა დროში დე-  
ტერმინაციას“ (არნ. ჩიქობავა 1945:490). ამგვარი შემთხვე-

ვის დროს კონტექსტის საშუალებით დგინდება, რა სახისაა დამოკიდებული წინადაღება. ამიტომ კორელატის გამოტოვება ვერ იწვევს ორაზროვნებას;

ადგილის გარემოებითი:

სანარტიაქ ოცია უწუუ დო ქოთი მიღაცუნგ, სოიშებგთო ოკორდგნი (=სანარტიამ თანხმობა უთხრა და კიდეც წაჰყვა [იქაძღვ], სანაძღვუ უნდოდა) (ტ.II,220,9);

დროის გარემოებითი:

დუს ვადაანებენს, სოიშ მუ შიალებენი შურო (=თავს არ დაანებებს [მანაშ], სანაშ რაიმე შეეძლება) (ტ.II,25,10).

დროის გარემოებით დამოკიდებულ წინადაღებას მთავარ-თან აერთებს აგრეთვე შემდეგი მიმართებითი ზმნიზედები: მუ- უამს//მუუამც//მუუამსით//მუუამს//მუუამსით (=როცა,,რა უამს“), სონდარო//ონდარო//ოდო (=სანამ), მუ დროს//მუდოს, მუ ბორჯის (=როდესაც,,რა დროს“), მუჭო//მუჭოთ (=როგორც კი), ნამუ შვანს (=როცა/რა დროის(აც)).

მუუამს და მის ფონეტიკურ ვარიანტებს მთავარში მოე-პოვებათ კორელატები: თიწ'კმა//თიწ'კჯმა//თიმუწ'კალა (=მა-შინ).

მუუამს გემნიცუნესგნ, თიწ'კმა სუმ ძლაბეჭე გემნააცუნეს... (ჩ.,200,19) (=როცა,,რა უამს“ შემოიყვანეს, მაშინ სამი გო-გოები შემოჰყვნენ);

მუუამს თინა ოხუშა მეცუნდან, თიწ'კჯმა ცნობა ქომუჩი მავა... (ჩ.,280,25) (=როცა ის დასახვრეტად მიჰყავდეთ (იქ-ნება), მაშინ ცნობა მომეცი (მაცნობე) მეო);

მუუამსგთი მოსვანჯა მიინდომუნი, თიმუწ'კალა ქიმერთუ ათე ოჩოკოჩქ დო ცვილუა მუუკორინუუ (=როცა მოსვენება მოინდომა, მაშინ მივიდა ეს ოჩო-კოჩი და მოკელა მოისურვა [მისი]) (ტ.II,220,31-32).

ზოგჯერ კორელატი გამოტოვებულია:

მუსამს ქოთქუნ, ქემორთვ დო ქიმეჩი (ხ.,244,21) (=რო-  
ცა თქვა, [მაშინ] მოვიდა და მისცა);

სონდარო – თეიშა/ეიშა (=მანამ(დე))

მავა, სონდარო ჩქიმი რაშენს ვამიურნანქიე, ეიშა სქანი  
ოსურო ვეგნიფრთუქია (ხ.,124,33) (=მე, სანამ ჩემს რაშებს  
არ მოიყვან, მანამ(დე) შენი ცოლი არ გავხდებიო).

მე დროს, მე ბორჯის (=რა დროს(აც)) წევრ-კავშირებ-  
თან, გამოცემული ტექსტების მიხედვით, კორელატები არ  
დასტურდება:

მე დროს სი ვაგორწყექინი, რა დროს (=როდესაც)

შენ ვერ გხედავ  
მისხუნგ რინაშა დინაფა.

(ხ.,319,10)

მუდოს კვარმა სარზენს თესე, რა დროს (=როდესაც)

ყვავი ფიქრობს ამაზე,  
მელა ორწყე შორშე ჩესე.

მელა ხედავს შორიდან

თეთრს.

(ყ.,175,13)

მე ბორჯისგ ქუმნემოსხაპანქიე, ეფერი-ეფერი მართახი  
ქიგმაშქია, ნამდა ართი შორტი ტყები ართი ცურე გემონ-  
წყია... (=როცა/,რა დროს“ შემომახტებიო, მათრახი ისე  
(„ისეთ-ისეთი“) დამარტყიო, რომ ერთი შოლტი ტყავი ერთ  
მხარეზე ამაძრეო...) (ტ.II,54,23).

მუჭო/მუჭოთ (=როგორც კი) და ნამე შვანს (=როდე-  
საც) მიმართებითი ზმნიზედებით დაკავშირებული რთული  
ქეეწყობილი წინადაღების ნაწილები თანაუამიერობას გამოხა-  
ტავენ<sup>1</sup>. ქართულში ამგვარი ფუნქციით დატვირთულია „რო-

<sup>1</sup> მუჭოთ (=როგორც კი) წევრ-კავშირიანი ქეეწყობილი წინადაღების  
ნაწილები ყოველთვის გამოხატავენ თანაუამიერობას, ნამე შვანს  
(=როდესაც) წევრ-კავშირიანისა კი მხოლოდ გარკვეულ კონტექსტში.

გორც კი“ და „თუ არა“ კავშირები, ამიტომაც მათთან „კო-რელატად გამოყენებულია „მაშინვე“, სადაც -ვე ნაწილაკს შეაქვს ერთდღოულობის ნიუანსი“ (შ. ძიძიგური 1973:343). ნამუ შვანს წევრ-კავშირიანი რთული ქვეწყობილი წინადაღება გამოცემულ ტექსტებში უკორელატოდაა წარმოდგენილი. ძუჭოთ (=როგორც კი) წევრ-კავშირს შეეფარდება ხათუ, ხათუ ხოლო (=მაშინვე) და ეთიმწევა (=მაშინვე/„იმწამსევე“) კორელატები; „ხოლო“ ქართული -ვე ნაწილაკის მორფოლოგიური ეკვივალენტია, თუმცა ხათუც, „ხოლო“ ნაწილაკის გარეშე, ასევე ეთიმწევა (ამ კონტექსტში!) ქართული -ვე ნაწილაკიანი კორელატის (მაშინ-ვე) მნიშვნელობის მატარებელნი არიან. მთავარ წინადაღებაში კორელატის გამოტოვება იშვიათად ხდება.

მუჭო ქიმერთუნი, ხათუ ქსლიინჯირუ (=როგორც კი მივიდა, მაშინვე დაწვა) (ტ.II,44,22).

ჩექიმი ოსურიში ხე მუჭო ქიმქალანდუუ ხანიში სქუასუნ, ტყვია ხათუ ხოლო ტურინს გინიკათუანს ეშე... (ხ.,18,21-22) (=ჩემი ცოლის ხელი როგორც კი შეეხება ხანის შვილს – ტყვია მაშინვე ზევით ამოიწევს (ამოფრინდება);

სი მუჭო ლოიძახე, ეთიმწევა მარჯვეთ ორდა! (ხ.,101,1-2) (=შენ როგორც კი დაგიძახო, მაშინვე/„იმწამსევ“ მარჯვედ იყავი).

მუჭოთი ქსმერთუნი, ხათუ გურგინი ქიგეუდგესუ თი ცირაშა (=როგორც კი მივიდა [მეფესთან], მაშინვე დააგვირგვინეს („გვირგვინი დაადგეს“) იმ ქალიშვილთან) (ტ.II,222,8-9);

მუჭო მიმინოთე გინიირთუვე, ემერი ქიგლაფურინუა... (=როგორ კი მიმინოდ გადაიქცა, [მაშინვე] ეგერ დააფრინდა) (ტ.II,54,36);

მუჭოთი ქიგეგონეს თენა სქუალენქუნი, სუმიხოლოქ მინდომეს ოგურაფუშა ულა (=როგორც კი გაიგონეს ეს შვილებმა, [მაშინვე] სამივემ მოინდომა სასწავლებლად წასვლა) (ტ.II,296,4);

ნამუშებანს დოლურუ გვერშაპინი,... სი ქიგიოფურინი დო... ჭყომი თიში ხორცია (=როცა „რა დროს(აც)“ [როგორც კი] მოკედება გველეშაპი, შენ [მაშინვე] დააფრინდი და შეჭამე მისი ხორციო) (ტ.II,102,17);

ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადაღების წევრ-კავშირებია: მუჭო//მუჭოთ (=როგორც), მუშ მამალას//მაჩქარას... მუჭო/მუჭოთ – თეში//თეშინე (=ისე), თონერო (=ისე, „ისეთნაირად“), თე ჯვერათ (=ამგვარად).

მუჭოთ მერჭარინ, თეში რე ირფელია (ხ.,74,34) (=როგორც მოგწერე, ისე არის ყველაფურიო);

მუჭო ათაქინე დოხვალუნი, უთეშინე სუმიხოლო ქალაქის ქოდოხვადგ რჩინუ კოჩქ (=როგორც აქ „აქანე“) დახვდა, ისე სამივე ქალაქში დახვდა [მათ] მოზუცი კაცი) (ტ.II,322,31);

თის მუჭო... ღოლუნ, თინერო – თესუთ... (ხ.,235,36-37) (=იმას როგორც გაუკეთა, ისეთნაირად [გაუკეთა] ამასაც...);

მუჭო მუ დინახე ფაიტონს, თე ჯვერათ... ართი... კოჩქ აშო ქასხვად (ხ.,280,16) (=როგორც თვითონ ზის ფაიტონში, ამგვარად ერთი კაცი აქეთ შემოხვდა).

ზოგჯერ ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში წევრ-კავშირისა და კორელატის შეუსაბამობის მაგალითები დასტურდება. კერძოდ, მთავარ წინადაღებაში კორელატად ჩვენებითი ნაცვალსახელია მოცემული, ვითარების ზმნიზედის ნაცვლად. მაგ.,

...ე კათა მუჭო ღურეენ, თენა გაღოლე სი ხოლოვა (ხ.,269,1) (=ეს ხალხი როგორც მომკვდარა, ეს დაგემართება შენცო);

ამგვარი მოვლენა, ცოცხალი მეტყველების გავლენით, შხატვრულ ლიტერატურაშიც შეინიშნება (ამასთან დაკავშირ ის. ნ. ბასილაია 1955:193).

მთავარ წინადაღებაში ზოგჯერ კორელატი გამოტოვებულია:

...პივავა დოჭარესე, ძუჭოთო ჩვეულება ორდენი (=პირობა დაღეს/„დაწერეს“ [ისე], როგორც ჩვეულება იყო) (ტ.II,232,35-36);

ცხოვრენდეს<sup>1</sup>, ძუჭოთო დოჩინელი აფუღუ მუმასე... (=ძმები) ცხოვრობდნენ [ისე], როგორც დაბარებული პქონდა მამას) (ტ.II,236,17);

მუშ მამალას//მანწარას და ა. შ. ამგვარ მიმართებით ზმნიზედას მთავარში ყოველთვის მოეპოვება ასევე რთული შედეგენილობის შესაბამისი კორელატი, თიშ მამალას//მანწარას და ა. შ. ტიპისა.

მუშ მამალა-მამალას თქუანქიე, თიშ მამალას ოკო ფჩანიე ოდიარე (ხ.,123,21-22) (=როგორ სწრაფ-სწრაფად/, „რის მასწრაფა-მასწრაფად“ იტყვი, ისე სწრაფად/, „იმის მასწრაფად“ უნდა მაჭამონო ბალახი);

თიშ მამალას ქიმირულე, მუშ მამალას ვაარულე წიარს (=ისე ჩქარა/, „იმის მასწრაფად“ მირბის, როგორადაც/, „რის მასწრაფად“ ვერ გაიქცევა მწევარი);

სოდეთ (=საღაც), მუჟამსით//მუჟანსით (=როდესაც/, „რა უამსაც“) მიმართებითი ზმნიზედები განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადაღების წევრ-კავშირებია, როცა მთავარში მოცემულია კორელატი და მისამართი სიტყვა. „ქართულშიც

<sup>1</sup> კორელატის გამოტოვება მთავარ წინადაღებაში ხელს უწყობს ამგვარი კონსტრუქციის აღქმას ერთ ინტონაციურ ერთეულად. „როცა მთავარი წინადაღება ოდენ ზმა-შემასმენლითაა გაღმოცემული, მაშინ დამოკიდებული მთავრის ორგანულ ნაწილად აღიქმება“ (ქართული ხალხური სიტყვიერება 1991:9).

რაჟამს, როდესაც//როცა კავშირების ერთ-ერთი ფუნქცია გან-  
საზღვრებითობაა (შ. ძიძიგური 1973:271).

მიეხოლუ თი ხორან, სიღე ძღაბი მულარდენი... (=მიუახ-  
ლოვდა იმ სახლომან, საღაც გოგო (+რომ) იმყოფებოდა)  
(ტ.П.170,19);

უირ-სუმ თუთაშ უკული მეთხე ხე მუმაქ დო მიდეცონ  
თი აჩდგილიშა, სიღეთ დანიშნესენ (ხ.128,20) (=ორი-სამი  
თვის შემდეგ მოპკიდა ხელი მამამ და წაიყვანა იმ ადგი-  
ლას/„ადგილისკენ“, საღაც (+რომ) დანიშნეს).

თიმუ სერს, მუჯანსეთი სანარტიაქ ქუდინჯირე დაალუ-  
რაფალონი, ქიმერთვ თიშა დო ართი კუჩხი ბირგულიწკემა  
მექეათუ (=იმ საღამოს, როცა სანარტია დაწვა დასაძინებ-  
ლად, [გოგო] მივიდა მასთან და ერთი ფეხი მუხლთან მოაჭ-  
რა) (ტ.II,222,15-16);

მთავარ წინადაღებაში მისამართი სიტყვა ყოველთვის მო-  
ცემულია, შეიძლება იშვიათად გამოტოვებული იყოს კორე-  
ლატი, როცა დამოკიდებული წინადაღების წევრ-კავშირი  
„სოდეთ“ მიმართებითი ზმნიზედა; მაგ.,

უკულ ვა მიძურუ ვაგ ზალი, შემდეგ არ მინახავს [ის]  
ვაგ ზალი,

სოდეთ წორო ბგულენდით... საღაც ერთად ვსეირნობდით-  
(ტ.I,134,35)

ბინა ქააძირუ, მუ სიღე იჯანუაფულე უკული...  
(ხ.198,22-23) (= [ის] ბინა უჩვენა, თვითონ საღაც იწვებოდა  
(იწოლებოდა) მერმე).

მუჟამს (=რა უამს/როცა) მიმართებითი ზმნიზედა ზოგ-  
ჯერ ქართული „რაც“ მიმართებითი ნაცვალსახელით, ან  
„თუ“ და „რადგან“ კავშირებითაა გადმოცემული. ასევე „მუ-  
ჭოთი“ ზმნიზედაც შეიძლება „რაც“, „რადგან“ საკავშირებელ  
საშუალებათა მნიშვნელობისა იყოს, ნაცვლად ძირითადი რო-  
გორც, როგორც კი მნიშვნელობებისა.

როცა ორივე ზემოაღნიშნული წევრ-კავშირი „რაც“ მი-  
მართებითი ნაცვალსახელის ფარდია, დამოკიდებული წინადა-  
დების ტიპი არ იცვლება, დროის გარემოებითია, მაგრამ გარ-  
კვეულ ნიუანსობრივ სხვაობასთან მაინც გვაქვს საქმე: მთა-  
ვარში კორელატად მოცემულია თიშ უკული (=მას შემდეგ,  
მას აქთ) დროის ზრდიზედა<sup>1</sup> (იხ. მუჟანს(=როცა) და მუ-  
ჭოთ(=როგორც კი) წევრ-კავშირები დროის გარემოებით და-  
მოკიდებულ წინადადებაში, გვ. 81-83).

თიშ უკული დაჩირს ივჭუქ, მას შეძლევ ცეცხლში  
ვიწვი,  
მუჟამს მომიჩინი ვარი. რაც უარი შემომითვალე  
(ტ.I,114,13)

თიშ უკული, მუჭო წანენქ მუკორთუნი, სუმ შზგაქ ქდე-  
ბადგ (ხ.213,14-15) (=მას შეძლევ, რაც რომ წლები გავიდა,  
სამი სხვა შეეძინა);

თუკი მუჟანს „თუ“ კავშირის მნიშვნელობისაა, მაშინ და-  
მოკიდებული წინადადება პირობითია.

მუჟამს ტყურას თქუანქინი, თუ („როცა“) ტყუილს  
იტყვი,  
თესი ვამაცუნუ ჯვირი ამას არ მოჰყვება კარგი  
(ტ.I,107,5).

ცნობილია, რომ „რადგან“ კავშირი მიზეზის გარემოებით  
დამოკიდებულ წინადადებას აერთებს მთავართან. შემთხვევი-  
თი არ არის დროულობის წევრ-კავშირის (მუ-ჟანს-ი-თ) და-  
კავშირება მიზეზის გამომხატველ „რადგან“ კავშირთან, რად-  
გან, როგორც არნ. ჩიქობავამ (ცხადყო, დროსა და მიზეზს  
შორის ისტორიული კავშირი და გარეული ფსიქოლოგიური  
ურთიერთმიმართება არსებობს (არნ. ჩიქობავა 1945:490).

<sup>1</sup> შეზრ.: „რაც“ წევრ-კავშირისა და მას შეძლევ, მას აქთ კორელატების  
შეხამება ქართულში (ფ. ერთეულიშვილი 1963:138-139).

მუქამს თი კანონიერო სიტყვას თხულენს ნი, მიიღეს, ურჩებლეს (ხ. 292, 29) (=რადგან „როცა“ კანონიერად თხოვს სიტყვას, მიიღეს, მოუსმინეს);

მუქამს თი თენეფი ბერებით მულირი რენანი, თენეფი წყალა მორთეს არა რაგადებული პირუტყეფქ (=რადგან „როცა“ ესენი ზმელეთით არიან მოსული, ამათთან მოვიდნენ მთელი [ზემოთ] ნათქვამი პირუტყვები) (ტ. II, 116, 32-33);

მუჭო (=როგორც) მიმართებითი ზმნიზედა როცა ქართული „რადგან“ კავშირის ფარდია, მაშინ დამოკიდებული წინადადება მიზეზის გარემოებითია.

მუჭო ჯგირი ბოში გიორგინი, ათე ცირას ეწყინე თეშ თაქიან ძირაფაქ (=რადგან, როგორც) კარგი ბიჭი [იყო] გიორგი, ამ ქალიშვილს ეწყინა მისი აქ ნახვა) (ტ. II, 206, 22).

ზემოთ დამოწმებულ „მუქამს თი“ წევრ-კავშირიან ქვეწყობილ წინადადებაში დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენელი აწყობის მწერივის ფორმითაა გაღმოცემული (თხულენს „ითხოვს“), მთავარი წინადადების ზმნა-შემასმენელი კი – წყვეტილისა (მიიღეს „მიიღეს“, ურჩებლეს „(მო)უსმინეს“). ცნობილია, რომ მიზეზის გარემოებიან ქვეწყობილ წინადადებაში მიზეზ-შედეგობრივი დამოკიდებულებაა, დამოკიდებული გამოხატავს მიზეზს, ხოლო მთავარი – შედეგს. ის-მის კითხვა: როგორ შეეხამძა ახლანდელი დროის მიზეზი წარსული დროის შედეგს? ამგვარ მოვლენას ქართულში სავსებით დამაჯერებელი ახსნა მოეპოვება, რაც გასაზიარებელია მეგრულის შემთხვევაშიც. კერძოდ, მთავარი წინადადების ზმნა-შემასმენელი წყვეტილის ფორმით ყოველთვის ნამყოდროისა და თხრობითი კილოს მნიშვნელობას გაღმოსცემს. დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენელიც თხრობითი კილოისა, მაგრამ დროის საზღვრებით შემოუფარგლავი: იგი ობიექტურად არსებულ ფაქტს ასახელებს მხოლოდ და მოცემულ შემთხვევაში თანხვდენილია ნამყოს გარკვეული მო-

მენტისა. ნამყო დროის გადმოცემა ამ მწკრივის შეფარდებითი მნიშვნელობაა ამ „პოზიციაში“ (ლ. გეგუჩაძე 1974:56-67). მსგავსი მოვლენა დასტურდება ქართული საერო ლიტერატურის ადრინდელ ძეგლებშიც (XII-XIII სს.) და ლ. გეგუჩაძის ეს თვალსაზრისი გაზიარებული აქვს ლ. აბზიანიძესაც (იხ. ლ. აბზიანიძე 1977:154).

### თავი III

## მაქვედარებარებულიანი ეკონომიკური წინადაღება

მეგრული მაქვემდებარებელი კავშირების სიუზვით არ გამოიჩინა, მაგრამ მათი გამოყენების არე გაცილებით ფართოა, ვიდრე სხვა საკავშირებელი საშუალებებისა. მეგრული იყენებს -ნი, ნამუდა, ჯა მაქვემდებარებელ კავშირებს.

მეგრულ ტექსტებში გვხვდება აგრეთვე ქართულიდან ნასესხები მაქვემდებარებელი კავშირები: რადგან//რა ნა//რალან; ოღონდ; ვითომც.

### § 1. -ნი(=რომ) კავშირი ქვეწყობილ წინადაღებაში

ი. ყიფშიძე თავის მეგრულის გრამატიკაში ბევრჯერ ახსენებს -ნის და ზან კავშირს უწოდებს, ზან – ნაწილაკს (იხ. ი. ყიფშიძე 1914:52,122(1),(3),(4);140). ლექსიკონში ერთგვარად შეჯამებული აქვს სხვადასხვა ადგილას ნათქვამი და ჩამოთვლილა -ნის მნიშვნელობები: 1. Когда, как; 2. чтообы, что; 3. что, который; (იქვე: 289). 6. აბესაძისთვის -ნი კავშირია (ნ.: აბესაძე 1965:247-251), გ. როგავა -ნი//-ნს კავშირ-ნაწილაკს ან ნაწილაკს უწოდებს (გ. როგავა 1987; 1988). გ. კარტოზიასთვის -ნი ისეთი კავშირია, რომელიც ენკლიტიკურად მიერთვის წინამავალ სიტყვას (გ. კარტოზია 1996:79-81). ვ. აზალაიას აზრით, -ნის სახელდება ნაწილაკად ყველაზე მართებულია (ვ. აზალაია 1999:183).

განსხვავებულია -ნის არა მარტო კვალიფიკაცია, არამედ დაწერილობაც: ზოგი მას ცალკე წერს (ი. ყიფშიძე, ნ. აბესაძე), ზოგი დევისით გამოყოფს (არნ. ჩიქობავა, გ. როგავა),

ზოგიც იმ სიტყვასთან ერთად, რომელსაც დაერთვის (გ. კარტოზია).

ბოლო დრომდე არ იყო ცნობილი ლაზურში -ნი კავშირ-ნაშილაკის არსებობა, მაგრამ რთული შედეგენილობის განუ-საზღვრელობითი ნაცვალსახელებისა და ზმნისართების გაანა-ლიზების შედეგად გაირკვა, რომ -ნი სუფიქს-ნაწილაკი ლა-ზურის (ჭანურის) კუთვნილებაც ყოფილა (გ. როგავა 1988:221-225).

-ნის სხვა საკავშირებელი საშუალებებისაგან განსხვავე-ბული ადგილი უჭირავს დამოკიდებულ წინადაღებაში, კერ-ძოდ, ენკლიტიკურად მიერთვის ბოლო წევრს<sup>1</sup>, რომელიც უმ-თავრეს შემთხვევაში ზმნა-შემასმენელია, იშვიათად – სხვა წევრი. -ნი კავშირდართულ სიტყვას ზოგჯერ შეიძლება ბო-ლოსწინა პოზიციაც ეკავოს წინადაღებაში. აქევე დავძნოთ, -ნი კავშირი სახელს დაერთვის თუ ზმნას, სემატიკურად მაინც ზმნას უკავშირდება.

მეგრულის -ნი კავშირი მნიშვნელობით ყველაზე ახლოს თანამედროვე ქართულის „რომ“ კავშირთან დგას. -ნის ფარ-დი „რომ“ ქართულ თარგმანში ყოველთვის ზმნა-შემასმენლის წინ იყავებს ადგილს. „ძველ ქართულში თანამედროვე „რომ“ კავშირის ფუნქციებს რამდენიმე კავშირი ინაწილებდა: რო-მელ, რამეთუ, ვითარმედ, რაჟ//რა, რაც თავისთავად მიანიშ-ნებს ახალი ქართულის „რომ“ კავშირის ფუნქციების გაუარ-თოებაზე. ზმნის წინ გამორჩეულად „რაჟ“ კავშირი იხმარე-ბოდა: რაჟ იხილა, პრქეა (6. აბესაძე 1963:15, 1965:247), შედრ.: ქოძირუნდ, ქუუწუ (=რომ ნახა, უთხრა). ქ. ლომთათი-ძე საგანგებოდ მიუთითებდა ძველი ქართული რაჟ//რა კავში-რისა და მეგრული -ნის ფუნქციურ სიახლოვეზე (ქ. ლომთა-თიძე 1958:115).

<sup>1</sup> მეგრულში ასეთივე პოზიცია უჭირავს ზა კავშირსაც.

-ნი კავშირ-ნაწილაკს ს. ჯანაშია აფხაზურიდან ნასესხებად მიიჩნევდა (ს. ჯანაშია 1959:226). გ. კარტოზიამ სცადა -ნის წარმომავლობა ქართველურ ნიაღაგზე აეხსნა. მისი აზრით, იგი ნაცვალსახელური წარმოშობისაა, მასალობრივ ემთხვევა კითხვით მინ/მინი „ვინ“ ნაცვალსახელს და უნდა მომდინარეობდეს ადრინდელი \*ვინ//ვინი ფორმისგან. ანალოგიური მიმართებაა სვანურშიც მარ „ვინ“, და ერე „რომ“-ს შორის (გ. კარტოზია 1996:81).

მეგრული -ნი კავშირის მნიშვნელობისაა სვანური „ერე“ კავშირი, უფრო სწორად, მისი ფონეტიკური ვარიანტი -ერ/ქ და ლაზური -ნა კავშირ-ნაწილაკი<sup>2</sup>. ერ/ე ან იწყებს დამოკიდებულ წინადაღებას, ან უშუალოდ ზმნა-შემასმენლის წინ იკავებს ადგილს (ნ. აბესაძე 1963:15). ლაზურის -ნა კავშირ-ნაწილაკი, მეგრული -ნის მსგავსად, მნიშვნელობათა ნაირგვარობით გამოირჩევა (ნ. მარი, 1910:71, არნ. ჩიქობავა 1936:184), თუმცა შესაძლოა, მეგრულისაგან განსხვავებით და ქართული „რომ“-ის მსგავსად, იწყებდეს დამოკიდებულ წინადაღებას (ლ. ფაჩულია 1997:60. ლაზურის მაგალითები იხ. იქვე), ან მოთავსებული იყოს დამოკიდებული წინადაღების წევრებს შორის; არ არის გამორიცხული იღგეს წინადაღების ბოლოს (ვ. ახალაძა 1999:185).

<sup>1</sup> სვანურ „ერე“ კავშირის ახასიათებს ცვეთა, რის შედეგადაც რჩება ერ/ე ფორმები. სრული (ერე) და შეკვეცილი (ერ/ე) ვარიანტების ურთიერთობანცვლეობა მეტად განსაზღვრულია და მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებშია შესაძლებელი (ნ. აბესაძე 1962:138).

<sup>2</sup> -ნი კავშირ-ნაწილაკის სისტემისაა ქართ. და და ჭანური -ნა კავშირ-ნაწილაკი (გ. როგავა 1987:50), მაგრამ ჭანურის -ნა მიჩნეულია არა მეგრულის -ნი//ნ, არამედ მეგრულისავე და კავშირ-ნაწილაკის ბადალად (ფარდად). რომელიც „ქართულისთვისაც არაა უცხო“ (არნ. ჩიქობავა 1939:184-185). და კავშირიან ჰიპოტაქსურ კონსტრუქციას განვიხილავთ ცალკე, ამავე თავში.

ძველი ქართულის „რამ“ კავშირი ზოგჯერ, ტმესის წე-  
სით, ზმნისწინსა და ზმნას შორის იყავებდა აღილს: მო-  
რამ-ვიდა, იხილა (=რომ მოვიდა, იხილა). სვანური ერ/ე კავ-  
შირიც შეიძლება ჩაერთოს პრევერბსა და ზმნას შორის (ქერ  
ადქვებრხ „რომ ისროლეს“) (ნ. აბესაძე 1963:16). ფრაზის  
ასე თავისებურად წარმოება შეუძლია ჭანურის -ნა კავშირ-  
ნაწილაკსაც, მაგ., ექნა-ნა-ჩუმს“ კარს რომ იცავს”; გმარი-ნა-  
ჭუმს „პურს რომ აცხობს“, (ნ. მარი 1910:75, ივ. შილაკაძე  
1951:33).

მეგრულისათვის ამგვარ შემთხვევაში ტმესი არ არის და-  
მასასიათებელი, მაგრამ -ნი კავშირ-ნაწილაკიც ისეთივე ზო-  
გადი მნიშვნელობისაა, როგორიც ძველი ქართული რამ//რა,  
სვანური ერ/ე და ჭანური -ნა.

სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ -ნის ცე-  
თა ახასიათებს. ი. ყიფშიძის მიხედვით, -ნის ცვეთის შედე-  
გად რჩება ოდენ·თანხმოვანი ან ხმოვანი: -ნ//ი//გ (ი. ყიფში-  
ძე 1914:0140-0141). მისი ამ თვისებიდან, მეგრულში -ე სუ-  
ფიქსიანი კავშირებითის არსებობიდან და -ნი კავშირიან პი-  
პოტაქსურ კონსტრუქციაში დადასტურებული იაგიე ფონეტი-  
კური პროცესიდან გამომდინარე სამეცნიერო ლიტერატურაში  
დაისვა საკითხი: -ნი კავშირის ოდინდელი, სრული სახე -  
ი\*ნი ხომ არ იყო? (იხ. გ. კარტოზია 1996:79-82).

მეგრულში კავშირებით კილოს ორი მაწარმოებელი აქვს:  
-ა და -ე სუფიქსები (ი. ყიფშიძე 1914:055-067; არნ. ჩიქობა-  
ვა 1936:140). აქედან ა-ნიანი კავშირებითები, ასე ვთქვათ,  
„წმინდა კავშირებითებია“, ე/ე-ნიანი კი „რომ“ კავშირიანი  
კავშირებითები (გ. კარტოზია 1958:232). განსხვავება ა-ნიან  
და ე/ე-ნიან კავშირებითთა შორის შენიშნული პერნდა ჯერ  
კიდევ ი. ყიფშიძეს (იხ. ი. ყიფშიძე 1914:0139). „-ნი კავში-  
რის წინ მუდამ კავშირებითის „ეე“ ნიშანი გვაქვს, რაც გვა-

ფიქტურებინებს, რომ ე/ეე-ნიანი წარმოება მიღებულია ა-ნიან კავშირებითზე \*ი-ნი (=რომ) კავშირის დართვის შედეგად (გ. კარტოზია 1958:234)<sup>1</sup>. ამ ეე-ში უნდა იყოს შემონახული „რომ“ კავშირისეული რაღაც ელემენტი<sup>2</sup> (იქვე: 234-236).

\*-ინი კავშირი ბოლოთანხმოვნიან სიტყვებზე დართვისას სრული სახით ჩატარდა: ჭარუნდასინი (=რომ წერდეს), ბოლოხმოვნიან სიტყვებზე დართვისას თავკიდურ ი-ს უნდა კარგავდეს: ჭარუნდუნი (=რომ წერდა), ხოლო I და II კავშირებითების მხოლობითი რიცხვის I და II პირის ფორმებზე (ვჭარუნდა/ვჭარა „ვწერდუ/ვწერო“, ჯარუნდა/ჭარა „წერდუ/წერო“) დართვისას კი არ დაკარგულა -ინი კავშირის თავკიდური ხმოვანი, არამედ წინამავალ ა-ს შერწყმია და ეუ/ე მოუცია:

ბჭარუნდა-ინი>ბჭარუნდეინი>ბჭარუნდენი>ბჭარუნდენი (გ. კარტოზია 1958:235). ანალოგიურ ვითარებას უნდა ჰქონდეს ადგილი სხვათა სიტყვის -უ (=ქართ. ლ) ნაწილაკიან სიტყვებზე -ინი კავშირის დართვისას, რის შედეგადაც -ია>-იე'ს<sup>3</sup> (გ. კარტოზია 1958:235).

ამრიგად, გ. კარტოზიას თვალსაზრისის გათვალისწინებით, -ინი კავშირის არსებობის კვალი ჩანს შემდეგი სახის პიპოტაქსურ კონსტრუქციებში:

ეშე ფურტინე, თოლს ქალგოლუ (=ზევით რომ აფურთხო, თვალში ჩაგივარდება) (ტ.II,426,13);

<sup>1</sup> განსხვავებული თვალსაზრისისთვის იხ. ი. ყიფშიძე 1914:012-013; არნ. ჩიქობავა 1936:141, 1952:248-249; მ. მარგველაშვილი 1982:47.

<sup>2</sup> გამოცემულ მეგრულ ტექსტებში ე/ეე-ნიან კავშირებითზე ი-ნი კავშირის დაურთველობა რომ გ. კარტოზიას თვალსაზრისის სასარგებლოდ ლაპარაკობს, შენიშვნული აქვს მ. მარგველაშვილსაც, რადგან ე/ეე-ში უკვე იყარაუდება ოდინდელი „ინი“ კავშირის ხმოვნის არსებობა (იხ. მ. მარგველაშვილი 1982:47).

<sup>3</sup> განსხვავებული თვალსაზრისისთვის იხ. ი. ყიფშიძე 1914:0144; გ. კაჭარავა! 950:250; ს. ჟანრტი 1953:127).

...თი სიტყვა დო თი საგანი კამიწუე, დუღი კამოკო ცოცხალი (=ის სიტყვა და ის საქმე „საგანი“ რომ არ მითხო, თავი არ მინდა ცოცხალი) (ტ.II,120,18);

უმუშერას მიღვაცუნე,

ზარმაცს („უმუშევარს“)

რომ გამოგზვა.

სქანჯგუა ჭკუა მაღვენუ.

შენისთანა ჭკუა მექნება.  
(ტ.I,333,20)

მუ აღამური სულიერი კოჩი რექს, ჩქიმი ოთიფურეს შეეხდე (=რა (+აღამიანი) სულიერი კაცი ბართ, ჩემს სათივეს რომ შეეხდო) (ტ.II,156,7);

მუ კოჩი ექს, ჩქიმი შუქის გუურზედე (=რა კაცი ბართ, ჩემს ძალას „შუქს“ რომ გაუტელო?) (ტ.II,20,24);

თის გეკაცოთანცდე, დუღიში ჭუაშე დოსქედგნდა (=იმას რომ ამოავდებსო, თავის ტკიცილისაგან მორჩიებო) (ტ.II,290,40);

### 1.1. მთავარ და დამოკიდებულ კომპონენტთა თავი სებური განლაგებისათვის

მეგრულში წევრ-კავშირიანი (მიმართებითნაცვალსახელიანი და მიმართებითზმნიზელიანი) პიპოტაქსური კონსტრუქციის განხილვისას გამოიკვეთა მთავარ და დამოკიდებულ კომპონენტთა განლაგების ოთხი შესაძლო შემთხვევა, რომელთაგან სამი საერთოა ქართულთან, ხოლო მეოთხე – მთ.+დამოკ.+კორ. სპეციფიკურია მეგრულისთვის (მსჯელობა და მაგალითები იხ. ჩვენი ნაშრომის 53-ე, 56-ე და 74-ე გვერდებზე). -ნი კავშირიანი ქვეწყობილი წინადაღებისთვის ასევე სპეციფიკურია კორელატის მოთავსება წინადაღებათა საზღვარზე. ამ დროს დამოკიდებული უსწრებს მთავარს. თუ გავითავალისწინებთ -ნი კავშირის პოზიციას დამოკიდებულ წინადაღებაში (იგი. ბოლოში დგას!), მაშინ უდავოა, რომ ასეთ შემთხვევაში კორელატი ყოველთვის -ნი კავშირიანი წევრის

შემდეგ დაიკავებს ადგილს<sup>1</sup>. პიპოტაქსური კონსტრუქციის შემაღენელ კომპონენტთა ამგვარ განლაგებას ჩვენ პირობითად ვუწოდეთ და მოკიდებული + კორელატი + მთავარი.

როგორც ერთ (მთ.+დამოკ.+კორ.), ისე მეორე (დამოკ.+კორ.+მთ.) თანმიმდევრობის დროს დამოკიდებული წინადაღების -ნი კავშირდართულ ზმნა-შემასმენელს მოსდევს საგარემოებო სიტყვებით (ადგილის, დროის, ვითარების, მიზეზის, მიზნის ზმნიზედებით) გადმოცემული კორელატი, ან კორელატი და ასახსნელი წევრი (ჩვენებითი ნაცვალსახელითარსებითი სახელი). ამგვარი განლაგების შედეგად მთავარ და დამოკიდებულ წინადაღებებს შორის ზღვარი წამლილია, რაღაც -ნი კავშირიანი ზმნა-შემასმენელი რომელიმე საგარემოებო სიტყვასთან ქმნის სინტაგმას და მასთან ერთი საერთო ინტონაციით ფორმდება. ეს პროცესი ჩვეულებრივია და, შეიძლება ითქვას, უგამნაკლისო მთ.+დამოკ.+კორ. თანმიმდევრობის დროს, ხოლო თვალში საცემია დამოკ.+კორ.+მთ. თანმიმდევრობის დროს მაშინ, როცა კორელატის შემდეგ დგას სახელი.

მთ.+დამოკ.+კორ.

ბოში დო ძღაბიქ დიირულეს, ქილაცაფესნი ჟაჟული (ხ. 207, 34-35) (=გოგო და ბიჭმა დაიძინეს, რომ ითამაშეს, მერძე);

მიდართეს, ვითოუირი ჯიმა შიძინგნი თექ (=წავიდნენ, თორმეტი ძმა რომ შეიძინ მე) (ტ. პ. 160, 10-11);

უირი პარა ცხენი ქიჭანუეს, თი ჰყელეფი რდესნი თეურუ (ხ. 241, 30) (=ორი წყვილი ცხენი დაიბარეს, ის დაწყველილები რომ იყვნენ, მეზდან);

<sup>1</sup> -ნი კავშირიან პიპტაქსურ კონსტრუქციაში შემაღენელ ნაწილთა განლაგების ასეთი კანონზომიერება შენიშნული აქვს 6. აბესაძესაც (იხ. 6. აბესაძე 1963:14).

მიღდართუ ბოშიქ..., მუში შეკილი დო საგანი ხუჯის გინა-  
ბუნი თეში (=წავიდა ბიჭი..., თავისი მშეილდ-ისარი მხარზე  
რომ პკიდია, ისე) (ტ.II,164,15);

ვა დოხვადგ, შხვას დოხვადგნი თიშმა ხაზერო  
(ხ.,254,16-17) (=ვერ დახვდა, სხვას რომ დახვდა, ისე ლიძ-  
დენად") მზად);

კურცხას რე პაპა, ოშქურუნ თიშენ (ხ.,228,5-6)  
(=ფხიზლადაა მღვდელი, რომ ეშინა, იმიტომ);

ხენწულებ გუატუ ეშმაკი დო ობოლიში — წისქილიში  
ქუამო მირულჯლნ თი კოჩი (=ხელმწიფემ გაუშვა ეშმაკი და  
ობოლამ — წისქილის ქვიანად რომ მირბოდა, ის კაცი) (ტ.II,134,16);

ზოგჯერ კორელატი პლეონასტურად გავრცობილია.

გამარჯვება უწუ, თუ, მეურუნი ათე კოჩი (ხ.,288,28)  
(=გამარჯობა უთხრა (+ამ), რომ მიღის, ამ კაცმა);

კოინა გალეშე უჯინე, კოი კოჩი, წამალი მეუდუნი თი  
კოჩი (ხ.,260,8) (=ის გარედან უყურებს, ის კაცი, წამალი  
რომ მიუტანა, ის კაცი);

უმრავლეს შემთხვევაში ასახსნელი წევრი (მისათითებე-  
ლი სიტყვა) ჩავარდნილია და წინამავალი კონტექსტით ივა-  
რაუდება. მაგ.,

ქუდააგურუუ, დღას კოს ვა მაგინენ ფერი (ხ.,195,32-33)  
(=შეასწავლა, ვერასოდეს კაციშვილი რომ ვერ მოუგებს,  
ისეთი [წერზი]);

დუუჭარუ, დღას კოს ვააჭარენ თვევარი (=დაუწერია,  
ვერასდროს კაციშვილი რომ ვერ დაწერს თვევარი [წერ-  
ლი]);

ზოგჯერ კორელატი და მისათითებელი სიტყვა გათიშულია.

მეულა შარასუნი, ართი კოჩქ ქეშეხვადეს, ლაკვი მეუნ-  
სუნი ფერქმ (=რომ მიღიან გზაზე, ერთი კაცი შეხვდათ,  
ლეკვი რომ მიჰყვნს, ისეთი) (ტ.II,92,30-31);

ათე ნდის ნოუზუე ქანაში სქს, ვანტირენი თისხი  
(ხ.4,24) (=ამ დევს პყოლია თურმე ბეკრი ფუტყარი, რომ  
არ ეტევა, იმდენი).

ამგვარი განლაგების „რომ“ კავშირიანი ქვეწყობილი წი-  
ნადადება დასტურდება დიალექტებშიც:

დედინაცვალი აღარ უშევებს... ამ გერს, ოქროს თმები რო  
აქ, იმიტომ (ქართ. დიალექტ. ზ/იმერული, 450,36-37);

...მოვა, ბაღში რო დევი მოკლა, იმისი ძავა (იქვე, 452,25-  
26);

...აი ქალიშვილები მიეცი, მე რომ გთხჩა, იმასთ (იქვე,  
ქვეცვურული, 427,31-32).

ზოგჯერ -ნი კავშირიანი დამოკიდებულით გაშიფრულია  
მის წინ მდგომი განსაზღვრების ან გარემოების შინაარსი, ან  
კიდევ განმარტებულია, რა საქმიანობას გულისხმობს ამა თუ  
იმ პროფესიის აღმნიშვნელი სიტყვა. მაგ.,

შარას თოლ-ელალირო ირემი ქოძირუ, თოლი კო  
ულუდუნ ფერი (ხ.242,22) (=გზაზე თვალამოლებული ირემი  
ნახა, თვალი რომ არ ჰქონდა ისეთი).

ჩოშიქ. ჩაიში შემა დროს, ძლაბიში დიდა დო მუმა ჩაის  
შენდესგნი თეში, მინიილუ ზალაშა (ხ.,215,11-12) (=ბიჭი...  
ჩაის სმის დროს, გოგოს დედ-მამა ჩაის რომ სვამდნენ მაშინ  
(„ისე“) შევიდა ზალაში).

ონჯირუანდესგნ თიწკამა მოინალექ, კუჩიშ მუმანწყუმა-  
ლოქ თექ, უწუ (ხ., 40,15-16) (=რომ აწვენდნენ მაშინ მო-  
სამსახურებ, ფეხსაცმლის გამხდელი რომ არის ამან, უთ-  
ხრა).

ეს კიდევ ერთხელ მოწმობს: ზეპირ მეტყველებაში მთავა-  
რია ინფორმაციის ისეთნაირად გადმოცემა, რომ მთექმელმა  
ზაზი გაუსვას აუცილებლად ყურადღებამისაქცევ მოვლენას,  
ზოლო მსმენელმა ადვილად დაიმახსოვროს იგი. ჩვენ მიერ  
დამოწმებული მაგალითების მიხედვით ზაზგასმულია საგნის

გარეგნული მხარე (ირემს თვალი არ ჰქონდა), მოქმედების პროცესი (ჩაის სმის დრო) და პროცესიული მოვალეობა (ფეხსაცმლის გახდა ევალებოდა).

დამო კიდებული + კორელატი + მთავარი

ოსერშექ გეეთუნ ჟკული, თე ბოში მიღეონეს დანჯირუშა (ხ.,280,24) (=კახში რომ დამთავრდა მკრტჩ, ეს ბიჭი წაიყვანეს დასაწოლად/, მოსასვენებლად“).

თი ოსური ჯანურუნ თექ, მუქ ქედინჯირგ (ხ.,238,11)  
(=ის ქალი რომ იწვა იქ თვითონ დაწვა).

ომექურუნი თეში, მეღეჯექ... მუში ცუდეშა ქიმერთუ  
(=რომ ეშინა ისე, მეღორე... თავის სახლში მივიდა)  
(ტ.II,70,16).

კაპეიქის გინირზებუდესენ თეშ, ქემორთეს აბრაგენქ  
(ხ.,226,21) (=კაპეიზე რომ ძიგილაობდნენ მაშინ „ისე“),  
მოვიდნენ ყაჩაღები).

სი ფიქრენებნ თიშ მამლას, თიში ბინა ვაგაგორე  
(ხ.,98,26) (=შენ რომ ფიქრობ ისე სწრაფულ („იმის მასწრა-  
ფად“), იმის ბინას ვერ მოძებნი).

ბრელც მოიფერუანესენ, თი კოს ვეენდავა (ხ.,280,9)  
(=ბევრს რომ მოგვიფერება, იმ კაცს არ ენდო)

ვეჩინენებნ(ი) თი კოც, სქან საქმე ვაგაჩებაფუავა (=რომ  
არ იცნობ იმ კაცს, შენი საქმე არ გააცნო) (კ.ს.,123,2).

ზოგჯერ კორელატის გავრცობა ხდება პლენასტურად  
თუ, სანწალე მიშატენ თუ კვარეფი ქიმიოზირგ დო ჯგი-  
რი კვარეფი ქინუდგ (ხ.,115,30-31) (=+ეს) საწამლავი რომ  
დევს ეს კვერები მოჰქონდა და კარგი კვერები ჩაუდო).

<sup>1</sup> შდრ.: ...ათე მურცენ თუ კოჩი<sup>1</sup> (ხ.,228,28) (=+ეს) რომ მაღის ეს  
კაცი).

ეთი, დიღი ჯარი ცუნცუნ ეთი სენწეფე რე ოსურ-კოჩი  
(ხ.289,13-14) (=+ის), დიღი ჯარი რომ ჰყავს ის ბელმწირ-  
ფე არის ქალი „დედა-კაცი“).

ზოგჯერ მისათითებელი სიტყვა ჩავარდნილია, რჩება  
ოდენ კორელატი.

ჭვალა ვაუღუნი ის სამგარიო ვაუტიბუნია (ტ.II,457,36)  
(=წველა რომ არა აქვს იმას სალოცავი არ წყალობსო).

მოკოდუნ ის ვემეფჩეს (ტ.I,248,22) (=რომ მინდოდა  
იმას არ მიმათხოვეს („არ მიმცეს“)).

როგორც აღნიშნული იყო, პიპოტაქსურ კონსტრუქციაში  
წევრ-კავშირებისა თუ მაქვემდებარებელი კავშირების (გარდა -  
და კავშირისა!) მნიშვნელობას -ნი კავშირი აძლიერებს. „მეგ-  
რულში -ნის გარეშე არ არის ბუნებრივი მიმართებითნაცვალ-  
სახელიანი და მიმართებითზმნიზედიანი რთული ქვეწყობილი  
წინადადება (ვ. როგოვა 1988:222). „ქართულში „,მიმართებითი  
ნაცვალსახელებისა და მიმართებითი ზმნიზედების გამოყენება  
საკავშირებელ სიტყვებად მეორეულია“ (ან. კიზირია 1965:55).  
ასევე მეორეულია მეგრულშიც.<sup>1</sup> ეს ნათლად ჩანს, როცა  
წევრ-კავშირიანი ქვეწყობილი წინადადებიდან კონკრეტული  
მნიშვნელობის საკავშირებელ სიტყვას ამოვიდებთ.

ჯოღორი მის ოცვილაფესინი, თის ოღალაფესია (=ძაღლი  
ვისაც (+რომ) მოაკვლევინეს, იმას წააღებინეს) (ტ.II,462,36);

შდრ.: ჯოღორი ოცვილაფესინი თის ოღალაფესია (=ძაღ-  
ლი რომ მოაკვლევინეს, იმას წააღებინეს).<sup>2</sup>

<sup>1</sup> იგივე თვალსაზრისი აქვს გამოთქმული ზანური (მეგრულ-ჭანური) ენის  
მასალაზე მსჯელობისას ლ. ფაჩულის (იხ. ლ. ფაჩულია, 1997).  
განსხვავებული თვალსაზრისისთვის იხ. ვ. აზლავა (1999:186).

<sup>2</sup> შდრ.: ზემოთ დამტკმებული ოდენ კორელატიანი კონსტრუქცია.

თი მეღვაჯექ, მუჭოთი სანარტიაქ დუუჩინგნი, თეში ქოქო-  
მინგ... (=იმ მეღორებმ, როგორც „სანარტიაშ“ (+რომ) დაუბა-  
რა, ისე გააკეთა „ქნა“) (ტ.II,224,27);

შდრ.: თი მეღვაჯექ სანარტიაქ დუუჩინგნი, თეში ქოქო-  
მინგ... (=იმ მეღორებმ, „სანარტიაშ“ რომ დაუბარა, ისე გააკე-  
თა „ქნა“);

იდგ ქოჩორაქე დო ქიმერთუ, სოდეთ რაში გოუტუუნ  
თექე (=იარა ქოჩორამ და მივიდა, სადაც რაში (+რომ) გა-  
უშვა, იქ) (ტ.II,76,31);

შდრ.: იდგ ქოჩორაქე დო ქიმერთუ რაში გოუტუუნ  
თექე (=იარა ქოჩორამ და მივიდა, რაში რომ გაუშვა, იქ);

## 1.2. -ნი კავშირიან დამოკიდებულ წინადაღებათა ტიპები

-ნი კავშირი ზოგადი მნიშვნელობისაა და პოლიფუნქციუ-  
რია. (შდრ.: ქართული „რომ“, რომლის ცხრა ფუნქციას ასა-  
ხელებს შ. ძიძიგური (იხ. შ. ძიძიგური 1959:332).

-ნი კავშირიან ქვეწყობილ წინადაღებაში კონკრეტული  
მნიშვნელობის მატარებელია კორელატი, რომელიც მთავარ  
წინადაღებაშია მოცემული.

-ნი კავშირი გვხვდება შემდეგი სახის დამოკიდებულ წი-  
ნადაღებებში.<sup>1</sup>

### ქვემდებარული

სი ძიქვა მივოჲირენი, თითო ჯგირი კოჩი ცოფერენია!  
(=შენ შარვალი რომ მოგამრა, მსიც კარგი ვაუკაცი ყოფი-  
ლაო) (ტ.II,308,1);

<sup>1</sup> დამატებით დამოკიდებულ წინადაღებაში -ნი კავშირი გვხვდება მაშინ,  
როცა მთავარში „ცნობიერება“ წრის ზმა არის მოცემული. ამგვარი  
კონსტრუქციები განხილულია ცალკე, სპეციალურ თავში (იხ., თავი V).

შემის მექუტანებით, თინა ხოდით მოკა რე... (= სული ლიძ  
მისკება, უხილ შემის „მძიმე“) (ტ. II, 324, 11);

### განსაზღვრულითი

კუთხით თხური კაცითაფედე, ნაფირეფით შევადოშხვა გამო-  
ოყველით (= უხეოთ სხდომით არ იქნებოდა, სხვადასხვა ნანაღი-  
რები „ნაფირები“ რეალ არ მოეტანა) (ტ. II, 60, 33-34);

ამი ქანქე, გამისიწევ ბანტო<sup>1</sup> უკანადიდ მუკაკორგდენ  
(= ამ ქანქა მოიხსნა თავით უკან რეალ გაიდა) (ტ. II, 340, 15);

### კოსარულის გარემოებითი

თუ ჩემშოგის თექში დაინიშნე, ჩერთ კუუნდენენ (= ის  
ჩემშოგის უხე ლაბერება, რეალ შვიდი არ პავლა) (ტ. II, 218, 5).

ბებიქ თექშ დოლებერე, ნინას კუქნინგბეგდენენ (= ბებია ფხე  
კარისაცკოდა, რეალ ნინა არ მცემდა).

### ალგილის გარემოებითი

ოცხები ყალხა წილებეგდენი = თუკა მეტა, უწუუ ხენ-  
შოგი (= ხალხები ყალხა რეალ ისვა, აფ წადიორ“, უთხრა  
ჩემშოგი) (ტ. II, 76, 8).

### ორიონის გარემოებითი

ოცხები ქერძით დიდე, კაში კონკურნდენენ (= ქაში  
შეიფრა დელდა, იქოთ რეალ კოდალკურდოთ [ბიჭი]).

### შიზეზის გარემოებითი

შემანის კონხებელი, ლეიშენი ქემენგ მაღამითი (= მამის  
კალაბრია რეალ უკა, კალებენ მიხედა მეორეც) (ტ. II, 12, 20);

### ოჯხის რიტენ კონხილებე

ამღენ [ტანჯვას] ლალ

(ლალჟის) კოტან,

### ურევდელი კორეფენი

რეალ ურევდი არა ბარი.

(ტ. I, 341, 25).

<sup>1</sup> კალებრიაც კონხებელი ის იმა = [აფ ბაჭანი ქაშ] ისევა.

მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადებაც იმავე კორელატებს შეიწყობს, რასაც მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება.

ცა დო დიხა თიშენი რღუ, ცა და მიწა იძიტომ იყო,  
ირკოჩქ იცხოვრუკონ. რომ ყველას კუხოვრა.  
(ჭ.I,289,13)

ზენწევეებს, სოლე გური გამქურთინუკონა, თიშენი და-  
ღორუ დო უწუუ: (=ზელმწიფემ, როგორმე [ქალის] გული  
რომ მოებრუნებინა, იძიტომ მოატყეა და უთხრა:) (ჭ.II,31,21-22); .

პირობითი დამოკიდებული წინადადება ძირითადად უკო-  
რელატოდაა წარმოდგენილი. იშვიათად მთავარში მოცემულია  
ხათე (=ძაშინვე) (შდრ.: თანამედროვე ქართულის მაშინ,  
მაშ(ა) პირობითი კავშირის კორელატები (შ. ძიძიგური  
1973:260).

თანამედროვე ქართული პირობით დამოკიდებულ წინადა-  
დებაში „რომ“ და „თუ“ კავშირებს იყენებს. აღნიშნული კავ-  
შირების განაწილება ხდება დამოკიდებული წინადადების  
ზმნა-შემასმენლის კილოს მიხედვით — „რომ“ კავშირი კონი-  
უნქტივს ეხამება, „თუ“ კავშირი — ინდიკატივს“ (შ. ძიძიგუ-  
რი 1973:372).

მეგრულში, ქართულისაგან განსხვავებით, პირობითი კი-  
ლოც არსებობს (ი. ყიფშიძე 1914:01339). პირობით დამოკი-  
დებულ წინადადებაში მოცემულია თხრობითი, კავშირებითი  
და პირობითი კილოს ზმნები. კავშირებითი და პირობითი კი-  
ლოს ფორმებთან მოცემული -ნი კავშირი ქართული „რომ“  
კავშირის ფარდია, თხრობითი კილოს ფორმებთან მოცემული  
კი — „თუ“ კავშირისა.

ჩვენ მიერ დამოწმებული მაგალითების მიხედვით დამოკი-  
დებულ წინადადებაში ზმნები მოცემულია შემდეგი მწკრივე-  
ბის ფორმით:

ა) მყოფადი, თხრობითი კილო

პაპას ღაჭუას ქუდუჭჭყანენი – გოლაჭი (=მღვდელს თუ გაკრეჭას დაუჭირებელ, გარიჭე) (ტ. II, 441, 21);

ბ) II კავშირებითი, კავშირებითი კილო

სამცენიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ „ე/ე-ნიანი კავშირებითის ფორმები გამოიყენება პირობით დამოკიდებულ წინადაღებაში, როცა ეს უკანასკნელი „რომ“ კავშირს შეიცავს“ (ი. ყიფშიძე 1914:0139);

მა თენა დოვჭარენი, თემ ქი(ც)ანა დემენდურებუ (=მე ეს რომ დავწერო, მთელი ქვეყანა (ე.ი. ბევრი ვინმე) დამემდურება (გადამეკიდება)).

გ) II პირობითი, პირობითი კილო

„პირობითი II იწარმოება წყვეტილის ფუძისაგან ოკო(6)> კო(6) მაწარმოებლით. ამ მწერივის შინაარსი ქართულში გაღმოიცემა უმეტესად თურმეობითი II-ით, „რომ“ კავშირის მიმატებით“ (მ. მარგველაშვილი 1982:77). საერთოდ, (ო) კო(6)> კო(6)-ით ნაწარმოები რთული ზმნური ფორმები დამოკიდებულ წინადაღებაში გამოიყენება, მათ შორის პირობით დამოკიდებულში (ი. ყიფშიძე 1914:0139).

კვერცხი ქაბრუსგანი, ჯიმუშიერი დოღურუდუ (=კვერცხი რომ ენაზებინათ, ჯიმშერი მოკედებოდა) (ტ. II, 50, 22);

-ნი კავშირიანი ქვეწყობილი წინადაღება შეიძლება უკორელატოდაც იყოს წარმოდგენილი. ასეთ დროს კორელატის აღდგენა ხერხდება წინადაღების მთლიანი შინაარსის გათვალისწინებით. მაგრამ ზოგჯერ წინადაღების შინაარსს ერთნაირად ესადაგება ორი სხვადასხვა მნიშვნლობის ზმნიზედა და უპირატესობის მინიჭება რომელიმე მათგანისთვის ჭირს. ძირითადად დროისა და მიზეზის ზმნიზედები მეტოქეობენ. ეს კიდევ ერთხელ მოწმობს დროსა და მიზეზს შორის ისტორიული კავშირის არსებობას (იხ. არ. ჩიქობავა 1945:490. მსჯელობა და მაგალითები იხ. აგრეთვე ჩვენს ნაშრომში თავი II, §3).

დიდაქ სქეუა ქოძარგნი, მუთუნს ვაჯაბენდუ (1. =დედამ შვილი რომ/როცა ნახა, [მერე] არაფერს არ დარღობდა; 2. =დედამ შვილი რომ/რაღვან ნახა, არაფერს არ დარღობდა).

ამგვარ სიტუაციაში გასარკვევად გამოყენებულია ლ. კვაჭაძის მიერ შემუშავებული მეთოდური ხერხი, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს კონტექსტის, მოცემული წინადადების გარემოცვაში არსებული სიტაქსური ჯგუფის გათვალისწინება (ლ. კვაჭაძე 1950:66). მაგ.,

უკული უირხოლო თოლითი ქუუღუდუ, მარა ღურადღაშახე<sup>1</sup> იშენი წიმინდე სამართალს კვათგნდგ დო დოლურუნი, ჩხონდგ (ტ.II,332,32-34).

კონტექსტზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ აქ დრო ივარაუდება და არა მიზეზი. ამიტომ ...დოლურუნი, ჩხონდგ კონსტრუქციაში შეიძლება აღვაღინოთ დროის გამომხატველი კორელატი: ...დოლურუნი, [თიწკემა] ჩხონდგ (=რომ/როცა მოკვდა, [მაშინ] ცხონდა).

## § 2. ნამუდა (=რომ) კავშირი ქვეწყობილ წინადადებაში

მეგრული ნამუდა/ნამუდა/ნამდა მაქეემდებარებელი კავშირი რთული შედგენილობისაა: ნამუ-და (საკუთრივ ნამუ (=რომელი?) კითხვითი ნაცვალსახელის აგებულების შესახებ მსჯელობა იხ. მე-20 გვ.-ზე) 6. აბესაძის აზრით, ნამუდას პირველადი მნიშვნელობაა თუ რომელი (6. აბესაძე 1965:250). შ. ძიძიგურის თვალსაზრისის გათვალისწინებით, „მართალია,

<sup>1</sup> მყარი სინტაგმა — „ღურა-დღაშახ“ ნიშნავს სიკვდილამდე, მთელი სიცოცხლის მანძილზე (აღნიშნავს დროს), იხ. სქოლიოგი (შედგ. კ. დანიელის მიერ) ქართული ხალხური სიტყვიერების II ტ. თბ., 1991, გვ.636).

მაერთებელი კავშირის გაგებით მეგრულში „დო“ გვხვდება, მაგრამ ზომ შეიძლებოდა „და“ ვარიანტიც გვქონოდა და ამ ვარიანტს „თუ“ს გაგება შემდგომ მიეღო (შ. ძიძიგური 1973:362).

მეგრული ნამუდა’ს მორფოლოგიური შესატყვისია ქართული „რომ“ და სვანური „ერე“ კავშირები (ნ. აბესაძე 1965:250). როგორც აღნიშნული იყო, მეგრული -ნი კავშირიც ყველაზე ახლოს თანამედროვე ქართულის „რომ“ კავშირთან დგას.

ცნობილია, რომ -ნი კავშირის ადგილი ძირითადად დამოკიდებული წინადადების ბოლოშია, ხოლო „ნამუდა“ უმთავრესად იწყებს დამოკიდებულ წინადადებას, იშვიათად მოთავსებულია მასში. ნამუდა’ს შემცველი ქვეწყობილი წინადადების კომპონენტთა განლაგება განსაზღვრულია – დამოკიდებული მოსდევს მთავარს (შდრ.: -ნი კავშირიანი ქვეწყობილი წინადადების შემაღერებულ ნაწილთა განლაგება).

ი. ყიფშიძე ასახელებს ნამუდა’ს ძირითად მნიშვნელობებს: что, чтобы, когда. а мыс გარდა, იგი სხვადასხვა კორელატთან სხვადასხვაგვარ მნიშვნელობებს იძენს (ი. ყიფშიძე 1914:0122,286).

„ნამუდა“ გამოიყენება ქვემდებარულ, დამატებით<sup>1</sup>, განსაზღვრებით, ვითარების გარემოებით, მიზეზისა და მიზნის გარემოებით, ვითარებით-შედეგობით დამოკიდებულ წინადადებებში. ყველაზე ხშირად დამატებით და განსაზღვრებით დამოკიდებულ

<sup>1</sup> „ნამუდა“ კავშირი დამატებით (პირდაპირ დამატებით) დამოკიდებულ წინადადებას მთავართან აკავშირებს მაშინ, როცა ამ უკანასკნელში გარევეული ჯგუფის, კერძოდ, თქმა-ბრძანების გამომზატველი ზმნებია მოცემული. ამ ჯგუფის ზმნათა მონაწილეობით შექმნილ პირობაქსურ კონსტრუქციებს აქ არ წარმოედგენთ, ცალკე თავში განვიხილავთ – ე.წ. „ცნობიერება“ წრის ზმნებთან. „ნამუდა“ კავშირი ირიბ დამატებით დამოკიდებულ წინადადებაში დადასტურებული აქვს ვ. აზალაიას (ის. ვ. აზალაია, 1999:193).

წინადადებებში ვხვდებით. რამდენიმე მაგალითში „ნამუდა“ კავშირი უბრალო დამატებით დამოკიდებულ წინადადებაშიც დავადასტურეთ. „ნამუდა“ კავშირის მნიშვნელობის გასაძლიერებლად ზოგჯერ მასთან ერთად -ნი კავშირიც იხმარება.

„ნამუდა“ კავშირიანი დამოკიდებული წინადადების ტიპები

ქვემდაბარულ დამოკიდებულ წინადადებას მთავარში კორელატად მოეპოვება პირის ნაცვალსახელები.

ხოლო უმოსი გასაკეირო დაასქიდეს თიქ. ნამდა ხეჩოში გუდას ანთასი ფუთიში უმოსი ღვინქ ქენანტირუ (=კიდევ უფრო გასაკეირად დარჩათ იქ. რომ ხეჩოს გუდაში ათას ფუთზე მეტი ღვინო ღაეტია) (ტ.II,44,33-34).

უბრალო დამატებითი დამოკიდებული წინადადების კორელატია მოქმედებით ბრუნვაში დასმული ჩვენებითი ნაცვალსახელი — თთ (=იმით).

დიდაქ დუდი იმართვ ითამ თთ. ნამდა ვააკოდგ მუში სქუაქს ნდემეუცც ქიძკალურუკონი (=დედამ თავი იმართლა ვითომ იმით. რომ არ უნდოდა თავისი შვილი დევებს შეპკვდომოდა) (ტ.II,44,33-34).

განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების კორელატებია მთავარში: ეუერი//ეური (=ისეთი, „იმუერი“), თინერი(=იმნაირი), თირივი(=იმნაირი/, „იმ რიგის“), თიცალი//თიცაი //თეცაი<sup>1</sup> (=იმნაირი), თიჯგურა<sup>2</sup>//თიჯგურა(=იმგვარი), თი(=ის) ჩვენებითი ნაცვალსახელები. მაგ.,

რაში ჯიმუშიერიში ფერი რდილი რე, ნამდა ნანარტის ეუცუნანცენი (=ჯიმშერის რაში ისეთი გაწვრთნილია „ზრდილია“, რომ ნანატრს შეუსრულებს [კაცს]) (ტ.II,50,29);

<sup>1</sup> ორი უკანასკნელი ფორმა დასტურდება მარტვილელთა მეტყველებაში. ეს აღნიშნული აქვს ვ. ახალაიასაც (ვ. ახალაია 1999:196).

<sup>2</sup> თი-შ-გურა>თი-ჯგურა=„ისეთი“, სიტყვასიტვით: „იმისთანა კარგი“.

დაჩნირი აკომირზი უერთ, ნამდა თაქი მატებანდასენი (=ცეცხლი დამინთე ისეთი, რომ აქ მათბობდეს) (ჭ.II,296,39);

ოზეს გალე მუკი-მუკი ჩხე წყალი გოცუნს თოცალი<sup>2</sup>, ნამუდა მუსგთ მიკაწენსენი, ირიფელს დოჭუნს (=ეზოს გარეთ, ირგველივ ცხელი მდინარე („წყალი“) აკრავს ისეთი, რომ, რასაც მიეწევება, ყველაფერს დაწვავს) (ჭ.II,6,14);

ქიუანას დიღორუუ თიცალი კოჩი, ნამდა სი კოლონათ გუმორჩინდგქ თიწკმა (=ქვეყანაზე მოიძებნება ისეთი კაცი, რომ შენ კოლოდ გამოჩნდები მასთანი) (ჭ.II,278,11);

მუნერი ოკო ორზეკო თიქ თინერი დაჩნირი, ნამდა ოხვამეს ქსმუტუბუკონი (=როგორ უნდა დაენთო მას ისეთი ცხვ-ხლი, რომ ეკლესიაში [მღვდელი] გაეთბო) (ჭ.II,298,1-2);

თი ბოში თინერი მასჯერიში დაბადებული იქინია, ნამდა კვერცხი ქააძირია-და, ზათე გოტენცე შურცია... (=ის ბიჭი ისეთ ვარგულავზე იქნება დაბადებული, „დაბადებული იქნება“, რომ, კვერცხი თუ ანახეო, იმ წუთას განუტევებს სულ-სო...) (ჭ.II,48,34-36);

...ე ოსურქ... დიღი ცუდე ქიგედგუ. კურგომ თიჯვურს მალვერი ქიგუბუნუუ, ნამდა მუთუნს ვემნართე (ხ.,86,14) (=ამ ქალმა დიღი სახლი დადგა. ირგვლივ ისეთი მალავარი შემოავლო, რომ ვერაფერი ვერ შემოვა).  
\_\_\_\_\_

<sup>1</sup> მისამართი სიტყვა და ჩვენებითი ნაცვალსახელი გათიშულია ზმნით. „დისტანციური განსაზღვრება ცოცხალი მეტყველებისათვის ნაკლებდამა-ხასიათებელია, მაგრამ მაინც შეიძლება შევახვდეს, მაგალითად, მეგრულ-ში (ან. კიზირია 1982:220).

<sup>2</sup> აქ გათიშვას ხელი შეუწყო საზღვრულთან სხვა მსაზღვრელის არსებობასც.

მუა-სქანი თი რიგი კოჩი რდე, ნამედა ქაშქვილიში ძა-  
ფის ჟირხოლო ჩანჯ კითიშა ქეგიკრანდე ღო გჰეკინანდენ,  
გოსოფუნდე (ხ. 97, 1-2) (=მამაშენი ისეთი („იმ რიგის“) კაცი  
იყო, რომ მშვილდის ძაფს ორივე ცერა თითზე გამოიბამდა  
და, რომ გასწევდა, გაგლეჯდა).

ბრელი ეზვეწუ ჭიჭიაქ ღო ბოლოს მიღეცონუ მუმაქ თი  
პირობით, ნამედა მუთუნ ვამოთხუეკო (=ბევრს ეზვეწა ჭიჭია  
და ბოლოს წაიყვანა მამამ იმ პირობით, რომ რაიმე არ მო-  
ეთხოვა) (ტ. II, 340, 36).

ასე მიშელე კინი თი აზრიში, ნამედა ხოლო მინიბლე  
თი წყარს ღო მიღურქ ცუდეშავა (=ახლა ისევ იმ აზრმდე  
მივიდა („იმ აზრში შევიდა“), რომ ისევ გადავალ იმ მდინა-  
რეს („წყალს“) და წავალ სახლშიო) (ტ. II, 242, 17).

ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადება კო-  
რელატად იყენებს ვითარების ზმიზედებს თეში/თეშ (=ისე)  
და ვითარებით ბრუნვაში მდგარ ჩვენებით ნაცვალსახელებს:   
თინერჯ (=იმნაირად), უჯერინერჯ (=ისეთნაირად). მაგ.,

...თეში დაშქურინეს ირი კოჩი, ნამედა ინეფიში სა-  
ხელმწეფოში ღიხაშა კუჩხიში გედგმაშათი ოშქურუდესუ  
(=ისე შეაშინეს ყველა (ცყველა კაცი“), რომ მათ სახელმწიფო-  
ში მიწაზე ფეხის დაღმისაც კი ეშინოდათ) (ტ. II, 240, 17);

ასე მა თეს გოვლურუცხინუანქ ღო თეშ მოვლნწყუნქ, ნამედა  
თექ სი ქოცოროფუასია (=ახლა მე ამას გავაღვიძებ და ისე მო-  
ვაწყობ საქმეს, რომ ამან შენ შეგიყვაროს) (ტ. II, 272, 35);

<sup>1</sup> „თი რიგი კოჩი“, როგორც ჩანს, თი რიგიშ კოჩი (=იმ რიგის  
კაცი) საგან მომღინარეობს. ნათესაობით ბრუნვაში დასმულმა  
განსაზღვრებამ ბრუნვის ნიშანი შესაძლებელია დაკარგოს გამშულ  
მეტყველებაში. ეს მოვლენა საერთოა მეგრულ-ჭანური და სეანური  
ენებისათვის, ასევე ქართული ენის დიალექტებისათვისაც (არნ. ჩიქობავა  
1936:63; ან. კიზირია 1982:225-226).

...ოცადუდეს, მუთუნფერო თინერო ქიმერთესკო ხანიშა, ნამუდა დუდი მაწონაფესკონი (ხ.14,30-31) (=ცდილობდნენ, რამეფრად ისეთნაირად მისულიყვნენ ხანთან, რომ თავი მოეწონებინათ);

თე ბოშიქ ეფერინერზო ქიდიიხორუ, ნამუდა ძალამი ჯვირო, მუმას დო შხვა ჯიმალენს ორჯგინგ ირიფელიშენი (=ეს ბიჭი ისეთნაირად დასახლდა, რომ ძალიან კარგად, მამას და სხვა ძმებს აჯობა ყველაფერში) (ტ.II,288,10).

ზოგჯერ მთავარ წინადაღებაში კორელატად მოცემულია სხვადასხვა ბრუნვაში მდგარი ჩვენებითი ნაცვალსახელი ვითარების გარემოების ფუნქციით.

### 1. სახელობითი ბრუნვის ფორმით

ქოჩორაქ მოურქე რაშის, თიცალი ქალაცაფინუ, ნამუდა ხენწიფეში მახორობა იცანცალუ (=ქოჩორამ გააგელვა რაში და ისე („ისეთი“) აათამაშა, რომ ხელმწიფის სახლ-კარი („სახლობა“) ზანზარებს) (ტ.II,82,37);

...ეშეელგ ყორშიში დუღიშა დო თიცალი ქიმიოკუგუნგ, ნამუდა მურიცხეფუ ქსდუქანცალუუ (=ავიდა კოშეის თავზე და ისეთი დაიყვირა, რომ ვარსკელავები შეაზანზარა) (ტ.II,44,35-36);

ლევანქ ფერი ქიგიოკიუნუ, ნამუდა ცას მურიცხიქ გამასორცქუ (=ლევანმა ისეთი დაიყვირა, რომ ცას ვარსკელავი მოსწყდა) (ტ.II,96,29);

ჩილი დო ქომონჯი თიზგმა<sup>2</sup> მოწყინაფილი რდესგ, ნამუდა გოძიცინი ინეფიში ძვირაასგ იციირდგ (=ცოლი და ქმარი

<sup>1</sup> შესგავსი შემთხვევა ქართულშიც დასტურდება. მაგ., ის ბერიკაცი ასეთი გამორბოდა, რომ ოცი წლის ბიჭი გეგონებოდა (ი.ჭ.II,107,30) (ფ. ერთოლიშეკლი 1962:159).

<sup>2</sup> შესაძლოა, თიზგმა-თიზგმათ ფორმისაგან.

იმდენად მოწყენილი იყვნენ, რომ მათი გაცინება იშვიათად („ძვირად“) იქნებოდა) (ტ. II, 48, 18).

## 2. მიცემითი ბრუნვის ფორმით

უკას იბირს, უერს ღურჭულანს, ნამდა ათაქიან გოჯინას დო რჩქილას მუთუნ ვაუჯგუ (=ისეთს მღერის, ისეთს უღურტულებს [ხე], რომ აქაურობის ყურებას და მოსმენას არაფერი არ სჯობია) (ტ. II, 272, 3-4).

თი ნდემი თიზგმასგ ქუუცორცია, ნამდა თოლი თიშა აფუ მეჩემებულია (=ის დევი იმდენად („იმ ზომაზე“) უყვარსო, რომ თვალი მასზე აქვს მიშტერებულიო) (ტ. II, 54, 36-37).

## 3. დაშორებითი ბრუნვის ფორმით

იპრტი თი ზომაში<sup>1</sup>, ნამუდა უდაბურ ტყას ქიმთობლი (ხ., 42, 20) (=გავიქეცი ისე („იმ ზომამდე“), რომ უდაბურ ტყეში შევვარდი).

ჩვენებითი ნაცვალსახელი ზოგჯერ გამეორებულია. მაგ., ...უფერი-უფერი მართახი ქიგგმაშევია, ნამდა ართი შორტი ტყები ართი ცურე გემონწყია... (=მათრახი ისე („ისეთ-ისეთ“) დამარტყიო, რომ ერთი შოლტი ტყავი ერთ მხარეზე ამაძვრო... ) (ტ. II, 54, 23).

„ნამუდა“ს მიზეზის კავშირის შინშვნელობა აქვს, როცა მთავარში კორელატად მოცემულია მიზეზის ზმნიზედები: თი-შენი(=იმიტომ), თეშენი(=ამიტომ). მაგ.,

„მარა“ თიშენი ფოტევია, ნამდა გაგიჭირდუნა თქვა თი ბოშიში შენახავა (=„მაგრამ“ იმიტომ ვთქვიო, რომ გაგიჭირდებათ თქვენ იმ ბიჭის შენახვაო) (ტ. II, 48-38).

[ღორონთქ] ქეგაპატიუა სქანი სქეა თიშენი, ნამდა სიწირუას გერდია დო სქანი სქუაში დინაფა ქიმეგიღესია, შური ვაგიქალგნია. (= [ღმერთმა] „გაპატია“ შენი შვილი იმიტომ, რომ შენ წირვაზე იდექიო და შენი შვილის დაკარგვის

<sup>1</sup> თი ზომაშა<თი ზომაშაჲ.

[ამბავი] რომ მიგიტანეს, ზმა („სული“) არ ამოგიღიაო (ტ.II,306,23-24).

კორელატად ზოგჯერ, მიზეზის ზმნიზედის ნაცვალად, ვითარების ზმნიზედაა გამოყენებული:

თით ქიიჩინუ, მუჭო მუში თხუალაქ უაზროთ იცუუნი. უაზროთ ათენერო ნამუდა, თხუ სქუაში ერჩქინა, ხოლო მუში დასწრება — ვარ (=ისიც შეიცნო, რომ მისი თხოვნა უაზრო აღმოჩნდა, „უაზროდ შეიქნა“. უაზრო იმიტომ („იმნაირად“), რომ სთხოვა შეიღის გაჩენა, ხოლო თავისი დასწრება — არა) (ტ.II,106,151).

მიზეზის დამოკიდებული წინადადების კორელატი თიშენი/თეშენი (=იმიტომ/ამიტომ) მეგრულში, ქართულის მსგავსად, მთავარი წინადადების ბოლოს მოკუვეისა და იქ ადგილის დამკიდრების ტენდენციას იჩენს, რაც დროთა განმავლობაში კავშირთან შეერთებით მთავრდება. კორელატისა და კავშირის ერთ რიტმულ-მელოდიკურ მთლიანობად აღქმა დამახასიათებელია ზეპირი მეტყველებისთვის, მაგრამ ეს პროცესი თანდათანობითაა. შედრ.: ლაზურის ვითარება, საღაც ჰემუშენი (=იმიტომ) ხან გამოყოფილია კავშირისგან მძიმით (...ჰემუშენი, ქი<sup>1</sup>=იმიტომ, რომ), ხან — არა (...ჰემუშენი ქი=იმიტომ რომ). მეგრულში კავშირის კომპანენტად ქუვეის ტენდენციას განსაკუთრებულად თაშვერშენი (=იმის გამო/იმის გულისთვის) კორელატი ამჟღავნებს: თაშვერშენი ნამუდა (=იმის გულისთვის რომ) (ლ. ფაჩულია 1997:65). ასეთი გზით მიღილება თაშენი ნამუდა, თუშენი ნამუდა რთული კავშირებიც, ისევე, როგორც მათი ქართული ფარადი იჩინობოდა რომ, ამიტომ<sup>2</sup> რომ (შ. ძიღიგური 1973:245-

<sup>1</sup> ქანსესხების თურქულიდნ. „ნამუდა“ ლაზურში არ დასტურდება.

<sup>2</sup> ლექს მურშამტური რთული შედგმოლობისა და იმუქა შემცვნასად: იმა რომაული ას რომაული (გ. როგორ). გ. როგორ წარმაშობით ასევე რთული შედეგმოლობის მანევრები გამოყენებულ მიზეზის კავშირის კარელატების თუშერშენი (იმსოდეს რომ „არა“) >თაშენი (იმსოდეს/იმტომ). თუშერშენი (ასასული რომ „არა“) >თაშენი (ასასულ/ამტომ) (გ. როგორ 1987:47).

346). თუმცა ზოგჯერ მძიმითაც არის გამოყოფილი: თიშენი, ნამუდა (=იმიტომ, რომ); თეშენი, ნამუდა (=ამიტომ, რომ).

შ. ძიძიგური აღნიშნავს, რომ ამგვარი რთული კავშირების მისაღებად კორელატის პოზიცია ერთ-ერთი ძირითადი, თუმცა არც მთლად საკმარისი პირობათაგანია. ლოგიკური მახვილის მქონე კორელატი, თუნდაც კავშირის მეზობლობაში, ძველ მნიშვნელობას ინარჩუნებს. ხოლო როცა კორელატი და კავშირი ერთ ინტონაციურ ერთეულად აღიქმება, მაშინ თანშეზრდის პროცესი დამთავრებულია (შ. ძიძიგური 1973:345). ავტორს მიაჩინია, რომ ამ მხრივ ნაკლები პრობლემა იქმნება ზეპირ მეტყველებაში, რადგან რიტო-მელოდიკური ფაქტი იქ აღვილად აღიქმება; ხოლო როცა საქმე გვაქვს დაწერილთან, ამ შემთხვევაში ლოგიკური მახვილი და სასვერი ნიშანი შეიძლება არ ფარავდეს ერთმანეთს. უფრო რთული ვითარებაა ძველ წერილობით ძეგლებში, როცა პუნქტუაციის არადიფერენცირებულ სისტემას არ ძალუქს გადმოსცეს ფრაზის ინტონაციური თავისებურება (იქვე:346).

ჩვენ დავძენთ, ორი კომპონენტის თანშეზრდის პროცესი სანამ დასრულდება, გარკვეულ შემთხვევაში, ორაზროვნებასთან გვექნება საქმე. ამგვარი მაგალითები ზეპირ მეტყველებაშიც შეიძლება დაიძებოს. და წერილობით ძეგლებშიც დადასტურდეს, ანუ „ზოგჯერ ტექსტი არავითარ სემანტიკურ ანდა ფორმალურ ნიშნებს არ შეიცავს გარკვეული დასკვნის გამოსატანად“ (იქვე:346).

მიზეზის კავშირისა და კორელატის შემცველი რთული კავშირი მიზეზთან ერთად შედეგზეც მიუთითებს და ქვეწყობილი წინადადება მიზეზ-შედეგობრივა<sup>1</sup>. მაგ.,

<sup>1</sup> მევრულში რთული მიზეზ-შედეგობრივი კავშირის შემადგენლობაში თანაბრად მონაწილეობს როგორც თეშენი (=იმიტომ), ისე თეშენი (=ამიტომ) მიზეზის ზმნიზედები. ხოლო ასალ ქართულში „რომ-თან ნიშანდობლივია იმიტომ, მატომ კორელატი“ (შ. ძიძიგური, 1973, გვ. 345), რის გამოც მევრული „თეშენი ნამუდა“ ქართულში „იმიტომ რომ-თან გადმოდის.

ოზეში კარეფიშა ვემუნირთე, თიშენი ნამუდა თითო ჭიშ-კარი ანთასი ფუთიანი რე (=ეზოს კარებში არ შეისვლება, იმიტომ რომ თითო ჭიშკარი ათასი ფუთიანი არის) (ტ.II,66,17);

ათე უამსგ ცვამურიცხამქე ქიდეელახე დო შურიმალაფუო გინირთგ, თეშენი ნამუდა თიში შური ცოფე თურმე თენა (=ამ დროს ცვამურიცხამი ავად გახდა და სიკედილის პირას მივიდა, იმიტომ რომ მისი სული ყოფილა თურმე ეს) (ტ.II,26,9);

მუქუ წვალე გიმელასგ გვალაშე დო ქიიძურუასი, ოშქუ-რე, თეშენი ნამდა ბეა ოლე მეურცუ (=თვითონ რომ მარტო ჩამოვიდეს მთილან და ნახოს, ეშინია, იმიტომ რომ მზე აღ-მოსავლეთისაკენ („მზის აღმოსავლისაკენ“) მიღის) (ტ.II,40,27-28).

თი ჩილიში თოხუუშა მიიშენი, მაფაში სქუაქ კოჩი ჭუ-მუჩქუ თე ბოშისგ დო მუუჩინგ: „შარა ქემოთხიია“, ათეშენი ნამუდა შარაპიც გილახედგ დო შხვა არდგილით ვემიშაარ-თედგ ცხენამი კოსგნი (=იმ მეფის შვილმა, ცოლის სათხოვ-ნელად რომ მიღიოდა, კაცი მიუგზავნა ამ ბიჭს და შეუთვა-ლა: „გზა დამითმეო“ („მათხოვეო“), იმიტომ რომ გზის პი-რას იჯდა და სხვა ადგილიდან ვერ გაივლიდა ცხენოსანი კაცი) (ტ.II,220,3-5).

მიზნის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებასაც მთა-ვარში თიშენი/თეშენი (=იმიტომ/ამიტომ) კორელატები შეე-ფარდება, ოღონდ აქ მათი ქართული მნიშვნელობებია იმის-თვის/ამისთვის, ხოლო დამოკიდებული წინადადების შემასმე-ნელი კავშირებითი კილოს ზმნითაა გადმოცემული (ნ. აბესა-ძე 1965:248); მაგ.,

მა თაქ თიშენ მოფრთი, ლაზუტი (ლაიტი) ქომიციდირუ-  
ლეკონი (ყ.2,26) (=მე აქ იმისთვის მოვედი, სიმინდი რომ  
მეყიდა).

ვითარებით-შედეგობითი კავშირიც რთული შედგენილობი-  
საა. მიღება ვითარების ზმნიზედისა (თეშ „ისე“, თაშ „ასე“)  
და ნამუდა კავშირის შერწყმით: თეში ნამუდა (=ისე რომ),  
თაში ნამუდა (=ასე რომ)<sup>1</sup>. აღნიშნული კავშირები გვხვდება  
შედეგობითი დამოკიდებული წინადაღების შემცველ ქვეწყო-  
ბილ წინადაღებაში. შედეგობითი დამოკიდებული წინადაღების  
მთავრისადმი დაქვემდებარება სუსტად არის გამოხატული. ამ  
სახის დამოკიდებული მთავარ წინადაღებას მიემართება  
მთლიანად და არა მის რომელიმე წევრს (ლ. კვაჭაძე  
1977:379-380). მთლიანად წინადაღება წარმოადგენს ამოცა-  
ნის შესრულებისა და მისგან გამომდინარე შედეგის ფაქტის  
კონსტატაციას (შ. ძიძიგური 1973:349).

შედეგობითი დამოკიდებული წინადაღების აღგილი მყარია;  
პირველ აღგილზე ყოველთვის მთავარი წინადაღებაა, მეორეზე  
— დამოკიდებული. საგულისმრა, რომ ამ ტიპის წინადაღება-  
ში რთული კავშირის წინ დაისმის მძიმე ან წერტილ-მძიმე<sup>2</sup>.  
მაგ.,

ათე რაშიში ნაფოლე დიხას გიოხე, ორ დიხას, თეში ნა-  
მუდა თითო ნაფოლეს თითო კოჩი ინინტირე (=ამ რაშის  
ნაფლოქვარი მიწას ატყვია ყველგან, ისე რომ თითო ნაფ-  
ლოქვარში თითო კაცი ჩატევა) (ტ.II,82,39).

მოუსვეს დო ჭკირეს [დუდევი], თაში ნამუდა ჟირხოლო  
ტარიელევი ონჯუაშა ჭოუკილგნდესგ ნდემემცუ (=მოუსვეს

<sup>1</sup> ასეთივე გზით მიიღება ქართულშიც ვითარებით-შედეგობითი კავშირები:  
ასე რომ, ისე რომ. იხ. შ. ძიძიგური 1973:34; ფ. ერთეულიშეიღი  
1962:158-159.

<sup>2</sup> გამოცმულ მეგრულ ტექსტებში ეს წესია გატარებული თრიოდე გამო-  
ნაკლისის გარდა: იხ. მ. ხუბუა 1937:74,14;230,24-25.

და ჭრეს თავები, ასე რომ ორივე გმირი სალამომდე კლავდა დევებს) (ტ. II, 68, 2).

მარა გამოთხუალა თინეფიში ვეერაგადეე, მუ წუხარებაქ იუუუნი; თაში ნამუდა ირიფელიქ ქიშიიტყუ ინეფიში გამოთხუალა დო ნგარა: ბჟა დო თუთაქ ცა დო დიხაქ, ზღვა დო ქვიშაქ (=მაგრამ მათი გამოთხოვებისას არ ითქმის, თუ რა მწუხარება შეიქმნა; ასე რომ ყველთერმა შეიტყო მათი გამოთხოვება და ტირილი: მზემ და მთვარემ, ცამ და მიწამ, ზღვამ და ქვიშამ (ტ. II, 18-20, 40-1).

### § 3. ჯა (=თუ) კავშირი ქუეწყობილ წინადაღებაში

-და მეგრულში გამოიყენება როგორც ნაწილაკის, ასევე კავშირის ფუნქციით. გარკეეულ შემთხვევებში -და ნაწილაკად ძეელსა და ახალ ქართულშიც გვხვდება; -და „თუ“-ს მნიშვნელობით ლაზურშიც დასტურდება, თუმცა ძალზე იშვიათად (ც. კლიმოვი), მაგ., მინონ-და „если захочу“ (არნ. ჩიქობავა)<sup>1</sup>.

-და კავშირის წარმომავლობის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა; ერთი თვალსაზრისის თანახმად, „და“ წარმოშობით კავშირია და ნაწილაკად შემდეგ იქცა (აკ. შანიძე 1973; 1980); სხვა თვალსაზრისის მიხედვით, -და კავშირს ნაწილაკოვანი დასაბამი აქვს (არნ. ჩიქობავა 1936:205; შ. ძიძიგური 1973:450). ამ თვალსაზრისის მომხრეთათვის ამოსავალი სწორედ მეგრულის ჩვენებაა, სადაც პირობითობა გადმოცემულია „და“ ნაწილაკის მეშვეობით. „მეგრული უნდა ასახავ-

<sup>1</sup> აღნიშნულ ცნობას ვიმოწმებთ ვ. ახალაიას ნაშრომის მიხედვით (ვ. ახალაია 1999:182).

დეს უძველეს ვითარებას: ნოშქერს გიმოჩანქ-და, სუმ შაურს მერჩა (=ნახშირს თუ გაყიდი/„გაყიდოდა“, სამ შაურს მოგცემ)“ (არნ. ჩიქობავა 1936:185). ვ. ახალაია დასაშვებად მიიჩნევს „პირუკუ ვარაუდს: -და ნაწილაკი იყო იმთავითვე ამ უუნქციით“ (ვ. ახალაია 1999:183).

დღევანდველ სასაუბრო მეტყველებაში ამგვარი კონსტრუქციები ბუნებრივია. შ. ძიძიგურის აზრით, დაბრკოლებად არ ითვლება ის გარემოება, რომ მართებელი კავშირის მნიშვნელობით მეგრულში -დო გვხვდება. გამორიცხული არ უნდა იყოს „და“ ვარიანტის არსებობაც, რომელსაც, შესაძლოა, თუს გაგება შემდგომ მიეღო (შ. ძიძიგური 1959:362).

–და კავშირ-ნაწილაკის პოზიცია მეგრულში ფიქსირებულია, დამოკიდებული წინადაღების ბოლო წევრს დაერთვის. ქართული „თუ“ კავშირი ძირითადად დამოკიდებული წინადაღების თავში დგას, შესაძლოა, შუაშიც იყოს მოქცეული, ბოლოშიც არის დადასტურებული, მაგრამ ეს უკანასკნელი პოზიცია ნორმა არ არის. –და (=თუ) კავშირი ძირითადად პირობით დამოკიდებულ წინადაღებას აკავშირებს მთავართან. როგორც წესი, ამ ტიპის ქვეწყობილ წინადაღებაში პირობა დამოკიდებულ წინადაღებაშია მოცუმული, შედეგი – მთავარში და ნიშანდობლივია თანმიმდევრობა დამოკ+მთ., თუმცა შეუძლებელი არ არის დამოკიდებული კონპონენტის პრეპოზიცია და ინტერპოზიციაც.

პირობითი დამოკიდებული წინადაღების შემცველი ქვეწყობილი წინადაღების კორელატებია: თიშწკამ//თიწწკამ (=მაშინ), ხათუ/ხათე ბოლო (=მაშინვე), უკული (=მერმე), თეშე/ეშე (=ისე). შეიძლება მთავარი წინადაღება უკორელატოდ იყოს წარმოდგენილი.

**და მო კი დებული + მთავარი**

ჟირხოლო თორს დოფთხორგნქა-და, თიწწკამ მოსამართეთ ქედობხოდგქა (=თუ ორივე თვალს დაკითხრი, მაშინ დავჯდები მოსამართლედო) (ჭ. II, 330, 29);

სეპანი ძაგარქ ქემბალინუ-და, ხათე ბოლო დოსქილუ(6)  
(=შენი ჯაგარი თუ მიკუტანე, მაშინვე მორჩიება)  
(ტ.II,96,38);

თე რაშიშა ქიჯგახუნუა-და, უკული მუთუნცუ ვაგაიჭე-  
რენცია (=თუ ამ რაშზე შეძელი დაჯდომა, მერმე არაფერს  
არ გავიჭირვებსო) (ტ.II,48,3);

ძალამი წადილო ვართხუას და, ეში კოს მუთუნს ნუოთ-  
ხიინქია (=ღილი „ძალიან“ სურვილით თუ არ გთხოვოს, ისე  
კაცს ნურაფერს ნუ ათხოვებო) (ტ.II,226,25);

გამჭირდას და, ქეშმეხვარით (=თუ გამიჭირდეს, მომენმა-  
რეთ) (ტ.II,148,16). მაჟიაშა ქიჯგაკითხუა-და, ქიკნარჩქილია  
(ხ.,197,13) (=მეორედ თუ ჩაევძას, მოხედეთ);

თექ ქემეურთის და, რაშეფი დო ოსური დოვფულათია  
(=იქ თუ მიღინართო, რაშები და ქალი დავმალოთო) (ტ.II,274,6).

მთავარი + დამოკიდებული

ბრელი მისქილიდუაფუ, ღორონთქ ქოშემეწუ-და (=ბევ-  
რი მომირჩენია, ღმერთი თუ შემეწია) (ტ.II,326,11);

გიშელი დო მეჩხუბი, ჩხონჩხამი ქორექხადა (ხ.,4,35)  
(=გამოდი და მეჩხუბე, გულიანი თუ ბარო).

მთავარი + დამოკიდებული + მთავარი

ჩქინი სქუალეფი, ძლაბი დო ბოშიქ ქიცუანი-და, ჩილი დო  
ქომოვო ქიმვორჩენათია (=ჩვენი შვილები, თუ გოგო და ბი-  
ჭი იქნებ, [ერთმანეთის] ცოლად და ქმრად მივიჩნიოთო) (ტ.II,256,13);

ჯოღორენქია, თქვანი ქივანას გერი ჭეუნდუ საქონელსია-  
და, მე ქიმინუკონია? (ხ.,137,13-14) (=ძაღლებს, თქვენს ქავ-  
ყნაში მგელი თუ ჭამდა საქონელსო, რა ექნათო?).

როგორც აღვნიშნეთ, დამოკ.+მთ. თანმიმდევრობა სიხში-  
რით ბევრად სჭარბობს დანარჩენ ორს და ეს არ არის შემ-  
თხვევითი: „ძველ სალიტერატურო ენაში პირობითი დამოკი-

დებული წინადაღება წინ უსწრებდა მთავარ წინადაღებას; ინ-  
ვარსია განხორციელებულია ენის განვითარების მომდევნო  
საფეხურებზე და ამის საფუძველია გრამატიკული დაქვემდე-  
ბარების განმტკიცებული სისტემა“ (შ. ძიძიგური 1973:453).  
მეგრულს არქაული ვითარება შემოუნახავს; ხშირად გვხვდება  
ხალხური მეტყველებისათვის დამახასიათებელი კონსტრუქცი-  
ები, როცა ქვეწყობილი წინადაღების ნაწილებში ერთი და  
იგივე ზმნა (პრედიკატი) მეორდება. მაგ.,

ქუმისისნე-და, ქუმისის (=თუ მანახვებ, მანახვეო)  
(ტ. II, 102, 26);

ჰკუა უღუნ-და, ათეს აღვენუუ (=ჰკუა თუ აქვს [ვინმეს],  
ამას ექნება) (ტ. II, 322, 15).

—და ნაწილაკი ზოგჯერ მიზეზის გამომხატველ კითხვით  
სიტყვას ეკვრის (მუშენდა=რატომ-და) და მიზეზობრივი —  
თიშენი ნამუდა (=იმიტომ რომ)<sup>1</sup> და „რაღვან“ კავშირებს  
ცვლის. მაგ., ბოშიქ გებორგ: ...მუშენ-და ჯიმალეფი ქუჩუნ-  
დუნი, ვაუჩელდგ (=ბიჭი გაშეშდა, ...იმიტომ რომ (,რატომ-  
და“) თუ ძმები ჰყავდა, არ იცოდა) (ტ. II, 162, 30-31);

თი დედიბის გუჟვირდგ ქოჩორაში .მალაქე, მუშენ-და  
თისხი ნადირეფიში ხარგელო მორთვე (=იმ დედაბერს გაუკ-  
ვირდა ქოჩორას ძალა, იმიტომ რომ („რატომ-და“) ნანადირე-  
ვით („ნადირებით“) ისე დატვირთული მიერდა) (ტ. II, 88, 18);

მარა ბელთაგანი-ტარიელც ირუელი შხამი აუდუ, მუშე-  
ნი-და ეთი ძლაბიქ ქეცოროფუ... (=მაგრამ ბელთაგან-გმირს  
ყველაფერი შხამად ეჩვენებოდა, რაღვან (,რატომ-და“) ის  
გოგო შეუყვარდა) (ტ. II, 68, 10).

—და კავშირი ზოგჯერ ქართული „რაკი“ს ფარდია მიზე-  
ზის გარემოებით დამოკიდებულ წინადაღებაში.

<sup>1</sup> მუშენ-და (=რატომ-და)'ს მონაცელება თიშენი მამუდა (იმიტომ რომ)  
კავშირთან შენიშნული აქვს ლ. უაჩულისაც (იხ. ლ. უაჩულია 1997:65).

გორჩქინდიდა, მირდე ოქო,	რაკი გაჩნდი, უნდა გაიზარდო,
საქიანო გერძუ ვალი.	საქვეყნო გადევს ვალი. (კ.ს.112,21)
-და კავშირი ამავე ტიპის დამოკიდებულში ქართული „თუ“ კავშირის მნიშვნელობითაც შეიძლება შეგვხვდეს. მა ვარიას ფოქტუანდიდა, ჯარიში გინანქერაფალო...	მე უარს თუ ვამბობდი, ჯავრის გასაქარვებლად. (კ.ს.58,22)
ჭიჭე უჩა კორექტ-და, ჩხანას ვორექ წიმოჭვილი	ცოტა შავი თუ ვარ, მზეზე ვარ დამწვარი. (ტ.I,143,29)
-და კავშირი მეგრულ პიპოტაქსურ კონსტრუქციაში ქარ- თული „რომ“ კავშირის მნიშვნელობითაც დასტურდება. და- მოკიდებული წინადადება პირობითი შინაარსისაა: შურქი დეჩაფანასგდა, ხერენც ნძორი, თიში ტერი.	სული რომ დაჩიავდეს, ხარობს მძორი, მისი მტერი. (კ.ს.8,22)
თე აზრიშა ვეძშართათდა, ჩქინი ცოდა გაღალუნა. (ხ.325,25)	ამ აზრამდე რომ არ მიხვიდეთ, ჩვენი ცოდვა დაგედებათ.
„თუ“ კავშირის ზმარების არე ძველ ქართულში უფრო ვრცელი იყო. იგი გამოიყენებოდა „რომ“ კავშირის მნიშვნე- ლობითაც (ან. კიზირია 1956:54) ამგვარი მონაცემება აქ- შანიძეს შენიშნული აქვს გიორგი მთაწმინდლის ენაშიც (იხ. აკ. შანიძე 1946:154).	სვანურშიც ზოგჯერ ჰე (=თუ) კავშირი პირობით დამო- კიდებულ წინადადებაში ქართული „რომ“-ის ფარდია (ნ. ბე- საძე, 1962).

მიჩა ჭიშ ესერ ჰე აზდეღს ბეგის, მინე იშვისი ბუთქეა ი  
ჯიჯვისი (პროც. 1,187,15) (=ჩემი ქმარი რომ იყოს სახლში,  
თქეენს რბილსაც დაუქევავდა და ძვალსაცო)<sup>1</sup>.

ამგვარი მოვლენა თანამედროვე ქართულშიც დასტურდება  
(ფ. ერთელიშვილი 1962:119), რაც ძველი ქართულის თავი-  
სებურების ასახვად მიაჩნია ან. კიზირიას (ან. კიზირია  
1956:54). სანიმუშოდ დავიმოწმებთ ორიოდე მაგალითს ფ.  
ერთელიშვილისა და ან. კიზირიას ნაშრომების მიხედვით.:

თუ დედაჩემი არ ყოფილიყო, ოჯახში ყველაფერი არე-  
ულ-დარეული იქნებოდა (აკაკი, 23,39).

მაყურებლებს ეგონათ, თუ განგებ ქნაო (იქეე, გვ.42).

—და კავშირიანი ჰიპოტაქსური კონსტრუქციის განხილვი-  
სას არ შეიძლება გვერდი ავუაროთ მაგალითთა ერთ წევას,  
როდესაც მთავარ წინადადებაში გამოყენებულია იშენი/იშენი  
ნაწილაკი, ქართული „მაინც“-ის ფარდი.

ჯიმუშ მათხუალიშა ჯიმუ კემგაჩენდა, იშენ ჯიმუამი  
სიტყვა ქუუწი (=მარილის მთხოვნელს მარილს თუ კურ  
მისცემ, მარილიანი სიტყვა მაინც უთხარი) (ტ. II, 462,15);

მა კამირჩეილეთა-და, იშენი თქვანი ღორონც ქუურჩე-  
ლითია (=მე თუ არ მისმნთ, თქეენს ღმერთს მაინც შეხედე-  
თო) (ტ. II, 36,15);

პაპეფი ვარენია, პატინი, ვამორთესა-და, ჩეი იშენი ქიმე-  
ურთია (=მღვდლები არ არიან, ბატონო, თუ არ მოვიდნენ,  
ჩეენ მაინც მოვალთო) (ტ. II, 300,26).

მოცემული კონსტრუქციები არ არის მხოლოდ პირობითი  
დამოკიდებული წინადადებების შემცველი. იშენთ „მაინც“ ნა-  
წილაკი მთავარ წინადადებას დათმობის იერს აძლევს და  
მთლიანად ქვეწყობილი წინადადება პირობით-დათმობითი ზა-  
სიათისაა. ამ ჭიპის ჰიპოტაქსური კონსტრუქციისთვის ნიშან-

<sup>1</sup> სვანურის მაგალითი დამოწმებულია ნ. აბესაძის დასახელებული ნაშრო-  
ბის მიხედვით.

დობლივია პირობის უარყოფითად გამოხატვა. ე. ი. როცა პირობაში მოცემული მოქმედება არ თუ ვერ სრულდება, მაშინ გარეული დათმობა უნდა მოხდეს და ამ დათმობით პირობის შეუსრულებლობა მიახლოებით მაინც უნდა დაკომპენსირდეს.

ამგვარ კონსტრუქციაში შესაძლებელია პირობა დადებითი ფორმით იყოს მოცემული, შედეგი – უარყოფითით, ოღონდ ამ შემთხვევაში გვექნება არა დათმობა, არამედ, შ. ძიძიგურის ტერმინით, ირეალური გამორიცხულობა (შ. ძიძიგური 1973:261-261).

ინა დიო დასახებული ვა რე, დედახედა, იშენი დაბადებული ვარე! (ხ.209,8) (=ის ჯერ ჩასახული არ არის, თუ ჩაისახა, მაინც დაბადებული არ არის);

მუ ფქიმინავა, ასე პჟეომუნქ-ზა, იშენ ენა ვა მაქიმინენია (ხ.244,37) (=რა ვქნა, ახლა რომ შემჭამა „თუ შემჭამ“, ამას მაინც ვერ ვიზამო).

ამგვარი კონსტრუქციები ქართულშიც დასტურდება. ჩამოყალიბებული ჩანს სალიტერატურო ენის განვითარების ძველ საფეხურზე; ხოლო კავშირთა ჩვენებისა და ქორელაციის მიხედვით დიფერენციალი ხდება მოგვიანებით (დაწვრ. იხ. შ. ძიძიგური 1973:127-140).

მეგრულში თუკი -და კავშირიან პიპოტაქსურ კონსტრუქციაში, დამოკიდებული უარყოფითნაწილაკიანია, გამოიყოფა ორი ტიპის კონტექსტი:

1. უარყოფითნაწილაკიანი დამოკიდებული ნამდვილად უარყოფითი მნიშვნელობის მატარებელია:

ხვარას ხვარა და დაუძინებული აშო ქედოგიძახუ (ყ.177,10) (=ქაჩალს ქაჩალი თუ არ დაუძინე, აქეთ დაგიძახებს).

და დოპლურთ და, მა ქოფთქუანქია... (ხ.134,29) (=თუ არ მომკლავთ, მე ვიტყვიო).

დამტუნანსაც, ოსური მიღებისა (ხ. 107,6) (=თუ არ მოიყვანს [ცხენს], ცოლი წაართვიო).

2. უარყოფითი ნაწილაკი საპირისპირო-დადასტურების ფუნქციითაა გამოყენებული. და კავშირი აქ „რომ“-ის მნიშვნელობისაა.

მა გამოიტინუაფუდუკოდა, გლახათი (რ)დუ იში საქმე (6. სხულუხია) (=მე რომ არ გამექცია, არ გამექცია და“, ცუდად იყო მისი საქმე).

თე ბაღანა დამოუკარებულუკოდა გვალე მიღებანდუ წყარი შხურს (=ეს ბავშვი რომ არ მომნარებოდა, არ მომნარებოდა-და“, მთლად წაიღებდა წყალი ცხვარს).

მსგავს კონსტრუქციაში ამგვარი ორი სახის კონტექსტი გამოიყოფა ქართულსა (აკ. შანიძე 1973:92) და სვანურშიც (6. აბესაძე 1962:190).

### 3.1. მაერთებელი დო(=და) კავშირი პიპოტაქსურ კონსტრუქციაში

როგორც ცნობილია, ქართული მაერთებელი „და“ კავშირის მნიშვნელობით მეგრულში „დო“ გვხვდება. „დო“ კავშირი ფიქსირებულია აგრეთვე პიპოტაქსურ კონსტრუქციაში ზოგჯერ დამოუკიდებლად, ზოგჯერ კონკრეტულ საკავშირებლებთან ერთად.

ეს მოწმობს, რომ ამ ცნებათა (თანწყობილი, ქვეწყობილი) შინაარსი არ არის მკვეთრად ჩამოყალიბებული (შ. ძიძიგური 1973:5), რის გამოც ზოგჯერ ძნელდება ზღვარის გავლება რთულ თანწყობილსა და ქვეწყობილს შორის (ლ. კვაჭაძე 1966:322).

„დო“ კავშირიანი ა) მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადაღება:

ცირენქ ეგუინი ქიდიიჭყეს, აშქურინეს დო (ხ. 210,24) (=გოგონებმა ყვირილი დაიწყეს, შეეშნდათ დო...);

უირი თიშო მოკონია სქანი სქუალეფი დო ართი ჩქიმოვა, სუმი ნორცვენია დო... (ხ.,210,31) (=ორი იმისთვის [ძმების-თვის] მინდა შენი შვილები და ერთი ჩემთვის, სამი გზოლია და...).

ბ) დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება (ამ ტიპის დამოკიდებულში „დო“ საუღლებელი ზმინის საწყისს დაერთვის. ასეთი კონსტრუქციები ქართულ ზეპირ მეტყველებაშიცაა გავრცელებული).

ნდიქ მიკორაუაფა დო, ვიშო ეკირთუ ბათე ხოლო (ხ.,5,3) (=დევი შეზემ და, წაიქცა მაშინვე);

მუმა-დო, ქაატაკუ ბათე, იკოსოთუ (ფ. ნანობაშვილი) (=ძოსკლა და, მივარდა მაშინვე, დაგლიჯა).

ქართული ზეპირმეტყველების ნიმუშები:

იმათი წასკლა-და, დედამისიც მაშინვე მოვარდა;

გადაწოდება და, თვალი ჰეიდა.

ახალი სალიტერატურო ქართული, იშვიათად საშუალი, ასეთ დროს „თუ არა“ კავშირს იყენებს, რომელსაც შემასმენლის მომდევნო პოზიცია უჭირავს (ფ. ერთეულიშვილი 1962:119).

კონკრეტული წევრ-კავშირის შემცველ პიპოტაქსურ კონსტრუქციაში „დო“ კავშირი გვხვდება წინადადებათა საზღვარზე, დამოკიდებული უსწრებს მთავარს.

ბალანქ მუჭოთ გინირთუ ვით წანერო-დო, იში გარზექ მუთუნქ ვეღუ (ხ.,1,9) (=ბავშვი როგორც კი გახდა ათი წლის და, იმისი გამბლები არაფერი შეიქნა);

ლევანქ მუჭო დუდი ქიგედუ თე ბალიშის-დო, ბათე შური გოფარსალუ (=ლევანმა როგორც კი თავი დადო ამ ბალიშზე და, მაშინვე სული განუტევა) (ტ.II,104,17);

დიდაქ მუჭო ართი ლუკა ოჭკომები დო, ბათე ხოლო დო-ლურგ (ხ.,101,34-35) (=დედამ როგორც კი ერთი ლუკმა შეჭამა და, მაშინვე მოკვდა).

მსგავსი მოვლენა დასტურდება ძველ ქართულსა (ს. ყაუხჩიშვილი 1949:112-116) და სვანურში (ნ. აბესაძე 1960:129). ს. ყაუხჩიშვილი აღნიშნავს, რომ მსგავს პოზიციაში და, ხოლო კავშირების გამოყენება ქართული სინტაქსური წესითაა გამოწვეული და არა ბერძნულის გავლენით. ამ მოსაზრებას სხვა ქართველური ენების მონაცემებიც უჭირს მხარს. სვანურში ამგვარ პოზიციაში მაერთებელი ი (=და) კავშირია გამოყენებული. ამრიგად, ქართულ „და“ს, მეგრულ „დო“ს და სვანურ „ი“ (=და)ს ერთი ფუნქცია აკისრიათ – გააძლიერონ, ხაზი გაუსვან დაქვემდებარებას. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია აგრეთვე ვარაუდი სვანური „ი“-ს \*დი-საგან მომდინარეობის და მასალობრივად ქართულ „და“-თან და ზანურ „დო“-თან დაკავშირების შესახებ (ი. ჩანტლაძე 1995:81-85).

რთულ ქერწყობილ წინადადებაში დადასტურებული მაერთებელი კავშირი თანწყობიდან ქვეწყობაზე გარდამავალი საფუძვრის მაჩვენებლია, რადგან ამგვარი რამ „სრულიად უცხოა თანამედროვე ქართულისთვის“ (უდაბნოს მრავალთავში „და“ კავშირის შემცველი პიპოტაქსური კონსტრუქციისა და ამ მოვლენის თანამედროვე ქართულის ნორმებთან მიმართების შესახებ (იხ. ზ. ჭუმბურიძე 1994:34)<sup>1</sup>.

### 3.2. კარდა/კარა კავშირები მეგრულში

მეგრულში პირობითობის აღმნიშვნელი რთული კავშირებიც დასტურდება: კარდა, კარა. ამგვარი რთული კავშირები სხვა ქართველური ენებისთვისაც არ არის უცხო. ქართულსა

<sup>1</sup> რთულ ქერწყობილ წინადადებაში მაერთებელი კავშირები დასტურდება რუსულ ხალხურ მეტყველებაშიც (დაწერ. იხ. П. Я. Черных, Историческая грамматика русского языка, М., 1952, ст. 301; А. Б. Шапиро Очерки по синтаксису русских народных говоров, М., 1953, ст. 107).

და სვანურში „თუ“ და „ჰე“ (=თუ) კავშირებზე დაყრდნობილი საკავშირებელი საშუალებების მთელი წევება გვაქვს.

მეგრული „ვარდა“ კავშირი ორი ნაწილისაგან შედგება: ვარ (=არა) უარყოფის ნაწილაკი და -და კავშირ-ნაწილაკი. ზუსტი ქართული შესატყვისია „არა და“, ხშირად გაღმოდის თუ არა დას სახით. „ვარდა“ სამკოპონენტიან პიპოტაქსურ ქონისტრუქციაში გვხვდება, სადაც, როგორც წესი, დამოკიდებული წინადაღების ზმნა-შემასმენელი გაუჩინარებულია, მის ადგილს კავშირდართული უარყოფითი ნაწილაკი იყავებს. მუ გიღუ სააზრო, ქომიწიო, ვარ და, მა სქანი თოლიში წოხოლე დუს დიდილგ (ხ.213,22) (=რა გაქვს საფიქრალი, მითხარი, თუ არა და, მე შენ თვალწინ თავს მოვიკლავ).

ათე ცალი სხული ოკო გაარჩეინევე ცუდეშ წოხოლევა, ფურსა-და ჭუმენერი საკაკალო მაციქა (ხ.244,34-35) (=ამნაირი მსხალი უნდა გააჩინო სახლის წინ, თუ არა და ზეალინდელი ლუკმა შემექნებიო).

თე ჯიმა თენერი კოჩიე, თი რაშის ქემოიცონანს, გარდა ოსური მიღულია (ხ.108,16) (=ის ძმა იმნაირი კაცია, იმ რაშს მოგიყვანს, თუ არა და, ცოლი წაართვიო.

როგორც დამოწმებული მაგალითებიდან ჩანს, დამოკიდებული წინადაღების პრედიკატის გაუჩინარება განაპირობა წინამავალმა წინადაღებამ, რომელიც ლოგიკურად ქვეწყობილ წინადაღებასთანაა დაკავშირებული და რომლის პრედიკატი ივარაუდება დამოკიდებული წინადაღების პრედიკატადაც, ოლონდ უარყოფითი ფორმით. ზემოთქმულის ნათელსაყოფად, ერთ მაგალითს გაშიფრულად წარმოვაჩენთ.

მუგიღუ სააზრო, ქომიწიო, ვამიწინქა, მა სქანი თოლიში წოხოლე დუს დიდილგ (=რა გაქვს საფიქრალი, მითხარი, თუ არ მეტყველ „არ მეტყველ და“, მე შენ თვალწინ თავს მოვიკლავ).

პიპოტაქესური კონსტრუქციების კვეცას სხვადასხვა მიზე-ზი განაპირობებს, ერთ-ერთია განმეორებული პრედიკატების რიცხვის შემცირება (ლ. კვანტალიანი 1990:10). დროთა ვითარებაში ერთი და იმავე ლექსიკური მასალის პრედიკატთა ტავტოლოგიური განმეორება საფუძველს იძლეოდა ერთ-ერთის გაუჩინარებისათვის (შ. ძიძიგური 1973:452). კვეცის საუძველი ენაში მოქმედი ეკონომიის პრინციპია, რაც სასაუბრო ქართულს ახასიათებს (ლ. კვანტალიანი 1990:12), ჩვეულებრივია მეგრულისთვისაც.

დამოკიდებულ წინადაღებაში პრედიკატის გაუჩინარების შემდეგ ხდება უარყოფითი ნაწილაკისა და კავშირის შერწყმა.

მეგრულში „ვარდა“ კავშირიან წინადაღებას ზოგჯერ წინ უსწრებს -და კავშირიანი ქვეწყობილი წინადაღება; მაგ.,

გეიანწყდა, ჩილო მიდააუნუნია, ვარდა-და, დუღი ოკო  
მეკვათასიე (=თუ შეძლო ამოხსნა, ცოლად წაპყება, თუ არა  
და, თავი უნდა მოჰკვეთოსო) (ტ.II,52,4-5);

თის ქვემოთანავე სეანი ოსური იპეირქია (იპი-რქია),  
ვარ და ვამორკოქია (=თუ იმას [ცხვირსახოცს] მომიტან, შე-  
ნი ცოლი ვიქნები, თუ არა-და, არ მინდიხარო) (ტ.II,180,3).

...თქვანი ქესას ქომიჭყოლოფუნთ-და, მაღლობერი გაცით,  
ვარდა მა მუთუნს ვა რთხით! (ხ.,212,18-19) (=თქვენს ქი-  
სას თუ მიწყალობებთ, მაღლობელი ვიქნები, თუ არა და მე  
არაფერს არ გთხოვთ).

მსგავსი შემთხვევები რომ ქართულისთვისაც არ არის უცხო, ეს თარგმანიდანაც კარგად ჩანს; რაც შეეხება სვა-  
ნურს, პე მოღვა (=თუ არა და) კავშირიან კონსტრუქციას  
სვანურშიც „პე“ (=თუ) კავშირიანი ქვეწყობილი უძლვის წინ  
(ნ. აბესაძე 1962:120).

სამკომპონენტიანი პიპოტაქესური კონსტრუქციისთვის  
ჩვეულებრივ პრედიკატის განმეორებაა ნიშანდობლივი. ამგვა-

რი კონსტრუქციები ზეპირი მეტყველებისთვისაა დამახასიათებელი:

დოგიგორუნ-და, დოგიგორუნია, ვარდა დუს მერკვათუნქია (=თუ მოგიძებნია, მოგიძებნია, თუ არა და თავს მოგქვეო) (ტ. II, 328, 8).

ქოდოლან(ქ)და, ქოდოლამ, ვარდა დუც მერკვათუნქია (ხ. 215, 31-32) (=თუ (გა)აკეთებ, გაგიკეთებია, თუ არა და თავს მოგჭრიო).

ამგვარი სამკომპონენტიანი პიპოტაქსი, განმეორებული პრედიკატით, დასტურდება ქართული ენის დიალექტებსა და ზღაპრის ენაში. მაგ.,

სამ წლამდე თუ მოვიდეო, მოვიდე, თუ არა და, სამ წელს იქით გათხოვდიო (ქართ. დიალექტ., ქართლ., 292);

„ვარა“ კავშირიც ასევე სამკომპონენტიან პიპოტაქსურ კონსტრუქციაში გვხვდება, საღაც დამოკიდებულის პრედიკატი გაუჩინარებულია.

დაართინე ათე მინუტის თაქ, ვარა სი გოიტალე თინეფიში არდგილიშვე (ხ. 200, 34) (=დააბრუნე ამ წუთში აქ, თორებ შენ გაგიშვებ იმათ ნაცვლადო).

ოშურეთიშა ქალარდი მიღეელი, ვარა ოსურს მიღაიღანქია, – თქუა ხენწიფექ (ხ. 110, 3) (=სულეთში წერილი / „ქალალდი“ წაიღე, თორებ ცოლს წაგართმევო, – თქვაო ხელმწიფებემ).

ვარდა, ვარა კავშირების შემცველი პიპოტაქსური კონსტრუქცია პირობით-შედეგობითია. ამ ტიპის წინადაღება სალიტერატურო ენაში საბოლოოდ დამკვიდრდა „თორემ“ კავშირით, რომელიც თუ არა'ს საფუძველზეა აღმოცენებული და თავისთავად ორი წინადაღების შენაზავს უნდა წარმოადგენდეს<sup>1</sup> (შ. ძიძიგური 1973: 451).

<sup>1</sup> უფრო ადრე ლ. კვაჭაძეს აღნიშნული აქვს: ზოგჯერ შედეგობითი დამოკიდებული წინადაღება გამოხატავს შედეგს არა ერთ წინადაღებაში გამოხატული მოქმედებისას, არამედ რამდენიმე წინადაღებისას“ (ლ. კვაჭაძე 1950: 71).

#### გ 4. ქართულიდან ნახესხები მაქვედლებუბელი კავშირები

მეგრული იყენებს ქართულიდან ნასესხებ რამდენიმე მაქვედლებარებელ კავშირს. ესენია: რადგან კავშირი შემდეგი ფაკულტატური ვარიანტებით: რადგანს//რაბანც//რაღან; ოღონდ, ვითამ (=ვითომც).

ადრინდელ ძეგლებში რადგან „რათგან“ ფორმით დასტურდება. აღორძინების ხანის ენაში „რათგან“ ძალზე იშვიათია. ადრინდელ პერიოდშივე ჩნდება „რადგან“ ფორმა, საშუალი ქართულის მოგვიანო ხანაში კი ფურთოლაა ფეხმოკიდებული (შ. ძიძიგური 1973:103-104). საშუალ ქართულში რადგან კავშირმა ნაწილაკი არ განივითარა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში საბუთების ენას, რომელსაც ხალხური მეტყველების ძლიერი გავლენა ატყება. -ც(ა) ნაწილაკის დართვით მიღებულია რადგანც//რადგანსც ფორმები (იქვე, 105).

„რაბან“ კავშირის თავდაპირველი მნიშვნელობა დროის გამოხატვაა<sup>1</sup>, მიზეზის ზმნიზედის მნიშვნელობას საშუალი ქართულიდან იძენს. ამავე მნიშვნელობით გამოიყენება თანამედროვე ქართულსა და ქართული ენის აღმოსავლურ კილოებში (ფ. ერთელიშვილი 1962:177; შ. ძიძიგური 1973:306). „რაღან“ დიალექტური ფორმაა.

მეგრულში, სალიტერატურო ქართულისა და ქართული ენის დიალექტებისაგან განსხვავებით, „რადგან“ და „რაბან“ დაირთავენ მიცემითი ბრუნვის -ს ნიშანს, რაუმ-ს ფორმის ანალოგით: რადგანს, რაბანს. ცნობილია, რომ მეგრულში „ს“-ს აფრიკატიზაცია ხდება ბოლოკიდურ სონორებთან, ანუ სონორების გვერდით მოცემული სუ-ში და ნს>ნც, რს>რც და ა. შ. (ი. ყიფშიძე 1914:024; ს. ულენტი 1953:156; გ. კლიმოვი 1962:70; ა. ლომთაძე 1974:15). მეგრულისათვის

<sup>1</sup> ეს ზმნიზედა პირველადი მნიშვნელობით შემონახულია ზეესურულში (ფ. ქართულიშვილი 1962:177).

დამახასიათებელი ამგვარი პროცესის შედეგად „რაღან“ იძლევა რაღანც, ხოლო რახანს – რახანც ფორმებს.

რაღან//რახან//რაღან კავშირები მიზეზის გამომხატვლა დამოკიდებულის აერთებენ მთავართან.

ქართულში „რაღან“ კავშირის კორელატებია: ამიტომ, ამის გამ; მეგრულში შესაბამისად ამავე მნიშვნელობის მიზეზის ზმნიზედები გამოიყენება: თიშენი//თეშენი, თეშ გურაშენი, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მეგრულში „რაღან“ კავშირიანი ქვეწყობილი კორელატით იშვითად გვხვდება.

ქართულში „რაღან“ კავშირის მომდევნოდ ზოგჯერ თავს იჩენს „როშ“ კავშირი (ფ. ერთელიშვილი 1962:137). ხოლო მეგრულში „რაღან“ კავშირიანი დამოკიდებული წინააღმდების ბოლოს მოცემულია -ნი კავშირი. „რაღან“ კავშირიანი დამოკიდებული პრეპოზიციური და პოსტპოზიციური წყობით არის წარმოდგენილი ქართულსა და მეგრულში, ინტერპოზიცია მისთვის არ არის დამახასიათებელი.

მთავარი + დამო კიდებული

ალიშქერქოუ ეგულებუ ღურელო, რაღვანაც პილატონიქ დო კოლოფიქ ართო ქაშუნი (=ალიშქერქოუ მკვდარი ეგულება [გოგოს], რაღვან ცხვირსახოცი და კოლოფი ერთად აქვს „ეშოვა“) (ტ.II,180,22).

დიდი ხარება რდგ, რახან მეტი ვალუნდგნ (ხ.,43,30) (=დიდი სიმხიარულე შეიქნა [იმის მოსვლით], რაღვან მეტი შეილი არ ჰყავდა).

გერიაქ ...გამეეთხუ ჩირს, რაღან სიცოცხლეს კულუდგნ დო გიმილუ (=გერია გამოეთხოვა ცოლს, რაღვან გადარჩენას „სიცოცხლეს“ არ ელოდა და გავიდა) (ტ.II,24,5).

ქედოსქიდგ ამგსერი ძღაბიქ მინდორს, მარა იშენი ეს მუშაქირდგ, რაღვანს ეფერი მართახი უღუდგ... (=დარჩა გოგო „ამ“ ღამეს მინდორში, მაგრამ ამის გამო მას რა უჭირდა

(=მას არაფერი უჭირდა), რაღვამ ისეთი მათრახი ჰქონდა...) (ტ. II, 188, 25-26).

#### დაშო კიდებული + მთავარი

რაღვანგ სი თეჯგურა საქმე ქოქმინინ, ე ხაზინა სქანდა მიჩუქებუ დო ქორძა თაქუ (=რაღვამ შენ ამგვარი საქმე ჰქენი, ეს საგანძური შენთვის მიჩუქებია და იყავი აქ) (ტ. II, 292, 15);

რაღვანგ ეჯგუა ჯგირობუა ქობლოლიე, მეტი მუთა მიღუ სქანი მიოჩამალი დო ქოვარა თე ალმასი მიღელია (=რაღვამ ასეთი სიკეთე მიქენი, მეტი არაფერი მაქვს შენთვის მისაცემი და კე მაინც ეს ალმასი წაიღეო) (ტ. II, 292, 21);

რახანს უსაშველექ იუუნი, მიღეულონგ ე ბოშიქ ჩილი დო თი ხვითოში მასქუალი გვერი ქაბირგ (=რაღვამ უსაშველო შეიქნა, წაიყვანა ამ ბიჭმა ცოლი და იმ ხვითოს მდებელი გველი ანახა) (ტ. II, 228, 12).

როგორც ქართულში, ასევე მეგრულში „რაღვამ“ ძირითადად დამოკიდებული წინადადების თავში დგას, შესაძლოა, შუაშიც მოექცეს<sup>1</sup>.

მეგრულისთვის არ არის უცხო „ოღონდ“ კავშირიანი ჰიპოტაქსური კონსტრუქციაც.

„ოღონდ“ ხშირი ხმარების სიტყვაა ქართულში და ამის გამო ერთი კონკრეტული ფუნქციით არ არის შემოფარგლული. პირველად თავს იჩენს საშუალი საუკუნეების გვიანდელ წერილობით ძეგლებში – „შაპ-ნამეში“, „რუსუდანიანში“ და ა. შ. ამოსავალი ფუძითა და სემანტიკით უკავშირდება ამავე ჰერიოდში გავრცელებულ ზმნისართს – უღონიოდ//უღონოდ

<sup>1</sup> მეგრულში „რაღვამ“ კავშირი დამოკიდებული წინადადების ბოლოშიც დასტურდება (შქართუნით იჩინენდე, მარა თირელქ იუურ რაღვანგი). ქაშაჩირთ =საბით იცნობდა, მაგრამ შეცვლილ იქნა რაღვამ(აც), შეცდა), მაგრამ ეს არ არის ტიპური მოვლენა.

(ლ. კვანტალიანი 1990:87). თანამდეროვე ქართულში „ოღონდ“ მაპირისპირებელი კავშირის ფუნქციას ასრულებს რთულ თანწყობილ წინადადებაში (შ. ძიძიგური 1973:53; აკ. შანიძე, ლ. კვაჭაძე 1978:59), თუმცა ლ. კვაჭაძე აღნიშნავს: „პირობით-დათმობითი შინაარსისაა დამოკიდებული წინადადება, რომელიც მთავარს უერთდება „ოღონდ“ (ოღონც, ოღონდაც კი) კავშირით (ლ. კვაჭაძე 1966:415).

ლ. კვანტალიანმა დაწვრილებით შეისწავლა რთულ წინადადებაში „ოღონდ“ კავშირის ფუნქციები. აღმოჩნდა, რომ „ოღონდ“ პირობის კავშირიცაა. მკალევრის დაკვირვებით, „ოღონდ“ კავშირის ფუნქციური დატვირთვა ზმნის კილოს ფორმითაა შეპირობებული. მაპირისპირებელი „ოღონდ“ ძირითადად ეგუება ზმნის თხრობითი კილოს ფორმებს, ხოლო ისეთ წინადადებაში, სადაც ზმნა ბრძანებითი ან კავშირებითი კილოს ფორმითაა, „ოღონდ“ მაქვემდებარებელი კავშირია (ლ. კვანტალიანი 1990:85-88).

„ოღონდ“ კავშირიანი დამოკიდებული კომპონენტი ხან მთავარი წინადადების წინ დგას, ხანაც – მომდევნოლ. პირობითი დამოკიდებული წინადადებისთვის პრეპოზიციაა ნიშანდობლივი, ამიტომ კონსტრუქცია, რომელშიც „ოღონდ“ კავშირიანი პირობითი დამოკიდებული მთავარი წინადადების წინ დგას, უფრო ადრინდელია და დამახასიათებელიც ზეპირი მეტყველებისთვის (ლ. კვანტალიანი 1990:88). ქართულის-თვის დადგენილი კანონზომიერება „ოღონდ“ კავშირის ფუნქციური განაწილებისა, ძალაში რჩება მეგრულის მიმართაც. წარმოეკლება „ოღონდ“ კავშირიან პიპოტაქსურ კონსტრუქციას: მაგ.,

ღორონთი სალავათო მემიჩამე მუთუნ ვარღოლავე, ოღონდა წყარი ქოფჩა... (ჩ.122,32) (=ღმერთი თავდებად მომიცია, არაფერი დაგიშავო, ოღონდ წყალი დამალევინეო).

„ოღონდ“ მეგრულში ზოგჯერ ბოლოკიდურ თანხმოვანს კარგავს: ოღონ. მეგრულში, ქართულის მსგავსად, ამ ტიპის

კონსტრუქციაში წინადადებათა საზღვარზე ჩნდება დო(=და) კავშირი<sup>1</sup>.

ოღონძ ასე ქაწააზადას სუმარენს დო, ღორონთი თანდებო მემიჩამუ, მუთუნს ვაუწიინქ (ნ. სხულუხია) (=ოღონძ ახლა შეეგებოს სტუმრებს და, ღმერთი მიმიცია თავდებად, არა- უერს ვეტყვი);

ვითამცა ვითა ზმნიზედაზე -მცა ნაწილაკის დართვით მი- იღება. ვითა/ვით ვითარ ზმნიზედის ფონეტიკურად გამარტი- ვებული ვარიანტებია (ფ. ერთეულიშვილი 1962:92).

ვითა/ვით, ცალკე აღებული, „როგორც“ ზმნიზედის მნიშ- ვნელობის მატარებელია, ხოლო -მცა ნაწილაკი უცვლის მნიშვნელობას და ვითამცა =თითქოს (იქვე:92). ვითა/ვით, ვითამცა ფორმები საშუალი ქართულის კუთვნილებაა. თანა- მედროვე სალიტერატურო ქართულში „ვით“ თითქმის სავსე- ბით განდევნა „როგორც“ ზმნიზედამ, არც დიალექტებს შე- მოუნახავთ (იქვე:93). სამაგიეროდ, ვითამცა, „თითქოს“ ზმნი- ზედის მნიშვნელობით, თანამედროვე მხატვრული ლიტერა- ტურის ძეგლებში შემოგვრჩა სხვადასხვაგვარი ფონეტიკური სახეცვლილებით: ვითომცუ//ვითომ//ვითამ-და (იქვე:93).

ვითამცა ზმნიზედა მეგრულში ვითამ//ითამ//ითომ ფორმე- ბის სახით დასტურდება და ვითარების გარემონებით დამოკი- დებულ წინადადებას აერთებს მთავართან. კორელატად გამო- ყენებულია ვითარების ზმნიზედა თეში(=ისე). ვითამ//ითომ კავშირის მნიშვნელობას აძლიერებს -ნი კავშირი.

ქართულში ვითამ კავშირიანი დამოკიდებული უსწრებს ან მოსდევს მთავარს. მეგრულში „ვითამ“ კავშირიანი ქვეწ- ყობილი წინადადების კომპონენტებს შორის ძირითადად თავს იჩენს ოდენ მეგრულისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური თანმიმდევრობა: მთ.+დ.+კორ. მაგ.,

<sup>1</sup> შლრ.: ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში ასევე წინადადებათა საზღვარზე გამოვლენილი დო(=და) კავშირი (გვ.124).

პირველ გეკითხაფას შურო პასუხი ვე მეჩავა, ითამ შურო ვა გაიგონებუდეკონ თუში (ხ.197,12) (=პირველი ჩაძიებისას „ჩაკითხვისას“ სულ არ გასცე პასუხი, ვითომც სულ რომ არ გაგეგონოს ისე);

მინილუ ოზეშა, კეტი ქალებიჯუუ, ითამუ ჩიჩიე მათხუალი ორდუკონი თუში (=შევიდა ეზოში, ჯოზს დაეყრდნო, ვითომ გლახა მათხოვარი რომ ყოფილიყო ისე) (ტ. II,88,10);

უცფას ირფელქ გააჭყორდგ თე ბოშის, ვითამ სიზმარი რდგკონი თუში (ხ.,219,10-11) (=უცებ ყველაფერი დაავიწყდა ამ ბიჭს, ვითომ სიზმარი რომ ყოფილიყო ისე).

როცა დამოკიდებული უსწრებს მთავარს, კორელატი იწყებს მთავარ წინადაღებას და იგი წინადაღებათა საზღვარზეა მოთავსებული. ასეთ დროს, ქეწყობილი წინადაღების შემადგენელი კომპონენტების გამოცალეკევება ჭირს კიდეც, რაც ცოცხალი მეტყველებისთვისაა დამახასიათებელი. მაგ.,

ითამ დიდა დო მუმას უჭარუდას თუშ გაგმუნწყუუ თე მაზაკვალ ოსურს... (=ვითომ [ბიჭის] დედ-მამას დაეწეროს, ისე გააკეთა („გამოუწყვია“) ამ მზაკვარმა ქალმა...) (ტ. II,198,23).

ზოგჯერ ვითამ//ითამ დო(=და) კავშირსაც დაირთავს: ითამ დო შდრ.: ქართული მითომ-და. მაგ.,

ათაქ ქიმერთუნი, თე ოსურეფი დო ძლაბეფიშ ზოლოს დოთვადოზოდგ, ითამ დო, ვააკო! (ხ.,175,6) (=აქ რომ მივიდა, ამ ქალებისა და გოგონების ახლოს არ ჯდება, ვითომდა არ უნდა).

ქართულში „ვითა“ ზშირად გვხვდება „ცნობიერება წრის“ ზმნებიან კონსტრუქციაში. აქ ვითა<ვითარმედ. მეგრულში „ვითომ“ კავშირი მხოლოდ ერთგან დავადასტურეთ ამგვარ კონსტრუქციაში.

დაამტკიცე, ითამ საყვარელო ცუნდგ ეკატერინენ  
(ს.,292,25) (=დაამტკიცა, ვითომ საყვარლად ჰყავდა ეკატე-  
რინე).

მეგრულში ქართულიდან ნასესხები მაქვემდებარებელი  
ქავშირების გამოყენება მათს მჭიდრო ქავშირზე მეტყველებს.  
სალიტერატურო ქართულის გავლენა მეგრულზე ბუნებრივი  
პროცესია.

## თავი IV

### თავისებური პიპოტაძეს ური კონსტიტუციები

ამ თავში განვიხილავთ უპირატესად ზეპირი მეტყველებისთვის დამახასიათებელ ზოგიერთ პიპოტაძესურ კონსტრუქტურას, რომლებიც თავისებურებას ავლენენ არა მარტო შედგენილობით, არამედ მთავარი და დამოკიდებული ნაწილების აზრობრივი მიმართებითაც.

#### შ1. ერთი ტიპის კითხვითი პიპოტაძესური კონსტრუქცია<sup>1</sup>

როგორც ცნობილია, მარტივი კითხვითი წინადაღება ორგვარია: კითხვითისიტყვიანი და კითხვითი სიტყვის გარეშე. კითხვის გამომხატველი პიპოტაძესური კონსტრუქციაც ასევე ორგვარი შეიძლება იყოს.

ჩვენი ყურადღება მიიქცია კითხვითი სიტყვებისა (ნაცვალ-სახელი და ზმნისართი) და „ყოფნა“ ზმნის პირიანი ფორმებით აგებულმა პიპოტაძესურმა კონსტრუქციამ მეგრულში.

კითხვითისიტყვიან ქვეწყობილ წინადაღებაში კითხვითი სიტყვა (მინ „ვინ“, მუ „რა“, ნამუ „რომელი“, მუშენი „რატომ“, მუჭო „როგორ“, მუჟანს „როდის“, „რაჟამს“, მუჟამბა(ხ) // მუჟამბა(ხ) „რა დრომდე“, „როდემდე“, სო/სოდე, სად“, სოიშხ/სოშხ „სანამდე“) და მასთან „ყოფნა“ ზმნის აწყოს

<sup>1</sup> დაბეჭდილია „საქათმეუნიერო ძიებანის“ V ტ-ში, თბ., 1996, გვ. 154-163.

ორე(6)<sup>1</sup> „არის“ ან წარსულის ორდუ „იყო“ ფორმები მოცე-  
მულია მთავარ წინადაღებაში.

მთავარი წინადაღება ჩვეულებრივ პირველ ადგილზე  
დგას<sup>2</sup> და მას დამოკიდებული -ნი (=რომ) კავშირით უკრ-  
თდება. მაგ.,

მუ ორე საკით მეგილუნი? (=რა არის, ტომრით რომ მი-  
გაქვს?) (ტ. II, 296, 30);

მუ რე ხეშა აშამიჩენი? (=რა არის, მუჭმი „ხელში“  
რომ მიჰის?..) (ტ. II, 330, 8);

მუ ორდგ სი ღუმა თქვიონ? (ხ., 85, 29) (=რა იყო, შენ  
წუხელ რომ თქვი?);

მუ რე გიბუდოლუნინი? (ხ., 356, 20) (=რა არის, რომ  
დაგიბლანდავთ?);

მინ ორე ბაბას უძახუნი? (=ვინ არის, მამას რომ უძა-  
ხის?) (ტ. II, 336, 2);

მინ რე ღაჭალანსხნ? (=ვინ არის, რომ ჩხუბობს?);

მინი რდუ თაქ გერდუნ? (=ვინ იყო, აქ რომ იღვა?);

ნამუ რექ, მეურქენი? (=რომელი ხარ, რომ მიღინხარ?)  
(ტ. I, 262, 5);

ნამუ რდგ გაწვალენდუნი? (=რომელი იყო, რომ გაწვა-  
ლებდა?);

<sup>1</sup> მეგრული ო-რ-ე-(ნ) ქართული ა-რ-ი-ს ზმნის კანონზომიერი  
ფონეტიკურ-მორფოლოგიური შესატყვევისა. აღნიშნული ზმნის ძირად  
სპეციალურ ლიტერატურაში გამოიყოფა ა- არამარტო ქართულსა და  
მეგრულში, არმედ ლაზურსა (რ-ე-ნ) და სენტურშიც: ა-რი (ჰ. ფერიხი,  
ზ. სარჯველაძე 1990:250). ამ საკითხზე სპეციალური ლიტერატურის  
სრული სია მოცემულია მ. მარგველაშვილის საღისერტაციო ნაშროშში  
„მწერიეთა წარმოება მეგრულში“, თბ., 1982, გვ. 152.

<sup>2</sup> ქართულშიც პირველი ადგილი უჭირავს მთავარ წინადაღებას კითხვით-  
სიტყვიან პიპოტაქსურ კონსტრუქციაში (ლაწვრ. იხ. ლ. კვანტალიანი  
1990:52-55). შედრ.: მარტივი კითხვითი წინადაღებისთვის დადგენილი  
წონასწორობა ქართულში: „მსუბუქი“+„მძიმე“ – ლაწვრ. იხ. შ. აფრიდო-  
ნიძე 1986:70-76).

მუშენი რე, სქუა, თეს მორთველენი? (=რატომ არის, შვილო, ამას რომ მიშვრები?) (ტ.II, 162, 37);

მუშენი რე დუცგ ჭუასე უზეპუანენი? (=რატომ არის, რომ თავს ქვას უშენ?) (ტ.II, 288, 32);

სოშა რე, მეურენი? (=საღამდე არის, რომ მიღინარ?) (ტ.II, 296, 8);

ექ მუჭო რე გინმართვნი? (=ეს როგორ არის, რომ (ვადა)მეურე?) (კ.ს., 36, 12);

მუჭო რდგ მაწვალენდესენი? (ხ., 343, 35) (=როგორ იყო, რომ მაწვალებლენენ?...);

მუჟამშა რე ფუძლათვნი? (=სანამდე „რა დრომდე“ არის, რომ დავმალოთ?) (კ.ს., 106, 18-19).

მთავარი წინადაღების ზმნური ნაწილი ორე(ნ) „არის“, ორდუ „იყო“ ზშირად ცელება ქართული არის>ა ზმნის შსგავ-სად. კერძოდ, ორე(ნ)>რე(ნ)>ე(ნ) (ი. ყიფშიძე 1914:0101), ზოლო ორდუ>რდუ < რდ > დ (ი. ყიფშიძე 1914:0101). ზმნური ფორმების გაცემის შედეგად დარჩენილი ხმოვანი („ე“), თანხმოვანი („დ“) თუ თანხმოვნები („რდ“) ენკლიტიკურად მიერთვის კითხვით სიტყვას. მაგ.,

ცას მუუ გიმანენი? (=ცაზე რაა რომ ზის?) (ტ.I, 13, 32);

მინივ ჭიშკარის გერე დო აშო იჯინენი? (=ვინაფ, ჭიშკართან დგას და აქით რომ იყურება?)

ნაშე რექ, მეურენი? (=რომელი ნარ, რომ მიღინარ?) (ტ.I, 262, 5);

მუშენივ ბოშკათეფი თეცალ საქმეს ორთუნანი? (=რატომაც, ახალგაზრდები ასეთ საქმეს რომ აკეთებენ?) (ტ.I, 192, 22);

მუშენიე გერც ირო შქირენციე?.. (=რატომა, მგელს  
სულ რომ პშიარ?) (ტ. II, 290, 34);

მუშენიე ირო ქომუბშენქს დო ღარიბი ვორექიე? (ტ. II,  
290, 30) (=რატომა, სულ ვმუშაობ და ღარიბი რომ ვა-  
რო?..)

სვიმონ, მუჭოდ გაღოლენთ (=სვიმონ, როგორ იყო, რომ  
მოგივთდა?) (ტ. II, 263, 28);

მინად იძახუდენთ? (=კინ იყო, რომ იძახოდა?)

მუშენირდ თი ოსური ღაჭალანდუნთ? (=რატომ იყო, ის  
ქალი რომ ჩხუბობდა?)

მუ რე (=რა არის?) შინაარსით ზოგჯერ მიზეზის გამომ-  
ხატველია, კერძოდ, ეფარდება ქართულ კითხვით ფრაზას  
„რატომ არის?“ მაგ.,

მუ ორე, გამარჯვება ქოიწი დო მანგიორს ვა მირა-  
გადექსნთ? (ხ., 288, 31-32) (=რატომ არის „რა არის“, გა-  
მარჯობა გითხარი და სამაგიეროს რომ არ მეუბნება?)

მე რე ფუშანქნი? (=რატომ არის „რა არის“, რომ ქძი-  
ნავ (=მძიმედ სუნთქვა?))

მთავარ წინადაღებად, შესაძლოა, გამოყენებულ იქნეს მუ  
ამბე რე (=რა ამბავია), მუ ამბე გაფუ<sup>1</sup> (=რა ამბავია/„რა ამ-  
ბავი გაქვს“), რომელთაც ქართული „რატომ არის?“ კითხვი-  
თი წინადაღების სინონიმური მნიშვნელობა აქვთ. მაგ.,

მუ ამბე რე, ჩენდვთვნთ? (ხ., 358, 22) (=რა ამბავია, რომ  
ჩერდებით?)

მუ ამბე რე, ღორანქნთ? (=რა ამბავია, რომ ყვირი?)

<sup>1</sup> მეგრულში ორე(ნ) „არის“ ზმას ზოგჯერ „აფუ“ ცელის. მეგრულის  
„აფუ“ მეშველი ზმა თანამეტროვე ქართულის სამ ზმას ენაცვლება:  
აქეს, ჰყავს, არის. კონსტრუქციულად იგი „აქეს“, „ჰყავს“ ზმების  
შესაბამისია, ხოლო ამოსავალი სემანტიკის მიხედვით „აქეს“ ზმნისა  
(დაწერ. იხ. ქ. ლომთაობე 1963:29-32).

მუ ამბე გაფუ, არია ართო იქოფშირითი? (=რა ამბა-  
ვას/, „რა ამბავა გაქცეს“, ყველა ერთად რომ დაგვაწიოდე?)

მეგრულში ფიქსირებული კითხვითისიტყვიანი პიპოტაქსუ-  
რი კონსტრუქციის მსგავსი კონსტრუქციები ქართულსა და  
სვანურშიც დასტურდება. ქართულში მთავარი დამოკიდებულს  
„რომ“ კავშირითაც უერთდება და უკავშიროდაც. სვანური  
იყენებს „რომ“ კავშირის ფარდ ერე/ერ კავშირს. თუმცა უნ-  
და აღინიშნოს, რომ სვანურში მთავარი და დამოკიდებული  
კომპონენტების უკავშირო შეერთება სჭარბობს კავშირიანს  
(ლ. კვანტალიანი 1990:54).

ნიმუშები<sup>1</sup>

ა) ქართული მხატვრული ლიტერატურიდან:

ვინ არის, რომ არ გმონებდეს? (ალ. ჭ., 25)

რა არის, რომ დღეს ჩემს გვერდით დიდ თორნიქეს ვერ  
ვხედავო? (აკაკი, 30)

რა ამბავა, რომ დაიგვიანე? (აკაკი, 518)

რა მიზეზია, რომ ასე გავიჯავრება ეს მასწავლებელი?  
(იქვე, 70)

ბ) ქართული სასაუბრო მეტყველებიდან<sup>2</sup>:

ვინ არის, რომ აკაკუნებს? ვინ იყო, რომ გაცილებდა?  
სადა, რომ ზინკა? რატომ იყო, რომ იცინოდთ?

გ) სვანურიდან:

მამ ლი, ჰამს უ'ახგე ი მურყვამს ჯიკისგა ხავ ი ხოსგდი  
უიბოვ? (სვ. ტ.П, 62, 21) (=რა არის, დილას აღექი და  
კოშკის ძირას დგახართ და ზევით იცქირებით?)

<sup>1</sup> მაგალითები ქართული მხატვრული ლიტერატურიდან და სვანურიდან  
დამოწმებულია ლ. კვანტალიანის მონოგრაფიის მიხედვით, დაწვრ. იხ. ლ.  
კვანტალიანი 1990:53-54).

<sup>2</sup> ქართული ზეპირმეტყველების ნიმუშები ჩვენ მიერ არის აღემული  
ცოცხალი მეტყველებიდან.

მა ლოქ ლი, აღ წელბლს ბერევი უღვა ლოქ ერ ხავხ? (სვ.ტ.III, 199, 26) (=რა არის, ამ სახელრებს რეინის უღელი რომ ადგათო?)

მაგ მიზეზ ლი, ფუსდ კესარ, ერე ღო ხევსს დომ ხი-  
კედ? (სვ.ტ.I, 338, 1) ) (=რა მიზეზი, ბატონო მეუევ, რომ  
ძერე ხემსს არ იღებ?)

მეგრულში მინ (=ვინ) და მუ (=რა) ს შემცველ კით-  
ხეითსიტყვიან ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში შეიძლება გაჩ-  
ნდეს მისათითებელი სიტყვა მთავარში, რის შედეგადაც და-  
მოკიდებული წინადადების ტიპი განსაზღვრებითს უტოლდება.  
მაგ.,

მინ ორე თი სუმარი, მორცუნსგნი? (ხ., 99, 37) (=ვინ  
არის ის სტუმარი, რომ მოგყვნ?)

მინ ორექია ფერი კოჩი, ჩქიმი წყარიში მოულა გაბეჭინ  
უვერია? (ხ., 297, 17-18) (=ვინ ხარო ისეთი კაცი, ჩქის  
წყალზე გადმოსვლა რომ გაბეჭე ისეთი?)

მუქ მოხვადუ თუგვარქ, ვაზოგუმენქნ? (=რა მოხდა ასე-  
თი „ამგვარი“, რომ არ ზოგავ?)

ამ ტიპის ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში მთავარში კორე-  
ლატის გაჩენა დასტურდება ქართულსა და სვანურშიც (ლ.  
კვანტალიანი 1990: 48-49). სანიმუშოდ დავიმოწმებთ სვანუ-  
რის მაგალითებს:

მაგ ხამუნკას ეჯგვარ ალმარს-ე ჩუ ღოშ ხითვდ? (=რა  
სჭირო ისეთი ამათ, რომ კურ ინაწილებთ? (სვ. ტ. I, 279).

მარ ესერ ლი, სანაფს ხეფშვდ' პლი? (ქრესტ. 229, 33)  
(=ვინ არისო, სინაფს (რომ) ესვრის, ესო?

მარ ესერ ლი, ლითუსდ მოდე ხაკუ ი ლიგურ ხაკუ,  
პლი? (სვ.ტ.II, 325, 16) (=ვინ არისო, თავადობა არ უნდა  
და ყმობა უნდა, ესო?).

კითხვითსიტყვიანმა ჰიპოტაქსურმა კონსტრუქციამ მეგ-  
რულში ადრევე მიიქცია მეცნიერთა ყურადღება. კერძოდ, ი.

ყიფშიძეს, თავის მეგრული ენის გრამატიკაში გაანალიზებული აქვს „მუსუ რე, ორთუქი“ ტიპის წინადადება, რომელიც მან მიიჩნია უკავშიროდ, ხოლო გამოტოვებულად ჩათვალა ნამუ (=რომელი) ნაცვალსახელი: მუ რე, ნამუსუ ორთუქი? (=რა არის, რომელსაც/რასაც აკეთებ?) და ამგვარ ამხსნელ კომპონენტს შემოკლებული განსაზღვრებითი უწოდა (ი. ყიფშიძე 1914: 0141-0142). შ. ძიძიგურიც იზიარებს შეხედულებას იმის შესახებ, რომ აქ გამოტოვებულია ნამუ (=რომელი) კითხვითი ნაცვალსახელი (შ. ძიძიგური 1959:374).

6. აბესაძეს ამ საკითხზე განსხვავებული თვალსაზრისი აქვს. მას გამოტოვებულად, უფრო სწორად, გაცვეთილად მიაჩნია -ნი კავშირი. 6. აბესაძის აზრით, რომელიმე „ორთუქი“ ფორმა შეიძლება ორთუქინისაგან იყოს მიღებული (6. აბესაძე 1965:249).

6. აბესაძის მოსაზრების სასარგებლოდ ლაპარაკობს ის უაქტი, რომ კითხვითისტევიან ქვეწყობილ წინადადებაში „რომ“-ის მნიშვნელობის კავშირია გამოყენებული სამივე ქართველურ ენაში, მაგრამ აღნიშნულ მეგრულ ფორმაში საგულვებელია, „ი“ მიღებული იყოს არა -ნი, არამედ -ინი კავშირის ცვეთის შედეგად (გ. კარტოზია).

ი. ყიფშიძემ ყურადღება მიაქცია იმასაც, რომ მეგრულში კითხვითი ნაცვალსახელი (ნათესაობითი ბრუნვის გარდა) მართულია დამოკიდებული წინადადების შემასმენლისაგან (ი. ყიფშიძე 1914:0141) და წინადადების ბოლოს მოქცეული მაქვემდებარებელი კავშირიც კი ხელს ვერ უშლის მთავარი და დამოკიდებული კომპონენტების ამგვარ გადაკვანძვას (ლ. კვანტალიანი 1990:55); მაგ.,

მოთხოვოთი

მიქ რე ენა ქმინინი? (=ვინ არის, ეს რომ გააჭირ?) (ტ. II, 28, 23);

მუქა რე მუგაწყინეს, პატგნიევე? (=რამ არის, (რომ) მოგაწყინოთ, ბატონო?) (ტ. II, 56, 22);

მუქს რდგ თაქ მიორაგადუნ? (ხ., 98, 16) (=რომ იყო, აქ  
რომ ლაიღამერა?)

მიცემითი

მის რე აწუსორგუქენი? (=ვის (წინ) არის, რომ გაშ-  
ხლართულბარ?) (ტ.I, 286, 21);

მის რდუ ურაგადუდინ? (=ვის ფყო, რომ ელაპარაკებო-  
დი?);

მუსგ რე სი იჩიებუქენ? (=რას არის, შენ რომ ლაპა-  
კობ?) (ტ.II, 70, 22);

ჯიმა, მუსი მირაგადუქენ? (=ძმაო, რასაა, რომ მელაპა-  
რაკები?) (ტ.II, 322, 1);

მუს რე თქვა ჭკადგნთია? (ხ., 240, 3) (=რას არის, თქენ  
რომ ჭკადავთი?);

მუს რენია სია იშე-გიმე გესხაპუნქან? (ხ., 304, 36)  
(=რას არისო, შენო ზევით-ჭკევით რომ ხტურაკო?);

დედავა, მუს რენია ორთუქან? (ხ., 304, 14) (=დე-  
დაო//დედიო, რას არისო, რომ აკეთებო?)

ნათესაობითი<sup>1</sup>

მიშ დას რენია ხენწითე თხულენსიე? (ხ., 291, 12) (=ვის  
დას არისო, ხელმწითე რომ ირთავსო/, „თხოულობსო“?)

მიში დუა სურათის გაჯინედი? (ხ., 291, 4) (=ვისი ფყო,  
სურათს რომ ათვალიერებდი?)

მოქმედებითი

მუთ რე ურთუაქნ? (=რით არის, რომ ატრიალებ?)

მუთ (ო)რდუ იღითინ? (=რით იყო, რომ წაიღიო?)

მთავარი და დამოკიდებული კომპონენტების ამგვარი მი-  
მართების ნიმუშები დასტურდება სვანურში, ქართული სასა-  
უბრო მეტყველების დასავლურ არეალში, საიდანაც გავრცე-

<sup>1</sup> ნათ-ში შედგარი კითხვითი სიტყვა (ნაცყალის ხელი) განსაზღვრებაა.

ლებულია მწერლობაშიც (ლ. კვანტალიანი 1990:56). მაგალითები<sup>1</sup>:

ა) სეანურიდან:

იმნებ ლი-ა, ამგვარიშ აიშირნე აღი? (=რამ არის-ეს, ასე (რომ) გაგაბრაზა?);

მას ლი, ერ ჲაგრუბალი? (=ვის არის, რომ ელამურაქტი?)

ბ) ქართული სასაუბრო მეტყველებიდან:

ვისა, რომ მიჰყები?; ვის იყო, რომ ელამურაქტოდო?; რამ არის, რომ დაგაბრძევა?; რასა, რომ დაამგვანეს ჩემი ფეხები? (კინოფილმიდან „პირველი მერცხალი“).

გ) მხატვრული ლიტერატურიდან:

კის ლუკმასა რომ თვლი და მაწილებო... (რ. ჭეკვ., 95);

ვისა რომ უყვირო?! – იქაჩება ილარიონი (ნ. დუმბ. „მე, ბებია..., 10“).

ცნობილია, რომ ზეპირ სასაუბრო მეტყველებაში მოსაუბრე გამოყოფს აუცილებლად ხაზგასასმელ სიტყვას. ეს ხდება სხვადასხვა საშუალებით. ერთ-ერთი საშუალებაა ლექსიკური აქტუალიზატორი. ჩვენ მიერ წარმოდგენილ საილუსტრაციო მაგალითებში ადვილად შეინიშნება, რომ მთავარ წინადადებაში მოცემული ზმნა ორე(ნ)/ორდუ (=არის/იყო) სინტაქსურ კავშირში არ არის სხვა სიტყვებთან; ის მხოლოდ იმ სიტყვაზე ამახვილებს ყურადღებას, რომელიც მის წინ დგას (მის წინ დგას კითხვითი სიტყვა) და ასრულებს გაძლიერებითი ნაწილაკის ფუნქციას. -ნი (=რომ) კავშირი კი ხაზგასმას ახდენს ზმნაზე, რომელსაც ენკლიტიკურად დაერთვის.<sup>2</sup> ამიტომაც ამგვარი კონსტრუქციები კითხვასთან ერთად ძლიერ ემოციასაც გამოხატავენ.

<sup>1</sup> მაგალითები სეანურიდან და ქართული მხატვრული ლიტერატურიდან დამოწმებულია ლ. კვანტალიანის დასხელებული მონოგრაფიის მიხედვით.

<sup>2</sup> ამ ტიპის პიპოტაქსურ კონსტრუქციაში ორე(ნ) „არის“ ზმნისა და -ნი (=რომ) კავშირის ფუნქციის ამგვარად გააზრებას ვხვდებით ლ. კვანტალიანის მონოგრაფიაშიც (ლ. კვანტალიანი 1990:103).

ზემოაღნიშნული თავისებურებანი მხოლოდ კითხვითსიტყვებიან პიპოტაქესურ კონსტრუქციას არ ახასიათებს. იგივე მეორდება მაშინაც, როცა კითხვითი სიტყვების აღვიღლას მთავარ წინადადებაში პირის ნაცვალსახელი ან რომელიმე სახის ზმნისართია მოცემული. წინადადება შეიძლება იყოს კითხვის გამომჩატველი და შეიძლება — არა. მაგ.,

რაგადით მა რდგ ფთქვიინ (ხ., 98, 19-20) (=თქმით მე იყო რომ ვთქვი);

ჯგირობუაშე სი რე რშინანთგნ (ხ., 322, 19) (=სიჯანსაღის მხრივ შენ არის რომ გაბსენდო);

თინა რე მიირულენი (=ის არის, რომ მორბის);

ათენა რდგ, პაპა, ოშქარი სქუა ზენწიფეში თხუნი (=ეს ყვლ, მღვდელო, ხელმწიფის შუათანა გოგო რომ თხხოვა) (ტ.Π, 144, 15);

თინა რდგ ყიდო გილახედგ (=ის ყვლ, ზევით (რომ) ჯადა);

...უკული რე, მუთ თე ქეცანაში მანათებელქ გორჩქინდგ ... (ხ., 84, 16) (=შემდეგ არის, რაც ამ ქეცენის მანათობელი გაჩნდა...);

ამდღა თაქი რექ ღო ჭუმე რენო სი საქმეს გიოცაცანქ?! (=დღეს აქ ხარ და ხვალ არის, შენ საქმეს რომ გამართავ?!)

ჭუმე რენო მეურქნი? (=ხვალ არის, რომ მიღიბარ?)

თიშენი რე თე კოჩი ჩხუბენსი (=იმიტომ არის, ეს კაცი რომ ჩხუბობს)

თაქ რენო შითმეხვადუნი? (=აქ არის, რომ ხვდება?)

ამდღა რდეულ რეიანდინი? (=დღეს იყო, რომ კიოდო?)

ამდღა რდეულ იშეინშენ მორთუნ?! (=დღეს იყო მაინცდამაინც, რომ მოვიდა?!)

III პირის ნაცვალსახელებიც, ვითარცა ფორმაცვალებადი სიტყვები, შეიძლება მართოს დამოკიდებული წინადადების ზმნამ. მაგ.,

თიქ რე მა დუმოგურუ ცხენეფიში გიშავორუახო (=იმას  
არის, მე რომ მასწავლა ცხენების ამორჩევა) (ტ.II, 130, 28).

ათენენჯ რე ხენწიფეშ ძღაბეფი ითხისენი (=ამათმა არის,  
ხელმწიფის ასულები რომ შეართეს „ითხოვს“) (ტ.II, 144, 13).

ათექ რდგ, უკულაში ოსურსქეა ითხუნი (=ამან დყო,  
უმ-  
ცროსი ქალიშვილი რომ ითხოვა) (ტ.II, 144, 17).

მა თეშ რე მოშეურუნი  
საწმოხონოთ ვეჯუენი.

ზე იმს ცხრის რომე ტმრნა  
სამერმისო რომ არ იქნე.

(ტ.I, 105, 1-2)

სირჩნუექ მუმერუუ და  
ათეთგ რე მა გემწარი.

სიბერე მომერია და  
ამით არის მე რომ  
გავმწარდო.  
(კ.ს, 16, 38)

თუ ამ ჭიპის ქვეწყობილი წინადადებიდან ამოვიღებთ  
ორე(ნ)/ორდე (=არის/იყო) ზმნებსა და -ნი (=რომ) კავშირს,  
პიპოტაქსური კონსტრუქციის გარეგნული სახე მოიშლება;  
მივიღებთ იმავე შინაარსის მარტივ წინადადებას, ემოციონა-  
ლური დატვირთვის გარეშე. მაგ.,

ათენენჯ რე ხენწიფეშ ძღაბეფი ითხისენი;

(=ამათმა არის ხელმწიფის ასულები რომ შეართეს);  
შედრ.:

ათენენჯ ხენწიფეშ ძღაბეფი ითხიის.

(=ამათმა ხელმწიფის ასულები შეართეს).

„ჭანურში აგრეთვე გავრცელებულია პიპოტაქსური კონ-  
სტრუქციები, რომლებშიც დამოკიდებული ასეთი შედგენილო-  
ბისაა: სრულმნიშვნელოვანი სიტყვა+მაქვემდებარებელი კავში-  
რი+„არის“ ზმნა. ამგვარი დამოკიდებული ინფორმაციის  
თვალსაზრისით ახალს არაფერს იძლევა, ხაზგასმას ახდენს  
მხოლოდ იმ სიტყვაზე, რომელიც დამოკიდებულშია წარმოდ-

გენილი. ეს ხაზგასმული სიტყვა შეიძლება იყოს წინადადების ყოველი წევრი“ (ლ. კვანტალიანი 1990:103). მაგ.,

ფათიშვილ-ნამ, კეტი ქაკოტახეენ დო ია ბაღის (=ბეჭ-მწიუებ რომა, კეტი გადაუმტკვრევია იმ ბერიქაცისთვის) (ლაშ. ტექსტ., 45,12,8).

ია ქრსა-ნაი ამახთეენ დო ია კოჩის-ნაი არგუნი გმოჯინენ (=ის ქასა რომა, შესულა და ის კაცი რომა, იმის-თვის ნაჯახი დაუკრავს)<sup>1</sup> (ლაშ. ტექსტ. 48,12,162).

ამ ტიპის მაგალითები გვხვდება დიალექტებში და ქართულ ზეპირ მეტყველებაში; მაგ.,

ეს დიდი ქვები რო არი, იქითგან ჩამოტანილია, მაშვინ-დელია (ქართ. დიალექტ., ლეჩ., 489,25).

შენ ბარო, ყოლიკაცის რომ ატყუეფო? (იქვე, ქვ. გურული, 419,38);

რვეული რომა, ის მაინც დაურიგონ და წიგნი რომა, ის მაინც მიცენ ყველას.

მასწავლებელი რომა, ხომ უნდა იცოდეს თავისი საქმე?

მშობელი რომა — დედა რომ ქვა და მამ რომ ქვა, ხომ უნდა დაგვეხმაროს?!

ცუდ დროს არის, აქ რომ არ მყავს!

დღეს იყო მაინცდამაინც, პური რომ არ გამოაცხე?!

ინგილოურში ამ ფუნქციით გამოყენებულია „იყო“ ზმნა თვით მარტივ წინადადებაშიც კი (გრ. იმნაიშვილი 1966: 131), ასევეა „არის“ ზმნის I პირის ფორმაცი („ვარ“) ერთგვარი წევრების ჩამოთვლის დროს ქართულში:

ფიროსმანს ყველაფერი გულუხვადა აქვს: პური ვარო, ღვინო ვარო! (ლ. ასათიანი, 127).

ზოგჯერ კითხვით სიტყვას შეიძლება უარყოფითი მნიშვნელობა ჰქონდეს. ასეთ დროს მთავარ და დამოკიდებულ წი-

<sup>1</sup> ლაზურის მაგალითები დამოწმებულია ლ. კვანტალიანის მონოგრაფიის მიხედვით (ლ. კვანტალიანი 1990:103).

ნადადებათა აზრობრივი მიმართება იცვლება — მთლიანად ქვეწყობილი წინადადება უარყოფითი შინაარსისაა. ამგვარ პიპოტაქსურ კონსტრუქციაში დამოკიდებული, შინაარსის მიზევით, შედეგობით-გამორიცხვითად არის მიჩნეული (ლ. კვანტალიანი 1990:49).

როცა კითხვითი ნაცვალსახელები ან ზმნიზედები გამოყენებულია უარყოფითი მნიშვნელობით, მაშინაც გადმოიცემა როგორც კითხვა, ისე ემოცია (ნ. ბასილაა 1983:50); მაგ.,

მინი რე, მიოთინანსუნ? (ხ.126,1) (=კინ არის, რომ მიუახლოვდება?). ეს ნიშანაცა: ვერავინ მიუახლოვდება, ან: არავინ არის ისეთი, რომ მიუახლოვდეს). ასეთნაირად უნდა იქნეს გაგებული სხვა მაგალითების შინაარსიც.

ბოში, სი მუთ რე გაგორენ თუ სქანი ჯიმალეფი? (=ბიჭო, შენ რით არის, რომ მოგეძებნება ის შენი ძმები?) (ტ. II, 164, 30-31)

შუჟანი რდუ მა სი გოხვარუდინ? (=როდის დყო, მე შენ რომ გეხმარებოდი?).

კითხვა შეიძლება რიტორიკული იყოს მაშინაც, როცა მთავარ წინადადებაში კითხვითი სიტყვის ნაცვლად პირის ნაცვალსახელი ან რომელიმე სახის ზმნისართია მოცემული.

მაგ.,

ათეს რდუო, მნატრენდინი? <sup>1</sup> (=ამას დყო, რომ ვნატრობდი?) (ტ.I, 164,27)

მა რენო თქვა ჭითა ნაბადის მურდენთვნი? (=მე არის, თქვენ წითელ ნაბადს რომ მიყიდით!?) (ტ.П,144,19)

დღას ორდუო, მა სი გოხვარუდინ? (=ოდესმე დყო, მე შენ რომ გეხმარებოდი?)

დღას ორდუო, მა სი მერცუნდინ? (=ოდესმე დყო, მე შენ რომ მოგყვებოდი?!)

<sup>1</sup> ს1 პირის ნიშანი ვ- ნს წინ გადადის მ-ში (ი. ყიფშიძე, 1914:055).

საყურადღებოა ერთი ფაქტიც: მთავარ წინადადებაში მოცემული ზმნა ორე(ნ)/ორდუ (=არის/იყო) თავში დაირთავს ვა(რ) „არ“ უარყოფის ნაწილაკს, ზოლო ბოლოში – კითხვითობის გამომხატველ -ოს. მიღება გარენო/გარდუო (=არ არის?/არ იყო?) ფორმები. თუკი უარყოფითპრედიკატიან მთავარს წართქმითი დამოკიდებული მიუერთდება, კვეწყობილი წინადადება მთლიანად დადებით შინაარსს შეიძენს. „უარყოფითის არა, არ ნაწილაკები ენამ გარკვეულ კონტექსტში შეიძლება გამოიყენოს სრულიად საპირისპირო – დადასტურების ფუნქციით“ (ა.ჭ. შანიძე 1980:209, ბ. ჯორბენაძე 1984:165); გამოიყოფა ძირითადად ორი ტიპის კონტექსტი: ერთი, პირობით-შედეგობითი ურთიერთობის გამომხატველი<sup>1</sup> და მეორე – კითხვითი ან კითხვით-ძახითი ინტონაციისა (ბ. ჯორბენაძე 1984:165-166); ამ შემთხვევაში სწორედ ამ უკანასკნელი ტიპის კონტექსტთან გვაქვს საქმე; მაგ.,

თე ქვა გარენო მა გიშვივორსფე?! (=ეს ქვა არ არის, მე რომ ამოვარჩევინე?!)

თეს ვარდუო მირიგენდუნ ჩქიმი სინდა?! (ზ., 357,22) (=ამას არ იყო, რომ მირიგებდა ჩქიმი სიძე?!);

თინა ვარდუო მა ვოცვილაფენ?! (=ის არ იყო, მე რომ მოვაკვლევინე?!) (ტ.II,130,29)

თინა ვარდუო მა ვოცვილაფენ? სინონიმური შენაცვლებით იქნება: ნანდულო თინა რდუ მა ვოცვილაფენ! (=ნაძღვილად ის იყო, მე რომ მოვაკვლევინე!); შდრ.: ქართულის ვითარება – აგერ არ მოდის?! ეს ნიშნავს: აგერ ახლა მოდის! (ბ. ჯორბენაძე 1984:166). კითხვითი წინადადება, საღაც არა და ზომ ნაწილაკები თავისუფლად მონაცვლეობენ, ჩვეულებ-

<sup>1</sup> პირობითი-შედეგობითი ურთიერთობის გამომხატველი კონტექსტი, მიღებული უარყოფითპრედიკატიანი მთავრისა და „რომ“-ის მნიშვნელობის –და კატეგორიანი დამოკიდებულების შეერთებით, განხილულია ჩვენს ნაშრომში იხ. თ.III, §3.

რიგია ქართული ზეპირი მეტყველებისთვის: ასეა, არა? = ასეა, ხომ? (ბ. ჯორბენაძე 1984:165).

საინტერესოა ამ თვალსაზრისით დიალექტების ჩვენებაც. მაგალითად, იმ პოზიციაში, სადაც გურულში „უარყოფის „არა“ ნაწილაკია დადასტურებული, იმერულში დადასტურების „ეს“ არის გამოყენებული:

იქიდან რომ დაბრუნდება, არა, მაშინ უნდა იკითხო მისი ამბავი (გურული), ქე რო ღვევი, მერე ასე მაქ ე ფეხი (იმერული) (ქ. ლომთათიძე 1946:343).

კითხვის გამომხატველ ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში წინადადებათა საზღვარზე ზოგჯერ გვხვდება ჩვენებითი ნაცვალსახელი სრული (თენ „ეს“) ან მოკეცილი (თე „ეს“) სახით.<sup>1</sup> აღნიშნული ჩვენებითი ნაცვალსახელი ზან მთავარი წინადადების კუთვნილებაა, ზანაც – დამოკიდებულისა. მთავარ წინადადებაში ყოველთვის მოცემულია სრული სახით და კითხვის გამომხატველ ფრაზაზე ახდენს ზაზგასმას, დამოკიდებულში მოცემულია მოკვეცილი სახით და იმ წევრს გამოყოფს, რომლის წინ დგას. მაგ.,

მუ რე, თე სი შერს კაშუქენ? (=რა არის, (+ეს) შენ ასე რომ ოხრავ„სული გიწუბს“?) (ტ. II, 110,8);

მუ ორენია, თე „გუშუ-გუშან“ მირაგადუქიე... (ხ., 128,10) (=რა არის, (+ამ) „გუშუ-გუშან“ (რომ) მეუბნებიო...);

სი რდიო, თე ინგარდინ თინა? (შენ იყავი, (+ეს) რომ ტიროდი (+ის)?)

მუ ორე თე(ნა)<sup>2</sup>, მუნაფა ცას ვემიკოხე დო ვალგნცენ? (=რა არის ეს, ღრუბელი ცას არ აკრავს და რომ ელავსო?) (ტ. II, 50,37);

<sup>1</sup> ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში წინადადებათა საზღვარზე გამოვლენილია გამაძლიერებელი მითითებითი ნაწილაკი ა/ე სვანურშიც (დაწვრ. იხ. 6. აბესაძე 1960:128-129).

<sup>2</sup> ჩვენებითი ნაცვალსახელი სრული სახით ჩვენ აღვადგინეთ: თე(ნა) „ეს“.

მუ თუ თენა, შარას დახე ართიანი იკუცვილუნა დო  
კის ვაგუუზებუნ? (=რა არის ეს, გზაზე კინაღამ ერთმანეთი  
დაუხოცავთ და კაციშვილს (რომ) არ გაუშეველებია?).

როგორც აღვნიშნეთ, დამოკიდებული წინადადების ზმნა  
ზოგჯერ ბრუნვაში მართავს მთავარ წინადადებაში მოცემულ  
კითხვითი სიტყვას ან პირის ნაცვალსახელს (მუს რე ურა-  
გადგენი = რას არის, რომ ეუბნები?), რაც, უაქტიურად,  
ქვეწყობილი წინადადების შემადგენელი კომპონენტების აღ-  
რევაა, თუმცა, ფორმალურად, მთავარიც და დამოკიდებულიც  
თავ-თავის ადგილზე დგას.

კითხვითისიტყვიანი პიპოტაქსური კონსტრუქციის შემად-  
გენელ ნაწილთა აღრევა ფორმალურად თვალსაჩინო ხდება  
მაშინ, როცა მთავარი დამოკიდებულში იჭრება<sup>1</sup>. მაგ.,

ჭრელი ცოროფაქ მუ რე ბროლგნი? (=წყეულმა ტრო-  
ბამ, რა არის, რომ მიყო?)<sup>2</sup> (ქ.ს., 68,8);

ტყურათ ე ჯოღორევი მუშენი ენი გილურსიე? (ხ.,  
137,11-12) (=ამაოდ (ტყუილად“) ეს ძაღლები, რატომ არი-  
სო, (რომ) დადისო?);

მონძლვარი, გურს მუშენი რე მიცუნანთუნი? (=მოძლვარო,  
გული, რატომ არის, რომ მოგდით?) (ტ.II, 298,7).

ექ მუჭო რე გინმართუნი? (=ეს, როგორ არის, რომ გა-  
დამექცა?) (ქ.ს., 36,12).

<sup>1</sup> ეს მოვლენა ქართველურ ენებში შენიშნული აქვს ლ. კვანტალიანს.  
დაწვრ. იხ. ლ. კვანტალიან 1990:55).

<sup>2</sup> მთავარ წინადადებას, მეტი სიცხადისათვის, ორივე მხრიდან მძიმით  
გამოყოფთ ქართულ თარგმანში.

§ 2. განუსაზღვრელობით ნაცვალსახელთა და ზმინსართთა  
აგებულების საკონტა და პიპოტაქები

მეგრულში განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები როუ-  
ლი აგებულებისაა. ი. ყიფშიძეს თავის მეგრულის გრამატიკა-  
ში (Грамматика мингрельского (иверского) языка) სამ  
რიგადა აქვს წარმოდგენილი განუსაზღვრელობითი ნაცვალსა-  
ხელები და აანალიზებს მათს აგებულებას:

I. ა) მითინა//მითინეუ//მითინეუ „ვინმე“, შედგენილობით –  
მი- „ვინ“+თი//თუ ქართული -ცა ნაწილაკის ტოლფარდი + -  
ნი კავშირი.

ბ) მუთუნი „რამე“ – მუ „რა“ + თუ<თი (ასიმილაციით  
წინამავალ „უ“ ხმოვანთან) + -ნი.

გ) ნამუთინა//ნამუთინეუ//ნამუთინეუ „რომელიდაც“, -ნამუ  
„რომელი“ + -თი „ცა“ + -ნი.

II. ა) მიგიდა//მიგგდა//მჯდგა მი- + გი- </გა (=ქართ. -ლა  
ნაწილაკის ფარდი) + ლ//დგ//და – იგივე -თი ნაწილაკი გამ-  
ჟღებული „გა“ ნაწილაკის წინა პოზიციაში: მეგრ. მი-გი-  
და//მი-ლ-გა = ვი-ლა-ცა//ვინ-ცა-ლა.

ბ) მუგიდა//მუდიგა//მუჯდგა „რალაცა“, „რაც გინ-  
და ის“ – მუ „რა“+გი+და ნაწილაკები, შდრ.: ქართ. რა-ლა-  
ცა//რა-ცა-ლა.

გ) ნამუგიდა//ნამუჯდგა „ვინც [არ] იყოს“, „ვილაცა“, ნამუ  
„რომელი“ (მნიშვნელობით „ვინ“)+გი- + ლა ნაწილაკები.

III. ა) მიგიდარენი//მიგდენი//მჯდგარენი//მჯდგენი „ვიღა-  
ცა“, ზედმიწენით „ვიღაცა რომ არის“ – მიგიდა//მიღგა „ვი-  
ღაცა“+რე „არის“+ -ნი კავშირი. მიგიდენი//მიღგენი ვარიან-  
ტებში რე ზმინსართული „რ“ სონანტი ამოვარდნილია.

ბ) მუგიდარენი//მუჯდგარენი//მუგიდენი//მუჯდგენი „რალაცა  
რომ არის“ – მუგიდა+რე+ნი.

გ) ნამუგიდარენი//ნამუჯდგარენი//ნამუგიდენი//ნამუჯდგენი  
„რომელიდაც რომ არის“.

ი. ყიფშიძე გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ზოგი მათგანი (კერძოდ, II რიგის ნაცვალსახელები) მიღებულია დამოკიდებული წინადაღებისაგან (ი. ყიფშიძე 1914:049). I რიგის განუსაზღვრელობით ნაცვალსახელებზე (მითინი, მუთუნი, ნამუთინი) იგი წერს: „Пока не удаётся разложить эти формы на составные части с полной уверенностью, но напрашивается одно предложение, именно, что они сложены из ми „кто“ и частицы – ти//ти и союза -ни „что“, „чтобы“, „когда“ (ი. ყიფშიძე 1914:049). როგორც ჩანს, ი. ყიფშიძე ამ ნაცვალსახელთა შედგენილობის შესახებ თავის ვარაუდს სავსებით დამაჯერებლად არ მიიჩნევს.

მოგვიანებით ამ საკითხს შეეხო გ. როგავა. მისი აზრით, ი. ყიფშიძის მიერ პირველ რიგში მოთავსებული განუსაზღვრელობით ნაცვალსახელთა აგებულება არაფრით განსხვავდება მესამე რიგის ნაცვალსახელთა აგებულებისაგან, თუ პირველი ჯგუფისთვის ვივარაუდებთ ამოსავალ სახეობას: მით-იცი-ნი „ვინც რომ იქნება“, მუთ-იცი-ნი „რაც რომ იქნება“, ნამუთ-იცი-ნი „რომელიც რომ იქნება“<sup>1</sup>, რომლებიც, როგორც დამოკიდებული წინადაღებები, ამჟამადაც მოქმედია მეგრულში (გ. როგავა 1988:224); მაგალითად<sup>2</sup>,

მით იცი-ნი, ქოთქუანს (=ვინც რომ იქნება, იტყვის).

მუთ იცი-ნი, გეჭოფი (=რაც რომ იქნება, აიღე).

<sup>1</sup> უფრო ზუსტად, გ: როგავა აღნიშნული ნაცვალსახელების ამოსავალ სახეობად ვარაუდობს:

\* მით(ი)-იცი-(ნი)>მით(ი)-იცი-ნი>მითინი „ვინც რომ იქნება“>„ვინმე“.

\* მუთ(ი)-იცი-(ნი)>მუთ(ი)-იცი-ნი>მუთუნი „რაც რომ იქნება“> რაღაცა/რამე.

\* ნამუთ(ი)-იცი-(ნი)-ნი>ნამუთ(ი)-იცი-ნი>ნამუთინი „რომელიც რომ იქნება“>რომელიმე (დაწერ. იხ. გ. როგავა 1988:224).

<sup>2</sup> ნაწილი მაგალითებისა დამოწმებულია გ. როგავას სტატიის მიხედვით (გ. როგავა 1988:224), ნაწილიც ჩვენ მიერაა აღვტული ცოცხალი მეტყველებიდან.

მუთ იცინი, მიდეელი (=რაც რომ იქნება, წაიღე).

მუთ იცინი, თექ ქოვძირუნთ (=რაც რომ იქნება, იქ ვნა- ხავთ).

ნამუთ იცინი, დასურო იშნაგორა უკუფუ (=რომელიც რომ იქნება, მართლაც/„დასტურ“, ნარჩევი იქნება).

ნამუთ იცინი, ქოძირი (=რომელიც რომ იქნება, ნახე).

ნამუთ იცინი, თიშა მა ქემეურქ (=რომელიც რომ იქნება, იმასთან მე მივალ).

როგორც გ. როგავა აღნიშნავს, მითინი, მუთუნი და ნა- მუთინი განუსაზღვრელი ნაცვალსახელების ჩამოყალიბება მოხდა ფონეტიკური პროცესის ნიადაგზე – დამოკიდებული წინადაღების ზმნური ფუძის გაუჩინარებით (იხ. სქოლიო). შევადაროთ ქვემოთ მოცემული ორი წინადაღება ერთმანეთს:

მით იცინი, ქოთქუანს (=ვინც რომ იქნება, იტყვის) – პიპოტაქსური კონსტრუქცია;

მითინ ქოთქუანს (=ვინმე იტყვის) – განუსაზღვრელნაც- ვალსახელიანი მარტივი წინადაღება.

აშკარაა, რომ პიპოტაქსური კონსტრუქციის დამოკიდებუ- ლი წინადაღება შინაარსის მიხედვით ახალს არაფერს ამბობს მარტივი წინადაღების განუსაზღვრელ ნაცვალსახელთან შე- დარებით (დამოკიდებული წინადაღების გამარტივებას აღბათ ამანაც შეუწყო ხელი!), ოღონდ ერთი ნიუანსია: ვინც რომ იქნება – დამოკიდებული წინადაღება გადმოსცემს, რომ მო- საუბრისთვის არ არის ცნობილი, ვინ იქნება. იცი (=იქნება) ზმნა და -ნი (=რომ) კავშირი ხაზს უსვამენ ამ „უცნობობას“.

ი. ყიფშიძე მითინი (=ვინმე) და ნამუთინი (=რომელიმე) განუსაზღვრელი ნაცვალსახელების ვარიანტებად ასახელებს მითინე/მითინეე და ნამუთინე/ნამუთინეე ფორმებს (ი. ყიფში- ძე 1914:049). რადგან მითინი და ნამუთინი განუსაზღვრელი ნაცვალსახელები არ აღიქმებოდა დამოკიდებულ წინადაღებად, შესაძლებელი გახდა ამ ფორმების ხელახლი ჩართვა პიპო-

ტაქსურ კონსტრუქციაში. კერძოდ, გ. როგავას აზრით, ვარიანტული ფორმები (მითინე და ნამუთინე) გარკვეულ კონტექსტებში მითინი და ნამუთინი განუსაზღვრელობით ნაცვალსახელებზე რე-ნი დამოკიდებული წინადაღების დართვის შედეგად არის მიღებული: მით-იცი-ნი>მითინი>მითინი-რე-ნი><sup>\*</sup>მითინი-ე-ნი>მითინი-ე>მითინე (გ. როგავა 1988:225). ამ გზით ივარაუდება ნამუთინე ფორმის მიღებაც.

ამრიგად, მითინეს ბოლოკიდური სმოვანი („ე“) რე „არის“ ზმნის ნაშთია, -ნი კავშირი დაკარგულია. თუ ერთ შემთხვევაში იკარგება დამოკიდებული წინადაღების ზმნა (მით-იცი-ნი>მითინი) და ჰიპოტაქსური კონსტრუქცია აღარ გვაქვს, სხვა შემთხვევაში თავად კავშირი იკარგება – მითინი-რე-ნი>მითინიე>მითინე. შედეგი ორივე შემთხვევაში ერთნაირია.

გ. როგავას ასევე დამოკიდებული წინადაღებისგან მომდინარედ მიაჩნია ჭანურში დადასტურებული განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები: მუთხანი (=რამე) და მითხანი (=ვინმე).

მითხანი<<sup>\*</sup>მითხა-რე-ნი<<sup>\*</sup>მითხა-რე(ნ)-ნი „ვიღაცა რომ არის“.

მუთხანი<<sup>\*</sup>მუთხა-რე-ნი<<sup>\*</sup>მუთხა-რე(ნ)-ნი „რაღაცა რომ არის“ (გ. როგავა 1988:225).

-ნი ნაწილაკიანი დამოკიდებული წინადაღების მოშლა ჭანურში უნდა მიეწეროს ჯერ ბერძნულისა და შემდეგ თურქულის გავლენას (გ. როგავა 1987:47, 1988:225).

III ჯგუფში მოთავსებული მიგიდარენი/მიჯგარენი „ვიღაცა რომ არის“, მუგიდარენი/მუჯგარენი „რაღაცა რომ არის“, ნამუგიდარენი/ნამუჯგარენი „რომელიღაცა რომ არის“ განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელების აგებულება გამჭვირვალეა და მათ შემადგენლობაში ზმნური ფორმისა – რე „არის“ დანი კავშირის გამოყოფა არ ჭირს. მით უფრო, რომ ამ ტიპის დამოკიდებული წინადაღება ამჟამადაც მოქმედია მეგრულში. მაგ.

...სახელს ქომიძახ მოდგარენი (ხ., 44,11) (==სახელს მება-  
ხის, ვიღაცა რომ არის).

...მოდგარენი დიღ კამპანიას გინმიგანსია... (=ვიღაცა რომ  
არის, დიღ ქორწილს იხდისო) (ტ. II, 334,3).

მოდგა რენი ცაშე ღორონს გიმეცონანს (=ვიღაცა რომ  
არის, ციდან ღმერთი ჩამოჰყავს (ე.ი. იწყევლება ძლიერად)).

მუჟანს ქიმისვანჯესუნი, მოდგარენი ართი დედიბი ოსურქ  
ქუმორთვ (=როცა (+რომ) დაისვენეს, ვიღაცა რომ არის, ერ-  
თი მოხუცი ქალი მოვიდა) (ტ. II, 146,15).

მარა ჭიჭე ზანქე ქიიღუნი, მუგიდა რენი ჭმონწყუნსგ  
ქიუანასგ... (=მაგრამ ცოტა ზანი რომ გავიდა („იქნა“), რაღა-  
ცა რომ არის, აქცევს ქვეყანას) (ტ. II, 12,10).

მუდგა რენი ქიმიისოფუ თაქ (=რაღაცა რომ არის,  
(ძლიერად) ირჯება აქ).

მუდგარენი ქოპილუნს (=რაღაცა რომ არის, მკლავს) (ტ. I, 64,25).

მუდგარენი სარკო ორდუ თი თუთაშფერ თუთაშხას  
(=რაღაცა რომ არის, საოცარი იყო იმ მთვარისფერ ორშა-  
ბათს) (ტ. I, 24,1).

ღურა ღლაშა ართი მუდგა რენი მიღუ თქვანდა დაჩინა-  
ლი... (=სიკვდილამდე „სიკვდილის ღღემდე“ ერთი, რაღაც  
რომ არის, მაქვს თქვენთვის დასაბარები...) (ტ. II, 236,5-6).

ათაქ მითილუნი, მუგიდა რენი ბონარომა უფერი ისიმედე  
ათე ტყას, მეტი ვეშილებედე (=აქ რომ შევიდა, რაღაც რომ  
არის, ხმაურომა ისეთი ისმოდა ამ ტყეში, მეტი არ შეიძლე-  
ბოდა) (ტ. II, 24,39).

ენა მუდგარენი ჯგირი ოკო ვარდასუნი — თქვიის დო  
არძოქ გეგნოციის შხვა არღვილეფიშა (=ეს, რაღაც რომ  
არის, კარგი (+რომ) არ უნდა იყოს, — თქვეს და ყველანი  
გადაცვილენენ სხვა აღვილებში) (ტ. II, 64,8).

მუდგარენი კუარიაშ დუღიშ მაშხვა ქმოჩქუნია, — უწუ (ხ., 52,3) (=რაღაც რომ არის, ყვავის თავის სიმსხო მოჩანსო, — უთხრა).

ნამდგიდარენი ონჯუა ბორჯის კარს ქიიძახუ (=რომელი-ლაცა რომ არის, საღამო ზანს (ჭიშ) კართან იძახის).

ნამდგარენი ამდღარ მაღუ რე (=რომელილაცა რომ არის, დღევანდელი წამსვლელია).

ზოგჯერ რე „არის“ ზმნას ენაცვლება მომავალი (იყიდ „იქნება“) ან წარსული (ო)რდუ „იყო“ დროის ფორმები. მაგ.,

მეუა სი ტყაშა დო სი ხოლო მუდგა იუინ ქიმიღია! (ხ., 242,19) (=წადი შენ ტყეში და შენც, რაღაცა რომ იქნება, მოიტანეო!)

ნამდგა იუინ ქუმურს დო ქიმიღანს ანბეს (=რომელილაცა რომ იქნება, მოვა და მოიტანს ამბავს).

მოდგა იყინ, დორონთიანი, დააიმენდენს დო იშენთ ჯგირი რე (=ვიღაცა რომ იქნება, მაღლიანი, დააიმედებს და მაინც კარგია).

სიზმარი მიღუდ მუდგარდგნი ვერგუდუნ ფერი დო მუმენ-ვარით (ხ., 15,25) (=სიზმარი მქონდა, რაღაცა რომ იყო, რომ არ ვარგოდა ისეთი და მომენმარეთ).

მარა ათე ამშვი გოლა გაათუნი, მუგიდა რდგნი ირიფელქ გეიცარე (=მაგრამ ეს ექვსი მთა რომ გაიარა „გაათავა“, რა-ღაც რომ იყო, ყველაფერი აირია) (ტ.II, 20,7).

როგორც დამოწმებული მაგალითებიდან ჩანს, დამოკიდე-ბული წინადაღების ზმნური ნაწილი — რე „არის“ (ზოგჯერ იყიდ „იქნება“, ან ორდუ „იყო“) და კავშირი -ნი („რომ“) ზაზს უსვამენ, რომ მიღგა, მუდგა, ნამუდგა (ვიღაცა, რაღაცა, რომელილაცა) მთქმელისთვის უცნობი კონკრეტული სახე-ლია, რომელიც ან ივარაუდება (...მიდგარენი დიდ კამპანიას

გინმიგანსია... ვიღაცა რომ არის, დიდ ქორწილს იხდის), ან მოცემულია წინადადებაში ნაცვალსახელისა თუ არსებოთი სახელის სახით (...მიღვარენი ართი დედიბი ოსურე ქუმორთუ (=ვიღაცა რომ არის, ერთი მოხუცი ქალი მოვიდა). ეს წევ-რები სინტაქსურად, უმთავრესად, ქვემდებარე ან დამატებაა, მთქმელის დამოკიდებულება ამ უცნობის მიმართ ზოგჯერ ნე-იტრალური ან დადებითი, მეტწილად კი უარყოფითია.

მეგრულში დამოკიდებულ წინადადებად წარმოდგენილი განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი ზოგჯერ მთავარი წინა-დადების ზმნა-შემასმენლის მიერ იმართვის ბრუნვაში. აქ უნ-და გამოიყოს ორი შემთხვევა<sup>1</sup>:

1. საკუთრივ განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი (მიღ-გა, მუდგა, ნამუდგა) დაირთავს ბრუნვის ნიშანს – მიღვაქრე-ნი („ვიღაცამ რომ არის“) და ა.შ.

2. დამოკიდებულ წინადადებად წარმოდგენილი განუსაზ-ღვრელობითი ნაცვალსახელის ნაწილები (მიღგა-რე-ნი) ისეა ერთმანეთს შეხორცებული, რომ იგი ერთ ერთეულად აღიქმე-ბა და ბოლოში დაირთავს ბრუნვის ნიშანს – მიღვარენ-ქ და ა.შ. მაგ.,

მ ო თ ს რ ო ბ ო თ ი

დოღურ მიღვაქირენიუ – უწიდა (ხ., 20,22) (=მოკვდა, ვიღაცამ რომ არისო, – ვუთხარიო).

უბედური, მიღვაქირენი დოღურუა, – თქუუ მაჟირა კოჩქ (ხ., 19,34) (=უბედური, ვიღაცამ რომ არის, მოკვდაო, – თქვა მეორე კაცმა).

მიღვაქურენ გომბჲკუ, ქომიჭკომუნსუ ნათოლე (=ვიღ-აცამ („არის რომ“), გამითვალა, შემიჭამა ავმა თვალმა) (ტ.I, 223,15).

მიღვაქ რენა მორთუა, ჟირ კოჩქია: (ხ., 204,10) (=ვი-ღაცამ რომ არისო, მოკვდაო, ორი კაციო).

<sup>1</sup> განუსაზღვრელი ნაცვალსახელის ორგვარი ბრუნების შესახებ იხ. ი. ფუჭიძე 1914:049.

მუდგაქიერ<sup>1</sup> მიოქურქულუს, (ხ., 103,38) (=რაღაცამ რომ არის, წავოშვიშა).

ქიდირულუ ამგ სერინი, ქიგიანიზმარგ მუდგაქირენი (=რომ დაიძინა ამაღამ, დაესიზმრა, რაღაცამ რომ არის) (ტ.II, 126, 35).

მუდგაქიერ ქემორთვ დო ბეჭეტი ქემააგვ ხეს დო უწუუ (ხ., 241,2) (=რაღაცამ რომ არის, მოვიდა და ბეჭელი გაუკეთა ხელზე და უთხრა).

...ძალაში მოწყინებულო ქოფირქენსუნი, მუგილაქიერი ჩხილიტი ქინიკათუუ ათე წყარსუ... (=ძლიერ მოწყენილად რომ ფიქრობს, რაღაცამ. რომ არის, დგაფუნი მოადინა წყალში) (ტ.II, 232,38).

შდრ.: თენა სქანოთ დიიტუ მიგდარენქ (=ეს შენთვის დატოვა ვიღაცამ)

თაქ გაგმეცხად მუდგარენქ<sup>2</sup> (=აქ გამოჯუნდა [ჩვენება] რაღაცამ) (კ.ს., 69,33).

### მ ი ც ე მ ი თ ი

ალეს გიასიზმარგ, ვითომ მუში ოსური მეჯუნს მიღდანირენი (=ალეს დაესიზმრა, ვითომ მისი ცოლი მიპყავს, ვიღაცას რომ არის) (ტ.II, 146,26-27).

ეზგმა ჩქიმი თელო გარა, მიღდგას იუთინი დოლუპუნს (ყ., 155,14) (=ამდენი ჩემი ცოცხლად ტირილი, ვიღაცას რომ იქნება, დაღუპავს).

გიათხოზუ თე კვირკვის... დო ქიმიოდირთვ ხოლო მუდგასიერ (ხ., 110,23) (=გასდია ამ თითისტარს... და მიადგა კიდეც, რაღაცას რომ არის).

სუმი დღა ქომუჩია ვადა დო მავა მუდგას იუთინი ქოფქმინგნქს (ხ.,215) (=სამი დღე მომეციო დრო და მეო, რაღაცას რომ იქნება, ვიზამო).

<sup>1</sup> მუდგაქირენ>მუდგაქიერ (მარტივდება „რე“ ზშა: რე>ე).

მუდგას ოდგნ ქოქიმინუნდეს (ხ., 274,8) (=რაღაცას რომ იყო, იზამდნენ).

შდრ.: მიღვარენს ურჩქილე (=ვიღაცას უცდის „უყურებს“).

მიღვარენ კოჲ ურცხებუ (=ვიღაცა კაცე უხსნია).

მუდგა რენს ოკო ქემოხვადას (ხ., 236,78) (=რაღაცას უნდა შეხვდეს).

ნ ა თ ე ს ა ო ბ ი თ ი

მიოჯინგ დედგბიქე, ქოძირე კარცე ქიგერე მიღგაში რენი უმირაფუ ამუნათი სქუა (=შეხვდა დედაბერმა, დაინახა, კართან დგას, ვიღაცის რომ არის, უხილავი სილამაზის ბიჭი) (ტ.II, 40,35).

თუ ჯოლორი ჯგირი ჯოლორი ქორე მიღგაშირენი (ხ., 97,23) (=ეს ძალლი კარგი ძალლია, ვიღაცის რომ არის).

პირობა მუდგაში რდგნ, გვერდი ქომუჩეე ოკონია (ხ., 224,5) (=პირობა რიღასიც რომ იყო, ნახევარი უნდა მომცეო („მომცე უნდაო“)).

შდრ.: მიღვარენიშ ცუდეს ქიმლახე დო ქუურჩქილე (=ვიღაცის სახლში ზის (შიგნით) და უცდის „უყურებს“).

მუდგარენიშ ხემაქ მომარჩქილე ნასქასერუს<sup>1</sup> (=რაღაცას ხმა შემომესმა ნაშუაღამისას).

მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ი

ირო თის ვოცადუქი

სულ იმას ვცდილობ,

მუდგათ იუინ ვადობლურე

როგორმე (რითაც იქნება

რომ) არ მოგევდე.

(ტ.I, 165,16)

მეგრულში განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელების შემადგენლობაში გამოყოფილი რენი („რომ არის“) რომ სტილისტური დანიშნულებისაა და კონკრეტული წევრის განუ-

<sup>1</sup> ნასქასერუს<ნაშქასერუს.

საზღვრელობას უსვამს ხაზს, ამას ადასტურებს კიდევ ერთი მოვლენა: ჩვეულებრივი პიპატაქესური კონსტრუქციის საწარმოებლად, რომელშიც დაქვემდებარება მკვეთრად იქნება გამოხატული, განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი ხელახლა დაირთავს -ნი კავშირს. მაგ.,

ინჭას ინაჯინესგრ, ბოში ქინოშე მიღვა რენგრ, ქოძირეს (ხ., 134,22-23) (=ჭაში რომ ჩაიხედეს, ბიჭი რომ ზის (შიგნით) ვიღაც „რომ არის“, ნახეს).

ქეშმეძინეს ჭიკე მუდგაქენინ, ვაარწყეოთ?! (=რომ შევ-ვეძინა ცოტა რაღაც („რომ არის“), ვერ ზედავთ?!?) (ტ.II, 108,20).

თი ქუა მიბლით ჩქინ, უკული რე, მუთ თე ქეცანაში მანათებელქ ვორჩქინდგ მიღვაქენინ (ხ., 84,16-17) (=ის ქვა რომ მოვიტანეთ ჩვენ, მერმე არის, რაც ამ ქვეყნის მანათობელი (+რომ) გაჩნდა რაღაცა („რომ არის“)).

მეგრულის მიღვარენი, მუდგარენის ფუნქციური ეკვივარენტი ქართულში არის მყარი სიტყვათშეხამებანი — ვიღაცაა, რაღაცაა. მეგრულისა და ქართულის მონაცემები არა მარტო ფუნქციური, არამედ მორფოლოგიური შედეგნილობითაც ფარავენ ერთმანეთს, ერთი განხსნავებით: ქართულის ლექსიკურად შემოფარგლულ სიტყვათშეხამებებს კავშირი არ ახლავს, ამიტომაც „წინადადება, რომელშიც ვიღაცაა, რაღაცაა გვხვდება, ჰგავს უკავშირო ქვეწყობილ კონსტრუქციას. დამოკიდებულ ნაწილად ეს შესიტყვებები გვევლინება“ (ლ. კვანტალიანი 1990:44-47); მაგ.,

აქედან გაგვეცალე, ვიღაცა ბართ (შვნმ, III, 309,4)

ეს კი, ვიღაცა არი, ბუზადაც არ მაგდებსო (აკაკი, 9,30)

მეხი კი დაასკდა მაგასა, ვიღაც მგელა არისო (ვაჟა, VII,414)

საშველს არ მაძლევდა, ვიღაცა იყო (დ. შენგ., 22)

ამგვარი კონსტრუქციები გვხვდება დიალექტებშიც (ლ. კვანტალიანი 1990:45); მაგ.,

აქ მეცნიდეს თავისი ირმებიანა ეს კაცი, კიღაცა არის (დიალ., ზემო იმპრ., 454).

მიბრძანე, რაც ხა არი (იქვე, 458).

შეჭამე, რაც ხა არი (იქვე)<sup>1</sup>

„ფუნქცია კი ამგვარი დამოკიდებულისა ყველგან ერთია: მოახდინოს ნაცვალსახელის აქტუალიზაცია (ემფაზა) „არის“ ზმნის საშუალებით ქართულში (ზმნითა და მაქვემდებარებელი კავშირებითაც ზანურში)“ (ლ. კვანტალიანი 1990:46).

მეგრულ-ჭანურში გამოყოფენ -ნი თანდებულიან ბრუნვას (ე.წ. Отложительность падеж), მაგალითად, ცირა-შე-ნი („ქალიშვილის შესახებ“) – მეგრ., თომა-შე-ნი („იმის შესახებ“) – ჭან. (ნ. მარი 1910:16, ი. ყიფშიძე 1914:022). გ. როგავას აზრით, ეს თანდებულიანი ბრუნვა კი არ არის, არამედ თანდებულიანი ბრუნვის ფორმისგან – ცირაშე<sup>2</sup> („ქალიშვილის-გან“) მომღინარე დამოკიდებული წინადაღების – ცირაშე-რე-ნი („ქალიშვილისგან რომ არის“ გამარტივებული სახეობაა, მიღებული ორე(ნ) „არის“ ზმნის დაკარგვით (გ. როგავა 1987:47). -ნი შეუხორცდა ბრუნვის ფორმას და დღეს უკვე კავშირად არ გაიგება. ასეთივე გამარტივებული სახეობაა მუდგაშენი (=რაღაცაზე), სადაც ორე(ნ) ზმნა გაუჩინარებულია.

ორე(ნ) ან დროის მიხედვით მისი მონაცვლე ზმნების (იყიდ/ორდუ) გაუჩინარება ჩვეულებრივი მოვლენაა რთული შედეგნილობის განუსაზღვრელობით ნაცვალსახელებში, მაგრამ ეს გამარტივებული სახეობა – მუდგაშენი ხელახლა დაირთავს „ყოფნის“ აღმნიშვნელი ზმნის სხვადასხვა დროის ფორმას (ორე(ნ) „არის“, ორდუ „იყო“, იუი „იქნება“ და -ნი

<sup>1</sup> მაგალითები დამტმებულია ლ. კვანტალიანის მონოგრაფიის მიხედვით (ლ. კვანტალიანი 1990:195).

<sup>2</sup> „ცირაშე“ ფორმაში (და ამ ტიპის სახელებში) თანდებულის როლს „ე“ კომპონენტი ასრულებს: ცირა-შე-ე (=ქალიშვილის-(ა)-გან), შედრ.: ცირაშ-ა (=ქალიშვილ-თან) (გ. როგავა 1987:47).

„რომ“ კავშირთან ერთად დამოკიდებული წინადაღების როლს ასრულებს პიოლტაქესურ კონსტრუქციაში.

მუდგაშენი რენ ჩხერიძი გეტახესი დო იბურზიკუნა თაქ (=რაღაცა ზე „რაღაცისგან“ რომ არის, ჩხერიძი ატეხეს და ემიძგილავებიან ერთმანეთს აქ).

ართი შევანს ვეზირქ გური ქუმაცონებათუუ მუდგაშენი რდუნ ათე ბოშის (ხ., 1-2, 33-1) (=ერთხელ ვეზირმა გააბრაზა („გული მოაყვანინა“) რაღაცა ზე „რაღაცისგან რომ იყო“, ამ ბიჭს).

თი ოსური თე ამბეს მუდგაშე(6) იუთ ჭიგეგნს (=ის ქალი ამ ამბავს, ვიღაცისგან რომ იქნება, გაიგებს).

ი. ყიფშიძეს აღნიშნული აქვს, რომ III რიგის განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელების მსგავსად არის ნაწარმოები განუსაზღვრელობითი ზმნისართებიც – სო-გი-და/სო-დგ-გა//სო-დ-გა „სადაც რომ“, სო-გი-და-რე-ნი//სო-დ-გა-რე-ნი//სო-გ-დე-ნი//სო-დ-გე-ნი „სადღაც“, „სადღაც რომ არის“<sup>1</sup> (ი. ყიფშიძე 1914:319). ამ თვალსაზრისს იზიარებს გ. როგავაც (გ. როგავა 1987:49) ამათგან სოგიდარენი//სოდგარენი ფორმებში გამოიყოფა -რე-ნი „რომ არის“ დამოკიდებული წინადაღება; სოგდენი//სოდგენი ფორმებში შემორჩენილია რე „არის“ ზმნის ხმოვნითი ნაწილი („ე“) მაგ.,

დისერგ სოდგარენ (ხ., 113,3) (=დაღამდა, სადღაც რომ არის).

ინილეს სოგდა რენ გიმე (ხ., 211,31) (=ჩავიდნენ, სადღაც რომ არის, ქვევით).

სოდგარენი თაქ ხოლოს იფრჩქილექ თინეფიში ხონარს (=სადღაც რომ არის, აქ ახლოს ვისმენ იმათ ხმას).

სოლედგარენი იფრჩქილექ ზარეფოში რეკუას... (=სადღაც რომ არის, ვისმენ ზარების რეკვას) (კ.ს., 30,11).

<sup>1</sup> სოგიდა-რე-ნი>სოგდენი, სოდგარენი>სოდგენი.

განუსაზღვრელი ნაცვალსახელების მსგავსად, განუსაზღვრელ ზმნისართთა შემაღენლობაშიც იჩენს თავს იცით „იქნება“ და (ო)რდუ „იყო“ ზმნური ფორმები. მაგ.,

სოდგა იუინ, პატიცემას იშენ ჭოგიჭირინუა (ხ., 312,20)  
(=საღლუც რომ იქნება, პატიცისცემას მაინც გადაგიხდი „შეგაზვედრებ“).

სოდგა იუინ, თუ თუ თაქ, დორგორუ დო გინოგიგა  
(=საღლუც რომ იქნება, იქ თუ აქ, მოგძებნი და გადაგიხდი).

სოდგაშე იუით, დოვრეჟუნქ (=საიდანღაც იქნება, დავრეკავ).

...სოლევიდა რდგნი, ქუუგინაფუდუ ათე მაფაში მუარნეს... (=საიდანღაც(იდან) რომ იყო, შეეტყო ამ მეფის მსაზურს) (ტ.II, 222,11).

როგორც დამოწმებული მაგალითებიდან ჩანს, მოქმედების კონკრეტული აღგილი მოცემულია ან ივარაუდება, მაგრამ ეს კონკრეტული აღგილი მთქმელისთვის უცნობია. ამას გახაზავს დამოკიდებული წინადადებით გადმოცემული განუსაზღვრელობითი ზმნისართი.

### ტ 3. აქტუალიზაციის ზოგიერთი შემთხვევა და პიპოტაქენი

ცნობილია, რომ აქტუალიზაცია ხორციელდება სხვადასხვა საშუალებით. მათ შორისაა: სიტყვათგანლაგება (პოზიცია) და სპეციალური ლექსიკური ერთეულები. როგორც პირველ პარაგრაფში განხილულმა სპეციფიკურმა პიპოტაქსურმა კონსტრუქციებმა დაგვანახა, მეგრულში ზოგჯერ ლექსიკური აქტუალიზატორის როლში გვევლინება ორე(ნ) „არის“ ზმნა (შესაბამისად – ორდუ/იუით „იყო“/„იქნება“ ზმნური ფორმები) და -ნი (=რომ) კავშირი (იხ. გ. კითხვითისიტყვიანი პიპოტაქსური კონსტრუქცია მეგრულში). რო-

გორც სხვა ქართველურ ენებში და ქართულ ცოცხალ მეტ-ჟველებაში დაღასტურებულმა მაგალითებმა დაგვარწმუნა, ამ-გვარი მოვლენა მეტ-ნაკლები მსგავსებითა თუ სხვაობით მათ-თვისაც არის დამახასიათებელი.

ამ პარაგრაფში განვიხილავთ აქტუალიზაციის კერძო შემთხვევებს:

- ა) პიპოტაქსურ კონსტრუქციაში დადასტურებულ ზოგი-ერთ ლექსიკურ საშუალებას (აქტუალიზატორს);
- ბ) სიტყვათა გამეორებას;
- გ) ემფატიკურ პრეპოზიციას (ე.წ. ონიციალურ სახელო-ბითს).<sup>1</sup>

### 3.1. ლექსიკური აქტუალიზატორები

მეგრულში ლექსიკურ აქტუალიზატორად ვარენო<sup>2</sup> („არ არის?“) და ვარდუო („არ იყო?“) ფორმები გამოიყენება თითქმის ყველა · საკავშირებელი საშუალებით გაფორმებულ პიპოტაქსურ კონსტრუქციაში. ვარენო/ვარდუო ფორმების თვისება – წინადაღებაში ჩართვა შენიშნული აქვს ი. ყიფში-ძეს და მათ მოიხსენიებს, როგორც წინადაღებაში ჩართულ წინადაღებებს (ი. ყიფშიძე 1914:0144-0145;301).

ვარენო (შესაბამისად – ვარდუო) ფორმა ჩართულია და-მოკიდებულ წინადაღებაში და გახაზავს დამოკიდებული წინა-დაღებით გადმოცემულ აზრს. მაგ.,

<sup>1</sup> აღნიშნული ტერმინები დავესესხეთ ლ. ქვანტალიანს. იხ. ლ. ქვანტა-ლიანი 1990:98.

<sup>2</sup> ვარენო/ვარდუო ფორმები ლექსიკური აქტუალიზატორის როლში გვევლინება კითხვითისტუყვიან პიპოტაქსურ კონსტრუქციაშიც. ვარენო/ვარდუო ფორმათა შეღვენილობაზე, მეგრულსა და ქართულში ვა(რ) („არ“) უარყოფის . ნაწილაკის დაღასტურებით მნიშვნელობით გამო-ყინებაზე უკეთ გვქანდა საუბარი ჩექნი ნაშრომის 149-ე გვერდზე.

ხენწიფუქ ვარენო ვარია ქუწუასგნი, თელი ქალაქის მოსკენს გვერშაპი... (=ხელმწიფუქ (თარ არის?) უარი რომ უთხრას, მთელ ქალაქს მოსსპობს გველეშაპი) (ტ.II, 242, 28);

მასუმა კარიშა ვარდუო ქიმეურთინი, ხუმაქ ქუმმასიმუანგილოზეფიში ბირაჯგურაქ... (ხ., 3,28) (=მესამე კართან (თარ იყო?) რომ მივედი, ხმა მომესმა ანგელოზების სიმღერის მსგავსი („მაგვარი“);

მა თიქ ვარენო ვადმარაგუადა, მაჟია მინუთის დუდი მეპკვათია, — თქუუ ბოშიქ (ხ., 1,23) (=მე ის (თარ არის?) თუ ვერ წავაქციო, მეორე წუთს თავი წამაგდებინეო, — თქვა ბიჭმა).

მიმართებითნაცვალსახელიან, მიმართებითზმნიზედიან და „რადგან“ კავშირიან დამოკიდებულ წინადადებებში, რომლებშიც აღნიშნული აქტუალიზატორებია ჩართული, კონკრეტული საკავშირებელი საშუალების მნიშვნელობას -ნი კავშირიც აძლიერებს. მაგ.,

თიში მათხუალი მით ვარენო ქს მურსენ, თის უწიინა: (ხ., 102,24) (=იმის მთხოვნელი ვინც (თარ არის?) რომ მოვა, იმას ეტყვიან).

მუთ ბერტეფი ვარენო ეთქმოცენს თუ ხონუასგნი, არძას ჭკომუნს გუთანიშ გიმაცვენჯი კოჩი (=რაც ბელტები (თარ არის?) (+რომ) ცვივა (+ამ) ხვინისას, ყველას ჭამს მხვნელი („გუთნის მიმყოლი“) კაცი) (ტ.II, 132,18-19).

სი მუთ ვარდუო ქომიწინ, ირფელი მართალი ცოფე (ხ., 18,5) (=შენ რაც (თარ იყო?) რომ მითხარი, ყველაფერი მართალი ყოფილა).

...სი ქოგიჩქნია სქანი მუმა ხენწეფეში ზოჯუა — ნამუთი ვარდუო მიძინანდით გორჩქინელი ოჭკომალიში უინდ, თ(ი)ნა ზღვაშა გეგნვოცოთითკონი (ხ., 94,30-31) (=შენ იცი შენი მამის — ხელმწიფის ბრძანება, რომელიც (თარ იყო?))

რომ მოიძებლებდით დაწესებული ნორმის („საჭმლის“) ზევით, ის ზღვაში უნდა გადაგვედო).

მუჟამ კა რენაკო მა გამიჭირდენიან, თიმწეუმა რაში სოფუას დიიჭყანსია ჯაჭვიში (ხ., 297,8) (=როცა//რაუმს (+არ არის?) მე (+რომ) გამიჭირდებო, მაშინ რაში ჯაჭვის დაგლეჯას დაიწყებსო).

მუჟანს ვარდუო ათენა ვოწეუმინდუნი, თიწეუმა დემენქ ქუციუ (ხ., 205,5-6) (=როცა/რაუმს (+არ იყო?) ეს (+რომ) გაანდგურა, მაშინ დევები მისცვივდნენ (შემოეხვივნენ).

მუჭო ვარენო ხოლოშა ქუმორთას გვერშახაქონ, სქანი ჩქვა ქუმეუცოთი დო ეკი გეკაცოთია (=როგორც კი (+არ არის?) ახლოს მოვიდეს (+რომ) გველეშაპი, შენი ეშვი გაუყარე და ზევით ამოაგდეო (ტ.II, 102,12).

მუჭოთ ვარდუო კერიწეუმა ღოლესენი, თეში ქიმინეს ირუელი (=როგორც (+არ იყო?) ტახთან (+რომ) მოიქცინ, ისე გააკეთეს ყველაფერი) (ტ.II, 98,14).

ე ბოშიქ მუშ ოზეს, სიდეთი თი გვერი ვარდუო გოცოოთგნი, თი არდგის ბრეელი ხვითოეფი... ქოძირგ (=ამ ბიჭმა თავის ეზოში, საღაც ის გველი (+არ იყო?) (+რომ) დააგდო, იმ აღგილას ბერი ხვითოები... ნახა) (ტ.II, 226, 35).

მეგრულში, შეიძლება ითქვას, გვხვდება ორმაგი აქტუალიზაციის შემთხვევაც, როცა დამოკიდებულში მოცემულია ვარენო ან ვარდუო ფორმა და თავად დამოკიდებული წინადაღების ზმნა – რე(ნ) ან რდუ, -ნი კავშირთან ერთად, ლექსიკური აქტუალიზატორის როლში გვევლინება. მაგ.,

ათე მონადირე კოჩი ვარენო რენდ, თექ იუიქრგ: (=ეს მონადირე კაცი (+არ არის?) რომ არის, ამან იუიქრა. (ტ.II, 242, 48).

შდრ.: ათე მონადირე კოჩქ იუიქრგ (=ამ მონადირე კაცმა იუიქრა).

ეზმა ხანს თეშ დაუონერი ვარდუო რდგნ, თინა ქიმეჩი მაზაკვალ ოსურქ ქომონს, თი ბოშის (=ამასობაში/, „ამდენ ხანს“ ამის ნაწევარდა (+არ იყო?) რომ იყო, ის მიათხოვა მზაკვარმა ქალმა ქმარს, იმ ბიჭს) (ტ.II,200,22).

შეღ.: ეზმა ხანს თეშ დაუონერი ქიმეჩი მაზაკვალ ოსურქ ქომონს (ამასობაში ამის ნაწევარდა მიათხოვა მზაკვარმა ქალმა ქმარს).

მეგრულში ლექსიკური აქტუალიზატორის როლში გვეპლინება აგრეთვე შემდეგი ცალკეული ფრაზები: ქორენი/ქორენი („ეს რომ არის“), ონი/ონ („რომ არის“), დუნი/დგნე („რომ იყო“), იახანი/იახადო („დიაზ რომ“/„დიაზ და“), ქოგიჩქ (=ქე იცი). ეს აქტუალიზატორები ძირითადად ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაშია მოცემული, თუმცა მათი არსებობა არ არის გამორიცხული მარტივ და შერწყმულ წინადაღებაშიც.

ზშირი გამოყენებისაა ქორენი, ონი; დუნი, ქოგიჩქ ლექსიკური აქტუალიზატორები.

ქორენის შემადგენლობაში გამოიყოფა ქო(„ეს“) დადასტურებითი ნაწილაკი, ორე(ნ) „არის“ ზმნა და -ნი (=რომ) კავშირი. ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში „ქორენი“ დამოკიდებული წინადაღების შემადგენელი ნაწილია და მისი შინაარსის აქტუალიზებას ახდენს.

შქასერი ქორენი, ეუერი დროს.. ძღაბის გიასიზმარ (=შუალამე „ეს“ რომ არის, ამ დროს... გოგოს დაესიზმრა) (ტ.II,152,1);<sup>1</sup>

ქორენი თაში მიარე ხანცუნდ, ჯიმუშიერქუ კითხვ ცირასე: (=ქე რომ არიან ასე რამდენიმე ხანს, ჯიმშერმა ჰკითხა ქალიშვილს) (ტ.II,56,12);

<sup>1</sup> მშიმე შეიძლება გადაწეულ იქნეს ორი ერთეულით: შქასერი ქორენი ეუერი დაროს,... (=შუალამე ქე რომ არის ისეთ დროს,...).

ქორე თაშინდ, ამუდღა რე<sup>1</sup>, ჭუმე რე<sup>2</sup>, გილანი რე<sup>4</sup>, თე  
მარას, თი მარას, ათე თუთას, თი თუთასგნდ, მიშეელს ჯა-  
რი დო გონებაშა (=ქე რომ არის ახე, დღეს (+არის), ხვალ  
(+არის), ზეგ (+არის) ამ კვირას, იმ კვირას, ამ თვეს, იმ  
თვეს რომ [არის], ჯავრსა და ფიქრში ჩავარდა/, „შევიდა“)  
(ტ.II,2268-9).

ქორენის თითქმის სინონიმური მნიშვნელობისაა ონი და  
დუნი ფორმები. „ონი“ შეკვეცილი სახეა ორე+ნი ფორმისა<sup>2</sup>;  
შესაბამისად, დუნის ამოსავლად ივარაუდება ორ-  
დუ+ნი>რდუ+ნი>დუნი. ცნობილია, რომ ორე(ნ)/ორდუ  
(=არის/იყო) ზმნურ ფორმებს კვეცა ახასიათებთ (ი. ყიფშიძე,  
გვ.0101). აღნიშნული ფორმები ჰიპოტაქსური კონსტრუქციის  
თავში დგანან.

ონი, დემქ გიმიჯინგ დო ქოძირე, მუჭო სხული გვდგნდ  
(ხ.,245,11) (=„რომ არის“, დევმა გამოიხედა და დაინახა,  
რომ მსხალი (+რომ) დგას);

ონ, ქოძირეს, მუჭო ფარაშ ნაზგმა დგნი (ხ.,118,17)  
(=„რომ არის“, „ქე“ ნახეს, რომ ფული იყო (იმით) ნაზომი);

დუნი, თე ამბე თაშ ქომოხეადულუნდ, მითინს ვაუჩქუდუ  
(ხ. სხულუხია) (=რომ იყო, ეს ამბავი ასე რომ მოხდებოდა,  
არავინ არ იცოდა).

ასევე ქვეწყობილი წინადაღების თავში გვხვდება „ქვიჩ-  
ქშ“ (=ქე იცი), ის მიემართება პრეპოზიციურად მდგარ და-  
მოკიდებულს და გახაზავს მის შინაარსს. მაგ.,

<sup>1-5</sup> დროის გამოშატველ სიტყვებზე დართული რე („არის“) ზმნა (აზღაუ  
რე...) და -ნი კავშირი (თუთასგნი), ასევე ლექსიკურ აქტუალიზატორებს  
წარმოადგენენ.

<sup>2</sup> ბ-ნ გ. კარტოზიას აზრით, „ონი“ ფორმაში თავეცილურა „ო“  
დადასტურებითი ნაწილაკის ნაშთი უნდა იყოს. შლრ.: ქართ. პოდა, მეგრ.  
ოდო (გ. ელიავა) და ლაზ. ედო, ეში (ტ. კარტოზია).

**ქო(გ)იჩქუ,** სი ვენგერტერესიკონი, თიშენ ფოქვიი თე ამბე (= „ქე იცი“, შენ რომ არ გადაგმტერებოდნენ, იმიტომ ვთქვი ეს ამბავი);

**ქო(გ)იჩქუ,** წისქილიშა მითილესგნ, მეწისქილექ ხოლოშა ვამორთავა, უწე (= „ქე იცი“, წისქილში რომ შევიდნენ, მეწისქილემ ახლოს არ მოხეიდეო, უთხრა).

სოჭელ იმერელთა და ლეჩხუმელთა მეტყველებაში ხშირია ზო ნაწილაკისა და რიტორიკული მნიშვნელობის მქონე წინადაღების – თუ იცი ხმარების შემთხვევები. ამათი დანიშნულებაა, დამოკიდებული წინადაღებით გაღმოცემული შინაარსისთვის ზაზის გასმა. მაგ.,

ვინც დასახლებულა აქ ზო, გაუთავისუფლებია<sup>1</sup>. რაცხა გლახა ამინდებია ზო, იქიდან გოუშობენ წყალს (ო. მიქაშვილი 1994:89). სალიტერატურო ქართული თითქოს ანალოგიურ მდგომარეობაში „არა“ ნაწილაკს არჩევს (იქვე:89). არა მარტო სალიტერატურო ქართული, არამედ ქართული ენის დიალექტებიც იყენებენ უარყოფის „არა“ ნაწილაკს დადასტურების მნიშვნელობით. შედრ.: გურულისა და იმერულის მაგალითები:

ქე რო დევეცი, მერე ასე მაქ ფეხი (იმერული).

იქიდან რომ დაბრუნდება არა, მაშინ, უნდა იკითხო მისი ამბავი (გურული). ორივე ამ ტიპის წარმოების ფუნქციური ახსნა საერთო საფუძველს ეყრდნობა, ესაა: განსაზღვრულობის, ფაქტის „ცნობილობის“ დადასტურების საჭიროება (ქ. ლომთათიძე 1988:44).

უარყოფის ვარ- „არა“ ნაწილაკი პიპოტაქსურ კონსტრუქციაში ამავე პიზიციაში და ამავე მნიშვნელობით მეგრულშიც გვხვდება.

<sup>1</sup> აღსანიშნავია, რომ ინტონაციური მახვილი სწორედ „ზო“ ნაწილაკზე მოდის, რაც ხელს უწყობს მისი ფუნქციის გამოკვეთას.

სი თექ დოიდვალ სიტყვა, ნამუდა დუდი მეპქვათით, მა ათე საქმექ ათაში ვამაქიმინულა, ვარო? (ხ.,18,12-13) (=შენ იქ გიოქვამს/„დაგიდვია სიტყვა“, რომ თავი მომჭერით, ეს საქმე ასე თუ ვერ გავაკეთე, არა?).

### 3.2. -ო ნაწილაკიანი კონსტრუქცია

მეგრულში ერთი მეტად საინტერესო კონსტრუქცია დასტურდება და საკმაოდ ხშირად გამოიყენება. მაგ.,

მიოჯინულ, ქოძირვ ბოშიქს, ვითოვირხოლო დუდი კინი ქიირდუნი (=რომ გაიხედა, დაინახა ბიჭმა, რომ თორმეტივე თავი ისევ იზრდება) (ტ.II,644,9).

გააჯინულ, მუშ ოსურქ იცუ ცვილირქ (ხ.,238,15) (=რომ ვაჩედა, [ნახა], თავისი ცოლი იქნა მოკლული).

ქიმერთ ხოლოშავლ, ა, მუში დელმახორეში ოსური (ხ.,17,8) (=ახლოს რომ მივიდა, [დაინახა], აგერ თავისი მეზობლის ცოლი).

ქიმიოდირთ ხოლოშავლ, მინდორი ართო ჩიჩიეფიში ეფშა ქორე (ხ.,91,29) (=რომ მიუაბლოვდა, [ნახა], მინდორი ერთიანად სავსეა მათხოვრებით („გლახაკებით“)).

კარს მიოჯინულ, მუდგარენი ქიმკოჭარუ (ხ.,3,11) (=კარს რომ შეხედა, [დაინახა], რაღაც აწერია).

ამგვარ კონსტრუქციაში -ო ნაწილაკი რომ ქვეწყობის საუძველელზე აკავშირებს ორ წინადადებას, ეს რეალობაა და სადაოც აღარაა. -ო ნაწილაკიანი დამოკიდებული ყოველთვის პირველ ადგილზეა. აღნიშნული ნაწილაკი ძირითადად დაერთვის ზმნას, რომელიც ასევე იწყებს წინადადებას, იშვიათად - სხვა წევრს. ყურადღებას იქცევს გენეზისი და ფუნქცია - ო ნაწილაკისა. -ო ნაწილაკის გენეზისის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში:

ნ. აბესაძის აზრით, აქ ქვეწყობის საფუძველზე დაკავშირებულია ორი წინადადება კითხვითი ნაწილაკის საშუალებით (ნ. აბესაძე 1963:19). „ენის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ამგვარ კონსტრუქციებში კითხვითობის გაგება მგრულშილა შემოგვრჩა, მაგრამ აქაც უკვე გაძლიერებითი მნიშვნელობა ჭარბობს“ (იქვე:19). მიუხედავად ამ უკანასკნელი ფრაზისა, აშკარაა, რომ ნ. აბესაძეს ამ კონსტრუქციაში -ო კითხვითობის გამომხატველ ნაწილაკად მიაჩინა, ამოსავალ ვითარებაში მაინც.

სხვა თვალსაზრისის თანახმად, ამგვარ კონსტრუქციაში უს კითხვითობის გაგება არა აქვს, იგი შესაძლოა მომდინარეობდეს ორე(ნ) (=არის) მეშველი ზმნისაგან:

უჯინუ+ორე>უჯინუ-ლ („გახედა არის“>გახედა არა!)

განზოგადებული „რომ“ კავშირის ფუნქცია მან შემდგომში შეიძინა გარკვეული ენობრივი რეინტერპრეტაციის შედეგად (მ. ციკოლია 1977:87).

თუ გავითვალისწინებთ, რომ ორე(ნ) (=არის) ზმნა მსაზღვრული ნაწილაკის ფუნქციითაც გამოიყენება გარკვეულ შემთხვევებში (იხ. თ.IV, §1. გარდა ამისა, ჩვენთვის საინტერუსო ფორმა (მიოჯინულ და მისთან.) კითხვაზე მეტად ჩაკითხვას გამოხატავს და ფაქტის განსაზღვრულობას უსვამს ხაზს – „აქაც უკვე გაძლიერებითი მნიშვნელობა ჭარბობს“ (ნ. აბესაძე), მაშინ აღნიშნულ კონსტრუქციაში -ო ნაწილაკის ორენ’ისაგან მომდინარეობის მტკიცება უფრო საფუძვლიანი იქნება.

ზმნებისგან მომდინარე ნაწილაკებისთვის უცხო არ არის ფორმათა გამარტივება. შედრ.: ქართული ვინძლო, გინდ, თუნდ, თითქოს, ეგებ, უნდა ნაწილაკების შესაბამისი ზმნებისაგან მომდინარეობის პროცესი. ოლგორც აღვნიშნეთ, ორე(ნ) „არის“ ზმნას ცვეთა ახასიათებს მაშინაც კი, როცა ზმნაა (ი. ყიფშიძე, გვ.0101) და მისი ნაწილაკად გამოყენების შემთხვევაში მით უფრო მოსალოდნელია ამგვარი რამ.

„ქართულ ჰეპირმეტყველებაში ლექსიკურ აქტუალიზა-  
ტორად გვხვდება „არის“, რომელიც გამოყოფს მოსახუბრის  
თვალსაზრისით საყურადღებო სიტყვას წინადაღებაში“ (ლ.  
ქვანტალიანი 1990:102). „არის, როგორც დადასტურებითი  
ნაწილაკი, ფართოდაა გამოყენებული ქართული ენის დიალექ-  
ტებშიც. საინტერესოა ამ მხრივ ინგილოურში, გურულსა და  
აჭარულში დადასტურებული მოვლენა, რომელზეც ქ. ლომ-  
თათიძემ გაამახვილა ყურადღება და შესაფერისი კვალიურიკა-  
ციაც მისცა მას. კერძოდ, მ. ჯანაშვილის მიერ ჩატერილ ინ-  
გილოურ ტექსტებში ზოგან დამოკიდებული წინადაღების ბო-  
ლო სიტყვა „ა“ ხმოვანს დაირთავს, როცა ეს დამოკიდებული  
მთავრის წინ დგას.

კერქლებთან ჰუმ მისულანჭ, ყოვს დაუჩხავლნი.

ქ. ლომთათიძის აზრით, ინგილოურში შენიშვნული თავი-  
სებურება და გურულ-აჭარულ დიალექტებში იმავე პოზიცია-  
ში ბოლო ხმოვნის დაგრძელება ერთ სიბრტყეზე დგას (ქ.  
ლომთათიძე 1946:307-344); მაგ.<sup>1</sup>, გურული: თქენ რო  
ხელც არ მიშლობე, ყოლიურს მუახერხეფ. უმ გადიარს  
აქადან, მერე მიეცემა დიდი გული; აჭარული: ის ტყე რო  
მოჩანს შავი, იმის ძირში არის (სოფელი). ახლა უმ აქ ქა-  
ლი იყო, იმას აქ ჭახრაკი.

გურულთან და აჭარულთან შედარებით, ინგილოური უფ-  
რო ადრინდელი ვითარების გამომხატველია. ხოლო გურულ-  
აჭარულში ბოლო სიტყვის უკანასკნელი ხმოვნის გაგრძელე-  
ბას ამ ას დაკარგვა გამოიწვევდა. თავად ეს „ა“ ნაშთია ან  
„არის“ ზმნისა, ან დადასტურებით-ჩაკითხვითი „არა“ ნატი-  
ლაკისა, გამოყენებული ე. წ. განსაზღვრულობის უუნქცით“  
(ქ. ლომთათიძე 1946:342). ქ. ლომთათიძის თვალსაზრისის  
იზიარებს ბ. ჯორბენაძეც (ბ. ჯორბენაძე 1989:537).

<sup>1</sup> მაგალითები აქაც და ზემოთაც დამწმუბულია ქ. ლომთათიძის დასახე-  
ლებული შრომის მიხედვით.

შ. ძიძიგურის კვალიფიკაციით, ეს -ა კითხვითი ნაწილაკია. ლ. კვანტალიანის აზრით, „ა“ ინგილოურში კითხვითი ნაწილაკი კი არ არის, არამედ „არის“ ზმნის შეკვეცით მიღებული მსაზღვრელი ნაწილაკია (ლ. კვანტალიანი 1990:102), რადგან ქართულში, როგორც აღინიშნა, „არის“ ზმნის გამოყენება დადასტურებითი ნაწილაკის მნიშვნელობით ჩვეულებრივია;” შდრ.: ინგილურში ამ ფუნქციით გამოყენებული „იყო“<sup>1</sup>. ლ. კვანტალიანის ამ მოსაზრებას მეგრულის მონაცემებიც განამტკიცებს.

კითხვით ნაწილაკთან აღნიშნული ა’ს დაკავშირება გაძნელდება იმიტომაც, რომ გაანალიზებული წინადადებები შინაარსით კითხვითი არ არის და ასეთი რომც იყოს, მაშინაც კითხვით ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებში, ჩვეულებრივ, კითხვითად ფორმდება მთავარი წინადადება და არა დამოკიდებული (იქვე:102).

### 3.3. სიტყვათა გამეორება

აქტუალიზაცია სიტყვათა გამეორებითაც ზდება<sup>2</sup>. გამეორება ზალხური ენის ემოციურობის ერთ-ერთი მაცოცხლებელი ელემენტია. გამეორება განეკუთვნება ზალხური ეპონის ისეთ საერთო ჰორტურ ხერხთა რიგს, რომლისთვისაც არ არსებობს ეროვნული ფარგლები<sup>3</sup>.

გამეორებას ზალხურ ეპონში ღრმა ფსიქოლოგიური საფუძველი აქვს. მთემელი მას მიმართავს შთაბეჭდილების გაძლიე-

<sup>1</sup> „ერთიც იყო ამტან!“ „უიბეათაც იყო წადლ!“ (დაწვრ. იხ. გრ. იმნაიშვილი 1966:131).

<sup>2</sup> განმეორების მააქტუალიზებელი როლის შესახებ იხ. შ. აფრიდონიძე 1986:95-97, გრ. კიკაძე 1999:49-92; ს. ულენტი 1963:44-46.

<sup>3</sup> დაწვრ. იხ. ალ. ღლონტი 1975:22. ამავე თვალსაზრისის მქონე რესი ავტორების (ბუსლავი, უვენიევა...) ნაშრომები აქვეა დამოწმებული და მათ ცალკე არ ვეხებით.

რების მიზნით, როული ფსიქოლოგიური პასაუების გადმოსაცემად, მაშინ, როცა პერსონაჟის მოქმედების დეფინიცია მსმენელის ყურადღების დაძაბვას მოითხოვს (ლონტი, 1975:22). გამეორება მოვლენის ან რაიმე ნიშნის ემოციურ-ლოგიკური ხაზგასმის საშუალება (მორნი, ტეტერნიკვა, 1960:277).

ზეპირმეტყველების (ხალხური მეტყველების) დროს რაღაც აუცილებელია გამეორება, მოვლენათა გამოყოფისა და ხაზგასმისათვის, საინტერესოა ამ კუთხით უმწერლობო მეგრულის მონაცემების განხილვა.<sup>1</sup>

მეგრულში წინამავალი წინადადების ზმნა ან სახელი (ან ორივე ერთად) მეორდება მომდევნო წინადადებაში -ნი (=რომ) კავშირთან ერთად. -ნი დაერთვის გამეორებულ ზმნას ან სახელს, თუკი ორივე ერთად მეორდება — ერთ-ერთს, უფრო ზუსტად, იმას, რომელიც პოზიციურად მეორე ადგილს დაიკავებს. იქმნება თავისებური პიპოტაქსური კონსტრუქცია წინამავალი კონტექსტის გათვალისწინებით.

1. მეორდება ზმნა (ზმნის თანმხლები წევრები ხშირ შემთხვევაში ივარაუდება და ამგვარი დამოკიდებული აზრობრივად სრულყოფილი წინა წინადადების გათვალისწინებით ხდება). მაგ.,

ა) კუმეჩ საშველი. კუმეჩნ. უკული ექვთ ქიმიოგვ დუდი (ხ. 109, 14) (=არ მისცა საშველი. რომ არ მისცა [საშველი], შემდევ ამანაც პერა („მიარტყა“) თავი).

ბ) მურს მუშ ქაცანაშა. მურსგნ. დასერუ ართ ქაცანას (ხ. 229, 20) (=მოღის თავის ქვეყანაში. რომ მოღის [თავის ქვეყანაში], შემოაღამდა ერთ ქვეყანაში).

<sup>1</sup> ცნობილია, რომ უმწერლობო ენები „უუნქციონალურად.. დიალექტებს უტოლდებან (ონიანი 1997:86) და „ხალხური მეტყველების ჭარგაზე არიან აგებული“ (ჯორბენაძე 1995:12).

გ) ეთიწესმა ლაგვანქ გოტერხე. გოტერხენდ, ინტუ უირ კოჩიქ ართო (ხ.,261,1) (=მაშინ ქვევრი გატყდა. რომ გატყდა [ქვევრი], ორი კაცი ერთად გაიქცა).

დ) დევემონკათ ათე ძღაბიქ. ათენაქ დევემონკათგნ, თენა ნამთინს ვო უჩქე... (ხ.,295,15-16) (=დაორსულდა ეს გოგო. ეს [გოგო] რომ დაორსულდა, ეს არავინ არ იცის...)

ე) თე ბოშიქ წემილგ ბაზარშა. წემილუნ ირკოს ქა-ლარდი ქუუკებგ ხეს (ხ.,282,3) (=ეს ბიჭი გავიდა ბაზარში. რომ გავიდა [ბაზარში], [ნახა], ყველას გაზეთი („ქალალდი“) უჭირავს ხელში).

გამეორების დროს ზმნა შეიძლება შეიცვალოს სინონიმუ-რი მნიშვნელობის ზმნით. მაგ.,

მოლართვ ართიქ. ეყარგნ, ათე ჭითა პაპაქ ქოწოხვადგ (ხ.,263,9) (=წამოვიდა ერთი [ძმა]. რომ დაიძრა, ეს წითელი მღვდელი შემოხვდა).

-ნი კავშირდართული გამეორებული ზმნა შეიძლება კონ-კრეტულ საკავშირებელ ერთეულთან იყოს მოცემული. მაგ.,

გამეეთხუ არძოსეგ დო დოლურუ. მუჭო დუღურუნთ,<sup>1</sup> დოთხორესე... (=გამოეთხოვა ყველას და მოკვდა. როგორც კი (რომ) მოკვდა, დაასაფლავეს... (ტ. II, 12, 8)).

2. მეორდება სახელი (არსებითი სახელი). მაგ.,

<sup>1</sup> გამეორებულ ზმნას -ნის ნაცვალად, შესაძლოა, -დო(-და) კავშირ-ნა-წილაკი დაერთოს. მაგ., ქამერთვ ათე ბოშიქ. ქამერთვ დო, მესთი მააძნ, თეშა ვიშო ქალეხუნუ თენა... (ხ.,295,10) (=მოკვდა ეს ბიჭი. მოკვდა და, წუღა რომ აცვია, ამაში ჩაისვა ეს...). შედრ.: „ამგვარი გამეორება-ანადიპლოზისი დასტურდება გ. ლეონიძის პროზაშიც“ (კოშმრიძე 1995:144) მაგ., „ჩვენს ეზოში ია შემოვიდა. შემოვიდა და შემოევინა... რაც გ. ლეონიძის მეტყველებას ქართული ზღაპრის სტილთან აახლოებს (უთურგაიძე და სხვ., 1979:91-98).

ა) ართი მეღვაჯე ქოძირუ. კითხვ ამბე მეღვაჯესნი, იქ უწუუ (=ერთი მეღორე ნახა. რომ ჰყითხა ამბავი მეღორეს,,მეღორეს რომ“, მან უთხრა) (ტ.II,30,35).

ბ) ართი პაპაქ ქაუხეადგ. მიოჯინუ პაპასნი, ვაქიჩინუო?! (=ერთი მღვდელი შეხვდა. რომ შეხედა მღვდელს/,მღვდელს რომ“, ქე არ იცნო?!).

შესაძლებელია, რამდენიმე სახელი განმეორდეს. თითოეული გამეორებული სახელი დაირთავს -ნი კავშირს, დამოკიდებულ წინადადებაში კონკრეტული წევრ-კავშირია მოცემული. მაგ.,

მა მოკონია აკა ცხენი დო ონანგერი, სახარჯო ფარა წანისამოსიშ ოციდე..., მუთ ოკო სახარჯოზ, ცხენი დო ონანგერიზ, ირფელით დააკმაყოფილუ ე ბოში [ზენწიუექ] (=მე მინდაო ერთი ცხენი და უნავირი, სახარჯავი უული ტანისამოსის საყიდლად... რაც უნდა სახარჯავად (+რომ), ცხენი და უნავირი (+რომ), ყველაფრით დააკმაყოფილა ეს ბიჭი [მეფემ] (ტ.II,212-214,37-1)<sup>1</sup>.

3. მეორდება ზმნა და სახელი. მაგ.,

ა) მიღართვ სასუმაროში. მიღართვ სასუმაროშან, ზღვა პის ელაცუნს (ხ.,295,3) (=ბიჭი] წავიდა სტუმრად. სტუმრად რომ წავიდა, ზღვის პირს მიუყვება).

ბ) მიღართვ ·ათე ბოშიქ სასუმაროშა დო დიართვ ცუდება. დიართვ ცუდებან, ბარგეფი გეგმითირუ ირფელი (ხ.,295,13) (=წავიდა ეს ბიჭი სტუმრად და დაბრუნდა სახლში. სახლში რომ დაბრუნდა, ყველა(ფერი) ტანსაცმელი გამოიცვალა).

<sup>1</sup> ამგვარი მაგალითები უფრო ნათლად წარმოაჩენს ამ ტიპის პიპოტაქსურ კონსტრუქციაში -ნი (=რომ) კავშირის ფუნქციას – ხაზგასმა, აქტუალიზება მოახდინოს იმ სიტყვისა, რომელსაც დაურთვის. -ნი (=რომ) კავშირის მაკრტუალიზებელი როლის შესახებ იხ. გ. ლომია, 1996:154-163.

გ) თი სქემაქ ხოლო კოჩი გამნუუზებული, მასგან ხოლო კოჩი გამნუუზებული, ტყურაია ცხენიშვილი ტყურაია ონანგერი გაგმუნწყის დო ქეკულუნეს (ხ. 232, 12) (=იმ შვილმაც კაცი შემოუგ ჰყვნა... მესამემაც კაცი რომ შემოუგ ჰყვნა, სათამაშო ცხენზე სათამაშო უნაგირი დაუდგა „გამოუწყო“ და გააყოლეს უკან).

ამგვარი თავისებური პიპოტაქსური კონსტრუქციებით თხრობა დამახასიათებელია ქართული ზღაპრისთვისაც. დავასელებთ ერთ ნიმუშს:

როცა ის ნისლი მოეშვა, ახლა ცეცხლი მოვიდა. რომ მოვიდა ცეცხლი და ბიჭმა გაარჩია ღორი. გაარჩია ღორი და მოკლა... (რჩეული ქართული ხალხური ზღაპრები, 1949: 321)<sup>1</sup>.

ქართულ ლიტერატურაში ამგვარი სტილი დამახასიათებელია ილიასთვის (აფრიდონიძე 1989), მიხეილ ჯავახიშვილის პროზისათვის. ამ კუთხით სპეციალურად არის შესწავლილი მისი „არსენა მარაბდელი“ და მიჩნეულია, რომ აღნიშნული ნაწარმოების ენისა და სტილის „მომხიბლაობის მთელი საიდუმლო მის ღრმა ხალხურობაშია“. ავტორი ამბის თხრობისას იყენებს ქართული ზღაპრის სტილს (ჭუმბურიძე 1962: 92-135); მაგ.,

[ოძელაშვილმა] ლურჯა ძლივსლა შეაჩერს. და როცა შეაჩერს და მოიხედა, ამილახორი ბალახში დაინახა...

ამ ტიპის კონსტრუქციები თანამედროვეთაგან რევაზ ინანიშვილისა (კოშორიძე, 1981) და თამაზ ბიბილურის (კოშორიძე, 1991) შემოქმედებაში დასტურდება.

ამრიგად, გამეორება, როგორც სტილური ზერხი, აძლიერებს შთაბეჭდილებას, კრავს და განამტკიცებს სათქმელს, „თხრობის უწყვეტ ხაზს ქმნის... ჯაჭვურად გადაებმება ერთმანეთს სიტყვები, ზოგჯერ შესიტყვებებიც, რომლებიც უფ-

<sup>1</sup> მაგალითები ქართული ხალხური ზღაპრიდან და „არსენა მარაბდელიდან“ დამოწმებულია ზურაბ ჭუმბურიძის მონოგრაფიის მიხედვით (ზ. ჭუმბურიძე, 1962).

რო რეალიზებულია ლოგიკური სენტენციების სახით მოწოდებულ თხრობაში” (აფრიდონიძე 1989:63). „ასეთი პაუზიანი გამეორების“ (შ. აფრიდონიძე) შემცველი ჰიპოტაქსური კონსტრუქციები დამახასიათებელია როგორც ზეპირი მეტყველებისათვის, ასევე მხატვრული ტექსტის ენისთვის. უფრო მეტიც, ამგვარ შემოქმედთა ნაწერებში „ჭარბად იგრძნობა ხალხური ინტონაციები“ (ჯორბენაძე 1987:248).

### 3.4. ე. წ. ინიციალური სახელობითი

როგორც აღვნიშნეთ, აქტუალიზაცია ხორციელდება სხვა-დასხვა საშუალებით. მათ შორისაა სიტყვათგანლაგება (პოზიცია).

მეგრულში ყურადღებას იქცევს ერთი მეტად სპეციფიკური კონსტრუქცია. კერძოდ, ფრაზის თავში დგას სახელობითში დასმული არსებითი სახელი ან სახელური შესიტყვება. მას მოსდევს ქერწყობილი წინადაღება<sup>1</sup>, რითაც ხდება აღნიშნული სახელის დახასიათება. დამოკიდებული -ნი (=რომ) კავშირიანია. მაგ.,

სირჩინუე. კარდოკარ გილურს სიძერე. კარდაკარ დადის  
თუ ლაპალა უჩურცხელი, ეს ავადმყოფობა  
მოუცილებელი.

ირკოც მოძენცუნი ფერი,  
ქოთი ირკოჩიში ტერი.  
(6. სხულუხია)

ჭყლას რომ მოულის ისეთა,  
კიდევაც ყველასი მტერი“.

ოსურჯოჩი. თის ვარენო ქეშულებულასთ, მითინს ვემიაშექვანს, თიგვარიე. (=დედაკაცი. იმას (+არ არის?) რომ შეეძლოს, არავის მიუშვებს, იმგვარია).

<sup>1</sup> შეიძლება მოსდევდეს მარტივიც, როგორი თანწყობილიც, მაგრამ ამჯერად ყურადღებას როგორ ქერწყობილზე ვამსკილებთ მხოლოდ საკრთველო, ამ ტიპის კონსტრუქციასა გრცელი ანალიზი ცალკე სტატიად გვაძეს ჩატაქებული.

დიდა ბერიძეები. თიშ არღვირს ვორდენ, შეურო ვემკვო-ჯინექ (=დედა ბერიძეები). იმის აღილას რომ ვიყო, სულ (საერთოდ) არ მივხელავ.

როგორც დამოწმებული მაგალითებიდან ჩანს, სახელო-ბითში მდგარი სახელი ინტონაციითა და სათანადო სასვენი ნიშნით (წერტილით) არის გამოყოფილი. „იგი გამონათქეამის თემა“ (ლ. კვანტალიანი 1990:106).

მსგავსი კონსტრუქციები ინიციალური სახელობითის სახე-ლითაც არის ცნობილი ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში (ლ. კვანტალიანი, იქვე, 106-109). ინიციალური სახელობითის საკითხი შოთა რუსთაველის „ეეფხისტყაოსანში“ სპეციალურად შეისწავლა ივანე გიგინიშვილმა. მისი აზრით, ამ შემთხვევაში საქართველოს თავისებური სახის პიოლაქესთან. მკვლევარი არ გამორიცხავს, რომ ამგვარი კონსტრუქციები „ვეფხისტყაოსან-ში“ ხალხური მეტყველებიდან მომდინარეობდეს. ამის დასასა-ბუთებლად იმოწმებს ფშაური დიალექტის მასალას (ივ. გიგინე-იშვილი 1975:324). ამგვარი მაგალითების გამრავლება შეიძლე-ბა სხვა დიალექტების მონაცემებითაც:

მამჩემ. რო წევეთ ტყეში, ისიც გაგუყა (ო.მიქ., იმერ., 159, 13);

ჩემი მამ. დამამიწყდა, ახლა ის სად არი (იქვე, ლეჩ. 150, 9).

ინიციალური სახელობითის ნიმუშები სხვა მწერალთა (ილია, ვაჟა, ნიკო ლორთქიფანიძე და სხვ.) ენაშიც იჩენს თავს; ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე ლ. კვანტალიანი აღნიშნავს, ეს ეჭვმიუტანელს ხდის მოსაზრებას ასეთი კონ-სტრუქციების ხალხური მეტყველებიდან მომდინარეობს შესა-ხებ (ლ. კვანტალიანი 1990:108). ამ მოსაზრების სასარგებ-ლოდ ლაპარაკობს მეგრულის მონაცემებიც.

ინიციალური სახელობითი დასტურდება რუსულ ზეპირ-მეტყველებაშიც (რუსული სასაუბრო მეტყველება 1973:241-266).

**„ცნობილება“ წრის ზმათა შემცველი  
პიკოტაქსური კონსტრუქცია**

ფარნაოზ ერთელიშვილი გრძნობისა და თქმა-ბრძანების გამომხატველ ზმნებს ქართულში ერთი საერთო სახელით იხსენიებს – „ცნობიერება“ წრის ზმნები. ეს დასახელება, რა თქმა უნდა, პირობითია. სხვათაგან ამ ზმნების გამოყოფის საფუძველი სპეციულური სინტაქსური კონსტრუქციის შექმნაა. ამ საკითხზე ყურადღება გაამახვილა აგრეთვე შ. მიძიგურმა. მან აღნიშნა: როცა მთავარ წინადაღებაში მოცემულია ე. წ. სუბიექტური სემანტიკის ზმნები (გრძნობის, თქმის, ფიქრის, ცოდნის... გამომხატველი), დამატებად მასდარი ივარაუდება და დამოკიდებული წინადაღება მასდარულ-დამატებითია (შ. მიძიგური 1973:178). ნავარაუდევი დამატება მთავარში არ ჩანს და, ფ. ერთელიშვილის აზრით, ე. წ. „ცნობიერება“ წრის ზმნების სინტაქსური თავისებურება სწორედ ისაა, რომ პირდაპირი დამატების შინაარსობრივ ნაცვლობას მთლიანად დამოკიდებული წინადაღება ეწევა (ფ. ერთელიშვილი 1962:192).

თუ გავითვალისწინებთ „შეხედნა“ ტიპის ზმნათა თავისებურებას, შეიძლება ითქვას, რომ პირდაპირი დამატების დაკარგვა უცხო არ არის ქართული ზმნისთვის (ამასთან დაკავში. იხ. აკ. შანიძე, 1942), მაგრამ „ცნობიერება“ წრის ზმნები პირდაპირ ობიექტს სამუდამოდ კი არ კარგავენ, არამედ მხოლოდ გარკვეულ კონტექსტში, რთული ქვეწყობილი წინადაღების ფარგლებში (ნ. აბესაძე 1978:6).

ამ ჯგუფის ზმნათა მონაწილეობით შექმნილი პიპოტაქსური კონსტრუქცია სვანურში განხილული აქვს ნ. აბესაძეს (იხ. ნ. აბესაძე 1978:5-17).

## ტ1. ოქმა-ბრძანების გამოშვატველი ზმნები

„ცნობიერება“ წრის ზმნებს შორის ფორმათა ნაირგვარობითა და გამოყენების სიხშირით გამოირჩევა თქმის სემანტიკური ველის ზმნები, რომელთაც თქმა-ბრძანების გამოშვატველ, ანუ „მეტყველება“ წრის ზმნებს უწოდებენ. კერძოდ, მეგრულში დასტურდება უწუუ (=უთხრა) და მისი მონაცელე ფორმები: იჩუუ (=ითქვა), რაგადუუ (=თქვა), ზოჯუ (=ბრძანა) და მისი.

მეტყველება წრის ზმნა მოცემულია მთავარში. მთავარი წინადაღებით გადმოცემულია ავტორის ნათქვამი, რომელსაც მოსდევს ნამუდა (=რომ) კავშირიანი დამოკიდებული, ანუ პირდაპირი სხვისი ნათქვამი. დამოკიდებულ წინადაღებაში ყოველთვის მოცემულია სხვათა სიტყვის -ა ნაწილაკი, რომელიც მორფოლოგიურად ქართული -ო ნაწილაკის ფარდია.

„სხვისი ნათქვამის III პირთან დაკავშირება არ უნდა იყოს მაინცდამაინც უწევეულო ამბავი. როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში მარტო გრამატიკა არ წყვეტს საქმეს, თითქოს რაღაც ფსიქოლოგიური ფაქტორიც იჩენს თავს. შესაძლოა, სხვათა სიტყვა თავდაპირველად მხოლოდ III პირის ნათქვამს გულისხმობდა, რაკიდა იგი სხვების ნათქვამია და, როგორც წესი, ვიღაც სხვას (და არა მე'ს ან შენ'ს), ე. ი. III პირს ეკუთვნის (ჩანტლაძე 1998:225). ასევე გამოთქმულია ვარაუდი: „ადრე ხომ არ გაფორმდა III პირისეული სხვათა სიტყვის ნაწილაკი? I და II პირთან დაკავშირებული ნაწილაკები კი გვიან ჩანს გაფორმებული“ (კაჭარავა 1950:247).

-ა ნაწილაკი, ჩეეულებრივ, დამოკიდებული წინადაღების შემასმენელს დაერთვის; თუმცა არ არის გამორიცხული სახელს დაერთოს, ან ერთდროულად რამდენიმე წევრს<sup>1</sup>. მაგ.,

<sup>1</sup> მეგრულში სხვათა სიტყვის „ა“ ნაწილაკის ჭარბ გამოყენებაზე შეჯერება ის. ქართული ხალხური სიტყვიერების II ტ.-ში, თბ., 1991, გვ. 10.

[ჩიტიქ] უწუუ, ნამუდა<sup>1</sup>: ჩქე-ჟე<sup>2</sup>, ასე-ჟე უნჩაში დაში ცუდეშა მეურთია (ხ.,211,39) (= [ჩიტმა] უთბრა, რომ: ჩვენ(ო), ახლა(ო) უფროსი დის სახლში მივდივართო);

დედგბიქ უწუუ ბოშისუ, ნამუდა ქვანასუ მეტი მუთუნიშა ვარე ოშქურანდია (=დედაბერმა უთბრა ბიჭს, რომ ქვეყანაზე მეტი არაფერია საშიშარილ) (ტ.II,44,19);

ოსურქ... უწუუ, ნამუდა უხერხიში ხერხი ინეფს უღუნა-ნიქ (ხ.,22,14) (=ცოლმა უთბრა, რომ უხერხის ხერხი იმათ აქვთო).

თქუ მაჟირა კოჩქ, ნამუდა, — პაი, ბედნიერი თეში მინჯე-გა! (ხ.,19,27) (=თქვა მეორე კაცმა, რომ, — აი, ბედნიერი ამისი პატრონილ).

ქორაშე ცუჯი ურაგალუ, ნამდა ჩქიმი ცუდეში შარათ გი-შელიქ (=მუცლილან ყური ეუძნება/ულაკარაკუმა, რომ ჩემი სახლის გზით გადილ).

[დედგბიქ] იჩუუ, ნამდა: უჩა ნდემცე ცუნცია ურაგალუუ სქევამი ოსურისქუა, ნამუში ხვამილაფას ოცადგნიქ თუდონი ქეცანაში ხენწეფე... (= [დედაბერმა] თქვა, რომ: — შავ დევს ჰყავსსლ ენით (გამო)უთქმელი ლამაზი ქალიშვილი, რომლის გატაცებას ცდილობსსლ ქესქენელის /„ქვედა ქვეყნის“ ხელ-მწიფე...) (ტ.II,28,29-31);

დიიძხეს, ნამდა: მის გოკონია... ჭყირილი ტყები თუმანი-შავა? (ხ.,118,23) (=დაიძხეს, რომ: ვის გინდათო... დაჭრილი ტყავი თუმნადო?).

<sup>1</sup> „ნამუდა“ კავშირის შემდეგ, როცა მას მოსდევს პირდაპირი სხეისი ნათქვამი, ი. ყოფშიძის აღნიშვნით, იწერება ორწერტილი (ის. ი. ყოფშიძე 1914:286), თუმცა გამოცემულ ტექსტებში ეს წესი ყოველთვის არ არის დაცული.

<sup>2</sup> სხვათა სიტყვის „ა“ ნაწილაკი ზოგჯერ „ე“-ს სახითაც დასტურდება შეგრულში (ი. ყოფშიძე 1914:0144).

თქმა-ბრძანების გამოშვატველი ზმნა ზოგჯერ აღწერითა-და გაღმოცემული; მაგ.,

ქუმორთუ უირი ბოშენქინი, დიდაქ დაახვამილუ ამბე, ნამდა – ართი ჯიმა კოჩქ ქეშგეძინესიც (ხ.,2,14) (=ორი ბიჭი რომ მოვიდა, დედამ დაახვდრო ამბუფა (=უთხრა), რომ – ერთი ძმაკაცი შეგეძინათლ).

ათაქ გააკუთვნეთ თე ოსურქ აზრი, ნამდა:

– ათეზუმა ორინჯი მემიდინგ ირფელია (ხ.,173,22)

(=აქ გააკუთა ამ ქალმა აზრი (=გაიფიქრა), რომ.

– ამდენი საქონელი დამეკარგება ყველაფერილ).

„ნამუდა“ კავშირის ადგილი დამოკიდებული წინადაღების თავშია, მაგრამ ზოგჯერ არა მარტო დამოკიდებულის, არა-მედ მთავარი წინადაღების შეუშიც ექცევა; მაგ.,

ჩაისმენქ უწუუ: – ვარა მუ მოხიოლუნა, ნამდა ჩილი დო ქომონჯი ქიიბრჩინუთგ დო სქუაქ ვამაშიისიც (=ჩაისმენმა უთხრა: ანდა რა გვიხარია, რომ ცოლი და ქმარი ვბერდებით და შეილი არ გვეყოლაო) (ტ.II,48,24).

თხუუ ნამდა მენძელს: ამდღა ადამიან მეპუნსია, ოდო ქეგმოსერაფუათინ, ვეშილებენიავო? (ხ.,119,1-2) (=სთხოვა რომ მასპინძელს: დღეს ქალი//„ადამიანი“ მიმყავსლ და დამე რომ გამათევინოთ, არ შეიძლებაო?).

ათეზ ცაზახიქ ქოთხუუ ნამდა ღორონის:

– გემირჩქინია, აკაცი, ჩქიმი ქონებაში მაჭკომალია (ხ.,203,10-11)

(=ამ გლეხმა სთხოვა რომ ღმერთს:

– გამიჩინეო, ერთი(ო), ჩემი ქონების დამზარჯველიო).

როგორც დამოწმებული მაგალითებიდან ჩანს, დამოკიდებული წინადაღებით გადმოცემული -ა/(გ)ა ნაწილაკიანი პირ-დაპირი ნათქვამი, ირიბის მსგავსად, ნამუდა (=რომ) კავშირის საშუალებით უერთდება ავტორის ნათქვამს, ანუ მთავარ

წინადაღებას. ეს კი ასახავს პირდაპირსხევისინათ ქამიანი წინადაღებიდან ირიბს სხვისნათ ქამიანზე გარდამავალ საფეხურს.

შუალედური საფეხური პირდაპირსა და ირიბ ნათქამს შორის დადასტურებულია ქართულშიც, ქართული სალიტერატურო ენის განვითარების გარკვეულ ეტაპზე (კეაჭაძე 1966:441). ქართული ენის დიალექტებში, სოჭელ ქართველთა (ღებელთა) მეტყველებაში (მიქაშვილი 1994:89), ფერე-იდნელ ქართველთა მეტყველებაში (დ. ჩხუბიანაშვილი, თ. უთურგაძე), ქართული ზღაპრის ენაში.

მაგალითები დიალექტებიდან<sup>1</sup>:

ადგა დილას კაცმა და დეიძბუ ზენწიუისას: რომე მე მუარჩენ ხენწიუესო (ზემოოურული, გვ. 435);

მივიდა მორე ზენწიუისას და უთხრა: რომე წყალც ამე-ვიყვან აქანეო (იქვე, გვ. 345);

დევმა უთხრა, რომე დიდ ქვაბში ზორცი მოხარშე და ყა-ნაში ამამიტანეო (ზემოიმერული, გვ. 443);

დელინაცვალმა უთხრა, რომ ამაღამ ჩემთან გარმოიო (იქ-ვე, გვ. 450).

სოჭელ ქართველთა მეტყველების ნიმუშები<sup>2</sup>:

უთქამს, რომე რკინივზის ნება მომეციო;

შვილმა თქვა, რომე წამალზე წავალო;

ყველა ამოფნ, რო ნამეტანი არინო.

მაგალითები ფერე-იდნელი ქართველების მიერ მოყოლილი ზღაპრიდან<sup>3</sup>:

<sup>1</sup> მაგალითები დიალექტებიდან დამოწმებულია შემდეგი გამოცემის მიხედვით: ი. გიგინებშვილი, ვ. თოფურია, ი. ქვთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1961.

<sup>2</sup> სოჭელ ქართველთა მეტყველების ნიმუშები დამოწმებულია ი. მიქაშვილის ნაშრომს დართული ტექსტების მიხედვით.

<sup>3</sup> ფერე-იდნელი ქართველების მეტყველების ნიმუშები დამოწმებულია დ. ჩხუბიანიშვილის წერილის მიხედვით (დ. ჩხუბიანიშვილი 1999:12).

მეწისქილემ შიმშილით მოკდა. თქვენ, რო ფათირს (=ნამ-ცხვარია) გოობეთქიაო;

კუვა თქო, რო: — ჩიქარ ვერ მოვდიოდი, ქალავარს (=ჩალხის თავყრილობას) ვაწყდებოდიო.

ქართული ზღაპრის ენაში დადასტურებულ ამგვარ კონ-სტრუქტურის დიალოგურ პიპოტაქსურ საქცევებს უწოდებს ალ. ღლონტი<sup>1</sup>. მაგ.,

ვაუმა უთხრა, რომ ბოჟმის ყვავილის მაძებარი ვარო (ქართული ხალხური ზღაპრები, 1, გვ. 39);

მმები მიეკიდნენ იმასთან და უთხრეს, რომ ესეა ჩეენი საქმეო (იქვე, გვ. 39).

ამ ტიპის კონსტრუქტურის დაკავშირებით აღსანიშნავია ერთი რამ: აქ ბუნებრივია უკავშირო შეერთება<sup>2</sup>, კავშირი ზედმეტიც კი არის. ამას მოწმობს სხვათა სიტყვის ნაწილა-კიანი დამოკიდებული როგორც მეგრულში, ასევე დიალექტებსა და ზღაპრის ენაში და მეგრული „ნამუდა“ (=რომ) კავშირის არასტაბილური პოზიცია — მთავარშიც კი იჭრება! უნდა აღინიშნოს, რომ „XIX საუკუნეში ჩაწერილი ზღაპრების სტილი ამ მხრივ უფრო დახვეწილია“, რაც, ალ. ღლონტის აზრით, მწიგონბრული ენის გავლენის შედეგია (ღლონტი 1975:33-35):

„მეტყელება“ წრის ზმნათა შემცველ პიპოტაქსურ კონ-სტრუქტიაში ნამუდა (=რომ) კავშირის გარდა დასტურდება -ნი (=რომ) მაქეემდებარებელი კავშირი, მუთ (=რაც) მიმართე-

<sup>1</sup> ალ. ღლონტი ზღაპრის დიალოგში სამი სახის პიპოტაქსური: კავშირიანი, უკავშირო და ერთი კომპონენტით (დამოკიდებულით წარმო-დგენილი). პირველ-მეორე სახეობაში იგულისხმება „უთხრა“ (უპსუხა, თქვა...) და მისთ. ზმნიანი მთავარი და „რომ“ კავშირიანი ან უკავშირო დამოკიდებული (დაწვრ. იხ. ღლონტი 1975:28-39);

<sup>2</sup> რაც თითო-ოროლა მაგალითით დასტურდება მეგრულში, ისიც ანდაზების ენაში და არა გაბმულ მეტყელებაში. მაგ., დედიბიქ თქვა: ოღურუშა ხოლო ვაბჩოდუნია (=დედაბერმა თქვა): სოკვდილისთვი-საც/, სასიკვდილოდაც“ არ მცალიაო (ხალხ. სიბრძნე, ტ. I, გვ. 36, № 278).

ბითი ნაცვალსახელი და მიმართებითი ზმინიზედა – მუ-  
ჭოთ/მუჭო, რომელიც „როგორც“, „როგორც კი“ მნიშვნელო-  
ბების ნაცვლად „რომ კავშირის მნიშვნელობით გამოიყენება  
ამ ტიპის კონსტრუქციაში!“

მთვარი ძირითადად პირველ ადგილზეა, თითო-ოროლა  
მაგალითით დასტურდება პოსტოზიციური წყობა.

მთავარ + დამო კიდებული

ირი ეეთილეუქ ხოლო უწის მუპამბის, მუთუნინერო ვე-  
დუქონი (=ყველა მოკეთებმაც უთბრეს მუპამბის, რომ რო-  
გორმე არ წასულიყო).

ვარე საშველი, გუანდვათ დო ქოეთხუათ, მეფეწკუმა  
ვათქუასიანი (=არ არის საშველი, გავანდვათ და ვთხოვათ,  
რომ მეფესთან არ თქვასო) (ტ.II,328,25-26).

ხენწუეში დუღი-კათაქ ქიმერთესუ დო ქოთხეის, მოლო-  
ურთგმულუქონი (=ხელმწიფის თავ-კაცები მივიღნენ და  
სთხოვეს, რომ წამოსულიყო) (ტ.II,262,3).

მიკიირთგ დო მააშინგ, ოჩო კოჩქ მუთი უწუუნი (=მობ-  
რუნდა და მოახსენა [მეფეს], ოჩო-კოჩმა რაც უთხრა) (ტ.II,220,40);

უწუ მუპამბიქ, მუჭოთ ინა ღურელი რენი (=უთხრა მუ-  
პამბიმ, რომ ის მკვდარია) (ტ.II,108,36-37);

მუმულქ ხოლო ქეგუმხნგ, მუჭოთ თე ბოში რე ცირაში  
ქომონჯინი (=მამალმაც დაუმატა, რომ („როგორც“) ეს ბიჭი  
არის [ამ] ქალიშვილის ქმარი) (ტ.II,190,7-8).

„მეტყველება“ წრის ზმა შეიძლება აღ წერითად იქ-  
ნეს გამდმოცემული -ნი კავშირიან კონსტრუქციაში; მაგ.,

<sup>1</sup> მდრ.: ქართულის ვითარება, როცა ვითარდედ და ვითარდეს კავშირები „ცნობიერება“ წრის ზმნებთან მხოლოდ „რომ“-ის მნიშვნელობისაა და  
სხვა მნიშვნელობები – ასე რომ, ისე რომ, რადგან, რათა, თითქოს,  
ვითარდე უგულებელყოფალია (დაწურ. ი. ფ. ფ. ერთეულიშვილი 1963:83-86).

მეფიაიტონეს ქიმეჩ დარიგება, უთუოთ ართი უდაბური ტყეშა გემთიცონუკო ღო თექ ქიმთიტუკო ძლაბინი (ხ.,74,36-37) (=მეფიაიტონეს მისცა დარიგება (=დაარიგა), რომ უთუოდ ერთ უდაბურ ტყეში შეეყვანა და იქ დაეტოვებინა გოგო);

დემქ პიჯალა ქიმეჩ, დაასქილიდუკონი (=დევმა პირობა მისცა (=დაპირდა), რომ მოარჩინდა /„მოერჩინა“) (ტ.II,22,1).

პოსტპაზიციური წყობა ლექსებში დასტურდება, ისიც იშვიათად.

დამო კიდებული + მთავარი

გურც მუთ მიღუდ სეკრეტინი,

არგამათ მა ქოფთქვინი

(ხ.,314,4) (=გულში რაც მქონდა საიდუმლო,

აშკარად/ყველას გასაგონად მე ვთქვი).

მუჭოთ მარჯვე ვავორდინი, (=რომ მარჯვე არ ვიყავი,  
ხათეხოლო მომოშინუ. მაშინვე მომახსენა)

(ხ.,316,2)

ზოგჯერ მთავარ წინადადებაში წარმოდგენილია ჩვენებითი ან განსაზღვრებითი ნაცვალსახელი, მაგრამ ამგვარ კონსტრუქციაში „დამატების ნაცვალსახელის სახით წარმოდგენა... დამოკიდებულზე არავითარ გავლენას არ ახდენს“ (ერთეულიშვილი 1963:19, აბესაძე 1978:8); მაგ.,

მაჟია თინა თთხუუ, თეს ხოლო ქელურინესკო სალდათინი (=მეორე ის თთხოვა, ამისთვისაც რომ დაეყენებინათ ჯარისკაცი).

პირად თენა ქუუწუ, მუთ ოჩინუნ (ხ.,112,10) (=პირადად ეს უთხრა, რაც (+რომ) დააბარა);

ქეეჩუ ირიფელი, მუთი უძირუნ ღო უჩქედ მუზარბიი ხენწიუეშენუნი (=მოუთხრო/უამბო ყველაფერი, რაც უნახავს და იცოდა მუზარბიი ზელმწიუეზე) (ტ.II,60,20).

მუჭო(თ), გარდა „რომ“ კავშირისა, „რაც“ წევრ-კავშირის მნიშვნელობითაც დასტურდება „მეტყველება“ წრის ზმნებთან პიპოტაქესურ კონსრუქციაში. მაგ.,

ბოშიქ ქეჩიუ არუელი, მუჭო მუმაქ ღურაში დროს დიჩნენი (=ბიჭმა უაშხო კველაუერი, რაც მისმა ჩამამ სიკ-ვდილის დროს დაიბარა) (ტ. II, 164, 29-30).

## გ 2 გუნება-განწყობილების გამოშხატველი ზმნები

აღნიშნული პარაგრაფის დასათაურება პირობითია. აქ ვა-ერთიანებთ „ცნობიერება“ წრის იმ ზმნებს, რომლებიც მხედ-ველობით, ამბის შეტყობის, ცოდნის, ეჭვის, ყოყმანის, ნება-სურვილის და მისთ პროცესებს ასახავენ. ესენია:

ქოძირუ/ „ნახა“, ქიგვეგუ/ „გაიგო“, ქუჩჩუ/

1. „იცის“, 2. „ჰგონია“ და სხვა, რომლებიც სისშირითა და ფორმათა ნაირგვარობით თქმა-ბრძანების გამოშხატველ ზმნებს არ ჩამოუვარდებიან. მათთანაც იგივე საკავშირებელი საშუალებები გამოიყენება, რაც „მეტყველება“ წრის ზმნათა შემცველ პიპოტაქესურ კონსტრუქციაში.

მთავარი წინადადება ხშირად ერთშემაღენლიანია; ოდენ ზემოჩამოთვლილი პროცესების ამსახველი ზმნითაა წარმოდგენილი. ამგვარი მთავარი უძღვის დამოკიდებულს, მოსდევს ან კვეთს მას და ინტერპოზიციაში ექცევა.

მთავარი+დამოკიდებული

ქსვევა, თი ბაღანა მიღუცონაფუ მუშ მინჯესენ (=გრ. ხა-საია) (= [მეზობელმა] გაიგო, რომ ის ბავშვი თავის პატრონს წაუყვანია).

დიაკონქ ქეშიიტყუ, მუჭოთო პაპა თის უდარაჯუნი (=დი-აკვანმა შეიტყო, რომ მღვდელი მას დარაჯობს) (ტ. II, 298, 21-22);

დეკვირუს უირხოლოქ დო ქეშიანიშნეს, მუჭო ცხენი ამ-  
დღა ფაშატის ქედაშქანცნი (=დააკორდნებ ორივენი და  
შენიშნეს, რომ ცხენი დღეს კვიცს მოიგებს) (ტ. I, 169, 1-2);

...ქააჩინგ, მუჭოთი ის ქაღარდი ვაღავურჯგნი (=შეატყო  
[მღვდელმა], რომ მას არ შეეძლო წერა-კითხეის შესწავლა) (ტ. II, 296, 13-14);

უსხურ უღუდუასენი (=ურჩევნია, რომ ეთამაშო) (ტ. I, 80, 9).

განსაკუთრებით საინტერესოა ნახვის აღმნიშვნელი ზმნის  
მონაწილეობით შექმნილი პიპოტაქსური კონსტრუქცია. ძირა-  
ფა (=ნახვა) ზმნა მთავარ წინადადებაში მოცემულია სხვა-  
დასხვა მწკრივის ფორმით, მაგრამ სიხშირით წყვეტილის  
ფორმა სჭარბობს: (ქოძირუგ=ნახა).

ქარწეუ, ჯიმალეფიში იმენდი მუთუნც ვაბვარუნი (=ბე-  
დავს, ძმების იმედი რომ არაფერს შველის) (ტ. I, 172, 30);

ქოძირგ პაპაქ, ღურელი პაპა მეუსერგელგ კოსენტ  
(ხ. 227, 27-28) (=ნახა მღვდელმა, რომ მევდარ მღვდელს მი-  
ათრევს კაცი);

გილუ-მილუ დო ქოძირუ, ნაძღა ცუდეს კიბე მიკოპონუ  
(=გაიარ-გამოიარა და დაინან [ბიჭმა], რომ სახლზე კიბე(ა)  
მიყუდებული) (ტ. II, 272, 7);

ქოძირგ ალიშქერქოუქ, მუჭო მუთუნი ვაღოლენი, მუჭო  
ხვალე მუში შეღება ვაბაღგნი (=დაინან ალიშქერქოუმ, რომ  
(„როგორ“) ვერაფერი შეუძლია უქნას, რომ მარტო თავისი  
შეძლება არ კმარა) (ტ. II, 172, 23-24);

მოიჯინხო, ქოძირგ ართი მაღლაზონი წყურგილიშა ქიმუ-  
ურცე წყარიში ეიობუმუშანი (=რომ გაიხედა, დაინან, რომ  
ერთი მონაზონი წყაროსკენ მიღის წყლის ასაღებად) (ტ. II, 50, 34-35);

**მოიჯინი, ქოძირგ, ღორონთიცალი კოჩი დო მუში რაში ქომელარენი (=რომ შეიხედა, დაინას, რომ ღმერთივით ქაცი და მისი რაში შიგ არიან) (ტ.II,84,14-15);**

[თე ბოშიქ] მიღართუ ჭე დიხან, ქოძირგ, ღიღი დაჩიხირი ქორზე მინდორსენ (ზ.,298,12-13) (=ამ ბიჭმა] ცოტა მანძილი რომ გაიარა, დაინას, რომ ღიღი ცეცხლი ანთია მინდორში).

მეგრული ჩეუნ-//ჩენ-//რჩენ-ჩეინ-ა//რჩენ-ა ფუძეები ქართული ჩან-/ჩენ-/ჩინ-/ჩნ- ფუძეების ფონეტიკურ-მორფოლოგიური შესატყვისია (ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე 1990:385). მეგრული რჩენ-ფუძის ფარლია ქართულში შემდეგი ლექსიკური ერთეულები: ჩენა, ცოდნა, ფიქრი (იქვე:385).

ვაუჩედეს, სანარტიაქ მუთი ქოძინგნი (=არ იცოდნენ, „სანარტიამ“ რაც(+რომ) გააკეთა) (ტ.II,222,10-11);

ქუჩეჩე, მუჭო ნანდელო ღურელი რენი (=იცის, რომ ნამდვილად მკვდარი არის) (ტ.II,90-23);

დემს უჩეს ჰეჭე ჰეჭუმუნსენი (=დევს პვონა („დევმა იცის“), რომ ჭამს) (ტ.II,284,38).

მეგრულში დასტურდება ქართულიდან ნასესხები -ფიქრ-და -ეჭე ფუძეების შემცველი ზმნები: ფივჭენენ>ფივრჭენე „ვუიქრობ“, ვეჭევნე/მოეჭე „ვეჭვობ“/„მეჭჭვება“.

ფირქენს, ნამდა მანგიორი ვინუგასინ (=ფიქრობს, რომ სამაგიერო გადაუსაღოს);

მოეჭე, ცუჩა მიღებონას თიქ თენეფინ (=მეჭჭვამა, სახლში რომ წაიყვანოს მან ისინი).

დამო კიდებული+მთავარი

ქოძირგ უირი ალმასიჯგურა ბოშეფინ, გუუპვირდუ (=რომ ნას ორი ალმასივით ბიჭი, გაუკვირდა) (ტ.II,30-3);

ოსური წოხოლე მუჭო ქოცუნდუნთ, ქვეაშინგ (ხ.,220,8) (=ცოლი წინათ რომ ჰყავდა, გააჩსენდა);

თე ძღაბიშ გური ქუას მითომუდუნთ, ქოძირუ (=ამ გო-გოს გული ქვის ქვეშ რომ ოდო, ნანა) (ტ. II,326,14);

ქოძირუ/გ(=ნანა) ზმნით გადმოცემულ მთავარ წინადადე-ბას შეიძლება ორი დამოკიდებული უძლოდეს წინ, რომელთა-გან დამატების როლს უშეალოდ მთავარი წინადადების წინ მდგარი დამოკიდებული ასრულებს. მაგ.,

მეურც შარასეგნ, ქლორგ გილახენ, ქოძირგ (ხ.,299,4-5) (=რომ მიდის გზაზე, ხობობი რომ ზის, დაინანა).

მაგრამ ზოგჯერ ეს ორი დამოკიდებული ისეა ერთმანეთს დაკავშირებული, რომ მათი დაცალკევება ჭირს და ორივე, თითქმის ერთ დამოკიდებულ ერთეულად აღქმული, მიემართე-ბა მთავარს. მაგ.,

ათე ღობერწყმა ღვარანდგ ჩხოუნ, თინა მუშ ოზეშ კარს ქიგეჯანუნ; ქოძირგ (=ამ ღობესთან რომ ძროხა ბლაო-და, ის თავის ჭიშკართან (რომ) წევს, [ეს] დაინანა) (ტ. II,190,32).

ნახვის აღმნიშვნელი ზმნა ზოგჯერ აღწერითადაა გადმო-ცემული:

ცხოვრენა თაშინი, ართი სერს შორიშე ჭრაქიში სინათ-ლე ქიძიძირენი, ქოძირგს თოლი (=ასე რომ ცხოვრობენ, ერთ საღამოს შორიდან ჭრაქის სინათლე რომ ჩანს, მოჟკრეს თვალი) (ტ. II,92,27).

როცა მეგრულის -რჩქინ-ფუძე დანამდვილებითი ცოდნის გამომხატველია, მაშინ ამ მიზნით გადმოცემული მთავარი პრეპოზიციური წყობითაც დასტურდება პიპოტაქსურ კონ-სტრუქციაში და პოსტპოზიციურითაც, ხოლო, როცა აღნიშ-ნული ზმნა ვარაუდს აღნიშნავს, მაშინ მოსდევს დამოკიდე-ბულს:

მიჩქ, მწუხარებას რექინ (=ვიცი, რომ მწუხარებაში ხარ);

ცოთამა კეშილებელუნ, ხომ ქოჩქდუა? (=სროლა რომ არ შეიძლებოდა, ხომ იცოდოთ?) (ტ.II,182,16);

კვიწიწი გოჭვიგნ მიჩქუდუა... (ხ.,274,19) (=მუწუკი (+რომ) გქონდა მევონა).  
თე ჩქიმი ჯიმა დინგდგნ მიჩქდესა დო გვალო გაკეთებე

თე ჩქიმი ჯიმავა (ხ.,106,37) (=ეს ჩქიმი ძმა (+რომ) დაიკარგებოდა გვევონა და მთლად აშენებულა (=გამდიდრებულა (+ეს ჩქიმი ძმა)).

როგორც აღვნიშნეთ, ოდენ ზმნა-შემასმენლით გადმოცემულმა მთავარმა შესაძლოა გაკვეთოს დამოკიდებული და ინტერპოზიციაში მოექცეს<sup>1</sup>.

დამოკიდებულში ჩართული ზმნა-შემასმენლის სახით წარმოდგენილი მთავარი წინადადება გადმოსცემს I პირის დამოკიდებულებას გამონათქვამის მიმართ. მაგ.,

თე ძირაფა, ვუირქენქ, გასაშინეთ დაასქრდუ ჩქინ სქუალენსინ (=ეს მონახულება (ნახვა ერთმანეთის), ვფიქრობ, რომ სამახსოვროდ დარჩებათ ჩვენს შეიღებს);

ჩქიმ სქუალენს, მიჩქ, მუთგნს ვაუგჟირუნთგნ (=ჩქიმს შვილებს, ვიცი, არაფერს რომ არ გაუჭირებთ);

თე ძღაბი დო ბოში, მემჩქუდე, და დო ჯიმა რენან (=ეს გოგო და ბიჭი, მე მვონი, რომ და-ძმა არიან).

ზოგიერთი ზმნა III პირის ფორმითაც შეიძლება იყოს ინტერპოზიციაში. მაგ.,

შარას მუჭო ქიმეურდგნ, ცხენამი კოჩი, ქოძარგ, მურდუნ თექ (ხ.,239,15-16) (=გზაზე რომ მიდიოდა, ცხენიანი კაცი, ნახა, რომ მოდიოდა იქ);

<sup>1</sup> მდრ.: ქართველ ებრაელთა მეტყველების ნიმუში: მეირა, ნაკლებათ, ქორწილებში რო საღმე წავიდეს =ნაკლებად, რომ მეირა ქორწილებში საღმე წავიდეს (რ. ენუქაშვილი 2002:83).

მუში სქუა, უჩქუ, გლახას მუთუნს კაგაკეთენსინ (=თავი-სი შეილი, იცის, რამე ცუდს რომ არ გააკეთებს).

მსგავსი კონსტრუქციები დასტურდება ქართულ ზეპირ-მეტყველებაშიც. მაგ.,

დაჭრილებს თეთრეული, მე ძონი, რომ აქვთ.

ამისთვის, დამეთანხმებით, რომ გარკვეული მომზადებაა საჭირო.

ძალიან მოკლედ, შეკვეცდები, რომ თქვენს წინაშე მოვყვე.

ამგვარ ღონისძიებაში, დავრწმუნდი, რომ მონაწილეობა აუცილებელია.

დამოკიდებულ წინადადებაში მთავარი კომპონენტის ჩარ-თვის ფაქტი „ვეფხისტყაოსანში“ საგანგებოდა აქვს აღნიშნუ-ლი გ. კარტოზიას (დაწვრ. იხ. გ. კარტოზია 1978:23-24).

ასევე ფიქსირებულია ეს მოვლენა სულხან-საბას, დავით გურამიშვილის, აკაკის, ვაჟას, ილიას და სხვათა ენაშიც (ლ. კვანტალიანი 1990:65-67).

დამოკიდებულ წინადადებაში მოკლე მთავარი კომპონენ-ტის ჩართვა ჩვეულებრივია რუსულ ზეპირ მეტყველებაშიც (რუსული სასაუბრო მეტყველება 1973:397-402). ჩვენ მიერ მთავარ წინადადებად მიჩნეული ზმნები, რომლებიც I პირის (ზოგჯერ მესამისაც) დამოკიდებულებას გამოხატავენ გამო-ნათქვამის მიმართ, მოდალური სიტყვების რიგში დგებიან. მათ შესატყვის ლექსიკურ ერთეულებს ქართულში – ვგონებ, ვფიქრობ, ვეჭვობ, (მე) მგონი... მორფემოიდებს აკუთვნებენ (ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე 1988:165-172, 285) და რთული წინადადების ინტერპოზიციაში მოხვედრისას ჩარ-თულთან ატოლებენ (ჩართულადაც განიხილავენ) (ლ. კვაჭა-ძე 1966:304-308). ამგვარი ზმნები სემანტიკითა და რთულ წინადადებაში თავიანთი ადგილმდებარეობით აზლოს დგანან ჩართულთან, მაგრამ „როცა ამგვარი გამოთქმა სინტაქსურა-დაც და სემანტიკურადაც მთავარი წინადადების როლს ას-რულებს, ჩართულად არ უნდა ჩაითვალოს (ი. პაპიძე

1984:107). ამგვარი კონსტრუქციები ქართულში პიპოტაქსუ-რად მიაჩნია აგრეთვე ლეილა კვანტალიანს (ლ. კვანტალიანი 1990:68).

## 2.1. ოქო(ნ) „უნდა“ ზმნა პიპოტაქსუ-რ კონსტრუქციაში<sup>1</sup>

სუბიექტის გუნდა-განწყობილების გამომხატველ ზმნათა-გან შეგრულში ყველაზე ხშირად „ნდომა“ ზმნის პირიანი ფორმები გამოიყენება როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური წყობით. ეს უკანასკნელი სჭარბობს სიხშირით პირველს.

სუბიექტური წყობა: ვ-ოკოქ, ოკოქ, [ოქო(ნ)], შდრ.: ძვე-ლი ქართულის ფორმები: (ვ)-უნდი, უნდი და ახალი ქართუ-ლის მეშველ ზმნიანი ფორმები: ვუნდივარ, უნდიჲარ.

ობიექტური წყობა: მ-ოქო(ნ), გ-ოქო(ნ), ოქო(ნ), შდრ.: ახალი ქართულის მ-ინდა, გ-ინდა, უნდა.

მეგრული მოქო(ნ) ზმნის მორფოლოგიური ფარდია თანა-მედროვე ქართულში მინდა ზმნა. ქართული „უნდა“ ზმნის ამოსავალი ფუძე (ძირი) არის -ნ, იგივე, რაც ძველი ქართუ-ლის უ-ნ-ებ-ნ ზმნაში მოიპოვება (უნებნ მათ, გ.27,15) (ბ. ჯორბენაძე 1993:272).

უნდა, ისტორიულად, ნამყო უსრულის ფორმაა (აკ. შანი-ძე 1973:224-225), აწმყოა უ-ნ-ა, რომელიც ზოგ დიალექტსა-თუ კილოკავს – მესხურს, ქიზიფურს – დღემდე დაუცავს. შემდგომ „უნდა“ აწმყოს ფორმად იქნა გააზრებული და ამის კვალობაზე ახალი პარადიგმული რიგი აიგო: უნდა, უნდოდეს (ბ. ჯორბენაძე 1993:270). ქართული „უნდა“ ზმნა სურვილი-

<sup>1</sup> სტატია – ოქო(ნ) „უნდა“ ზმნის შემცველი პიპოტაქსუ-რი კონსტრუქ-ცია მეგრულში დაბეჭდილია თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ასალგაზრდა შეცნიურთა შრომებში, თბ., 1997, გვ. 17-22).

სა და საჭიროების სემანტიკის გამომხატველია (იქვე:273). მეგრული ამ მხრივ ქართულს მიპყვება. მაგ.,

ა) სურს, სწადია

მეკოტუე კოტოს სოლე ოქონი, თეურე მიკოდგუნსია ზეს (=მექოთნე ქოთანს, სადაც მას სურს, იქ გაუკეთებს „მიადგამს“ სახელურს) (ტ. II, 434, 305);

მუთ შხვაშო გოქონი, თინა გაღოლე (=რაც სხვისთვის გინდა (=გსურს), ის მოგივა (დაგემართება) (ტ. II, 435, 356).

ბ) საჭიროა მისთვის, ესაჭიროება

დიდი სქიბუს დიდი ოქუალი ოქო (=დიდ დოლაბს დიდი საფქვავი უნდა(ო) (=სჭირდება) (ტ. II, 425, №126);

ღურს მუთაქა ვააკო დო შქირენს – მილაჭკომაფუ (=ძილს სასოფუმალი არ უნდა (=არ სჭირდება) და შიმშილს – შეჭამანდი) (ტ. II, 433, 278).

სურვილისა და საჭიროების სემანტიკა ახლოსაა ერთმანეთთან, ამიტომ მოულოდნელი არ არის ამ მნიშვნელობების მატარებელი ზმნისგან მოდალობის სემანტიკის განვითარება, რომელიც უკვე კატეგორიულ საჭიროებასა და აუცილებლობას გამოხატავს:

მა დო იი ისგნდით ოქო ქიბლაჟაფათია (6,268,3) (=მე და შენ ისინდით უნდა ვითამშოთ) მუთ ქონება ქოილუნ,... ირფელი ოქო მიდებლათ ჩქია (=რაც ქონება გაქვს, ... ყველა-უერი უნდა წავიდოთ ჩვენო..) (ტ. II, 316, 28).

სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ მოდალური ზმნებისგან მოდალური ნაწილაკების წარმოქმნას ამ ზმნათა სემანტიკის გადაწევა განაპირობებს. „უნდა“ ზმნის შემთხვევაში: სურს, სურვილი-აქვს>სჭირდება, ესაჭიროება>საჭიროა, აუცილებელია (ბ. ჯორბენაძე 1993:273).

ჰიპოტეზურ კონსტრუქციაში მოდალური ზმნის აღგილი მთავარ წინადაღებაშია. კავშირებითი კილოს ფორმით წარმოდგენილი ძირითადი ზმნა კი მოცემულია დამოკიდებულში.

მეგრულში მთავარი და დამოკიდებული კომპონენტების და-კავშირება ზღება -ნი (=რომ) კავშირის საშუალებით. მაგ.,

ძღაბის ვაჟო თე ბოში დოცუილანი კარიშ კათაქენ...  
(=გოგოს არ უნდა, რომ ეს ბიჭი მოკლან კარისკაცებმა)  
(ტ.II,128,23);

ათე ვაჭარს ოქო ბოშით მიოდინუას დო ქონებათ მიღუ-  
ლასენ (ხ.230,28) (=ამ ვაჭარს უნდა, რომ ბიჭიც დაღუპოს  
„დაკარგოს“ და ქონებაც წამოთვას);

...ოქოდუ, ქიანეფი ქიძირუკონი (=უნდოდა, რომ ქვეყნები  
ენაბა) (ტ.II,106,31);

მუმას ოქო(რ)დგ, სქუას მუთუნი ზელობა ქლავურუკონ  
(=მამას უნდოდა, რომ შეილისთვის რამე ზელობა ესწავლე-  
ბინა) (ტ.II,280,18);

-ნი კავშირ-ნაწილაქს, როგორც ცნობილია, ახასიათებს  
ცეკეთა. იგი შეიძლება მთლიანად იქნეს მოკვეცილი, მაგრამ  
წინადადებაში მისი ფარული არსებობა მაინც ივარაუდება გა-  
დაადგილებული – ბოლოსკენ გადაწეული მახვილის საშუა-  
ლებით<sup>1</sup>; მაგ.,

...ვითოჟირი ჯიმა კათა ვორეთ დო მოკონა ოსურო იბ-  
თხუათი<sup>2</sup> ვითოჟირი და ოსურეფი (=თორმეტი მმა ვართ და  
გვინდა, ცოლად რომ ვითხოვთ თორმეტი და-ქალი) (ტ.II,268,18);

თე ბოშის ოქო კულაში ღვინი ქიმეჩასი<sup>3</sup> მუში მუმას...  
(=ამ ბიჭს უნდა, კულათი ღვინო რომ მისცეს თავის მამას...) (ტ.II,310,18).

მეგრულში ზოგჯერ მოდალური ზმნა ტოვებს თავის აღ-  
გილს მთავარ წინადადებაში და დამოკიდებულში მოცემული  
ძირითადი ზმნის წინ ექცევა. მაგ.,

<sup>1</sup> -ნი დართულ სიტყვაში მახვილის საკითხისათვის იხ. ი. ყოფშიძე 1914:13; გ. კარტოზია 1996:79.

<sup>2-3</sup> შდრ.: იბთხუათ(ი) და მოკონა იბთხუათი; ქიმეჩას და ოქო ქიმეჩასი.

მაფას მუში ოსურისქეაშა ათეწკემა გურგინი ოკორდგ ქიგუჯღუკონი (=მეფეს თავისი ქალიშვილი ამაზე უნდოდა რომ დაეჭირწინებინ) (ტ.II,222,7);

შდრ.: მაფას ოკორდგ, მუში ოსურისქეას ათეწკემა გურგინი ქიგუჯღუკონი (=მეფეს უნდოდა, რომ თავისი ქალიშვილი ამაზე დაეჭირწინებინ).

ბედი მოკო ბგორენი ჩქიმი (ხ.,288,34) (=ბედი მინდა რომ მოვძებნო ჩემი);

ფურნე მოკოდუა ვაკეთიკონი (ხ.,258,12) (=ფურნე მინდოდა რომ გამექეთებინა);

...დაჩჩერი მოკონა ისტებუენი (ხ.,292,11) (=ცეცხლზე მინდა რომ გავთბე).

საერთოდ, „ზეპირი მეტყველებისთვის ნიშანდობლივია რთულ წინადადებებში კომპონენტების სპეციფიკური განლაგება“ (ლ. კვანტალიანი 1990:60).

მოდალური ზმნა თუ ნაწილაკი, ჩვეულებრივ, უძღვის ძირითად ზმნას; შეიძლება ერთიც და მეორეც გათიშული იყოს ძირითადი ზმნისგან სხვა წევრით ან წევრებით, მაგრამ მაინც უსწრებს. ამის გვერდით, არ არის იშვიათი მეგრულში ისეთი შემთხვევა, როცა მოდალური ზმნა ან ნაწილაკი მოსდევს ძირითად ზმნას. ძირითად ზმნას შეიძლება -ნი(=რომ) კავშირიც ერთვოდეს, მაგრამ ის ამ შემთხვევაში სინტაქსური ფუნქციისაგან დაცლილია. ძირითადი ზმნა+მოდალური ზმნა ან ნაწილაკი ერთ მთლიან ერთეულად აღიქმება, რადგან არ დასტურდება სხვა წევრებით მათი ერთმანეთისაგან გათიშვის არცერთი შემთხვევა. მაგ.,

ბკოთხე მოკო მუშენი თესხისგ ქომუბშენქ დო ხოლო დარიბი ვორუქსნი (=გკოთხო მინდა, რატომ [არის], ამდენს ვმუშაობ და მაინც დარიბი ვარ) (ტ.II,288,25);

ანგელოზენქ უწეს: გუვათულათვი მოკონის (=ანგელოზებმა უთხრეს: (+რომ) გუვაცოცხლოთ გვინდაო) (ტ.II,154,4);

ასე ფურნე გააფურუას ოკონ, დაჩირი ქიმთარზან ოკონ, კოჩი მითოხენ თექ მიოღვარუუ დო აშო გეთილგ (ზ.,258,8-9) (=ახლა ფურნე (+რომ) გაახუროს უნდა, ცეცხლი (+რომ) შეანთონ უნდა, კაცი რომ ზის შიგნით, ამან დაიღრიალა და აქეთ გამოვიდა).

ძირითად და მოდალურ ზმნათა (ან ნაწილაკთა) ამგვარი განლაგება განსაკუთრებით დამახასიათებელია ჭანურისთვის. „ჭანური მოდალური ზმნა ყოველთვის მეორე აღვილზე დგას“ (არნ. ჩიქობავა 1936:148); მაგ.,

თუთუნი სკანი მომჩი, არ ციგარა ყოფუმა მინონ (ჭან.122) (=შენი თუთუნი მომეცი, პაპიროსი გავაკეთო მინდა).

ამდღა ჰექიმი მოხთასუნონ (ჭან.12) (=ღლეს ექიმი მოვაღეს უნდა).

ბელქი თვისი მთუასუნონ (ჭან.12) (=ეგების თოვლი მოვაღეს უნდა).

ძირითადი ზმნისა და მოდალური ნაწილაკის ამგვარი განლაგება დიალექტებშიც შეინიშნება. მაგალითად, ჯავახურ-სა და აჭარულში ჩვეულებრივია „გავაკეთოსნა“ და ამ ტიპის ფორმები, რომელიც გააკეთოს უნდასგან მომდინარებს (ბ. ჯორბენაძე 1989:289).

### გ 3. -ნი კავშირი კითხვითსიტუაცია დამოკიდებულ წინადაღებაში

ე. წ. „ცნობიერება“ წრის – თქმა-ბრძანებისა და გუნება-განწყობილების გამომხატველი ზმნების შემცველ ქვეწყობილ წინადაღებაში დამოკიდებული ზოგჯერ შეიცავს კითხვით

სიტყვას. კითხვით სიტყვებად გამოყენებულია კითხვითი ნაც-  
ვალსახელები და კითხვითი ზმნიზედები. კითხვითი ნაცვალ-  
სახელები ზოგჯერ სხვადასხევა ბრუნვის ფორმითაა მოცემუ-  
ლი. კითხვითისიტყვიან დამოკიდებულში მოცემული -ნი კავში-  
რი ქართული თუ ს ფარდია.

მთავარ და დამოკიდებულ წინადადებათა თანამიმდევრობა  
თავისუფალია, მაგრამ სიხშირის მიხედვით მთ.+დამოკ. სჭარ-  
ბობს. ხოლო დამოკ.+მთ. თანმიმდევრობა აღნიშნული ტიპის  
კონსტრუქციაში ქართულშიც იშვიათია და ხშირად „თუ“  
კავშირის გარეშეა წარმოდგენილი (ფ. ერთელიშვილი  
1962:191).

მეგრულში „ცნობიერება“ წრის ზმნებთან მოცემული  
კითხვითისიტყვიანი დამოკიდებული ირიბად გამოხატავს კით-  
ხვას, ამიტომაც კონსტრუქციის ბოლოს წერტილი იწერება.  
მაგ.,

ქოთხი ამბე, მუ ქიმენსგნი (=პეთხე ამბავი, თუ რა  
ქეს...) (ტ.II,142,30);

ასე ქომჩქუ, მუ მოსქილიდუანსგნი (=ახლა კი ვიცი, თუ  
რა მომარჩენს) (ტ.II,98,30);

დიმდარი შორიშე ურჩქედუ, დაბა მუს იქუნდუ დარიბ  
კოჩინ (=მდიდარი შორიდან უყურებდა, აბა, თუ რას იზამდა  
დარიბი კაცი) (ტ.II,334,21);

უწუუ ეშმაკიქ, მუნეფიშ გაჭირება მუშა ძღვომარენდუნი  
(=უთხრა ეშმაკმა, მათი გაჭირვება თუ რაში ძღვომარეობდა) (ტ.II,316,25);

გურქ ვააჩინეს, მიში ცუდე რდგნი... (=ვერ მიჩვდნენ, თუ  
ვისი სახლი იყო...) (ტ.II,328,26-27);

დედგბის გეკოჟითხ, მუუმცეგ მუულა ნდემუფინი (=დე-  
დაბერს გამოჟოთხ, თუ როდის მოვლენ დევბი) (ტ.II,42,5);

პაპაქ... იკთხვე, მუნერო გორჩქინდე დაჩხირქენი (=მღვდელმა იკთხა, თუ როგორ („რანიორზ“) გაჩნდა ცეცხლი) (ტ.II,298,5-6);

ქურუ გური, ხრისტაგანიში თუმა სო ინობედენი (=მიხვდა, ხრისტაგანის თმა თუ სად იყო) (ტ.II,90,26);

თიქ ხათეხოლო ქიმეზვადე, მუში ჯიმალეფი სოლე იშესენი... (=ის მაშინვე მიხვდა, თუ სათ წაკიდოზნერ მისი ძმები) (ტ.II,236,28);

დიდა დო მუმასეთ ვამშაჩინებე თინეფიშე, ნამე რე მუნე-ფიში სქუან... (ხ.,89,7-8) (=დედ-მამაც ვერ ამოიცნობს იმათ-გან, თუ რომელია მათი შვილი).

თე დროს ზაკაიქ გაგმიანგარიშე, თე ოჯახი დო მუში დაში ოჯახიშ შქას მუზგმა ვერსიენტ (=ამასობაში („ამ დროს“) ზაკაიქიმ გამოიანგარიშა, ამ ოჯახსა და თავისი დის ოჯახს შორის თუ რამდენი კილომეტრია) (ტ.II,124,8);

...მა სი ქედგოგურუა, მუჭო ოკო თი ცხენეფიში გვ შევ-რუან (=მე შენ .გასწავლი, თუ როგორ უნდა ამ ცხენების ამორჩევა) (ტ.II,130,8-9);

დიდაქ ქედააგურუა, მუჭო ქიმინუქონ (=დედამ ასწავლა, თუ როგორ გაეხუთებინა) (ტ.II,196,15-16);

მუგამინუაფუ, მუჭომს ახიოლუდესუნტ ეში ძირაფა! (=მოგერსენებათ, თუ როგორ გაუხარდებოდათ მისი ნახვა) (ტ.II,16-14-15);

ქარწყეჭო, ქუაშ წვანს სიღე გვმახენა ძღაბი დო ბოში, ტორონჯო გორთელინო (=ზედავ, ქვის წვერზე თუ სადა სხე-დან გოგო და ბიჭი, მტრედად გაღაქცეულები) (ტ.II,188,8-9);

ზოგჯერ დამოკიდებულ წინადაღებაში ორი სხვადასხვა კითხვითი სიტყვაა მოცემული. მაგ.,

მარა ცირაქ გეუწყუ თითო კაკალო, მუჭო დო სო რდენი  
(=მაგრამ ქალიშვილმა აუხსნა დაწვრილებით, თუ როგორ და  
სად იყო) (ტ.II,234,5);

როგორც აღვნიშნეთ, ქართულში დამოკიდებული+მთავარი  
თანმიმდევრობის ამ ტიპის კონსტრუქცია იშვიათია და ისიც  
უმთავრესად უკავშიროდ არის წარმოდგენილი; მეგრულშიც  
იშვიათია, მაგრამ -ნი კავშირთან ერთად. მაგ.,

მა ქრისტიან კორექ დო სი მინ ორექნი, ქომიწი (=მე  
ქრისტიანი ვარ და შენ (+თუ) ვინა ბარ, მითხარი) (ტ.II,58,21);

თეცალ ბედი მიქ მუჩუნი,  
ირკოს კეითხულე.

ასეთი ბედი თუ ვინ მომცა  
ყველას ვეკითხები.  
(ტ.I,289,3).

ჩქენი ღალა მის აშაასქიდგ ჩქენი უკულინი, ვამჩჩუნანა  
(=ჩვენი ქონება (+თუ) ვის შერჩემა ჩვენ შემდეგ, არ გოცი-  
თო) (ტ.II,48,25);

სი მუშ მამონკა რექნ, ვამჩჩე (ხ.100,29-30) (=შენ  
თუ რა სიძძიმის (რის სიძძიმის") ბარ, არ ვიცი).

ზოგჯერ დამატება მთავარ წინადაღებაში მოცემულია პი-  
რისა თუ განსაზღვრებითი ნაცვალსახელების სახით (ამის  
შესახებ მსჯელობა იხ. ჩვენს ნაშრომში თ.V, §1).

ცირაქ ირფელი ქეჩუ დიდა დო მუმას, მუჭო ეშეფრსხინ  
(ხ.43,28) (=გოგომ ყველაფერი უამბო დედ-მამას, თუ რო-  
გორ დავიხსენი).

თექეთ რაგადი ქსდუჭყუ დო ქეჩიუ ირფელი, საქმე მუ-  
ნერო ორდენი (=ამანაც ლაპარაკი დაუწყო და უამბო ყველა-  
ფერი, თუ როგორ („რანაირად“) იყო საქმე) (ტ.II,168,24);

ქემაცუნუ დო ირფელი ქეჩუ, სოდე მუქ შეხვადგნ  
(ხ.290,14) (=დაიწყო და ყველაფერი უამბო, თუ სად რა  
შეხვადა);

ჩქიმი მუმა მინ ორენდ, თინა ოქო ქომიწუე (=ჩემი მამა (+თუ) ვინ არის, ის უნდა მითხო) (ტ.II,62,13);

მუ ოხვარგ თისუნ, თთ ქეგარჩევენუნია, — უწუ ბოშიქ (=(+თუ) რა ეშველება იმას, ისიც გეცოდონებათ — უთხრა ბიჭმა) (ტ.II,62,13);

სვანურშიც ამ ტიპის პიპოტაქსური კონსტრუქცია დასტურდება როგორც კავშირიანი, ასევე უკავშირო შეერთებით. კავშირიანი შეერთების ღროს გამოიყენება ჰე (თუ) და მასზე დაყრდნობილი სხვა კავშირები — ჰევე, ჰემა, ჰესამა, (თუ რა, თუკი) ან მისი შემცვლელი ერე (ქართული თუს მნიშვნელობით). მაგ<sup>1</sup>.

დას ხოხალდა, ჰე იმთე აჩბდ ეჯ ჰყინტ (=არავინ იცოდა, თუ სათ წავიდა ის ბიჭი (ბ/ზ, ც. მარგიანი));

ათხე მიჩა მუხვებე გუდ აკბდ, ჰე მარ ლასვ ეჯ ზურალ (=ახლა მისი ძმა მიხვდა, თუ ვინ იყო ეს ქალი (ბ/ზ, ა. ნაკანი));

ზურალ აჭკუბრდა, ჰე იმჩხნ ანჯდენოლ მიჩა ჯვემილ მუხარ ბერთე (=ქალი ფიქრობდა, თუ საიდან მოვიდოდა ხვალ მისი ძმა შინ (ბ/ზ, ც. მარგიანი));

გუდ ამექუდ ბესო, ჰე მა ხათმენა დაშტვს (=მიმხვდარა ბესო, თუ რა დამართნია დათვს) (ლენტ. ზ. ჭუმბურიძის მასალები, 1950);

დას ხოხალდა, ერე იმთე აჩბდ ეჯ ჰყინტ (ც. მარგიანი) (=არავინ იცოდა; თუ („რომ“) საით წავიდა ის ბიჭი).

ამ ტიპის კონსტრუქციები ქართულში სპეციალური მსჯელობის საგნად აქცია ფ. ერთელიშვილმა (ფ. ერთელიშვილი 1962:1982-198) და აღნიშნა, რომ მსგავს შემთხვევებში ქართულში „თუ“ კავშირი მთავარი წინადაღების ზმნა-შე-

<sup>1</sup> სვანურის მაგალითები დამოწმებულია ნ. აბესაძის სტატიის მიხედვით (იხ. ნ. აბესაძე, 1978).

მასმენლის ობიექტის ფარდი ოდენობაა და წინადაღების მთლიან კონსტრუქციაში იგი დამოკიდებული წინადაღების წევრ-კავშირის კორელატი უნდა ყოფილიყო. საილუსტრაციოდ მოყვანილია შემდეგი მაგალითი: „წარვედ მთათა ჯავახე-თისათა, რამთა ვცნა თუ, სადაც არს მცხეთა“ (ფ. ერთეულიშვილი 1952:52). აქ წევრ-კავშირად მიჩნეულია „სადაც“, ხოლო კორელატად „თუ“.

6. აბესაძის აზრით, რადგან ასეთი ტიპის წინადაღებებში კორელატი მოსალოდნელი არ არის და სხვა შემთხვევაში კორელატად გამოყენებული ნაცვალსახელებიც კი აქ ფორმალურ ხასიათს ატარებენ, ამიტომ „თუ“, ბუნებრივია, კორელატად არ მიიჩნევა (ნ. აბესაძე 1978:21-22).

ძველ ქართულში „ცნობიერება“ წრის ზმნების შემცველ ქერწყობილ წინადაღებაში კითხვით ნაცვალსახელებსა და ზმნიზედებს ემატება „ძი“ ნაწილაკი: ვინძი, რაძი, ვითარძი და ა. შ. ვ. თოფურიას გამოკვლევით, „ძი“ ნაწილაკი, თავისი აღგილმდებარეობითა და უუნქცით, სხვა არაფერია, თუ არა დამოკიდებული წინადაღების კავშირი „თუ“. ამის შესაბამისად ვინძი გადმოითარგმნება როგორც თუ ვინ, რაძი — თუ რა, ვითარძი — თუ ვითარ... (ვ. თოფურია 1944:174-175).

ფ. ერთეულიშვილი იზიარებს ვ. თოფურიას მოსაზრებას (ფ. ერთეულიშვილი 1962:188-189).

ქართული „ძი“ ნაწილაკის ბადლად სვანურში ვ. თოფურია „დო“ ნაწილაკს მიიჩნევს (ვ. თოფურია 1944:174).

მი მაშ მიხალ, მარ დო ანჯალ ამექა (=მე არ ვიცი, ვინძი (თუ ვინ) მოვიდა აქ (ც. მარგარი) (სვანურის მაგალითი დამოწმებულია ნ. აბესაძის სტატიის მიხედვით. იხ. ნ. აბესაძე 1978:11).

